არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი)

რისთვის გვითმენს
უფალი?!

თბილისი
2006

გამომცემლისაგან

წინამდებარე წიგნი შედგენილია არქიმანდრიტ რაფაელის (კარელინის) მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი სტატიების საფუძველზე. ჩვენ შევეცადეთ შეგვეკრიბა ისინი და წიგნად გამოგვეცა. საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ წიგნი სახელწოდებით «რისთვის გვითმენს უფალი?!», პირველად საქართველოში, ქართულ ენაზე გამოიცემა.

აქ განხილული საკითხები დღესდღეობით მეტად მწვავე და აქტუალურია მართლმადიდებლებისათვის. მართლმადიდებლობას, როგორც ყოველთვის, ახლაც რთული და განსაცდელებით აღსავსე ჟამი უდგას. საჭირო არ არის დიდი მცდელობა იმის დასანახად, თუ რა გზებით და ხერხებით ცდილობენ ბნელი ძალები ჩვენი სარწმუნოების ციხე-სიმაგრის აღებას. შეტევა ყოველი მხრიდან ხორციელდება, მაგრამ ეს ციხე-სიმაგრე აუღებელია. ერთადერთი, რისი გაკეთებაც მათ შეუძლიათ, არის ის, რომ იქიდან გამოგვიტყუონ, წარმართულ ორომტრიალში ჩაგვაბან: *«და აერინეს წარმართთა და ისწავლნეს საქმენი მათნი; და ჰმონეს კერპთა მათთა, და ექმნა მათ იგი საცთურ»* (ფს. 105, 33-36). ამის მიღწევის საშუალებებს შორის ერთ-ერთია ტრადიციის დანგრევა. სტატიებს ტრადიციის საკითხი სწორედ რომ წითელ ზოლად გასდევს. მამა რაფაელის აზრით, ტრადიცია, მითუმეტეს ქრისტიანული ტრადიცია, ერის სახის შენარჩუნებისა და მისი გადარჩენის საფუძველს წარმოადგენს. ამიტომ ეს ძალები დარტყმებს სწორედ ამ მიმართულებით ახორციელებენ. ავტორი ასევე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს უშუალოდ ეკლესიურ ცხოვრებას, მისი ადათ-წესებისადმი ერთგულებას.

წიგნში ბოლო თავი მთლიანად დათმობილი აქვს საქართველოს. სამწუხაროდ ამჯერად ვერ მოხერხდა ყველა იმ სტატიის თავმოყრა, რომელიც მამა რაფაელს საქართველოს შესახებ აქვს დაწერილი. მაგრამ თავი, რომელსაც ჰქვია «ესე არს ადგილი, რომელიცა შევიყვარე», ნათლად მეტყველებს მის დამოკიდებულებაზე საქართველოსადმი, რომელიც უკვე კარგა ხანია მის სამშობლოდ იქცა.

მოხარულნი ვიქნებით, თუკი ჩვენი ძალისხმევა ამაოდ არ ჩაივლის და ჩვენს ძვირფას მკითხველს კიდევ ერთი სულის სასარგებლო წიგნი შეემატება.

რეფორმატორობის შესახებ

«არა გეცრუვნეთ შენ სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო».

რუის-ურბნისის ძეგლისწერა

საკუთარი თავის მომტყუებელი გონება რაღაც ახალს, აქამდე უცნობს აღმოაჩენს თავისთვის, ნეტავ კი იცოდეს მან, რომ სამარეს ითხრის!

წმ. ნიკოლოზ სერბი

«მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი; სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა».

მთ. 26, 26-27

მოდგმა ამ ცრუ და წარმავალი სოფლისა არის სიძვის მოდგმა, ხოლო საქმენი მისნი _ ბნელი და უსჯულო! მოდგმა ცოდვიანი, მამა ცოდვილ ძეთა, და როგორც ძველად უთქვამს წინასწარმეტყველს: *«თესლი გულარძნილ და განმამწარებელ, თესლმან რომელმან არა წარიმართა გული თვისი და არცა სარწმუნო ყო ღმრთისა თანა სული თვისი»* (ფს. 77, 8).

ეპ. ილია მინიატისი

ჩვენი სარწმუნოება

რატომ არსებობს დედამიწაზე ასობით რელიგია, ურთიერთშეუთანხმებელი და ამავე დროს ჭეშმარიტების პრეტენზიის მქონე? საით მივყავართ მათ? მაცხოვნებელნი არიან კი ისინი? ან იქნებ მათი ბოლო მეტაფიზიკური უფსკრულია? საიდან გაჩნდა წარმოდგენათა და სისტემათა ეს სიმრავლე? თუკი კაცობრიობა ერთი ფესვიდან წარმოდგება, მაშინ რატომ არა აქვს მას ერთიანი მსოფლმხედველობა?

ამ კითხვებზე პასუხს ძნელად სცემს თანამედროვე ადამიანი, რომელიც ფილოსოფიურ-ზნეობრივ პრობლემატიკასთან ჰუმანიზმის პოზიციიდან მისვლას მიეჩვია. და მაინც, ეს საკითხი განაგრძობს სინდისის შეშფოთებას და აგნოსტიკური პოზიცია _ «არ ვიცი» სულს კმაყოფილებას არ ანიჭებს.

რელიგიური პლურალიზმის ჩანასახი უკვე თავად ცოდვითდაცემაშია. უკვე ადამის ცოდვაში გამჟღავნდა ორღმერთიანობა: მას სწამს ღმერთის, ამავე დროს სწამს სატანის, როგორც ახალი «კეთილი ღვთაების». ცოდვას თან მოაქვს განყოფა. შინაგანი და გარეგანი განყოფა აზიანებს ადამიანის შემადგენლობას, სული და სამშვინველი უწინდელ ჰარმონიას კარგავენ: სული ზეცისაკენ მიპყრობილ თვალს ხუჭავს, სამშვინველი მიწას კიდევ უფრო მეტად ეჯაჭვება. ცოდვა აუკუღმართებს ადამიანური ბუნების იერარქიას _ სამშვინველი სულზე ბატონობას იწყებს. ღვთის შემეცნების შინაგანი შუქი მკრთალდება, უშუალო გამოცდილება სიმბოლიკით იცვლება, რელიგია ემყარება გარეგნულს: სიტყვიერ გადმოცემებსა და რიტუალებს, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესი _ მსხვერპლშეწირვაა.

რელიგია ღვთის ჭვრეტიდან წყვდიადში ღმერთის ძიებად გადაიქცევა; ცოდვამ ურთიერთისაგან გათიშა სამშვინველის ძალები, მოწყვიტა რა გონება, გრძნობა და ნება, სულიერ ინტუიციებს. ადამიანმა დაკარგა უტყუარობის კრიტერიუმი _ უშუალო ჭვრეტა. გარე სამყაროს ხედავს არა მის არსში, არამედ მის გამოვლინებებში, ფენომენებში, როგორც დანაწევრებულ ფრაგმენტებში. ის მათ შევსებას და ერთიან სურათად განლაგებას წარმოსახვის ძალით ცდილობს.

აქ სულის შემოქმედებით ძალას სამშვინველის გამომგონებლობა ეფარება და ავიწროვებს. ცოდვით დაცემის შემდგომ საკუთარ ძალებზე მინდობილი ადამიანი «გამომგონებელ არსებად» გადაიქცა.

ადამის ცოდვა პირველი ცდა იყო დემონთან ურთიერთობისა, მისი იმპულსი კაცობრიობაში მოქმედებას განაგრძობს. ადამიანის გრძნობები ვნებებად გარდაიქმნებიან; გამომგონებლობა მის მთავარ ვნებას _ ამპარტავნებას, უხვ საკვებს აწვდის; ადამიანი სულ უფრო ძლიერად ეჯაჭვება მიწას. სამშვინველი, როგორც წყლით ღრუბელი, ვნებიანი გრძნობებით და სახეებით გაჟღენთილი სულის სფეროს ეუფლება. დემონის თაყვანისცემა, როგორც რელიგიური მეტაფიზიკის მყარი სახეობა, პირველად კაენის შთამომავლობაში გაჩნდა. ძმის მკვლელობას სულიერი და მშვინვიერის ძალების ახალი რღვევები, დეგრადაცია და ცვლილებები მოჰყვა. სამშვინველის რეაქტიული ძალები ახალ აგრესიულ იმპულსს იღებენ და კიდევ უფრო მეტად უცხოვდებიან სულისაგან. ბიბლიაში მოკლედაა ნათქვამი, რომ კაენის შთამომავალი ლამექი ორ ცოლს ირთავს. აქ სახეზეა ცოლ-ქმრული კავშირის გადაგვარება, რომელიც შვილთა სხმიდან ბილწი ვნებების დაკმაყოფილებად იქცევა. მოსურნე ნაწილი სამშვინველისა, რომელსაც არც თუ ზუსტად უწოდებენ ემოციურს, არა მხოლოდ ზეციური სილამაზის, არამედ მსოფლიო ჰარმონიის შეგრძნებებსაც წყვეტს. ის სამშვინველის გაცილებით ხრწნადი და მოწყვლადი ნაწილი

ხდება, რომლის მეშვეობითაც ადამიანზე ბნელი ძალები მოქმედებენ. როგორც დამპყრობელი ამყარებს სხვის ტერიტორიაზე თავის ბატონობას, ახალ წესებსა და კანონებს, ასევე სამშვინველიც სულის იერარქიას ამსხვრევს და ადამიანზე გაბატონებით ქმნის რელიგიის საკუთარ იმიტაციებსა და სუროგატებს, როგორც თვალისჩინდაკარგული ცვლის მას საკუთარი წარმოსახვით, ასევე სულიერი სინათლის დამკარგავი სამშვინველი წარმოქმნილ სიცარიელეს საკუთარი ზმანებით ცვლის.

სულის ძალა _ ეს ზეგრძნობადი ფენომენების ჭვრეტაზე დამყარებული შემოქმედებაა, სამშვინველის ძალა კი გამომგონებლობა, რომელიც ვარაუდებს ემყარება. სულისაგან გაუცხოებული გონება სიტყვიერი აბსტრაქციებით ფანტაზიორობს. სულის იმპულსებიდან აბსტრაგირებული ემოციები ცნობიერებაში გრძნობითი სახეების მეშვეობით მჟღავნ-დებიან. გამოცხადებას დევნის და ენაცვლება ფილოსოფია. გადმოცემები თანდათან ირევა და ქრება მითოლოგიაში. დემონურ რელიგიებს თავიანთ გამოვლინებებში ფილოსოფიური სკოლისა და თეატრის კავშირი წარმოადგენს.

*კაენის შთამომავლობამ გზა თეიზმიდან სატანიზმამდე სწრაფად განვლო. მოგვიანებით მან, აბელის ტომთან შეერთებულმა, რელიგიური თვალსაზრისით მისი ასიმილირება მოახდინა და თან გაიყოლა. აი, იმის მაგალითი, როცა ერთმანეთთან შეხამებული სიკეთე და ბოროტება კიდევ უფრო მეტ ბოროტებას წარმოშობენ. წარღვნამდელი ისტორია ერთგვარ «მოქმედ წინასწარმეტყველებას» წარმოადგენდა ქვეყნიერების ესქატოლოგიის შესახებ. ეს კაცობრიობის ისტორიის მოკლე კონსპექტია.

ჩვენთვის ახალი რელიგიების წარმოშობა და გამრავლება აღიქმება, როგორც თავდაპირ-ველი გადმოცემების დაკარგვა, რომელსაც ადამიანის გამოღვიძებული სული ინახავდა. წარღვნის შემდგომ პერიოდში ნაწვიმარზე სოკოებივით გაჩენილი სხვადასხვა რელიგიები სამშვინველისა და ამაყი სულის გამომგონებლობის შედეგს წარმოადგენს, რომლებსაც თავიანთი ძალისხმევით სურდათ დანახვა და მიღწევა იმისა, რასაც სულს მხოლოდ მადლი უცხადებს. რელიგიური ფანტაზია, როგორც სულის სფეროზე ვნებიანი და ცოდვიანი სამშვინველის აგრესია, მუდამ რჩება რელიგიურ ილუზიონიზმად, ის ყოველ-თვის აძლევს ბნელ ძალებს მადლით დაუცველ სულზე ზემოქმედების საშუალებას.

მართლმადიდებლობის გარდა ყველა რელიგია გარეგან ძალებზე დაყრდნობისაკენ ისწ-რაფვის. სულს გარეგანზე დაყრდნობა არ სჭირდება იმდენად, რამდენადაც ის მარა-დისობისკენაა მიპყრობილი. სამშვინველი კი მიწიერი ყოფისკენაა მიმართული. ამიტომ მისი მოღვაწეობა გარეგან ფაქტორზეა დამოკიდებული. მშვინვიერი რელიგიები ფიზიკურ სუბსტრატს[1] ან გარეგან დასაყრდენს ეძებენ. იუდაურ რელიგიაში ამ დასაყრდენს ეროვნული სოლიდარობა წარმოადგენს. ამის გარეშე თალმუდი გაქრებოდა; მაჰმადიანობა ექსპანსიის საშუალებით გავრცელდა, ის იარაღის ძალას ეყრდნობოდა; კათოლიციზმი ორგანიზაციას, დისციპლინას და გარეგნულ ავტორიტეტს ემყარება, რომელიც პაპშია ხორცშესხმული. პროტესტანტიზმი წმინდა წერილისადმი პედანტურ მიდგომას ეყრდნობა, რომლის მიღმაც არა სული, არამედ ადამიანური ინტელექტი დგას, ამიტომ თვით ბიბლია იქცევა გარეგნულ ავტორიტეტად. გარდა ამისა, სექტები

---

* თალმუდი (ძვ. ებრ.) _ ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული, შედგენილი ბიბლიის წიგნების განმარტებათა საფუძველზე.

ურთიერთდახმარების სისტემას, კონფესიურ სოლიდარობას ემყარებიან, როგორც საზოგადოებრივ თავდებობას.

მართლმადიდებლობაში გარეგნული საყრდენები არ არის. იმ საყრდენებს კი, რომლებიც ისტორიულად ჩნდებოდნენ, როგორც სიმფონია ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, დროებითი ხასიათი ჰქონდა _ ისინი ღვთის განგებით ინგრეოდა და მართლმადიდებლობა ყოველგვარი სოციალური, პოლიტიკური, ინტელექტუალური და ეკონომიკური მხარდაჭერის გარეშე რჩებოდა. ის თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე დაუცველ კონფესიად ეჩვენება, მაგრამ ეს მოჩვენებითი უსუსურობა და სიმარტოვე ამ ვნებიან და დემონიზირებულ მსოფლიოში სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ის არ არის ამაქვეყ-ნისაგან, რომ ის გამოცხადებაა სულისა და არა სამშვინველის გამონაგონი. მართლმა-დიდებლობა არ ეყრდნობა მეცნიერებას, რის გაკეთებასაც თანამედროვე კათოლიციზმი და პროტესტანტობა მოითხოვენ. ის ფილოსოფიური ინტერპრეტაციებისათვის უცხოა. ნიშანდობლივია, რომ XX საუკუნის დასაწყისის რელიგიური მოაზროვნენი, რომლებსაც მართლმადიდებლობისათვის ფილოსოფიური ბაზისის შეყენება სურდათ, უმრავლესწი-ლად თვითონ აღმოჩნდნენ მართლმადიდებლობის გარეთ და თავიანთი თხზულებები დაგვიტოვეს, როგორც ინტელექტუალური მარცხის გამოცდილება.

სულიერების საყოველთაო შემცირების მიუხედავად, სულ უფრო ნათლად, უფრო მკა-ფიოდ ჩანს, რომ დატევებულნი ვართ ამაქვეყნისაგან. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არა ვართ მისი: ეს მიტოვებულობა, ეს განგებულებრივი დანაკარგები, ეს დროებითი მიწიერი გლოვა იმის საწინდარია, რომ არა ვართ მიტოვებულნი ღვთისაგან, რომ თავადმა ამასოფლისამ ვერც მართლმადიდებლობაში და ვერც ჩვენში თავისი ვერაფერი იპოვა, ხოლო მართლ-მადიდებლობაში ის ეკლესიის ახალი დევნისათვის ემზადება.

მართლმადიდებლური ასკეტიზმი თავის მტრად ფანტაზიას მიიჩნევს, როგორც დემო-ნური ძალების სარბიელს. ის ასწავლის, რომ ცოდვა ფანტაზიის მეშვეობით მჟღავნდება და უპირველესი ასკეტური წესია _ განიწმინდოს გონება სახეებისა და ზრახვებისაგან.

მართლმადიდებლობა უარყოფს ფილოსოფიის უპირატეს შესაძლებლობას ჭეშმარი-ტების წვდომისა მაშინ, როცა რაციონალისტური კონფესიები და სექტები თავიანთი ცდო-მილების აპოლოგიას ინტელექტუალურ ფანტაზიებში პოულობენ. მართლმადიდებლობა უარყოფს ესთეტიზმს, როგორც «სილამაზეს სილამაზისთვის», რასაც დროებითის უკვდავყოფის ერთ-ერთ მცდელობად თვლის. მართლმადიდებლობა უარყოფს ყოველივე იმას, რასაც სხვა რელიგიები და კონფესიები სამშენებლო მასალასავით აგროვებდნენ.

ჩვენთვის შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა სხვა რელიგიებში ცხონება, ისევე გაუგებარია, როგორც შეკითხვა: შეიძლება თუ არა გამოიგონო სხვა ღმერთი, შეიძლება თუ არა გამოიგონო ეკლესია, შეიძლება თუ არა საკუთარი ფანტაზიის მეშვეობით ღმერთთან ურთიერთობა.

ჩვენი სარწმუნოება ყველაზე ხნოვანია. ბიბლიის წიგნთან შედარებით დანარჩენი რე-ლიგიები, რომლებმაც რაიმე წერილობითი დაგვიტოვეს, გაცილებით გვიან გაჩნდა. მართ-ლმადიდებლობა _ ქრისტიანობის ყველაზე ძველი ფორმაა, რომელსაც ცვლილებები და რეფორმა არ განუცდია. ამიტომ სწორედ მართლმადიდებლობაში ვხედავთ პირველ მა-მათაგან ძველი და ახალი აღთქმის ეკლესიებით მომავალ უწყვეტ ძაფს _ მადლის ერთიან კალაპოტს, რომელიც სათავეს სული წმიდის გარდამოსვლის დღიდან იღებს.

დანარჩენი რელიგიებისა და კონფესიების ისტორია _ მათი რეფორმაციებისა და ცვლილებების ისტორიაა. რეფორმას არასრულყოფილი განიცდის, მაგრამ ამით სრულყოფილი მაინც არ ხდება, ხოლო მართლმადიდებლობაში ჭეშმარიტება უცვლელი რჩება.

ინდუისტური რელიგიები ადამის ცდუნებას იმეორებენ: ისინი ადამიანს არწმუნებენ, რომ ის თავისი ბუნებით ღმერთია, ანუ ადამიანური ამპარტავნების მუწუკს ჩხრეკენ. გარდა ამისა, რეფორმირებული ინდუისტური სექტები, რომლებიც თანამედროვე ადამიანის პრაგმატიზმს ითვალისწინებენ, მას განსაკუთრებულ ოკულტურ ცოდნასა და ძალას პირდებიან. შეიძლება ითქვას: წარმართობის თანამედროვე რენესანსი იმითაა განპირობებული, რომ რელიგიაშიც კი ადამიანი ღმერთთან ურთიერთობას არა თვითუარყოფის მეშვეობით ეძიებს, არამედ დამატებითი ენერგეტიკის საშუალებებს და თავისი მნიშვნელოვნობის დამტკიცებას ესწრაფვის. მაგია და ოკულტიზმი, როგორც ასარჩევ საქონელს, მას თავის «ასორტიმენტს» სთავაზობს.

თავისუფლება

თავისუფლება _ ეს არის ჩვენთვის ძალზე ნაცნობი და ამასთანავე გაუგებარი სიტყვა.

რა არის თავისუფლება? ეს სრულიად გაუგებარი ცნება როგორ უნდა განისაზღვროს? რა აღძრავს ადამიანში სწრაფვას თავისუფლებისაკენ? რას გულისხმობს ის ამ სიტყვაში?

თავისუფლება _ ეს გადაწყვეტილების მიღების საშუალება და უფლებაა ადამიანისა, გამომდინარე იმ შინაგანი სურვილიდან, რომელიც შესაძლოა იყოს ინტელექტუალური, მგრძნობელობითი ან უხეშად ინსტინქტური, ანუ საშუალებაა იმისა, რომ ჩვენი სურვილები განვახორციელოთ, ჩვენი «მე»-ს რეალიზება მოვახდინოთ გარე სამყაროში. მაგრამ ჩვენი ინტელექტუალური ზრახვები მერყევია, რადგან არამდგრად წარმოდგენებსა და შეფასებებს ემყარება. ჩვენი სურვილები ეგოისტური, ახირებული და ცვალებადია, ჩვენი სულის კეთილი სწრაფვანიც კი უეცრად ქრებიან და ვხედავთ, მის სიღრმეში როგორ დაცოცავენ სულ სხვა გრძნობები: სიძულვილი, ავხორცობა, შური და ა.შ. ჩვენს ინსტინქტებს რაც შეეხება, ამაში ოდნავ თუ განვსხვავდებით ამებასაგან, რომელიც ერთ მთლიან მუცელს წარმოადგენს. რისი რეალიზება შეგვიძლია? თავისუფლება რომელ «მხეცს» უნდა მივანიჭოთ?

თავისუფლებაზე მოსაუბრეებს ავიწყდებათ, რომ ამისათვის გარკვეული კულტურაა საჭირო: უპირველესად ადამიანისადმი პატივისცემის უნარი, ურომლისოდაც შეუძლებელია მისდამი სიყვარული. მაგრამ იმიათვის, რომ სხვას პატივი ვცეთ, პიროვნება საკუთარ თავში უნდა შევიმეცნოთ, ანუ ზნეობრივი საწყისი განვავითაროთ. ეს არ არის სასკოლო დავალება, რომლის ჩაბარებაც დასწავლილი გაკვეთილივითაა შესაძლებელი. ეს გამუდმებული, მძიმე ბრძოლაა საკუთარ თავთან, ჩვენს უპიროვნო მდგომარეობასთან. თავისუფლება _ ეს გამარჯვების ტრიუმფია სულიერ ცხოვრებაში. ამის გარეშე თავისუფლება ცინიკოსის დაცინვა ან მოძალადის მხეცური ეშვების ღრჭენა იქნებოდა. ადამიანებს არ ესმით, რომ ყველაზე სამარცხვინო მონობის მდგომარეობაში იმყოფებიან, რისაგან მათი გათავისუფლებაც არანაირ გარეგან ფორმაციებს ან ლიბერალურ რეფორმებს არ ძალუძთ. ადამიანი თავისი ვნებების მონა სწორედ იმიტომაა, რომ ვნებები არ არის მისი, რომ ისინი ყოველთვის უცხოა სულისათვის. ეს სულში ჩაკრული და მისგან სასიცოცხლო ძალების მწოველი პარაზიტია. ადამიანი კი მათ თავის სულთან, თავის თავთან აიგივებს და ცდილობს შექმნას პირობები, რათა ეს ვნებები თავისუფლად, იოლად განხორციელდეს და საზოგადოების მიერ არა რაიმე მდაბიო, არამედ ცხოვრების ჩვეულ ნორმად იყოს აღქმული.

თანამედროვე ლიბერალიზმს თავისუფლება ესმის, როგორც ვნებების გამართლება. ვნებებს არ შეუძლიათ ადამიანის სულის დაკმაყოფილება. ამიტომ ისინი, თავად გადაგვარებულნი, პათოლოგიურ ფორმებად გადაგვარებას განაგრძობენ. ეს პათოლოგია ასევე მოითხოვს თავისუფლებას, ამიტომ ლიბერალიზმი ყველაფრის დაშვებულობამდე უნდა მივიდეს და არა მხოლოდ გამოაცხადოს ეს, არამედ გაამართლოს კიდეც. თითოეულ ჩვენთაგანს საკუთარ თავზე გამოუცდია ვნებების უღელი, რომელიც ჯაჭვივით ბორკავს ადამიანს. რამხელა ძალისხმევაა საჭირო, რომ მას წინ აღუდგე! და ვაი, რომ გამარჯვება არც თუ ხშირად ხერხდება!

ქრისტიანობა გვიჩვენებს რაშია თავისუფლება _ ეს იმის საშუალებაა, რომ ადამიანმა თავის მთავარ მოწოდებას მისდიოს და განახორციელოს მასში ჩადებული პოტენციალი _ ხატება და მსგავსება ღვთისა.

თითოეულს შეუძლია შინაგანი გამოცდილებით დაინახოს, როგორ კუმშავენ ადამიანის გულს ვნებები და პირიქით _ როგორ ანიჭებს მათზე გამარჯვება სულს ერთგვარ შინაგან სივრცეს.

სულიერი ცხოვრება ადამიანის გულს აფართოებს, უჩვენებს, როგორი უნდა იყოს ის და სიმშვიდისა და თავისუფლების გრძნობას თუნდაც ნაწილობრივ განაცდევინებს. სიტყვებში _ «მონა ქრისტესი» _ გათავისუფლების დასაწყისი მდგომარეობს. ცოდვის მონა ღვთის მონა ხდება. ვნებებისა და ცოდვის იმპულსებში მცხოვრებ ადამიანს მცნებები მონობად და უღლად მიაჩნია, მაგრამ უფალმა ბრძანა: *«უღელი ჩემი ტკბილ არს»*[*]. მონობა გამოსასყიდია მონობისაგან, რათა შემდგომ მიენიჭოს ეს თავისუფლება, თავისუფლების კვალად კი შვილება მიმადლოს მას ღმერთმა.

ვნებები უცხოა სულისათვის, მცნებები _ ახლობელი.

ხორციელი ადამიანისათვის მტანჯველი და უაზროა მცნება თავისი მტრის _ უსინდისო მატყუარას, ცილისმწამებლის ან, რაც განსაკუთრებულად მტკივნეულია, მოღალატე მეგობრის მიტევებისა. მაგრამ თუკი თავს სძლევს და არა მოლაყბე ენის წვერით, არამედ გულით მიუტევებს, თითქოს შავი ღრუბელი გაიფანტა და სინათლე იხილაო, გულში მოულოდნელ სიხარულსა და განსაკუთრებულ სიმშვიდეს იგრძნობს.

ვნებები ჩვენი გვგონია, ჩვენი გულის ნაწილი, მაგრამ როცა ცოდვას ჩავიდენთ, დავინახავთ, რომ მათ მოგვატყუეს, რომ ისინი უცხოა ჩვენთვის. სახარების მცნებები რეალური ცხოვრებისაგან დაშორებული და თითქმის შეუსრულებელი გვეჩვენება, მაგრამ თუკი მათ შესრულებას შევეცდებით, ვიგრძნობთ, როგორ ცოცხლდება ჩვენი გული.

თავისუფლება _ ეს გულის გათავისუფლებაა ყოველივე უცხოსაგან. ის ღმერთისთვისაა შექმნილი, ამიტომ თავისუფლება _ ღმერთშია. თავისუფლება _ ეს მარადისობიდან გადმოდინებული ნათელია. ადამიანი საკუთარ თავს მხოლოდ ღმერთში ჰპოვებს და თავისთავადი ხდება.

ქრისტე _ ეს ადამიანის იდეალია, _ ცოცხალი, ღვთაებრივი ძალის მქონე იდეალი. ადამიანი იმდენადაა თავისუფალი, რამდენადაც ქრისტესთან მსგავსებას მიელტვის იმ ღვთაებრივი ნათლის მეშვეობით, რასაც მადლი ჰქვია.

თავისუფლება _ ეს გამოსვლაა ქმნილი, განივთებული, დაკომპლექსებული, ვნებიანი მდგომარეობიდან, ის ღვთაებრივ სრულყოფასთან ზიარებაა. კინიკოსები[2], სტოიკოსები[3], ბუდისტები, რომლებიც თავისუფლებას ეძიებდნენ, მას თვით ყოფიერების უარყოფაში ხედავდნენ: კინიკოსები _ ქილიკში, სტოიკოსები _ ამაყ სიძულვილში, ბუდისტები სურვილების განადგურებაში. ეს იყო სიკვდილის თავისუფლება. ის ქრისტიანებისათვის თავისუფლების რექვიემივით ჟღერს.

როგორი თავისუფლების მიღწევა შეეძლოთ კინიკოსებს დაცინვითა და მაიმუნური მანჭვით? რისაგან თავისუფლების? ადამიანისადმი პატივისცემისაგან? რისი თავისუფლების? ღორებთან ერთად ერთი გობიდან საერთო სიბინძურის ჭამის? ადამიანის უმაღლესი ღირსების და პირუტყვისაგან მთავარი განმასხვავებელი ნიშნის _ სიტყვის გადაქცევისა ბგერით სიმყრალედ, რასაც სახედარი კუდს ქვემოდან უშვებს? ასეთ

[*] მთ. 11, 30.

შემთხვევაში მტრულად განწყობილი კრეტინი, საკუთარი ფეკალით სახეს რომ ითხუპნის, დიოგენეს[4] აჭარბებს, რადგან თავისუფალია ზნეობრივი ნორმებისაგან. კინიკოსების თავისუფლება შუა მოედანზე იმისი კეთებაა, რაც საპირფარეშოში კეთდება, მაგრამ ამით მაინც არ შეუძლიათ სრული თავისუფლების მიღწევა. მათი პროგრამაა _ ტრადიციების დანგრევა. აქედან გამომდინარე, ეს «კასრის ანარქისტები» ეთიკური ქცევისათვის თავისუფალნი არ არიან. როცა დიოგენე ციებით დაავადდა და ბრბოს წინაშე ჩვეული თავხედობის ნაცვლად ცახცახი და კბილების კრაჭუნი დაიწყო, მიხვდა, რომ მისი სული სხეულზეა დამოკიდებული და სრულიადაც არ არის თავისუფალი. ამიტომ გამძვინვარებულმა თავი ჩამოიხრჩო. საერთოდ ცინიზმი _ თავისუფლების თამაშია, რომელიც ექსტრავაგანტური გამოხტომებით იწყება და უფერული უხამსობით მთავრდება.

სტოიკოსების თავისუფლება _ ეს ამპარტავანთა სიგიჟეა, რომლებმაც ქვეყანას, როგორც მათთვის უღირსს, მსჯავრი გამოუტანეს. სტოიკოსი სპილოს ძვლისაგან კოშკს აგებს, იქ თავს იმწყვდევს და როგორც კლდიდან ზღვის ტალღებს, სარკმლიდან ბრბოს დასცქერის გულგრილი მზერით. ეს მდგომარეობა ერთმა პოეტმა შემდეგი სიტყვებით დაახასიათა: «ჩემი ერთიანი სამშობლო _ ჩემი უდაბური სულია». სტოიკოსი უბედურებებს მედგრად იტანს, რადგან სძულს ადამიანები და ცხოვრება; ის შეურაცხყოფას არ პასუხობს, რამდენადაც ძაღლების ხროვაზე ყურადღების მიქცევა დამამცირებლად მიაჩნია; სიკვდილს მშვიდად ეგებება, რადგან არ უყვარს სიცოცხლე, რომელიც არარაობად და ამაოდ წარმოუდგება. სტოიკოსებისათვის ღვთაებრიობა არ არსებობს: _ «ისეთი ცუდი სურათის დახატვა, როგორიც სამყაროა, დიდ მხატვარს არ შეეძლო» _ თვლიან ისინი. ღვთაებრიობის ნაცვლად მათ აქვთ სწავლება უმაღლეს სულებზე, ენერგეტიკულსა და თესლოვან ლოგოსებზე, რომლებიც ყოვლად უსარგებლო სიცოცხლეს წარმოშობენ.

ეპიკურესეული[5] თავისუფლება _ ეს მცირედით ტკბობის უნარია. ეპიკურე ამბობდა: «მე ქერის წვნიანით ვტკბები». მაგრამ ტკბობისა და ზომიერების პრინციპები ურთიერთშეუთავსებელია და ამიტომ ყველაფერში ტკბობის მაძიებლობაზე დამყარებულმა ეპიკურეობამ ვერ შეძლო სატუსაღოს ულუფით დაკმაყოფილება და ჰედონიზმად[6] გარდაიქმნა, სადაც სურვილი თავისუფლებას ართმევს ადამიანს და მის მონად აქცევს.

ბუდიზმი თავისუფლებას ყოველგვარი ფსიქიკური შინაარსისაგან განთავისუფლებაში ხედავს. უწინარეს ყოვლისა ეს სურვილების განადგურებაა. ბუდისტი ყოველივე გარეგანზე ფიქრს თავს ანებებს, საკუთარ თავს ერთგვარად ვაკუუმში ძირავს, შემდეგ შინაგანზე _ თავისი ცნობიერების ბორბლებზე, სულში გაჩენილ სახეთა და იდეათა კალეიდოსკოპზე ფიქრს თავს ანებებს, ბოლოს თვით აზრს ანადგურებს და როგორც ფსიქიკურ უწონობაში, ერთგვარ უაზრობაში იძირება. ნირვანა, როგორც საბოლოო მდგომარეობა, რისკენაც ისწრაფვის ბუდიზმი, ფსიქიკური ვაკუუმის შექმნისა და მასში ცნობიერების ჩაქრობის ხელოვნებაა. ამ დროს ხდება თითქოსდა უძირო სიცარიელეში ვარდნა. ეს არის თავისუფლება საკუთარი თავისაგან, როგორც ინდივიდუმისა და პიროვნებისაგან, ეს კოსმოსისაგან თავისუფლებაა, ნეტარებაა სიკვდილისა. მაგრამ სიცარიელე უფრო ფიზიკური ცნებაა, ვიდრე სულიერი. სიცარიელე _ ეს უშინაარსო სივრცე და წარმოსახვითი ველია ენერგიის გარეშე. ღვთაებრიობის ცნება და ნირვანა გამორიცხავენ ურთიერთს იმდენად, რამდენადაც ღვთაება შინაგანი ან გარეგანი ხასიათის ობიექტს წარმოადგენს, ნირვანა კი ცნობიერების დაცარიელებას მოითხოვს ყოველგვარი

ობიექტისაგან: ფსიქიკურისაგან, კოსმიურისაგან ან მეონიურისაგან. ბუდისტს, როგორც ადამიანს, შეუძლია იყოს პანთეისტი[7] ან აგნოსტიკოსი, მაგრამ ბუდიზმი, როგორც მეთოდი, ათეისტურია.

რევოლუციურ თავისუფლებაზე არ ვისაუბრებთ, მეტისმეტად კარგად გვახსოვს ამ თავისუფლების სისხლმდინარე ჭრილობები: ძალადობა, ველური სისასტიკის აფეთქებები და ხალხის საუკეთესო ნაწილის განადგურება. რევოლუციური თავისუფლება ჩვეულებრივ დესპოტიზმში გადადის.

გვინდოდა შევხებოდით მეტად სერიოზულ პრობლემებს, თუმცა ამის შესახებ წერა ჩირქოვან ჭრილობაზე შეხებასავით საძაგელია. ეს არის მოჩვენებითი თავისუფლება, რომელსაც ადამიანი ცოდვაში, ზნეობის საფუძვლებთან და უპირველეს ყოვლისა იმ შემაკავებელ ძალასთან ბრძოლაში ეძებს, რასაც სინდისი ჰქვია. ცოდვა _ ეს არის შინაგანი რევოლუცია საკუთარი სინდისის წინააღმდეგ, მისგან თავის დაღწევის, მისი დანგრევის, დათრგუნვის და გათელვის სურვილი. მანკიერებას არა აქვს საზღვარი და ფსკერი, სადაც ის შეჩერდებოდა. ამიტომ ვნებებს დამორჩილებული მანკიერი ცხოვრება _ ეს უფსკრულში ვარდნაა. დემონის დაცემა თავდაღმა ფრენა იყო და თითოეული ცოდვა მინიატურაში დემონის ცრუ თავისუფლებას იმეორებს. ეს არის ვარდნითი ფრენა წყვდიადსა და ქაოსში. მანკიერების თავისუფლება გათავისუფლებაა ადამიანური ღირსებებისა, ღვთის ხატისა და მსგავსებისაგან, რაშიც ჭეშმარიტი თავისუფლება მდგომარეობს. ყოველგვარი ზნეობრივი დაცემა მატერიალურობით დამძიმებული სულის დაცარიელებას იწვევს. ამას ადამიანი საკუთარ სხეულში გრძნობს. ეს ცოდვის რეალური სიმძიმეა. ადამიანის აზრი უხეში და დახავსებულია, ცნობიერება განივთებული, ნება _ დასუსტებული, გრძნობა _ იმპულსური და აფექტური. ცოდვა ანგრევს ადამიანის პიროვნებას და მიწას აჯაჭვებს. ცოდვა ჩვევად ექცევა, ჩვევა ბატონდება და ადამიანი ფიქრობს, რომ მას რაც კი მოესურვება, ყველაფრის კეთების თავისუფლება აქვს. სინამდვილეში კი ის საბრალო მონად იქცა. ცოდვა არა მხოლოდ საგნად აქცევს ადამიანს, იმ ზნეობრივ უფსკრულშიც ითრევს, რომელიც მიუწვდომელია სხვა მიწიერ არსებათათვის და რასაც დემონის მიმსგავსებულობას ვუწოდებდით. მანკიერებას მიცემული ადამიანი რაღაც უხილავ ჭუჭყს გამოყოფს. ეს განსაკუთრებულად მის თვალებში იგრძნობა. ჭუჭყი არა მხოლოდ ჟღენთავს ადამიანის სულის ფორებს, გარკვეულ ხარისხში მის ირგვლივ მყოფ საგნებსაც ეთვისება: საცხოვრებელს, სადაც ის ცხოვრობს, სამოსს, რომელსაც იცვამს. ამიტომ პავლე მოციქული ამბობს, რომ ქრისტიანს შებილწული შესამოსელიც კი სძულს.

გვინდოდა შევჩერებულიყავით «მანკიერების თავისუფლების» ერთ-ერთ სახეზე _ ბილწსიტყვაობაზე, რომელიც ჩვენს ქუჩებსა და სახლებს ისე აბინძურებს, თითქოს კანალიზაციის სისტემამ ამოხეთქა და მისი შედგენილობა ფეხქვეშ გვეღვრება. ბილწსიტყვაობა _ ეს არის სულმდაბალთა მცდელობა იმათთან გატოლებისა, ვინც მათზე მაღლა დგას, მეორე მხრივ იმ სულიერი ღირსების ჩაკვლის მცდელობაა, რომელიც სხვა ადამიანისადმი პატივისცემაში მდგომარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ ბილწსიტყვაობა ცდილობს ადამიანისათვის ყველაზე წმინდა დაამციროს, გალანძღოს, ლაფში გასვაროს. ამიტომ ბილწ ლანძღვაში ხშირად გაისმის ღმერთის სახელი, უფრო ხშირად კი სიტყვა _ დედა, რომელიც წყალწაღებული არამზადების გარდა ყველასათვის ძვირფასია. ეს ტალახის ნაკადიც არ არის, ეს რაღაც ფეკალური მასაა, რომელიც ნარწყევივით იფრქვევა პირიდან. არსებობს ფსიქიური დაავადება, როცა ადამიანი საკუთარი უწმინდურობით

სახეს ითხუპნის და ჭამს მას. სიგიჟის ამ სახეობით იტანჯებოდა, მაგალითად, ცნობილი მწერალი გი დე მოპასანი, რომელიც ლიტერატურული სიბინძურიდან ფეკალოფაგიაზე გადავიდა. ბილწსიტყვაობა რაღაცით ჰგავს ამ ფსიქიურ დაავადებას.

ადამიანი სირცხვილის გრძნობისაგან თავისუფლდება და ამაშიც ასევე ხედავს თავისუფლებას. ზოგიერთ ისტერიკს ავადმყოფობის გამწვავებისას სხვების თვალწინ გაშიშვლების სიმპტომი აღენიშნება. ცნობილ დაწესებულებებში ეს პროცესი ერთგვარი სახის ხელოვნებად იქცა. არსებითად ბილწმესიტყვეც შიშვლდება ყველას თვალწინ და თითქოს იძახის: «შემომხედეთ როგორი გმირი ვარ, ჩემში წვეთიც არ დარჩა სირცხვილისა!» მისტიკური შინაარსით, ბილწსიტყვაობა ბნელი ძალების მოხმობაა. უცენზურო სიტყვებით მოლაპარაკე კაცი ერთხანს ენერგიის მოზღვავებას, სულთან დემონების მოახლოებას გრძნობს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ისევ ბილწსიტყვაობით, რაღაც ელექტროქსელში ჩართვის მოთხოვნილება უჩნდება. მაშინაც კი, როცა იქვე არავინაა, ვის გამოლანძღვასაც შეძლებდა, საკუთარი თავის გასაგონად, თითქოს თავის ცხვირს მიმართავსო, უსულო საგნებს აგინებს და ვერ ხვდება, რომ ეს ჯოჯოხეთის ძალის მოხმობის ფორმულაა. სიტყვა _ ღვთის უდიდესი ძღვენია ადამიანისადმი. ის სიტყვით განსხვავდება სხვა მიწიერ არსებათაგან, რომლებსაც ერთმანეთთან ურთიერთობა მხოლოდ სიგნალებით და ნიშნებით შეუძლიათ. თვით ქრისტეს ღვთაებრივი სიტყვა _ ლოგოსი ჰქვია. ამჟამად კი ადამიანური სიტყვის დემონისათვის მიცემა სურთ.

ახალი სიცოცხლის დაბადება დიადი ნიჭია, მაგრამ ადამიანმა წაბილწა ეს ნიჭი. მან ბავშვთა შობა გარყვნილების საბაბად აქცია, ხოლო შემდგომ შიშველ სექსად მისი გადაქცევის საშუალება მოიფიქრა, რაც თანდათანობით პათოლოგიურ სექსად გარდაიქმნება. ამ მხრივაც ადამიანი ცხოველზე მეტად დაეცა. ადამიანის სიცოცხლის ჩასახვის საიდუმლო ბილწსიტყვაობის მასალა გახდა. ეს ცინიზმის თავისუფლება და საკუთარი სინდისის მოშთობაა, მაგრამ ცოდვა ადამიანს ბედნიერს არ ხდის. ამიტომ გარყვნილი და მანკიერი ადამიანების სახეებზე გამუდმებული წუხილი, რაღაც არტისტულია აღბეჭდილი, მათ სიცილშიც კი რაღაც ნაძალადევი და ყალბი ჟღერს. ცოდვილის სული სიბნელითაა მოცული, როგორც ოთახი, სადაც მიცვალებული ასვენია შავი საფარებლით.

ერთადერთი თავისუფლება ქრისტიანობამ განგვიცხადა. ეს ღმერთთან ჰარმონიაში ყოფნის თავისუფლებაა, ეს სულის გათავისუფლებაა ყოველივე უცხოსაგან _ ვნებებისაგან, როგორც სულის მტკივნეული კორძებისაგან, მრავალი ფსიქიკური კომპლექსისაგან, რომლებიც კრუნჩხვასავით არყევენ და კუმშავენ გონებას. ქრისტიანული თავისუფლება _ ეს დაცვაა დემონური ზეგავლენისაგან, რომელიც ადამიანის სულს რადიაქტიური ტალღებივით ანგრევს. ამ სატანური რადიაციის დონე დედამიწაზე მუდმივად მატულობს. ამ დროს ადამიანის დაცვა მხოლოდ ღვთიურ მადლს შეუძლია, ამიტომ მადლის გარდამოსვლას სული იხსენიებს, როგორც გასვლას უმაღლეს თავისუფლებაში. აქ არის ორი კოლოსალური ფაქტორისადმი დაქვემდებარება _ დროისა და სიკვდილისადმი. თუკი გადალახულია ყოფიერების ეს ორი ბატონი, რომლებიც ყველაფერს ანადგურებენ, რაც ადამიანს ეკუთვნის, შემდეგ კი ადამიანსაც, მაშინ თვით ცნება თავისუფლებისა მოკლებული იქნება რეალურ შინაარსს. ყველაფერი, რაც გვაქვს, ორგანულად არ გვეკუთვნის, ეს განსაზღვრულ პირებთან და საგნებთან კონტაქტის მარტოოდენ უნარი და საშუალებაა. ჩვენი აწმყო მყისვე წარსულად იქცევა ისევე, როგორც მიმოზა კუმშავს თავის

ფურცლებს შეხებისას. თუკი სიკვდილი არ იქნება განადგურებული, ადამიანის ცხოვრება დაემსგავსება ტუსაღის გზას საკუთარი სახრჩობელისაკენ. თავისუფლება იხსნება იქ, სადაც მთავრდება დრო, ხოლო მარადისობა მარადიულში გაცხადდება. როგორც ვთქვით, თავისუფლება, ეს არა მხოლოდ შინაგან წინააღმდეგობათა მოხსნა და ადამიანში ტრი-მეტრიის ერთიანობის აღდგენაა, ასევე (და მეტადაც) სულის ჩართვაა ღვთაებრივი ყოფიერების უმაღლეს თავისუფლებაში. ეს ახსოვს სამშვინველს, როგორც ღვთის ქმნილებას, ეს სწყურია სულს _ სამშვინველის თვალს, მარადისობისაკენ მიპყრობილს. უწყის სამშვინველმა თავის იდუმალ სიღრმეებში, თუ საიდან და რისთვისაა ის და ამიტომაც შეიგრძნობს, რა არის მშობლიური და რა არის უცხო მისთვის. სულიწმიდა ნუგეშინისმცემლად იწოდება, რადგან ადამიანური გული მხოლოდ მასში მშვიდდება. წმ. პავლე მოციქული წერს: «დიდი სასყიდლით ხართ გამოსყიდულნი, ნუ იქნებით კაცთა მონანი», უწინარეს ყოვლისა საკუთარი «მე»-ს, შავბნელი ვნებების მონა. ვნებები _ ეს ჩვენ არა ვართ, ეს სულში შთავარდნილი აჩრდილია დემონისა, ეს სულის ბნელი ორეულია. თავისუფლება მხოლოდ ღმერთშია. ქრისტიანებმა ეს გამოცდილებით იციან. ჭეშმარიტი სინანული სულის დაბადებაა, ზიარება კი _ აღდგომაა მკვდრეთით.

გონების სიამაყის შესახებ

ბიბლიის პირველი თავის პირველ მუხლებში, ერთგვარი კოდირებული ფორმით მოცემულია კაცობრივი აზრის მომავალი ისტორია მის მთავარ და ფუძემდებლურ მიმართულებებში.

პირველი _ ადამიანის ღვთის ხატად შექმნა _ ეს მონოთეიზმია. ხატს არ შეუძლია პირველსახესთან ერთარსი იყოს. ის თითქოსდა ანარეკლს, ერთგვარ პოტენციას, დასახულ მიზანს წარმოადგენს, რომელიც უნდა განხორციელდეს. აქ ღვთაებასა და ადამიანს შორის ჰარმონია და სხვაობაა. ღმერთი პირველმამებს ეცხადება და მათთან საუბრობს. საუბარი, ანუ დიალოგი მხოლოდ პიროვნებას შეუძლია პიროვნებასთან. აქ ღვთის პიროვნული ყოფიერება იხსნება, როგორც ყოფიერება უმაღლესი, სრული და აბსოლუტური. ამავდროულად ადამიანის პიროვნება მის მაღალ ღირსებასა და იმ დანარჩენ ქმნილებათაგან განსხვავებას დაამოწმებს, რომლებისთვისაც წარმომავლობითი, სახეობრივი და ინდივიდუალური სახესხვაობანია ნიშანდობლივი. მაგრამ პიროვნების კატეგორია მათთვის არ არის.

პიროვნება თავისუფალ ნებასა და ზნეობრივ შინაარსს გულისხმობს, ამიტომ ადამიანში ღვთის ხატი, როგორც მოცემულობა, მისი პიროვნული საფუძველი და საწყისია, ხოლო მსგავსება ღვთისა _ ღვთისადმი დამოკიდებულების განსაზღვრისა და დასახული ამოცანის განხორციელების საშუალება. ეს ამოცანაა _ ღმერთთან ურთიერთობა, როგორც ხატის მიახლოება თავის პირველ ხატთან. ღმერთი ადამიანს მცნებას აძლევს. მცნება – ეს გამოცხადებაა იმპერატივის ფორმით. ღმერთი ადამიანს თავის ნებას უცხადებს, მან კი ის, როგორც მადლი, რწმენით უნდა მიიღოს. მცნება ადამიანს გარეგნულად ზღუდავს, მაგრამ შინაგანად მის ყოფიერებას აღრმავებს, მისი ზნეობრივი სრულყოფის ახალ შესაძლებლობებს _ ღვთისადმი მორჩილებას, მორჩილების მეშვეობით კი ღვთაებასთან ჰარმონიას მიელტვის. ამის შემდეგ, ადამიანის ცდუნების შესახებ თხრობაში, გონების გახლეჩას და დეგრადაციას ვხედავთ. დემონი ევას არწმუნებს, რომ ღვთის მცნება მოცემულია, რათა ადამიანებს ყოფიერებაზე მბრძანებლობა აღუკვეთოს და ღვთაების პრეროგატივები მიიღოს. აქ გამოცხადებას რაციონალიზმის სახით სკეპსისი, ანუ სკეპსისის სახით რაციონალიზმი უპირისპირდება. პირველ ადამიანთა მჭვრეტელობა ანალიტიკური რაციონალიზმით იცვლება. აქ თვით ადამიანის სულის გახლეჩა ხდება: გონება არსის ხედვას წყვეტს, ფენომენებსა და ხარისხს კი აფიქსირებს. ევა ეპასუხება დემონს, მაგრამ თვით შეპასუხება რაციონალისტურ ხასიათს ატარებს, ის ცოდვის შედეგზე მეტყველებს და არა მის არსზე. ამ დროს რაციონალიზმი პრაგმატიზმის ფორმას ღებულობს. დემონი პირველ მამებს აღუთქვამს, რომ ისინი «იქმნებიან ვითარცა ღმერთნი». ამ ცდუნებას – ღმერთთან გატოლებას _ სხვადასხვა ფორმებში და ვარიანტებში ყველა პანთეისტური სისტემა იმეორებს. სიცრუე ადამიანის ღმერთთან თანაბრობის შესახებ იმ ფილოსოფიურ და რელიგიურ სისტემებში გაისმის, სადაც ადამიანს ღვთაებასთან ერთარსობა, ერთბუნებოვნობა მიეწერება, ან თვით ადამიანი განიხილება, როგორც ღმერთის მოდალურობა. სატანის მოწოდებამ პასუხი და გამოხმაურება არა მხოლოდ ევას გულში, არამედ ცრუ მისტიკაში, წარმართულ თეურგიებში, ამაყ ფილოსოფიურ მოთხოვნებში ჰპოვა. ამ გაგებით, ევას სატანისაგან ჩასახულ შვილთაშვილს, ფილოსოფიური აზრის ხელისუფალი _ ჰეგელი წარმოადგენს.

სატანა ეუბნება ევას: «იქმნებით ვითარცა ღმერთნი». აქ პირველი მინიშნებაა პოლითეიზმზე _ რაღაც უხილავი ღმერთების არსებობაზე. ცრუ ღმერთები _ ეს დემონებია, ამიტომ ღვთისადმი ურჩობისა და ცოდვის მეშვეობით «ღმერთებივით» გახდომა დემონთა მსგავსებასა და მისი ზნის შეთვისებას ნიშნავს. თვით ღვთისმბრძოლობიდან გაჩენილი წარმართობა დემონოლოგიის გენოზისს წარმოადგენს. ევამ დაინახა, რომ ხე საკვებად გამოსადეგია. რას ნიშნავს – «დაინახა?» – სხვა თვალით შეხედა, თავისი სულის შინაგანი თვალი ღმერთისაგან მიაბრუნა და სამყარო მის გარეშე, ანუ ქმნილება შემოქმედის გარეშე იხილა. თუკი უწინ ადამიანისთვის ცხოვრების კრიტერიუმი ღვთის მცნება იყო, რომელიც მის შინაგან და გარეგან ცხოვრებას განსაზღვრავდა, ახლა ის მსოფლიო მოვლენებს თავად აფასებს და მისდამი დამოკიდებულებას თავადვე განსაზღვრავს. ხე საკვებადაა გამოსადეგი, ის აღარ არის მორჩილების სიმბოლო, ის თავის მეტაფიზიკურ მნიშვნელობას კარგავს და უბრალო საგნად იქცევა. აქ ჩვენ ცხოვრებისადმი იმ ახლებურ დამოკიდებულებას ვაწყდებით, რასაც პოზიტივიზმი[8] ეწოდება. ევა ხედავს, რომ ხე საამოა თვალისათვის. ღვთისაგან მიბრუნებული და ღვთაებრივი სილამაზის ჭვრეტის უნარდაკარგული სული სილამაზეს ამქვეყნიურ საგნებში დაეძებს. აქ სამყაროსადმი ახალი მიდგომის, მასზე ახლებური შეხედულების დასაწყისია, რასაც ესთეტიზმი ანუ კოსმოფილია ეწოდება.

ღმერთი ეშმაკს წყევლის და ეუბნება, რომ ის მიწის მტვერში მუცლით იხოხებს. დემონის ამ წყევლაში იხსნება მსოფლმხედველობებს შორის ყველაზე უგვანი _ მატერიალიზმი. მატერიალისტი მხოლოდ მატერიალურობას ხედავს _ ეს კოსმოსური მიწა და მტვერია, რომლებშიც მისი გონება ტრიალებს. ის «მუცლით ხოხავს», ანუ ზეცას ვერ ხედავს _ მისთვის დახშულია სულიერი ტრანსცენდეტალური სამყარო.

მატერიალისტისთვის ფიზიკამ მეტაფიზიკა მთლიანად შთანთქა. ის მუცლით ხოხავს, ანუ ყველაფერში მატერიალურ საყრდენს ეძებს. მისთვის სული მხოლოდ სხეულის ფუნქციაა, ევოლუციის შედეგად გაჩენილი ზედნაშენია მუცლისა. ამიტომ მატერიალისტები, ეპიკურედან მარქსამდე, წყევის ქვეშ არიან _ მუცლით იხოხონ და ვერ იხილონ ზეცა.

მაშ ასე, პირველმამათა ცდუნების შესახებ ბიბლიის ამ თხრობაში, როგორც გენეტიკურ კოდში ჩადებულს, მთავრ მსოფლმხედველურ სისტემათა ისტორიას ვხვდებით, რომლებითაც ადამიანი ცდილობდა და ცდილობს თავის სულში ღვთის დანაკარგი შეივსოს. ესენია: რაციონალიზმი[9], სკეპტიციზმი[10], პანთეიზმი, პოზიტივიზმი, ესთეტიზმი და მატერიალიზმი[12].

რაც შეეხება კიდევ ერთ მსოფლმხედველობას _ დუალიზმს, ის ხელოვნურ შეხამებას, უფრო სწორად სპირიტუალიზმსა[11] და მატერიალიზმს შორის კლაკნილს წარმოადგენს და არა ორიგინალურ, დამოუკიდებელ მსოფლმხედველობას. დუალიზმი* _ ეს წინააღმდეგობრივ საწყისთა დროებითი ერთიანობის მდგომარეობაა.

ზარათუსტრასთან და პლატონთან დუალიზმის მიღმა მონიზმი[13] დგას.

ბიბლიაში წარმართული რელიგიები განიხილება, როგორც დემონის თაყვანისცემა. «წარმართთა ღმერთები _ ეს ეშმაკებია» _ ამბობს მეფსალმუნე, ხოლო «უფალმა შექმნა ცანი», რომელიც დაკარგულია დემონისათვის და მიუწვდომელია მისი მიმდევრებისათვის.

---

* დუალიზმი (ლათ. dualis) ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ორ ურთიერთდაუყვანელ საწყისს _ სულსა და მატერიას, იდეალურსა და მატერიალურს ტოლფასოვნად მიიჩნევს.

რაც შეეხება ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ფილოსოფიურ მიმდინარეობებს, წმ. მამებმა მათ «ელინური პირფერობა», ანუ ამაყი გონების სიცრუე უწოდეს.

ვის უშლის ხელს წმ. დიონისე?[14]

როცა ბრიტანეთის ფლოტის სიამაყე _ საფლაგმანო გემი გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩაძირა, ინგლისის პრემიერი ჩერჩილი[15] ამ მოვლენას ორიოდ სიტყვით გამოეხმაურა: «ჩაძირეთ ბისმარკი». ბრძანება შეასრულეს, ყველაზე დიდი გერმანული ლინკორი «ბისმარკი» ფსკერზე დაეშვა, ინგლისის ღირსება კი აღდგენილ იქნა.

რეფორმაციის გარიჟრაჟზე, თეოსოფიურ წრეებში, რომლებსაც ბუდე იტალიის შუაგულში ჰქონდათ მოწყობილი, გაისმა მოწოდება: «ჩაძირეთ დიონისე». პირველი, ვინც ამის კეთებას შეუდგა, იყო ერაზმ როტერდამელი, ბ-ნი ოსიპოვის მანერით თუ ვიტყოდით, _ «ლუთერამდე პროტესტანტი». რატომ განიცდიან დიონისე არეოპაგელის მიმართ ყველა ჯურის თეოსოფები და რეფორმატორები გადაულახავ სიძულვილს? ასე დაჟინებით რატომ ცდილობენ ეს ადამიანები იმის დამტკიცებას, რომ დიონისე საერთოდაც არ არსებულა? ისევე, როგორც მათ თანამოძმეებს _ ათეისტებს სურდათ იმის დამტკიცება, რომ არ არსებობდა ისტორიული პიროვნება _ იესო ნაზარეველი, სახარება კი გვიანდელი წარმოშობის მითების კრებულია? ალბათ მთელს ისტორიაში ორმა ადამიანმა, იესო ნაზარეველმა და დიონისე არეოპაგელმა, გამოიწვიეს ასეთი დიდი ტალღა პროტესტისა და უარყოფისა. რაღა თქმა უნდა, ეს ურთიერთ შეუდარებელი სიდიდეებია, მაგრამ, როგორც ჩანს, არეოპაგელმა იესოს მტრებს ძლიერ ატკინა გული. დიონისე არეოპაგელის ნაშრომები გამოქვეყნებული, როგორღაც აღმოჩენილი იქნა ერთ-ერთ იმ უნიურ კრებაზე (VI ს.), რომელიც უშედეგოდ ცდილობდა დიოფიზიტობისა და მონოფიზიტობის მორიგებას. მონოფიზიტებმა დიონისეს თხზულებანი, რომელსაც «არეოპაგეტული კორპუსი» ეწოდება, კრების მონაწილეებს წარუდგინეს. ასე რატომ მოიქცნენ, უცნობია. იქნებ ეს მართლმადიდებლებისა და ბიზანტიის მთავრობის მიმართ განხორციელებული მეგობრული აქტი იყო, ან იმის ჩვენება, რომ მათ შემოუნახეს ეკლესიას ეს ფასდაუდებელი სულიერი საგანძური? მართლმადიდებელთა მხრიდან მხოლოდ ერთმა მონაწილემ _ ეპისკოპოსმა ევგენიმ გამოთქვა ეჭვი და ისიც არა დიონისეს ავტორობის მიმართ, არამედ იმაზე, რომ შესაძლო იყო ერეტიკოსებს მათთან დაცული ხელნაწერების ინტერბოლაცია (ჩანართები ტექსტის დამახინჯებით) მოეხდინათ. თუმცა კრების მონაწილეთა მიერ ამ საკითხის კვლევამ დაამტკიცა დიონისეს თხზულებათა უტყუარობა. საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორი გულმოდგინებით გამოიკვლიეს ბიზანტიელმა ღვთისმეტყველებმა თითოეული ხელნაწერი, რამხელა ფილოლოგიურ-ისტორიული სამუშაო ჩაატარეს იქამდე, ვიდრე მას მიიღებდნენ (ამის გაკეთება მით უმეტეს იყო საჭირო ერეტიკოსების მიერ წარდგენილი ხელნაწერების მიმართ).

ეს მოწმობები იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ «არეოპაგეტული კორპუსი» მთელი მართლმადიდებელი სამყაროს მიერ იქნა მიღებული. მართალია, იყო გამონაკლისიც: აპოლინარიუსის (IV ს.) მიმდევრებმა უშედეგოდ სცადეს ერთ-ერთი წიგნის _ «საეკლესიო იერარქიის შესახებ» _ ავტორობა ამ ერეტიკოსისათვის მიეწერათ. მაქსიმე აღმსარებელმა დაამტკიცა, რომ წმ. დიონისე არეოპაგელის სწავლება მოციქულთა საუკუნის მამათა სწავლებას უტოლდება და აპოლინარიუსთან საერთო არაფერი აქვს. შეიძლება ითქვას, რომ სამი დიდი კაპადოკიელის შემდეგ არც ერთ ღვთისმეტყველს არ მოუხდენია ისეთი დიდი ზეგავლენა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაზე, განსაკუთრებით კი მისტიკურ ღვთისმეტყველებაზე, როგორც წმ. დიონისე არეოპაგელს. «დიონისეს ჩაძირვა» _ ეს ნიშნავს

მთელი ბიზანტიური ღვთისმეტყველების დისკრედიტაციას მაქსიმე აღმსარებლიდან გრიგოლ პალამამდე, ასევე იმისაც, რაც დასავლეთის თეოლოგიას შემორჩა. ეს ნიშნავს, აბუჩად აიგდო მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი, ასევე დასავლელი სქოლასტები და თომა აქვინელი (ამას იმ მნიშვნელობით ვამბობთ, რა მნიშვნელობითაც დამოკიდებულნი არიან ისინი იოანე დამასკელზე და მიქაელ ფსელოსზე*. თავისთავად ისახება მახინჯი და ამაზრზენი კარიკატურა: მოციქულად წოდებული მარჯვე ქურდი აღმოსავლეთის და დასავლეთის ღვთისმეტყველებს ხელზე იხვევს. დიდი ლოგიკური სისტემის შემქმნელი ფილოსოფოსები ვერ მიმხვდარან, რომ არავითარი დიონისე არ არსებულა და პატარა ბავშვების გულუბრყვილობას ავლენენ. დიდმა მისტიკოსებმა ღრმა სულიერი ინტუიციით ვერ იგრძნეს, რომ დიონისეს სახელს თაღლითი ან სულით ავადმყოფი ვიზიონერია ამოფარებული, ხოლო სიყალბე და სუროგატი მიიღეს, როგორც ეკლესიის გამოცდილება, როგორც მოციქულ პავლეს მოწაფეთა საიდუმლოთმცნობელობა. დასკვნა ნათელია: ასეთების ნდობა არ შეიძლება. თუკი უცნობი არეოპაგელი ავტორი ვიზიონერია, მაშინ ეკლესიის მამათა თხზულებებში ვიზიონერის, როგორც მაღალი ავტორიტეტის დამოწმება ასწლეულების განმავლობაში, ღიმილს ან წუხილს გამოიწვევს იმათი სიბრმავის გამო, ვინც ასე ადვილად მოტყუვდა. ეს კი ნიშნავს, რომ წმიდანებს არა აქვთ სულიერი ჭვრეტის უნარი, რომ ეკლესიის გადმოცემები სიცრუეა და წმ. მამათა თანხმობა წმ. დიონისეს ავტორობის თაობაზე სხვა არაფერია, გარდა გულუბრყვილო ბავშვების ტიტინისა.

მაგრამ ანტიდიონისური კრიტიკის შედეგები ამით არ ამოიწურება. ახლა პროტესტანტი ადგება და იტყვის: «შეხედეთ მართლმადიდებლებს, რამდენად უპრინციპონი არიან: მღვდელი ეკლესიაში წმ. დიონისეს მიმართ ლოცულობს მისი ხსენების დღეს, სასულიერო აკადემიაში კი ღვთისმეტყველების პროფესორი ამბობს, რომ დიონისე, როგორც «არეოპაგეტიკის» ავტორი, არ არსებობს, ეს მხოლოდ «მითიური პირია». რომელი ცრუობს _ ეკლესია თუ აკადემიის პროფესურა? თუკი დიონისე ფსევდოა, მაშინ ტაძარში მდგომნი სიცარიელის მიმართ ლოცულობენ. უფრო მეტიც, არარსებულისადმი ლოცვა «სიცრუის მამის» წინაშე ლოცვას ნიშნავს. მართლმადიდებლები პრინციპულები რომ ყოფილიყვნენ, წმ. დიონისეს მსახურებას ამოიღებდნენ, უვიცებად გამოაცხადებდნენ იმ ღვთისმეტყველებს, რომლებიც «არეოპაგეტიკას» ეყრდნობოდნენ, არეოპაგელის თხზულებებს აპოკრიფებს უწოდებდნენ. ხოლო თუკი ეკლესია მართალია თავის ლიტურგიკაში და გადმოცემებში, მაშინ ის გააძევებს ყველას, ვინც წმიდანებს შეურაცხყოფს ზედწოდებით «ფსევდო», რაც «მატყუარას» ნიშნავს. მაგრამ წმ. დიონისეს დისკრედიტაციის მიზანი არც ესაა, არამედ სულ სხვა რამ _ **თეოსოფებს ყველა კონფესიისა და რელიგიის გათანაბრება სურთ.** ანუ ღვთისმეტყველებაში რელატივიზმის[16] ფარდობითობის და პლურალიზმის _ ჭეშმარიტებათა სიმრავლის პრინციპის შემოტანას ელტვიან. რელიგია ადოგმატური უნდა გახდეს, შემდეგ კი ეგზისტენციურ ემპირიზმად† გადაგვარდეს, ე.ი. ბნელ და უშინაარსო

---

* მიქაელ ფსელოსი (Μίχαηλ Ψελλός) XI ს-ის ბიზანტიელი მწერალი, ფილოსოფოსი, მეცნიერ-ენციკლოპედისტი და სახელმწიფო მოღვაწე.

† ემპირიზმი _ ფილოსოფიური სწავლება, რომელიც მგრძნობელობით გამოცდილებას ცოდნის ერთადერთ წყაროდ თვლის. არსებობს როგორც იდეალისტური, ასევე მატერიალისტური ემპირიზმი. იდეალისტური ემპირიზმი გამოცდილებას შეგრძნებათა ან წარმოდგენათა თავმოყრით შემოფარგლავს, ამასთან უარყოფს იმას, რომ გამოცდილებას საფუძვლად მატერიალური ბუნება უდევს, მატერიალისტური ემპირიზმი თვლის, რომ მგრძნობელობით გამოცდილებას მატერიალური ბუნების საგნები უდევს საფუძვლად.

მისტიკურ შეგრძნებებად, სადაც არსებითად არც რელიგიის ობიექტია და არც მასთან კავშირი. ჭეშმარიტება ერთიანი, უბრალო და მონოდიურია, მაგრამ აბსოლუტური ღვთაებრივი ჭეშმარიტება არ შეიძლება ადამიანის გონებით ადექვატურად და სინთეზურად იყოს აღქმული. ეკლესიის ობიექტურ გამოცდილებაზე დაფუძნებული რელიგიური გამოცდილება ადამიანს მარადიულ, ღვთაებრივ ენერგიათა ველში რთავს, სულს ღვთაებივი ჭეშმარიტების ერთადერთობაში არწმუნებს, თუმცა ერთობა და ერთადერთობა წილადდებიან სიტყვიერ სფეროში და ანტინომიებით[17] _ გარეგნულად წინააღმდეგობრივი მტკიცებულებებით გამოიხატებიან, რომლებიც თავად ადამიანის გონების, ანუ შემცნობი სუბიექტის შეზღუდულ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. სრულად აღქმული ვერ გამოიხატება სიტყვით, ამის გამო ის თავისებურებათა და გამოვლინებათა დანაწევრებული და ანალიტიკური აღწერილობით იცვლება. თეოსოფებს, რომლებიც გარდაუვალი სიტყვიერი ანტინომიებით სპეკულანტობენ, ამ ანტინომიების გაობიექტურება და თვით ღვთაებრიობის ყოფიერებაში დიალექტიკის პრინციპის ჩართვა უნდათ. ასე რომ, «ყველაფერი ჭეშმარიტება ხდება», ამავდროულად ჭეშმარიტება ქრება, ანუ ის ერთადერთობას და მონოდიურობას წყვეტს და უამრავ შეფარდებით ჭეშმარიტებად გადაიქცევა. ყველაფერი ერთდროულად «ჰოც» ხდება და «არაც».

დიალექტიკის სული _ ეს არის სწავლება წინააღმდეგობრიობათა ერთიანობის შესახებ. პანთეისტმა აინშტაინმა[18], რომელმაც ფიზიკაში რელატივიზმის პრინციპი დაამკვიდრა, მას შემდეგნაირი ფორმულირება გაუკეთა: «ღმერთი და დემონი _ თანაბარი სიდიდეებია, მხოლოდ განსხვავებული ნიშნებით «+» და «_». თანამედროვე თეოსოფ-დიალექტიკოსების ოცნებაა ღმერთისა და სატანის ტოლფასობა დაამკვიდრონ, კულტად გაიხადონ ერთგვარი ღმერთ-სატანური არსება, როგორც წინააღმდეგობრიობათა სრული ერთიანობა, როგორც ყოველი არსებულის ბუნებრივი მდგომარეობა. და აქ, სატანური დიალექტიკისაკენ მიმავალ გზაზე, რომლის სათავეც საუკუნეთა სიღრმეში იკარგება, ეტაპობრივად თავს იჩენს ნეოპლატონიზმი*, ბოემეს თეოსოფია[19] და ჰეგელის** დიალექტიკა. ისინი წინააღმდეგობას წმ. დიონისე არეოპაგელის ღვთისმეტყველებაში წააწყდნენ. სახელდობრ მის გონებაჭვრეტით მეთოდში ანტინომიების შეთვისებისა და ჰარმონიული შერწყმისა ღვთისათვის ნიშანდობლივი ზეკატეგორიული ყოფიერებისა და თვისობრიობის ცნებაში.

ფილოსოფიაში ამ მეთოდს დიალექტიკურ ნეგაციას უწოდებენ, ამიტომ ჩვენ ამ არცთუ ზუსტ ტერმინს პირობითად ვიყენებთ. აი დიალექტიკური ნეგაციის უმარტივესი მაგალითი: 1) ღმერთი არსებაა; 2) ღმერთი არ არის არსება იმდენად, რამდენადაც არსებებად მისი ქმნილებები იწოდებიან; 3) ღმერთი ზეარსებაა. აქ «ჰო» და «არა» წინააღმდეგობაში არ არიან, ერთმანეთის «პარალელურად» არ თანაარსებობენ, არამედ უმაღლეს «ჰოდ» იქცევიან და ამასთან ზეკატეგორიულ «ჰოდ». აქ რელატივიზმის პრინციპი უქმდება და დოგმატები უმაღლეს მდგრადობას _ აბსოლუტური ჭეშმარიტების ზეხარისხს

---

* ნეოპლატონიზმი _ რომის იმპერიის დაცემის ეპოქის (III-VI ს) რეაქციულ-მისტიკური ფილოსოფია. რეალური სამყაროს, როგორც «იდეათა» ზეგრძნობითის, აჩრდილის შესახებ პლატონის იდეალისტურმა სწავლებამ ნეოპლატონიზმში მატერიალური სამყაროს სულიერი პირველსაწყისიდან მისტიკური ემანაციის (გამოსხივების, გამოდინების) ფორმა მიიღო. ნეო-პლატონიზმისთვის მატერია _ მარტოოდენ უმდაბლესი რგოლია სამყაროს იერარქიისა, ერთგვარი ღვთაების, «სამყაროს სულის» ემანაციაა (გამოდინება).

** ჰეგელი (1770-1831) გერმანელი ფილოსოფოსი, დიდი როლი ითამაშა განვითარების დიალექტიკური თეორიის შემუშავებაში.

იძენენ. ღვთისმეტყველურად და ფილოსოფიურად წმ. დიონისესთან ბრძოლას ვერ ბედავ-დნენ, მის თხზულებებთან ამ კრიტიკული ყეფის შედარების შემთხვევაში მათი ფილო-სოფიური სიღატაკე მეტისმეტად ნათელი გახდებოდა და ამიტომ სხვა ხერხს მიმართეს: დიონისეს პიროვნების დისკრედიტაციას, მტკიცებას, რომ ის ნიჭიერი მატყუარაა, რომელმაც წმ. მამები მარჯვედ გააცურა და თავისი შრომები სამოციქულო სახელს ამოფარებულმა უკვდავყო. იარლიყი «ფსევდო» განსაკუთრებით ანტიბიბლიური კრიტიკის შემდეგ შემოვიდა მოდაში და ლესინგის სახით მეტად აგრესიული ხასიათი მიიღო. ლესინგმა დაწერა ცნობილი პიესა _ «ნათან ბრძენი». ეს პიესა ჯვაროსანთა ლაშქრობის პერიოდს ეხება. მას სურდა ეჩვენებინა იუდეველთა და მაჰმადიანთა ზნეობრივი უპირატესობა ქრისტიანობაზე. ნათან ბრძენი _ რჯულშემწყნარებელი ბრძნის სახე _ თეოსოფების იდეალია. არავინ იცის, ლესინგმა შექმნა ბრძენი ნათანი თუ ნათან ბრძენმა _ ლესინგი; მაგრამ ქრისტიანობის დისკრედიტაციაში ორივეს მონაწილეობა უეჭველია. სამწუხაროდ სიტყვა «მეცნიერებით» დაჰიპნოზებულმა მართლმადიდებელ ღვთისმეტყველთა უმრავლესობამ დიონისეს სახელთან პაწია სიტყვის _ «ფსევდოს», ანუ «ცრუს» მიბმა დაიწყო. რატომ? ვფიქრობთ «ევროპულობისა გამო შიშით». ნუთუ რელატივიზმის «ტროას ცხენი» ჩვენი დოყლაპიობით ჩვენივე აკადემიის ალაყაფში უნდა შემოვიდეს?

ტრადიცია და მამალი

რა არის ტრადიცია? რა აზრსა და მნიშვნელობას შეიცავს ეს სიტყვა? ზედმიწევნით თუ ვთარგმნით, ტრადიცია, ეს არის ისტორიის მიერ მოპოვებული და დაცული მდგრადი ღირებულებების «გადაცემა». ტრადიცია _ სულიერი მემკვიდრეობაა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

ჩვენ ვცხოვრობთ დროში, როცა ტრადიციები გასაოცარი სისწრაფით ინგრევა და ქრება, თითქოს თუჯის საგორავი მიგორავს დედამიწაზე, თავისი სიმძიმით ხალხთა კულტურულ და სულიერ ღირებულებებს ანგრევს და ადამიანებს რაღაც ერთგვაროვან მასად აქცევს.

მართლმადიდებლობა არსითა და ფორმით ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული აღმსარებლობაა; ის მთლიანობაში იცავს იმას, რაც მოციქულებს ქრისტესგან ესმოდათ და გადმოსცეს ეკლესიას. მართლმადიდებლობაში შინაარსი განუყოფელია ფორმისაგან, და თვით ფორმა არა გარეგან გარსს, არამედ სიმბოლურ ენას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც იმის შინაარსი შეითვისება, რაც სიტყვაზე მაღლაა. მართლმადიდებელი ეკლესიის რიტუალები _ ეს არა დაკანონებული წეს-ჩვეულებებია, არა მოგონილი ალეგორიებია, არა მიმიკური ინსცენირებაა წმინდა მოვლენებისა, არამედ ეკლესიის საიდუმლო ენაა, სულიერი არხებია, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი მეტაფიზიკურ სამყაროსთან ერთდება. მართლმადიდებლობა დროისა და ისტორიის ასპექტში საკუთარ თავთან იგივდება. ის ევოლუციას არ განიცდის, არ პროგრესირდება, არ ვითარდება მცირედან დიდისაკენ; დაბლიდან მაღლისაკენ. მან ცხოვრების სავსება სულთმოფენობის დღეს მიიღო და მას თავის საიდუმლოებებსა და წეს-ჩვეულებებში იცავს, მაგრამ ინახავს არა როგორც მოგონებას, არამედ როგორც გაგრძელებას თვით სულთმოფენობისა.

«მოეკლესიურო» ინტელიგენციიდან ზოგიერთნი ეკლესიას კონსერვატიზმის გამო საყვედურობენ. მათ ეკლესია საერო ინსტიტუტებში ერევათ, სადაც ჩქეფს ადამიანური აზრი, ადამიანური ენერგია, რომელიც ეძებს ახალ ფორმებს, ახლებურ გამოსახვას, ახალ აღმოჩენებს. მეცნიერებაში ადამიანი შეუჩერებლად მიისწრაფის თვითდამკვიდრებისაკენ. ეკლესიის ცხოვრება დაფარული და საკრალურია. იმისათვის, რომ ეს გაიგო, უნდა შეეხო, უნდა შეხვიდე მასში, ეს კი ნიშნავს, რომ მისი ტრადიციებით იცხოვრო. ეკლესიისათვის ყველაზე მეტად უცხო _ ეს მშრალი რაციონალიზმისა და მკვდარი აბსტრაქციის სულია; ის _ ყოფიერებაა, რომელიც მხოლოდ ყოფიერების მეშვეობით მიიღწევა; ის _ ჭეშმარიტებაა, რომელიც იმათთვის ცხადდება, ვინც მას ეძიებს და მაშინ მათთვის ის ყველა სხვა მტკიცებულებაზე უმაღლესი სიცხადე ხდება.

ტრადიციის მნიშვნელობის უკეთ წარმოსადგენად მაგალითებისა და შედარებისათვის საერო ტრადიციებს მივმართოთ, რომლებიც ისევე, როგორც ყველაფერი კაცობრივი, მეტად არასრულყოფილნი არიან. რომელი ფენა უფრთხილდებოდა ყველაზე უფრო თავის ტრადიციას, წარმოშობას, წეს-ჩვეულებას და გვარის ღირსებას? ეს ფენა იყო არისტოკრატია, რომელმაც, როგორც თავის უმაღლესი გამოვლინება, რაინდობა წარმოშვა.

რაინდი ვალდებული იყო თავისი ცხოვრება ტრადიციებისა და წესებისადმი დაექვემდებარებინა, რომლებიც მისი ცხოვრების არა მხოლოდ ქცევით, არამედ ზნეობრივ მხარეს წარმოადგენდა. უღირსი საქციელი საერთო სიძულვილით ისჯებოდა, ხოლო ზოგ შემთხვევაში სამარცხვინო სასჯელით: თუკი რაინდი თავს რაიმეთი შეირცხვენდა, მას ტანისამოსს ხდიდნენ და იარაღს უმტვრევდნენ, სახელსა და ტიტულს ყრიდნენ, რაც

უსისხლო სასჯელს წარმოადგენდა. არისტოკრატია უმეტესწილად ის ფენა იყო, რომელიც თავისი ტრადიციებისთვის, თავისი წარმომავლობისა და საგვარეულო ღერბისთვის _ სისხლსა და სიცოცხლეს სწირავდა.

პლებეებს* არ გააჩნდათ ტრადიცია. მათ შესანახი და შთამომავლობისათვის გადასაცემი არაფერი ჰქონდათ. თუკი რაინდების (ტრუბადურების და მინენზინგერების) პოეზია მკაცრ კანონებს ემორჩილებოდა, პლებეების _ მოქალაქეების და მოვაჭრეების პოეზია უმეტესწილად ხორცის კულტი და ტრადიციების გამასხარავება იყო. ბრბოსათვის მეტად საყვარელი სკომოროხების† წარმოდგენები ტრადიციების დაცინვასა და პაროდიებს წარმოადგენდა და ამასთანავე ისეთი ცნებებისა, როგორიცაა ღირსება, უბიწოება და ერთგულება. ჩვენ იმის თქმა სრულიადაც არ გვინდა, რომ მთელი წარმომავლობითი არისტოკრატია იყო სულით არისტოკრატი. დესპოტიზმი, რომელმაც თავი ბატონყმობის სახით იჩინა, უკვე სხვა მენტალიტეტია. რუსეთში არისტოკრატიის ნგრევა პეტრე I-ის დროიდან დაიწყო და რევოლუციით დასრულდა. გერმანიაში ნაციონალიზმმა გერმანიის არისტოკრატიის ნაწილი აიძულა ბრბოს გაჰყოლოდა და მისი გემოვნება წაეხალისებინა. იქ არისტოკრატიის დაცემამ ფაშიზმს გზა გაუკვალა.

ისტორია შურს იძიებს საკუთარი თავისათვის: როცა არისტოკრატია წყვეტს არისტო-კრატობას, მაშინ ის პლებეის მონა ხდება.

რევოლუცია _ ეს ტრადიციის გაშმაგებული ნგრევაა. ეს დარტყმა უპირველესად ტრადიციების მატარებლების წინააღმდეგაა მიმართული. რევოლუცია _ ბრძოლაა ეკლესიასთან, როგორც სულიერი ტრადიციების დამცველთან და უპირველეს ყოვლისა იმათთან, ვინც არა მხოლოდ უარს ამბობდა რწმენისადმი ღალატზე, თვით სარწმუნოების შეცვლა არ სურდა. რაც შეეხებათ საეკლესიო რეფორმატორებს, რევოლუციონერები მათთან საერთო ენას პოულობდნენ.

ეკლესიაში რეფორმები _ ესეც მინი-რევოლუციების სერიაა. ადამიანებს, რომლებსაც ღრმა სულიერი _ მისტიკური გამოცდილება არ გააჩნიათ, არ ესმით, თუ რა ლიტურგიკულ საგანძურს იმარხავს ეკლესია. მათ უნდათ, ეკლესიას მათი საკუთარი გემოვნების სამსახური აიძულონ, უნდათ, რომ ის დროის სულს, მოდას, გემოვნებას და წარმოდგენებს გამარჯვებულის ეტლზე მიბმული ტყვე ქალივით გაჰყვეს. ამიტომ ეკლესიის ყოველგვარი დამოუკიდებლობა აღიზიანებთ.

ტრადიცია არა მხოლოდ ისტორიული ცნებაა, არამედ ეთიკურიც. როცა ვამბობთ: «ადამიანი ტრადიციის გარეშე», იმას ვგულისხმობთ, რომ ეს ადამიანი მოკლებულია ზნეობრივ და ქცევით საფუძველს, რომ მას არა აქვს ღირსების გაგება, რაც შეაკავებდა, რომ ეს ცინიკოსია და ნიჰილისტი; როცა ვამბობთ, რომ ადამიანს არ გააჩნია ტრადიცია, ვგულისხმობთ, რომ ის მოკვეთილია ისტორიული ფესვისაგან, რომ ის თავის ერს არ ეკუთვნის და არ შეუძლია ვინმეს წარმოადგენდეს, გარდა საკუთარი თავისა. რამდენადაც მაღალია ადამიანის სულიერი კულტურა, მით მეტად უფრთხილდება ის საეკლესიო გადმოცემებს, რომელიც სათავეს მოციქულებიდან იღებს და ეკლესიაში ცოცხლობს. ეკლესია _ ეს სულიწმიდის გამოცხადებაა, იქ არაფერია არასრულყოფილი, რასაც დამატება სჭირდება, არაფერია ცრუ, რისი აღმოფხვრაც გახდება საჭირო, არაფერია მცდარი, რისი შესწორებაც იქნება აუცილებელი.

---

* პლებეები (ლათ. plebeius) ძვ. რომში დაბალი წრეების წარმომადგენლები.

† სკომოროხები _ ძვ. რუსეთში ოინბაზები, ტაკიმასხარები. ქართ. ბერიკები.

ყოველგვარი რეფორმა _ ეს არის ეკლესიის საგანძურის ძვირფასეულობათა შეცვლა ყალბი ქვებით და ყალბი ლითონით. ყოველგვარი რეფორმა, ეს ღვთისმსახურების მისტიკური სიღრმის დაკარგვა და წმინდა სიმბოლოთა დანგრევაა. თანამედროვე მწერლებიდან რომელიმეს ბიბლიის რეფორმირება და შესწორება რომ მოენდომებინა, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სიტყვები თავის შეთხზულთან აერია, მაშინ ბიბლია წმინდა წიგნი აღარ იქნებოდა, არამედ სუროგატად იქცეოდა. რეფორმატორებს სურთ იგივე უყონ საეკლესიო წესსა და ლიტურგიკას.

ცნობილ იგავში მოთხრობილია, რომ მამალმა მარგალიტი იპოვა, შეწუხდა, რომ მისი გადაყლაპვა არ შეიძლება და გადაწყვიტა, რომ ის უსარგებლო ნივთია. მამალს რომ სცოდნოდა, რამდენი შრომა სჭირდება ადამიანს მის მოსაპოვებლად და როგორ სათუთად ინახავს მას, ამ ყველაფერს ამაო, სასაცილო საქმედ ჩათვლიდა.

ჩვენ გასაოცარი მარგალიტები გვაქვს ტრადიციის ძაფზე ასხმული _ ეს არის ხატწერა, ძველი გალობა, საეკლესიო ენა და იულიანური კალენდარი, რომლის რიტმებსა და ციკლებშიც მიმდინარეობს ღვთისმსახურება.

ამაზე რას იტყვის ბატონი მამალი?

საღვთისმეტყველო რეფორმატორობის საშიშროების შესახებ

მესამე და მეოთხე საუკუნეები ტრინიტარული კამათების ეპოქა იყო, მეხუთე და მერვე _ ქრისტოლოგიური დოგმატების ჩამოყალიბებისა. მეთოთხმეტე ასწლეული _ ტრანსცენდენტულის და იმანენტურის თანაფარდობის გამორკვევისა ღვთაებაში. მეოცე საუკუნეში თეოსოფიურ და ეკუმენისტურ განწყობასთან დაკავშირებით, მოდერნისტებმა სარწმუნოების დოგმატები ეკლესიაში რთული პრობლემატიკით ჩაანაცვლეს, რომელშიც იკვეთება ორი ამოცანა: არსებული ისტორიული ეკლესიის მიმართ ურწმუნოება ან ეჭვი დააფუძნონ და არარსებული ეკლესიის ძიება წაახალისონ. რამდენადაც მართლმადიდებლობის სულიერი ცხოვრების ცენტრს წარმოადგენს ევქარისტია, იმდენად ისიც, განწყობებისდა მიხედვით, რევიზიონისტული კრიტიკისა და ახალი კონცეფციების აგების საგანი უნდა გახდეს.

მაშ ასე, მოდერნისტების პირველი ამოცანაა _ ისტორიული მართლმადიდებელი ეკლესიის საზღვრების წაშლა, მისი გადაქცევა რაღაც ამორფულ, განუსაზღვრელ, ცვა-ლებად ეგზისტენციურ ცნებად, მისი გადაყვანა სუბიექტივიზმის და ფსიქოლოგიზმის სფეროში, გარეგანი მტკიცე ორიენტირების დანგრევა.

თეოსოფები ამბობენ: ყველგან ეძიეთ ჭეშმარიტება, დაანგრიეთ ავტორიტეტები, იქ, სადაც დოგმატია _ ჭეშმარიტება არ არსებობს. ჩვენ გვინერგავენ აზრს: ეკლესია ყველგან და არსადაა, ეს ცნება ჩვენს სულიერ თვალსაწიერზეა დამოკიდებული. მაშ ასე, «დაარღვიეთ ეკლესიის შემომზღუდავი ღობეები, ისინი ვერ აღწევენ ზეცამდე». როგორც ჩანს, ასეთი ძიებებისა და რღვევების საბოლოო შედეგი იქნება დასკვნა, რომ ეკლესია _ ეს კოსმოსია, სიწმინდე _ თავად ყოფიერება, ხოლო თითოეული ადამიანი _ თეურგი ხელთუქმნელ კოსმიურ ტაძარში; რომ ფრინველთა გალობა, მზის ამოსვლა და ჩასვლა, ვარსკვლავთა მსვლელობა _ ეს სამყაროული ლიტურგიაა.

ახლა მოდერნისტებს სურთ ევქარისტიას მიადგნენ, აჩვენონ, რომ ის არ არის ჭეშმარიტი ხორცი და სისხლი ქრისტესი, არამედ მხოლოდ მათი სახეა. ასეთი კონცეფციის საბოლოო შედეგი კი იქნება ის, რომ თითოეული ადამიანი _ თეურგი ხელში აიღებს რა ყურძნის მტევანს, ან, ვთქვათ ვაშლს, და თუკი ხელმოსაკიდი არაფერია, მიწის კოშტს, წარმოსახვით ან მედიტაციით ირწმუნებს, რომ ეს ქრისტეს ხორცი და სისხლია და ამით შეეძლება ეზიაროს, როგორც ევქარისტიის დროს.

ალბათ აქამდე ჯერ შორსაა, მაგრამ მუშაობა უკვე დაიწყო. აქ იგივე ძველი ილეთია: მოურიდებლად ბრალი დასდო ეკლესიას მართლმადიდებლობიდან გადახვევაში, ადამიანები დაარწმუნო, რომ ის რამდენიმე საუკუნის მანძილზე კათოლიკურ ტყვეობაში იმყოფებოდა, რომ მას სულიერად და ინტელექტუალურად ეძინა და ახლა დადგა მისი გაღვიძების დრო. სინამდვილეში ცდომილებისგან გაწმენდის ნიღბით მოდერნისტები ცდილობენ მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებას იქამდე უკეთონ პროტესტანტიზმის შხამის ინექციები, სანამ ადამიანები ვეღარ მიხვდებიან, რაშია მართლმადიდებლობა. ნუ დაგვავიწყდება, რომ პროტესტანტიზმი საკურთხევლის მარმარილოს ჩაქუჩით ამტვრევდა ძველ ეკლესიასთან და წმინდა მამებთან დაბრუნების მოწოდებით. ამჟამად ჩვენ დაფარული რეფორმაციის პერიოდში შევდივართ, ან, თუ გნებავთ, _ მისთვის მომზადების, დაზვერვისა და ლოკალური შეტაკებების პერიოდში, რათა განისაზღვროს, თუ რომელი

მიმართულებით უნდა იწარმოოს ბრძოლა, რომელ წერტილებში და რა თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს დარტყმები.

გვინდა აღვნიშნოთ არაკორექტული საღვთისმეტყველო პოლემიკის ერთ-ერთი თავისებურება. ეს არის შეგნებულად დანაწევრებული და კონტექსტისაგან იზოლირებული ციტატებით სარგებლობა. პატრისტიკაში სხვადასხვა ჟანრი არსებობს: ეპისტოლე, კერძო წერილები, ქადაგებები, საღვთისმეტყველო ტრაქტატები, ჰიმნები, დიალოგები და ა.შ. მაგ. წერილებსა და ქადაგებებში ფართოდ გამოიყენება მეტაფორები, შედარებები, სახეები, და ეს იმისათვის, რათა გარკვეული ასოციაციური ხასიათის წარმოდგენაც კი გადმოიცეს, მიწიერ მსგავსებათა მეშვეობით გონება მეტაფიზიკურ არსთან და სულიერ საიდუმლოებებთან მიახლოვდეს.

უფრო მეტად პირობითია ჰიმნოგრაფიის ენა; მისი მიზანია ემოციური გნოსისი, შემეცნება განცდათა მეშვეობით; საღვთისმეტყველო ტრაქტატებისთვის დამახასიათებელია სიტყვის მაქსიმალური სიზუსტე, მისი მიმართულობა სახის მრავალზომიერებიდან იდეის ერთზომიერებისაკენ, მკაცრი ტერმინოლოგია და სემანტიკური სირთულის გაფრთხილება, რომელსაც არაადეკვატურ ცნებებთან მივყავართ. ასეთი საღვთისმეტყველო ენის სრულყოფილების მწვერვალს წარმოადგენს მსოფლიო და ადგილობრივი კრებების დადგენილებები და ოროსები. ეს უნდა იცოდნენ პოლემისტებმა, თუმცა თავს ისე აჩვენებენ, თითქოს ენობრივი (ფილოლოგიური და ლინგვისტური) ანალიზი _ ეს სიახლეა, რომელსაც ჯერ მათთან არ მიუღწევია.

შემდეგ, ციტატების შერჩევაში ვლინდება ვოლუნტარიზმი. ის ციტატები, რომლებიც არ პასუხობენ პოლემისტის მიზანს, უფრო მეტად კი მის კონცეფციას ეწინააღმდეგებიან, იგნორირდება ისე, თითქოსდა ისინი საერთოდ არ არსებობენ, შემდეგ კი ხდება ციტატების მონტაჟი წინასწარ შემუშავებული გეგმით. გამოუცდელი მკითხველისთვის ძნელი წარმოსადგენია ის, რომ ასეთი ნამუშევრებიდან ამოღებულია წმინდა მამათა ალტერნატიული გამონათქვამები. აქ ჩვენ პარადოქსის წინაშე ვდგებით, რომელმაც შესაძლოა კადნიერად და მკრეხელურადაც კი გაიჟღეროს: სიცრუე წმინდა მამათა სიტყვების მეშვეობით.

მართლმადიდებლობაში ყოველთვის არსებობდა და არსებობს საღვთისმეტყველო ტრადიცია. თანამედროვე მოდერნისტთა მესამე სიცრუე _ ეს ტრადიციის დისკრედიტაციაა. როგორც წმინდა წერილის გაგება შეუძლებელია წმინდა გარდამოცემის გარეშე, ასევე შეუძლებელია პატრისტიკული ნაწარმოებებისა და წმინდა მამების აზრთა გაგება საეკლესიო ტრადიციის კალაპოტის გარეშე. ამიტომაც განიცდის ის მოდერნისტების მხრიდან განსაკუთრებული ძალის თავდასხმებს. ასე მაგალითად, აღმოსავლეთის პატრიარქთა ეპისტოლეებს, იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს, კათოლიციზმის წინააღმდეგ ყველაზე თვალსაჩინო მებრძოლს (მე-17 ს.) დისკრედიტირების მიზნით ლიტერატურული ინტრიგების მეშვეობით ლამის კათოლიციზმის გამტარებლად სახავენ; მოსკოვის მიტროპოლიტს, მე-19 საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწეს წმ. ფილარეტს კი _ წმინდა სინოდის ობერ-პროკურორის პროტასოვის ხელის ბიჭად წარმოადგენენ. ეს ყველაფერი კი იმისთვისაა, რომ დისკრედიტირება მოხდეს ფილარეტის «კატეხიზმოსი», რომელიც მართლმადიდებლობის საღვთისმეტყველო ტრადიციის მატარებელია.

ეკლესიოლოგიური გაუგებრობის შესაქმნელად უნდა მოხდეს არევ-დარევა ევქარისტი-ის საკითხებში, და თანამედროვე ლიტურგისტების ნაწილი ამის კეთებას «ხელებ-დაკაპიწებული» შეუდგა. მეფე სოლომონს უწერია «ჟამი ქვების გაბნევისა და ჟამი ქვების მოგროვებისა». ამ «კეთილ» ადამიანებს უნდათ ძველი ტაძრის ქვები მიმოფანტონ, შემდეგ შეაგროვონ, ოღონდ სულ სხვა სახით.

ეს სტატია დავიწყე, როგორც შესავალი დღესდღეობით ხელოვნურად წამოწყებული ევქარისტიული საკითხისთვის. მასში მოდერნისტების პოზიცია და მეთოდები ზოგად სქემაშია მოცემული და თითქოს პუნქტირით მოხაზული. ვფიქრობს, რომ მას დამოუკი-დებელი მნიშვნელობაც გააჩნია და ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალე ის მკითხველისთვის გამეცნო.

ევქარისტიის შესახებ

ევქარისტიის შესახებ მართლმადიდებლურ სწავლებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოტერიოლოგიაში, დოგმატურ ზნეობრივ ღვთისმეტყველებაში და ასევე ეკლესიოლოგიასა და ასკეტიკაში. ევქარისტია _ ეს უზენაესია საიდუმლოთა შორის, ეს მთავარი პირობა და ქმედითი ძალაა დედამიწაზე მცხოვრები ადამიანის განღმრთობისათვის. სხვა საიდუმლოებებთან შედარებით ევქარისტიას უწოდებენ მზეს ვარსკვლავთა შორის. ზიარება ქრისტიანის სულიერი ცხოვრების ცენტრად გვევლინება. ევქარისტიის საიდუმლოს გარეშე ცხონება შეუძლებელია.

ევქარისტიის აუცილებლობას მაცხოვრის სიტყვებიც დაამოწმებს: *«უკუეთუ არა სჭამოთ Ãორცი ძისა კაცისაÁ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაÁ თავთა შორის თქუენთა»*[*]. მაგრამ იმაზე უარესს, ვიდრე ზიარებისაგან შეგნებული გადახვევაა, ამ საიდუმლოებაში რწმენის გარეშე მონაწილეობა წარმოადგენს. მოციქული პავლე ამტკიცებს, რომ ასეთი ადამიანები ისჯებიან არა მხოლოდ მარადიულ, არამედ მიწიერ ცხოვრებაშიც: აქ _ ავადმყოფობებით და ნაადრევი სიკვდილით, მარადისობაში _ ქრისტესაგან განტევებით. ეს ისინი არიან, ვინც ზიარებას, როგორც უბრალო პურს, ისე ღებულობენ და ის ქრისტეს ხორცად არ მიაჩნიათ.

ჩვენდა გასაკვირად, იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც არ სწამთ, რომ ევქარისტიის კანონის დროს პურისა და ღვინის გადაქცევა ქრისტეს ხორცად და სისხლად ხდება, მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი, ძირითადი ღვთისმეტყველების კათედრის გამგე, ბ-ნი ოსიპოვი აღმოჩნდა. ის თვლის, რომ ლიტურგიკული მღვდელმსახურების შემდეგ პური და ღვინო პურად და ღვინოდვე რჩება, მაგრამ მათ ქრისტე თავის ღვთაებრივ იპოსტასში ღებულობს და ამით განწმედს. ეს საღვთისმეტყველო «აღმოჩენა» ბ-ნ ოსიპოვს სურს წარმოადგინოს, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება და არანაირად _ ავანგარდისტული ექსპერიმენტი.

ბატონ ოსიპოვს მოჰყავს ზოგიერთი კათოლიკე და პროტესტანტი ღვთისმეტყველის აზრი, შემდეგ კი თავისი საკუთარი კონცეფცია, რომელიც ჩვენი აზრით დამღუპველ შეცდომას წარმოადგენს, არ ეთანხმება მართლმადიდებლობას და შინაგან წინააღმდეგობრიობათა მთელ კვანძს შეიცავს. კათოლიციზმში ბ-ნი ოსიპოვი ევქარისტიის აღსრულებასთან ფიზიკურ მიდგომას ხედავს, სადაც საიდუმლოებანი ქიმიური რეაქციის ანალოგი ხდება ან კიდევ, ერთი ელემენტის მეორედ გადაქცევის ალქიმიური პროცესი. ბ-ნი ოსიპოვი, რაღა თქმა უნდა, უარყოფს ასეთ პიტალო ბიოლოგიზმს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ხშირად მიმართავს შემდეგ ილეთს: რაც მართლმადიდებლობაში არ მოსწონს, კათოლიციზმად გამოაწყობს და კათოლიციზმთან ბრძოლის ნიღბით მისთვის არასასურველი შეხედულებების დისკრედიტირებას ცდილობს.

შემდეგ ბ-ნი ოსიპოვი ინტერპრეტაციას უკეთებს კათოლიკე სქოლასტების ფილოსოფიურ შეხედულებებს, მაგრამ ამასთან უტლანქეს ტერმინოლოგიურ შეცდომას უშვებს. მაგ. ტერმინს _ «აქციდენცია» ის განმარტავს, როგორც საგნის ხილულ თვისებას, რომელიც მისაწვდომია ჩვენი გრძნობებისათვის მაშინ, როცა XIII საუკუნის კათოლიკე სქოლასტები და კიდევ უფრო ადრე, წმ. იოანე დამასკელი სარგებლობდნენ არისტოტელეს ლოგიკით, სადაც აქციდენცია სრულიად სხვას აღნიშნავს, სახელდობრ: საგნის უმნიშვნელო,

[*] ინ. 6, 53.

შემთხვევით, არამყარ, დროებით თვისებებს, რომელთა გარეშეც განსასაზღვრი საგნის ბუნება არ იცვლება. გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის და რენესანსის კათოლიკე თეოლოგები ზედმიწევნით შეისწავლიდნენ არისტოტელეს შრომებს. მათ შორის ხმებიც კი გაისმოდა, რომ კათოლიკურ ეკლესიას არისტოტელე ნეტარად გამოეცხადებინა, ასე რომ, არისტოტელეს ავტორიტეტი ურყევი იყო.

სხვა ადგილზე ბ-ნმა ოსიპოვმა ასევე არასწორად ახსნა სუბსტანცია, როგორც არსი, ჩვენს გრძნობებში დაფარული, მსგავსი კანტისეული «საგნისა თავის თავში». ეს მაშინ, როცა სუბსტანცია აღნიშნავს ბუნებას მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით და თვისობრიობით. ბ-ნ ოსიპოვს ვურჩევთ ტერმინების _ «სუბსტანცია» და «აქციდენცია» _ თაობაზე ღირსი იოანე დამასკელის «ფილოსოფიურ თავებს» დაეკითხოს.

* * *

ჩვენ გვაშფოთებს ბ-ნი ოსიპოვის ცალმხრივი შეხედულება საიდუმლოებებზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავის გატაცებით ან კიდევ საიდუმლოებების შესახებ კათოლიკური სწავლების წინააღმდეგ ბრძოლის ნიღბით, სწავლებისა, რომელსაც საიდუმლოებებში ადამიანის პიროვნების მონაწილეობა მინიმუმამდე დაყავს, საიდუმლოს კი განსაზღვრულ სულიერ მექანიკად აქცევს, ის იმ ზღვარს სცილდება, რომელიც მართლმადიდებლობას პროტესტანტიზმისაგან ყოფს და საიდუმლოს ობიექტურ მხარეს ფრიად ამცირებს, რაც ყველა რეფორმატორისათვისაა დამახასიათებელი.

მაგრამ სადაა ღირსების კრიტერიუმი საიდუმლოებებში მონაწილეობისათვის? ზნეობრივი ადამიანები თავს ხშირად უღირსად თვლიან და თავიანთ რწმენას _ მცირედად; მეტიც: რამდენადაც მეტად ზნეობრივია ადამიანი, იმდენად კრიტიკულია საკუთარი თავის მიმართ. ეს მაშინ, როცა ვნებიანი და ამაყი ადამიანი თავის თავს ღვთის ღირსად თვლის. სად იპოვა ბ-ნმა ოსიპოვმა ობიექტური კრიტერიუმები და ორიენტირები, რომ შეუძლია ასე თამამად ამტკიცოს, როდის სრულდება საიდუმლო და როდის არა?

მოციქულ პავლეს, როცა ის ადამიანებს ზიარებასთან დაკავშირებით აფრთხილებდა, მხედველობაში ჰქონდა რწმენა იმისა, რომ მაზიარებელი ქრისტეს ხორცსა და სისხლს მოიღებს. მან ამას «გულისხმისყოფა»* უწოდა, ანუ ევქარისტიის დოგმატი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ ბ-ნი ოსიპოვი ცდილობს ჩრდილში მოაქციოს კართაგენის კრების დადგენილება, რომელიც ჩვილების მონათვლას ბრძანებს, თუმცა ჩვილების ნათლობაში მონაწილეობს რწმენა მათი, მშობლებისა, ნათლიებისა და თავად ეკლესიისა. დაუდევარ მეტყველებას ბ-ნი ოსიპოვი რაღაც უცნაურ ტავტოლოგიამდე მიჰყავს: ის «ყოფიერების არსებობის ხასიათზე» საუბრობს, მაშინ, როცა «არსებობა» და «ყოფიერება» _ სინონიმებია. ეს იგივეა, რომ ილაპარაკო ყოფიერების ყოფიერებაზე ან არსებობის არსებობაზე. ღვთისმეტყველება სტილისტურ სიზუსტეს მოითხოვს. ფილოლოგიური უსუსურობა კი სიტყვათა ასეთ შეხამებას მრავალი მკითხველისთვის აბდაუბდად აქცევს. ჩვენ ასევე გვაფიქრებს ბ-ნი ოსიპოვის შესავალი სიტყვა: «ლაპარაკია არა რაიმე უდიადეს საიდუმლოზე, არამედ ევქარისტიის საიდუმლოზე». წმიდანები საიდუმლოთა შორის უდიადეს საიდუმლოს სწორედ რომ ევქარისტიას უწოდებდნენ, ხოლო დიონისე არეოპაგელი _ საიდუმლოთა საიდუმლოს.

---

* Ერომ. 15, 21.

აქ ბ-ნი ოსიპოვი უნებლიეთ ამხელს საკუთარ თავს. მისთვის ევქარისტია არა უდიადესი საიდუმლოა, არა ცენტრია სულიერი ცხოვრებისა, არამედ მასალაა რეფორმაციისათვის.

ბ-ნი ოსიპოვი ფსიქოლოგიურ არგუმენტებს მიმართავს. კათოლიკური ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლისა და კათოლიკური ლექისაგან მართლმადიდებლობის გაწმენდის საფარით ის უბრალოდ სპეკულანტობს მართლმადიდებელთა დაძაბული ყურადღებით კათოლიკური აგრესიის მიმართ ყველა დონეზე. შემდგომ, კათოლიციზმის ყაიდაზე მართლმადიდებლობის სტილიზებით, იგი სიტყვიერი ხმაურის საფარქვეშ თავად მართლმადიდებლობის დისკრედიტაციას იწყებს და ამავდროულად მას ერთგულებას ეფიცება. ეს პოპულისტების ჩვეული ილეთია _ ყვირილი: «ქურდი დაიჭი».

ბ-ნი ოსიპოვის მეორე ფილოსოფიური ილეთი შემდეგში მდგომარეობს, ის ამბობს: თუკი ბარძიმში ხორცი და სისხლია, მაშინ მაზიარებლები _ კაციჭამიები არიან. ის ყვება რომელიღაც ნერვიულ მანდილოსანზე, რომელიც ამ აზრის გამო საშინელებამ მოიცვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მანდილოსანს, თუკი ის საერთოდ არსებობს, მსგავსი შეკითხვით თავისი მოძღვრისათვის უნდა მიემართა და პასუხი მისგან მიეღო, თუმცა ეს მისი საქმეა. ჩვენ სხვა რამ გვაკვირვებს: ღვთისმეტყველების პროფესორმა რად არ აუხსნა მას, რომ ჩვენ არ ვეზიარებით _ მომიტევეთ ასეთი შედარებისათვის _ ქრისტეს ხორცის ნაჭრებით, არამედ ამ იდუმალი სხეულის თითოეულ ნაწილაკში ქრისტეა _ სხეულით, სულით, და ღვთაებრიობით, რომელიც მაზიარებლის სულთან და სხეულთან უხილავად ერთდება, რომ ეს საიდუმლო ამავდროულად უმაღლესი რეალიაა, რომ მღვდელთმსახურების შედარება არ შეიძლება ყასაბთან, რომელიც დაკლული არსების სხეულს ნაწილებად ჭრის, რომ სხეულის თითოეულ ნაწილაკში და სისხლის ყოველ წვეთში _ ცოცხალი ქრისტეა.

გვინდა პატარა მაგალითი მოვიყვანოთ. ნერვიული ქალბატონი ავარიაში რომ მოყოლილიყო და საავადმყოფოში აღმოჩენილიყო, სადაც მას ეტყოდნენ, რომ ვენაში სხვისი სისხლის გადასხმა სჭირდება, რათა ცოცხალი გადარჩეს, ის ამ შესაძლებლობას ისე ჩააფრინდებოდა, როგორც მაშველ რგოლს და აღშფოთებული არ ეტყოდა ექიმებს, რომ სისხლის გადასხმა _ ეს ანთროპოფაგიის ვარიანტია. პირიქით, შეძრწუნდებოდა, თუკი საავადმყოფოში დონორის სისხლის არ აღმოჩნდებოდა.

ბატონი ოსიპოვიLუარყოფს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს სოტერიოლოგიური დოგმატებიდან _ ლიტურგიაზე პურისა და ღვინის გარდაქცევას მაცხოვრის ხორცად და სისხლად. ბატონი ოსიპოვი გამოდის თეორიით პურისა და ღვინის ქრისტეს იპოსტასთან შეერთების შესახებ, რომლის დროსაც ისინი არ გარდაიქცევიან ხორცად და სისხლად, არამედ პურად და ღვინოდვე რჩებიან, ოღონდ ღვთის სიტყვის იპოსტასთან შეერთებულ პურად და ღვინოდ. ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით, ახლა კი ვიტყვით, რომ ზოგიერთ პროტესტანტულ დენომინაციებში, რომლებიც გარდამოარსებას, ან თუ გნებავთ, საუფლო (წმინდა) ძღვენთა გარდაქცევას გადაჭრით უარყოფენ, ასევე დაიშვება მისი სახელდება ქრისტეს ხორცად და სისხლად. იქაც არის თავისებური რწმენა, რომ პური და ღვინო ქრისტესთანაა შეერთებული: ზოგთან _ რომ ქრისტე პურს თავისი ენერგიით მსჭვალავს; სხვებთან _ რომ ქრისტე ადამიანის სუბიექტური რწმენის მეშვეობითაა პურთან შეერთებული და ა.შ.

ამიტომ ბ-ნ ოსიპოვის ყველა განმარტება ფეშხუმზე და ბარძიმში მყოფი ქრისტეს ნაწილების შესახებ, ურწმუნობას, პროტესტანტიზმისაკენ გადახრას წარმოადგენს: ევქარისტიული ძღვენი ზიარების სიმბოლოდ რჩება, ხორცად და სისხლად მათი სახელდება კი

მეტაფორად. მართლმადიდებლებთან ზიარება _ ეს ყოფიერების ონტოლოგიაა; პროტესტანტებთან კი _ განსაზღვრულ პირობებში ქრისტესთან მეტაფორულად, პირობითად და ფარდობითად შეერთებული სახეა.

ვლადიმერ სოლოვიოვს აქვს ერთი ნაწარმოები, რომელიც გამოიყოფა მისი ჩვეულებრივი გნოსტიკური ეკლექტიკიდან, _ უკანასკნელი ნაწარმოები, რომელიც მან სიკვდილის წინ დაწერა, როგორც მონანიება. მე მას არ ვიღებ მთლიანად, მაგრამ იქ არის სახასიათო ეპიზოდი. ანტიქრისტე, ქრისტიანთა წინაშე გამოსვლისას, ყოველნაირად ცდილობს უჩვენოს თავისი ერთგულება მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი, პატივისცემა მისი სწავლებისადმი; ის მათ ეკლესიის მიწიერი მოწყობის საქმეში დახმარებას პირდება, მაგრამ როცა უსვამენ შეკითხვას სწამს თუ არა, რომ ქრისტე _ ძე ღვთისაა, ანტიქრისტე ჩუმდება, მას არ შეუძლია პასუხის გაცემა.

როგორც ვთქვით, პროტესტანტებს სიტყვიერი ხრიკების მეშვეობით შეუძლიათ გადაკრულად და სიმბოლურად ევქარისტიულ პურს ქრისტეს ხორცი უწოდონ. მაგრამ პირდაპირ შეკითხვაზე: სწამთ თუ არა, რომ ევქარისტიის დროს პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაიქცევა არა მეტაფორულად, არამედ რეალურად და ნამდვილად, მათ დამაჯერებელი პასუხის გაცემა არ შეუძლიათ: ან გაჩუმდებიან, ან იტყვიან, რომ არ სწამთ.

ლიტურგიის ბოლოს მღვდელი სეფისკვერებიდან ცოცხალთა და მკვდართათვის ამოკვეთილ ნაწილებს ბარძიმში ჩაუშვებს სიტყვებით: **«მიუტევენ უფალო, ცოდვანი აქა მოხსენებულთა, პატიოსნითა სისხლითა შენითა, მეოხებითა წმიდათა შენთათა»,** სისხლით, რომელიც გოლგოთაზე იქნა დათხეული, ახლა კი ბარძიმშია, და არა ღვინით, რომელიც გაუგებარ კავშირშია ქრისტეს იპოსტასთან. მხოლოდ ქრისტეს სისხლს ძალუძს ადამიანური ცოდვების განბანა და ცათა სასუფევლის მინიჭება. ლიტურგია _ ეს გოლგოთის მსხვერპლის გაცხადებაა, ეს მოქმედება და საიდუმლო ასახვაა გოლგოთის მსხვერპლისა, ოღონდ იდეალური ასახვა, სადაც სახე პირველსახეს შეესაბამება. წმიდა სამებისადმი ქრისტეს ხორცი და სისხლი შეიწირება: ამ მსხვერპლს უფალი გაიღებს და მას თავადვე შეიწირავს.

ბატონი ოსიპოვი ამბობს: «უფალი თავის იპოსტასში პურსა და ღვინოს შეითვისებს», მაგრამ შეთვისება _ ეს სრულიადაც არ არის მსხვერპლი, მით უმეტეს ერთარსი გოლგოთის მსხვერპლისა, არავის შეეძლო კაცობრიობის ხსნა გარდა ჭეშმარიტი ღმერთკაცის _ იესო ქრისტესი. დოკეტები გოლგოთას მისტიფიკაციად თვლიდნენ. ბატონ ოსიპოვს, მიუხედავად თავისი სიტყვიერი გამომგონებლობისა, არ სჯერა, რომ ევქარისტია _ ეს გოლგოთის მსხვერპლის რეალობაა, რეალობაა სწორედ იმიტომ, რომ მასში ცოცხალი ქრისტე მყოფობს თავის ჭეშმარიტ ხორცსა და თავის ჭეშმარიტ სისხლში. თუკი პური და ღვინო, პურად და ღვინოდვე რჩება, როგორი სხვა განწმენდაც არ უნდა მიეწეროს მას, ლიტურგია მისტიფიკაციად გადაიქცევა.

ბატონი ოსიპოვი ქრისტეს იპოსტასში პურისა და ღვინის იპოსტასურ შეერთებაზე საუბრობს. ეს უაზრობაა, რის დამტკიცებასაც ვცდილობთ. ღვთაებრივი იპოსტასის სამი პირი განუყოფლად მყოფობენ ურთიერთში; ხოლო სწავლება მარცვლისა და ნაყოფის იპოსტასად მიღების შესახებ («ქალკედონურად»), _ ეს ან ვერ გაგებაა სიტყვისა «იპოსტასი», ან სურვილია ყოველი საშუალებით თავისი კონცეფციის დამტკიცებისა და გამართლებისა.

ძე ღვთისას განკაცება, როგორც თავის იპოსტასში ადამიანური ბუნების მიღება, ერთადერთია და განუმეორებელი, ამის შესახებ ყველა წმიდა მამა საუბრობს. ღმერთკაცის იპოსტასში პურისა და ღვინის მიღებას მესამე ბუნება შემოყავს (ღმერთი, ადამიანი, მცენარე) და ბ-ნ ოსიპოვის მიმდევრები «ტროიფიზიტები» ხდებიან.

* * *

იოანეს სახარებაში არის ქრისტეს სიტყვა იუდეველებისადმი, სადაც უფალი ევქარისტიის დიად საიდუმლოს _ თავისი ხორცითა და სისხლით ზიარებას გააცხადებს. უფალი ამბობს: *«მე ვარ პური ცხოვრებისაჲ;*[*] *მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვჴედ; უკუეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე, ჴორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცე ცხოვრებისათჳს სოფლისა.*[**]

განცვიფრებულმა იუდეველებმა ურთიერთშორის იწყეს კამათი: *«ვითარმე ჴელეწიფების ამას მოცემად ჩუენდა ჴორცი თჳსი ჭამად»?*[***] ამან პროფესორი ოსიპოვიც გააკვირვა და მოჰყვა კამათს და მტკიცებას, რომ ევქარისტიის საიდუმლოში პური და ღვინო არ გარდაარსდება ქრისტეს ხორცად და სისხლად, არამედ მხოლოდ შედის მის იპოსტასში. ამასთან მოჰყავს ისეთი იშვიათი მაგალითი, ქრისტეს თანამედროვე იუდეველებსაც რომ არ მოსვლიათ აზრად, კერძოდ: ერის ზიარების შემდეგ თუკი ბარძიმში ბევრი ღვინო დარჩება, წმინდა ნაწილების მიმღებელი დიაკვანი შესაძლოა დათვრეს; მკითხველისაკენ თვალისყოფით და ჩაღიმებით განმარტავს: «... ამის შესახებ იციან ჩვენმა დიაკვნებმა». (იხ. ბ-ნ ოსიპოვის ლექცია «Евхаристия и священство»).

ზიარების დროს ქრისტეს თავის ხორცსა და სისხლზე ქარაგმულად რომ ელაპარაკა, მაშინ იგი, რაღა თქმა უნდა, აუხსნიდა ამას იუდეველებს, რათა დაემშვიდებინა ისინი. მაგრამ ქრისტე კიდევ უფრო მეტი კატეგორიულობით განაგრძობდა: *«ამინ, ამინ გეტყუით თქუენ: უკუეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა შორის თქუენთა; ხოლო რომელი სჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ და მე აღვადგინო იგი უკუანაწსკნელსა მას დღესა; რამეთუ ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს».*[****] სიტყვები «ამინ, ამინ» (ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად), წარმოთქმული მაცხოვრის მიერ, ხორცითა და სისხლით ზიარების შესახებ მისი სწავლების ქარაგმული და სიმბოლური გაგების ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავენ.

იგი თავის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს ამტკიცებს, როგორც აბსოლუტურ, უტყუარ ჭეშმარიტებას; და ისინი ღვთაებრივი, უცვლელი ჭეშმარიტების ურყევი რწმენით უნდა მივიღოთ, რწმენისა, რომელიც სიტყვიერ გაიძვერობასა და მზაკვრობას არ დაუშვებს. არა

---

[*] ინ. 6, 48.

[**] ინ. 6, 51.

[***] ინ. 6, 52.

[****] ინ. 6, 53-55.

მხოლოდ იუდეველებს, ქრისტეს ზოგიერთ მოწაფესაც ეს სიტყვები რაღაცით დაუ-ჯერებელი და სიმართლესთან შეუსაბამო მოეჩვენა. *«მრავალთა უკუე მოწაფეთა მისთაგანთა ესმა ესე და იტყოდეს: ფიცხელ არს სიტყუაჲ ესე; ვის ჴელეწიფების სმენად მისა?; იცოდა იესო თავით თჳსით, რამეთუ დრტჳნვენ მოწაფენი მისნი ამისთჳს, და ჰრქუა მათ: ესე დაგაბრკოლებს თქუენ?»* [*] [**]

ქრისტემ ზიარების შესახებ თავისი სიტყვების პირდაპირ და აბსოლუტურ მნიშვნელობაში დაეჭვებას დაბრკოლება, ანუ რწმენისაგან განდგომა და ეშმაკის შთაგონება უწოდა. სამწუხაროდ ასეთ მოწაფეებთან ერთად დაბრკოლდა პროფესორი ოსიპოვი. შემდგომ უფალი ახსნის ამგვარი დაეჭვების მიზეზს: *«სული არს განმაცხოველებელ, ხოლო ჴორცნი არად სარგებელ არიან; სიტყუათა რომელთა გეტყჳ თქუენ, სულ არიან და ცხოვრება».*[**]

უბედურება იმაშია, რომ პროფესორმა ოსიპოვმა იგნორირება მოახდინა ევქარისტიის შესახებ წმიდა მამათა მადლით აღსავსე სწავლებისა _ წმ. მოწ. ეგნატე ღმერთშემოსილიდან წმ. მართალ იოანე კრონშტადტელამდე; ის წმ. მამათა თხზულებებში მყოფ ცხოველმყოფელ სულს ეკლესიისას არად დაგიდევს. მან ხორცს მიმართა, რომელიც «არად სარგებელ არიან», ანუ ხორციელ განსჯას.

პროტესტანტ თეოლოგებთან მსგავსი პასაჟების, ანუ ხორციელი განსჯის უხვად პოვნა შეიძლება. სახარებაში წერია, რომ ზიარების შესახებ მოწაფეებთან ქრისტეს საუბრის შემდეგ *«მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნიქცეს და არღარა ვიდოდეს მის თანა».*[***] არც ბ-მა ოსიპოვმა ირწმუნა, მაგრამ თუკი მოწაფეები პირდაპირ განუდგნენ ქრისტეს, ის სხვაგვარად მოიქცა: სასულიერო აკადემიაში მოვიდა და თავის სტუდენტებს _ მომავალ მღვდლებს იმაში დაუწყო დარწმუნება, რომ წმინდა შესაწირავი _ არ არის ქრისტეს ხორცი და სისხლი პირდაპირი მნიშვნელობით, რომ ქრისტიანები არ ეზიარებიან «ქრისტეს არსებით ხორცსა და სისხლს», მისი აზრით, სხვაგვარად, თვით ზიარება გადაიქცეოდა ანთროპოფაგიად.

ბატონი ოსიპოვი ეკლესიას პირში მიახლის ბრალდებას: «თუკი თქვენ პურისა და ღვინის ქრისტეს ხორცად და სისხლად გადაქცევა გწამთ, კაციჭამიები ხართ». ეს ბრალდება ეხებათ წმ. მამებსაც, რომლებსაც წმიდა შესაწირავის გარდაქცევა ერთსულოვნად და ერთხმად სწამთ. (ბ-ნ ოსიპოვსა და მის მოწაფეებს განსაკუთრებულად ვურჩევთ წაიკითხონ წმ. იოანე კრონშტადტელის დღიურები).

ოდესღაც იაროსლავსკი[20] (გუბელმანი) ისტერიულად გაჰყვიროდა: «საპატრიარქო მართლმადიდებელი ეკლესია _ ეს სიფილისტური ეკლესიაა», _ ახლა კი ბ-ნი ოსიპოვი კეთილი ღიმილით მას «კაციჭამიურს» უწოდებს იმათი სახით, ვისაც სწამს ზედმიწევნითი, სრული, დაურღვეველი აღსრულება მაცხოვრის სიტყვისა, რომელიც სახარებაში წერია და მღვდელი წარმოთქვამს ლიტურგიის დროს: «ესე არს ხორცი ჩემი... ესე არს სისხლი ჩემი...»

თავის ლექციებზე ბ-ნი ოსიპოვი არა მარტო უარყოფს წმ. ძღვენთა გარდაქცევას, ამის რწმენას «რაღაც სიბრიყვეს» (ეს მისი სიტყვებია) უწოდებს. გვინდა ვიმედოვნებდეთ, რომ ეს გაუგებრობაა, რომ ბ-ნ ოსიპოვის ლექცია ან სტატია «ევქარისტია და მღვდლობა» არა

---

[*] ინ. 6, 60-61.

[**] ინ. 6, 63.

[***] ინ. 6, 66.

მისი, არამედ მისი მტრის _ ფსევდო ოსიპოვის მიერაა დაწერილი, მაგრამ ამის იმედი, რაღა თქმა უნდა, ნაკლებად გვაქვს.

თავის ლექციებში, როცა ის ღვთისმსახურებაზე საუბრობს, უცნაურ ფრაზას იმეორებს: «ნუ ჩავარდებით მაგიზმში». აქ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ პროტესტანტების საყვარელი ბრალდება ჟღერს. საიდუმლოებათა და წეს-ჩვეულებათა ობიექტური მოქმედების რწმენა წარმოადგენს არა «მაგიზმს», არამედ მადლის მიღების აუცილებელ პირობას; სიწმინდის მიმართ დაუდევრობა ან მოუმზადებლობა ასევე წარმოადგენს არა «მაგიზმს», როგორც უნდა რომ ჩაუნერგოს მსმენელს ბ-მა ოსიპოვმა, არამედ სულიერ ხეპრეობას _ პიროვნულ ცოდვას ადამიანური ნებისა.

საერთოდ ბ-ნი ოსიპოვი, რომელიც მისტიკის ქრისტიანულ გაგებასაც უსაფუძვლოდ უარყოფს, და მართლმადიდებლურ და ცრუ მისტიკას (მათ შორის პანთეისტურსაც) შორის განსხვავებასაც, სიტყვა «მაგიზმით» სპეკულიანტობს: საკურთხეველში მოსახსენებლის შეგზავნა მისთვის მაგიზმია, უყურადღებო ლოცვა _ ასევე მაგიზმია. უნდა გვახსოვდეს, რომ ლევ ტოლსტოი (წმ. იოანე კრონშტადტელის თქმით «ერეტიკოსთა შორის უბოროტესი») საეკლესიო წეს-ჩვეულებებს «ჯადოქრობას» ეძახდა.

ბ-ნ ოსიპოვს ჩემი წერილი შესაძლოა მწვავედ მოეჩვენოს, მაგრამ განა ის შეედრება ჩემს მიმართ აღმაშფოთებელ ბრალდებას კაციჭამიობაში, რომელიც მან პერსონალურად მე წამომიყენა, არსებითად კი ყველას, ვისაც წმინდა ძღვენის ჭეშმარიტი გარდაქცევა სწამს და ამ რწმენით ეზიარება.

ნაწყვეტი ბროშურიდან «Еще раз о еретических заблуждениях ПРОФЕССОРА МДА А. И. Осипова».

საღვთისმეტყველო ფანტაზიები

სულის სიკვდილისშემდგომი ცხოვრების, მისი გზის, მდგომარეობის და ეტაპების (რომელიც სასიკვდილო სარეცლით იწყება და კერძო სამსჯავროზე მისთვის ადგილის მიკუთვნებით მთავრდება) შესახებ მართლმადიდებლურ სწავლებასთან არის დაკავშირებული სულის მოსახსენებელი ყველა მსახურება. ეს არის ეკლესიის ძველი გარდამოცემა, რომელიც ლიტურგიკული ღვთისმსახურების ნაწილს წარმოადგენს. ამ გარდამოცემასთან არის დაკავშირებული საეკლესიო წესები, განსაკუთრებით ახლადშესვენებულის მოხსენიება მე-3, მე-9 და მე-40 დღეს, ასევე საყოველთაო პანაშვიდები, რომლებიც წლიური ღვთისმსახურების რიტმში შედის. თუკი სულის მოსახსენებელი მსახურების კანონთა ტექსტს ყურადღებით განვიხილავთ, ასევე მომაკვდავთან და მისი გარდაცვალებისშემდგომ საკითხავ ლოცვებსაც, ჩვენთვის გაცხადდება ის განსაცდელები, რომელთა გადატანაც უწევს გარდაცვლილის სულს სიკვდილის შემდგომ. ყველაზე საშინელი განსაცდელი _ ეს არის საკუთარი თავის დახმარების, ანუ მონანიების და რაიმეს შეცვლის შეუძლებლობა. სიკვდილის შემდგომი მდგომარეობა იმისი გაცხადებაა, რაც სულმა დედამიწაზე მოიხვეჭა. ადამიანი თავის თავს ისეთს იხილავს, როგორიც სინამდვილეშია. და ამ დროს სულის მოსახსენებელი ეს კანონები იმ იმედის სხივითაა განმსჭვალული, რომ ეკლესიის ლოცვას და მოწყალებას შეუძლიათ შეეწიონ სულს მისი რწმენის, ეკლესიისადმი მიკუთვნილების და იმ კეთილ საქმეთა შესაბამისად, რომლებიც მან სიცოცხლეში აღასრულა. აქ ეკლესიის ლოცვები დანაკლისს ავსებენ, მაგრამ ადამიანის პიროვნების შინაარსისა და იმ სურვილთა და მისწრაფებათა შეცვლა, რომლებითაც ადამიანი სიცოცხლეში იყო შეპყრობილი, მათ არ შეუძლიათ.

საეკლესიო ჰიმნოგრაფიიდან და აგიოგრაფიული ნაწარმოებებიდან ვიცით საზვერეების შესახებ, რომლებიც სულმა უნდა გაიაროს, ვიცით მის მიერ სამოთხისა და ჯოჯოხეთის ხილვის, ქრისტესადმი ორგზის თაყვანისცემის შესახებაც. მე-40 დღეს სულის კერძო სამსჯავრო იმართება და ანგელოზებს იქ მიჰყავთ, სადაც საშინელ სამსჯავრომდე იქნება. ამ ადგილის შეცვლა მხოლოდ ეკლესიის ლოცვას, ასევე დედამიწაზე მცხოვრებთა მოწყალებასა და ლოცვას შეუძლია.

ბ-მა ოსიპოვმა საეკლესიო გარდამოცემა გულუბრყვილო და დრომოჭმულ წარმოდგენად ჩათვალა და საკუთარი ექსტრავაგანტური თეორია წამოაყენა. არავინ იცის, ჰქონდა თუ არა გამოცხადება, რომლის დროსაც ის სამოთხეში და ჯოჯოხეთში იყო, თუ გორკის გამოთქმით: «Пустил ежа под череп». ასეა თუ ისე, ბატონმა ოსიპოვმა გამოაცხადა, რომ ჯოჯოხეთში არსებობს კატეხიზმოს შემსწავლელი სკოლები, სადაც ასწავლიან და სამღვდელო მსახურებას აღასრულებენ არა ცოდვების გამო ჯოჯოხეთში მოხვედრილი ღვთისმეტყველნი და მღვდლები, არამედ მოციქულები და ქრისტე. ჩვენ ვიცოდით, რომ ცოდვილებს ჯოჯოხეთში დემონები ხვდებიან, ოსიპოვისეულ ჯოჯოხეთში კი სულს არა სატანა, არამედ ქრისტე ეგებება.

მე ბ-ნი ოსიპოვის იმ შეხედულებებზე ვსაუბრობ, რომლებიც ბ-მა ზაიცევმა მისი სახელით გადმომცა. ბ-ნ ოსიპოვთან ჩემს პოლემიკაში ის სეკუნდანტის როლს ასრულებს. ნუთუ წმინდა მამებისთვის არ გაცხადდა ის, რაც გაცხადდა ბ-ნი ოსიპოვისთვის? ან რად გაცხადდა მათთვის ოსიპოვის მიერ თქმულის საპირისპირო, სახელდობრ: რომ ადამიანის

სული სიკეთეს ან ბოროტებას სიცოცხლეშივე ირჩევს, სიკვდილის შემდეგ კი კარგავს არჩევნის უნარს. თუკი ადამიანს შეუძლია საკუთარი თავი სიკვდილის შემდეგაც განაწესოს, მაშინ რაშია ამოცანა მიწიერი ცხოვრების, როგორც მარადისობისთვის მზადებისა? ნუთუ მხოლოდ განსაზღვრული მორალური ნორმების შესრულებაში და ამასთან რელიგიაზე დაუფუძნებელისა? მაშინ რაღას ნიშნავს წმინდა წერილის სიტყვები და მთელი ეკლესიის სწავლება იმის შესახებ, რომ ადამიანი რწმენით ცხონდება? ნუთუ ბ-ნი ოსიპოვი მიწიერი ცხოვრების მნიშვნელობას უგულებელყოფს და თვლის, რომ ყველას შეუძლია ცხონება ჯოჯოხეთში? რწმენას, როგორც თავისუფალ არჩევანს და ზნეობრივ აქტს, მომავალ ცხოვრებაში ხომ სიცხადე შეცვლის? ვინ არის მართალი? ეკლესიის გარდამოცემა თუ ბ-ნი ოსიპოვი? ორ ურთიერთსაწინააღმდეგო გამოცხადებებს შორის ერთ-ერთი ცრუა. რელიგიაში სიცრუე კი დემონიზმის სახეა. ბ-ნი ოსიპოვის კონცეფცია რომ მივიღოთ და სულის იმქვეყნიური მოგზაურობის შესახებ სწავლება «ბებოს ზღაპრებად» გამოვაცხადოთ, მაშინ სულის მოსახსენებელი მსახურება ხელახლა უნდა შეიქმნას, რომელშიც იქნება თხოვნა ქრისტესა და მოციქულებისადმი ჯოჯოხეთში სულის მოსანათლად. გარდა ამისა, თუკი წარმართების, უცხოაღმსარებლების და ერეტიკოსების სიკვდილისშემდგომი მოქცევა შესაძლებელია, მაშინ საეკლესიო წესებში სასწრაფოდ უნდა შევიდეს მოსახსენებელი ლოცვები, რათა ათეისტებმა, წარმართებმა, იუდეველებმა და მაჰმადიანებმა ჯოჯოხეთში ქრისტე აღიარონ. საერთოდ კი ეს იგივე ძველი სწავლებაა აპოკატასტასისისა[21], რომელიც V მსოფლიო კრებაზე უარყო ეკლესიამ და ანათემას გადასცა, იგივეა, მაგრამ სხვა ვარიანტში (ნიშანდობლივია, რომ მოდერნისტები ცდილობენ ორიგენეს რეაბილიტირებას და იმის დამტკიცებას, რომ ის თავის ცრუ სწავლებასთან ერთად ანათემაზე გადაცემული არ ყოფილა). რა სახით ხდება ნათლობა ჯოჯოხეთში? წყალი ისე გაივლის სულს, როგორც ჰაერს, რადგან წინააღმდეგობას არ შეხვდება. სხეულის გარეშე სულის მონათვლა ისევე შეუძლებელია, როგორც ჩრდილისა. ეკლესიამ იცის მაგალითები, როცა ღმერთი მომაკვდავს სასწაულებრივად უხანგრძლივებდა სიცოცხლეს და მკვდრებსაც კი აღადგენდა, რათა მათ წმინდა საიდუმლოებებთან ზიარების და სიკვდილის წინ განწმენდის საშუალება მისცემოდათ. ბ-ნი ოსიპოვი კი თვლის, რომ ყოველივე ამის აღსრულება ჯოჯოხეთშიც შეიძლება.

შემდეგ მოდერნისტების ფანტაზია სუსტდება და უძლურდება. ისინი ლაპარაკს იწყებენ ცეცხლით ნათლისღებაზე. ნუთუ მოციქულები ცოდვილებს ცეცხლში ყრიან განსაწმენდად? თუკი ტანჯული ცოდვილის გულში ცეცხლით შეიძლება ღვთისადმი სიყვარულის გაღვიძება, ეს იმას ნიშნავს, რომ არ ტყუოდნენ ინკვიზიტორები, როცა ერეტიკოსებს მოწყალების გამო წვავდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ტანჯვა მათ მომავალ ხვედრს შეამსუბუქებდა.

თუმცა ბ-ნ ოსიპოვს სურს თავისი მოდერნიზმი ანტიკათოლიციზმის ნიღბით დაფაროს, მაგრამ სინამდვილეში მისი შეხედულება ჯოჯოხეთში ცეცხლით ნათლობის შესახებ კათოლიკური განსაწმენდელის ბანალურ გამეორებას წარმოადგენს. წმ. იოანე დამასკელი ამბობს, რომ ზოგიერთი წმინდანის მიერ გამოყენებული გამოთქმა «ცეცხლით ნათლისღება» ნიშნავს არა ცოდვილის მონათვლას, არამედ ქვეყნიერების განწმენდას ცოდვილთაგან, რომლებიც საუკუნო ცეცხლით შეიკვრებიან. ასევე გამოთქმა «წარღვნით ნათლისღება» არა ცოდვილთა ნათლისღებას (იმ დროს მართალნიც კი არ იყვნენ მონათლულნი), არამედ ძველი კაენელებისგან დედამიწის განწმედას აღნიშნავს. (წმ. იოანე

დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა, თავი «ნათლიღების შესახებ»).

კიდევ რომელ ოქრომრავალ ელდორადოს აღმოგვიჩენენ თეოლოგიის «კოლუმბები», მიწაზე თუ არა, ჯოჯოხეთში მაინც?

ნამდვილად კარგია კი ჯოჯოხეთში?

სახარებაში ნათქვამია, რომ ნათლობის, ანუ წყლისა და სულისაგან შობის გარეშე ცათა სასუფეველში შესვლა _ შეუძლებელია. თეოსოფებსა და ლიბერალებს არ შეუძლიათ შეურიგდნენ იმას, რომ სხვა რელიგიის აღმსარებლებს, ეკლესიისთვის უცხოებს, ქრისტეს მიმართ ურწმუნოებს და მის არმცოდნეებს, ცხონების ყველა საშუალება აღკვეთილი აქვთ. როგორ შევათვისოთ ორი ალტერნატიული აზრი, სახელდობრ: _ ნათლობის გარეშე ცხონება შეუძლებელია და ნათლობის გარეშე _ შესაძლებელი, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მართლმადიდებლობის გარეგნული მხარის დაურღვევლად მისი არსი შეიცვალოს? წარმოიდგინეთ ვაშლი, გარეგნულად წვნიანი, მბზინავი, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი პატარა ნასვრეტებით, შიგნიდან კი დამპალი და მატლებისგან გამოხრული. გახლიჩეთ ეს ვაშლი და მის გულში შავ სიდამპლეს დაინახავთ. იგივე მოსდის სარწმუნოების სიმბოლოს, რომელიც თითქოსდა მსუბუქად შეცვალეს. მოდერნიზმის საშიშროება იმაშია, რომ კაცობრივი აზროვნება, თუნდაც ეს იყოს დამატება, შემოკლება ან დოგმატური სწავლების გადაკეთება, როცა ღვთაებრივ გამოცხადებასთან ერთდება, მატ-ლივით გამოხრავს მართლმადიდებლობას. და მაინც, რა ვუყოთ ორ ურთიერთ შეუთავ-სებელ სოტერიოლოგიურ თეზისს?

ბ-მა ოსიპოვმა სახარებისეულ სიტყვებს ბორის* «შევსების პრინციპი» დაურთო, მდგომარეობიდან გამოსავალი მოძებნა და თავისი გამოგონებით აკადემიისკენ გაეშურა, სადაც სტუდენტებს გამოუცხადა, რომ ადამიანები, რომლებიც დედამიწაზე არ მონათლულან, ჯოჯოხეთში მოინათლებიან, და რომ სტუდენტებმა გამოცდაზე სწორედ ასე უნდა უპასუხონ. ამგვარად, ბ-მა ოსიპოვმა გადაწყვიტა, რომ შესაძლებელია და საჭიროც მონათვლა არა მხოლოდ ათენელი ფილოსოფოსებისა, არამედ ბუდასი, მუჰამედისა, ასევე ჰერაკლესი[22] და თესევსისა[23], რომლებიც ადამიანების კეთილდღეობისათვის გმირობებს სჩადიოდნენ. განსვენებულ აიათოლა ჰომეინის რომ გაეგო, ბ-ნი ოსიპოვი საუკეთესო მუსლიმანთა ჯოჯოხეთში მონათვლას როგორ ასწავლის, ღვთისმეტყველების პროფესორს, როგორც ერთ ნავსიან მწერალს, სიკვდილს მიუსჯიდა ისლამურ გრძნობათა შეურაცხყოფისთვის; ალბათ აქილევსის[24] სულსაც გაუკვირდებოდა, რომ ჯოჯოხეთში მას მოელიან არა სტიქსის[25] წყლები, არამედ _ ნათლობისა და მას შეეგებება არა ქარონი[26], არამედ _ ქრისტე.

ჩვენ ვიცით, რომ სული უსხეულოა, მას არა აქვს მატერიალური სენსორული შეგრძნებები, ის თავისუფლად ლახავს ფიზიკურ დაბრკოლებებს, ადამიანის სხეულივით არ კონტაქტობს ნივთიერთან. მაშ როგორი მონათვლაღა შეუძლია უხორცო სულს? ესე იგი, დაჯდომა, დაფიქრება, ბ-ნი ოსიპოვის ფოლკლორული გამოთქმით «კეფის კარგად მოფხანა» და ახლებური ნათლობის მოფიქრებაა საჭირო, რომლითაც მიცვალებულთა სულებს ჯოჯოხეთში ნათელღება შეეძლებათ. მაგრამ თუკი ქვესკნელში ნათლობა აღესრულება, მაშინ არალოგიკურია, რომ იქ სხვა საიდუმლოებანი არ აღესრულებოდეს, მაგ. ზიარება, ხოლო რამდენადაც ჯოჯოხეთში ტაძრის აშენება საკურთხევლითა და ტრაპეზით, ცოტა არ იყოს უადგილოა, ისღა დარჩენია, ზიარების რაღაც სხვა სახე გამოიგონოს. აქ განსაკუთრებული ორიგინალობის გამოვლენა საჭირო არ არის, რადგან

* ბორი (Bohr) ნილს ჰენრიკ დავითი (1885-1962), დანიელი ფიზიკოსი.

არსებობენ სექტანტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ღვთის სიტყვით ეზიარებიან, როცა უსმენენ ან კითხულობენ ბიბლიას.

ზეციურ იერუსალიმში, მომავალ ცხოვრებაში ქრიატიანები მეფურ და სამღვდელო ღირსებებს მიიღებენ: ღმერთი იქმნება ტაძარი და ყოველივე _ ყველა ცხონებულისთვის. იქ აღარ იქნება საიდუმლოებანი, რადგან ცხონებულთა საუკუნო ცხოვრება თავადვე გადაიქცევა უწყვეტ საიდუმლოდ _ სული წმიდის მადლთან ზიარებად სულ უფრო მზარდი და ინტენსიური ძალით, როგორც მატულობს სინათლე მის წყაროსთან მიახლოებისას. თვით მაცხოვარმა ბრძანა არ ვერწმუნოთ იმათ, ვინც იტყვის, რომ ქრისტე რომელიმე დაფარულ ადგილზეა _ ქალაქში ან უდაბნოში.

ქრისტე მეორედ მოსვლამდე ზეცაში სუფევს მარჯვენით მამისა, ხოლო მისი მოსვლა აშკარა იქნება დედამიწის ყოველი მცხოვრებისთვის _ ეს იქნება მოსვლა ღვთაებრივი დიდებით.

და მაინც, ბ-ნი ოსიპოვი ასწავლის, რომ ქრისტე ჩვენგან მალულად იმყოფება ჯოჯოხეთში. აქედან გამომდინარე, იმას ქადაგებს, რასაც ქრისტეს სიტყვით: ილაპარაკებენ ცრუმასწავლებლები, ცრუ ქრისტეს მაუწყებელნი, რათა მრავალნი აცდუნონ. თუკი ბ-ნ ოსიპოვს მოესურვება «მოქცევა» და იმის თქმა, რომ საუბრობდა არა ქრისტეზე, არამედ მის მადლზე, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მას არ გაეგება სხვაობა ღვთაებრივ იპოსტასსა და მადლს შორის და ვუსურვოთ ის, რასაც ჩვენ გვთავაზობს _ ცოდნა შეივსოს, ან, ზოგიერთი ღვთისმეტყველის ჟარგონით «წიგნზე ოფლი კარგად იდინოს». და მაინც მგონია, რომ ბ-ნი ოსიპოვი იმედს ამყარებდა მისი სიტყვებისადმი არაკრიტიკულ დამოკიდებულებაზე აუდიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან, რომელსაც საგანგებო ცოდნა არ გააჩნია.

მივმართავ ბ-ნ ოსიპოვს შუამავლის მეშვეობით, რომელიც ბ-ნი ზაიცევის სახელს ატარებს და აკადემიის პროფესორის ღვთისმეტყველურ პოზიციას წარმოადგენს. თუკი ბ-მა ზაიცევმა თავისი მასწავლებლისა რაღაც ისე ვერ გაიგო, მაშინ საკუთარი სწავლების აპოლოგიის წამკითხავ პროფესორს უნდა გაეკეთებინა კორექცია, ან უარეყო ის, მაგრამ ასეთი რამ, როგორც ცნობილია, არ მომხდარა.

ბ-ნი ოსიპოვი ცოდვილების მიმართ მეტად გულკეთილია, მაგრამ მაინც ნუ დაავიწყდება, რომ ჯოჯოხეთი _ ეს სასტუმრო არ არის, რომელში ღამენათევ სულსაც ზეციურ სავანეებში მოგზაურობის გაგრძელება შეუძლია.

ცოდვის დემონიზმი _ მარადიული ტანჯვის საიდუმლო

რა არის ცოდვა _ ჩვენი ცხოვრების ეს საიდუმლო რეალია, უხილავი რადიაცია, რომელიც მას მსჭვალავს? ეს გაუგებარი ძალა, დედამიწას (კოსმოსის სულიერ გულს) 7 ათასი წელი ტკივილის კრუნჩხვებში რყევას რომ აიძულებს? კაცობრიობის ისტორია ქრონიკული ავადმყოფობის ისტორიას ბევრი რამით მოგვაგონებს. ჩვენი თანამედროვენი, ისევე როგორც ძველი ჰუმანისტები, ცდილობდნენ ეს პრობლემა გაემარტივებინათ, ცოდვა ადამიანის ზნეობრივ არასრულფასოვნებად აეხსნათ, გარკვეული მორალური ეტალონიდან გადახრად, გონებასა და გრძნობას შორის დისონანსად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეგოიზმის გამოვლინებად განემარტათ, ზოგჯერ კი შემთხვევითობად და შეცდომად, არასწორ გადაწყვეტილებად წარმოედგინათ. ისინი ცოდვის მიზეზებს აღზრდის ნაკლოვანებაში, არასაკმარის განათლებაში, ცუდ მაგალითში, სოციალურ უსამართლობაში ხედავენ და თვლიან, რომ სული, დაბადებით სუფთა, გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით ლითონის მსგავსად კოროზიას განიცდის და თანდათან ჟანგით იფარება. ამიტომ ჰუმანისტები ზნეობის გამოსწორებას საზოგადოებრივი ფორმებით, ანუ ფსიქოლოგიის _ სოციოლოგიის მეშვეობით ცდილობდნენ. ყველა ასეთი მცდელობა უტოპია იყო. საბრძოლო ენთუზიაზმი იმედგაცრუებით მთავრდებოდა, რევოლუციური ძალადობა არა ზნეობრივ გმირებს, არამედ ტირანებსა და მონებს წარმოშობდა: რევოლუციებისა და «გარდაქმნების» დროს ბოროტების განსაკუთრებულად ძლიერ ამოხეთქვას ვხედავთ, როგორც ლავის ამოფრქვევას მიწის ზედაპირზე.

თანამედროვე ლიბერალიზმს ცოდვის შესახებ საკითხის გადაჭრა რადიკალური საშუალებით სურს. მას თვით ცოდვის ცნების განადგურება უნდა, ამისათვის ზნეობის ცნება უნდა მოსპოს, ის ცრურწმენად გამოაცხადოს და ყველასათვის დასაცინი გახადოს.

ანტიკურიდან დაწყებული, ყველა ფილოსოფიური სისტემა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ცოდვა _ ეს მხოლოდ სიკეთის სიმწირეა. თანამედროვე ლიბერალები _ ცინიკოსები ცდილობენ ადამიანებს ჩააგონონ, რომ ცოდვა _ ეს ყალბი ცნებაა, რომელიც იმისთვისაა მოგონილი, რომ ადამიანი შიშის ქვეშ ამყოფოს, მისი თავისუფლება შეზღუდოს, ცხოვრების ხალისი დაუკარგოს; საერთოდ კი ცოდვა _ ბნელი მოჩვენებაა, რომელიც ადამიანის გონებამ უნდა გაფანტოს და გაანადგუროს; ცოდვა _ ეს ბავშვებისთვის საფრთხობელა და ძველი ცრურწმენაა, რომელსაც მხოლოდ ნევროზებისა და ფობიის გამოწვევა შეუძლია.

ლიბერალებს მინიმუმამდე უნდათ ზნეობის დაყვანა, მაგალითად, როგორიცაა სალაფავის სამართლიანი განაწილება საერთო გობიდან და ამით ადამიანური სინდისის ნარჩენების დაკმაყოფილება. მაგრამ ჩვენ შევიგრძნობთ ცოდვას, როგორც რეალურ ძალას. ამ უჩინმაჩინს ყველგან, უპირველეს ყოვლისა კი ჩვენს სულში ვაწყდებით.

არის ცოდვის სიღრმე, მისი ერთგვარი ონტოლოგია, თვალთაგან დაფარული _ ეს არის ღვთისადმი სიძულვილი. ომებისა და რევოლუციების დროს, როცა სახელმწიფოს საფუძველი ინგრევა, როგორც მიწისძვრის დროს კოლონები, ცოდვის სატანიზმი განსაკუთრებულად იკვეთება და გეჩვენება, რომ თვით მიწის პირი გადაიქცევა ჯოჯოხეთის ფსკერად. განა შეიძლება სადიზმი და ადამიანთა ნაირგვარი წამებანი, როცა სიკვდილი კაცს წყალობად ეჩვენება, მხოლოდ სიკეთის სიმწირით აიხსნას? განა შეიძლება სიკეთის სიმწირით აიხსნას სექსისა და გარყვნილების ნაკადი, ტელევიზორების ეკრა-

ნებიდან და ჟურნალის ფურცლებიდან რომ დაგვატყდა? განა შეიძლება ჰომოსექსუალიზმის აპოლოგია მხოლოდ უმეცრებად მივიჩნიოთ? რით ავხსნათ სიბინძურისადმი ეს მზარდი მიდრეკილება? როგორც ჩანს, სატანის რელიგიის ახალ ხვეულს გარყვნილების კულტი წარმოადგენს, მსგავსად იმისა, დეკადანსი[27] რომ ნერგავდა ხელოვნებაში ხრწნადი გვამის კულტს. ძველად პათოლოგიური სექსი სამარცხვინოდ ითვლებოდა. ის სასამართლო მედიცინის სფეროს განეკუთვნებოდა. ახლა კი არა მხოლოდ ითმენენ, არამედ მას, როგორც ადამიანის გრძნობათა ახალ საღებავებს, რეკლამასაც უკეთებენ. ალბათ მალე მკვდარი ზღვის ფსკერიდან სოდომი ამოვა, ამოცურდება ტრიტონივით და «ელიტის» დედაქალაქად იქცევა.

ცოდვის ახსნა არ შეიძლება მასობრივი ფსიქოზით და შეშლილობით. გიჟი შეურაცხადია, აქ კი ადამიანებმა იციან რაზე მიდიან. მაგალითად: ადამიანი, რომელიც თითქოს არანაირ ფსიქიურ გადახრას არ ამჟღავნებს, საზოგადოებაში კორექტული, სამსახურში კარგი მუშაკი, გულისხმიერი მეზობელი და მზრუნველი მეოჯახეა, იმიტომ დაიჭირეს, რომ ადამიანებს, ხშირად ქალიშვილებსა და ბავშვებს მოტყუებით იტაცებდა, აწამებდა, შემდეგ ბენზინს ასხამდა და წვავდა. ის თავისი მსხვერპლის მოტაცების გეგმებს ისე გულდასმით აწყობდა, როგორც რეჟისორი აწყობს გეგმებს სპექტაკლის დასადგმელად. როცა სასამართლოზე ჰკითხეს რატომ სჩადიოდა ამას, მან უპასუხა, რომ მსხვერპლის მოთქმით ისეთ სიამოვნებას განიცდიდა, რომელსაც ვერაფერი შეედრებოდა.

ადამიანები ეკრანებთან ძალადობას ისე გატაცებით და ინტერესით უყურებენ, თითქოს დაჰიპნოზებულნი არიან ამ ბნელი ფანტასმაგორიით. სატანისტურ სექტებში სადიზმი და გარყვნილება ღამის ორგიის რიტუალს წარმოადგენს. ეს კუდიანების შაბაში ახლა გასართობ სანახაობად უნდათ რომ აქციონ.

ცოდვა _ ოკულტური მოვლენაა, ეს ღვთის გამოწვევაა მოჩვენებითი თავისუფლების სახელით, ეს არის ადამიანის სურვილი თავის სულში ღვთის ხატი შებილწოს და გაანადგუროს. ცოდვა უაზრო და მახინჯია, მაგრამ ის სწორედ თავისი ურცხვობითაა მიმზიდველი. რატომ არის დიდი მოთხოვნილება ყველაზე ცინიკურ წიგნებზე და გარყვნილ სურათებზე? იმიტომ, რომ ისინი ადამიანის ქვეცნობიერების სიღრმეებში ჩამალულ სახეებსა და ვნებებს ეხმიანებიან. ყოველგვარი ცოდვა პირველქმნილ ცოდვას ენათესავება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, დაუშრეტელად მიედინება, მიჰყვება მსოფლიო ისტორიას მისი განთიადიდან დაისამდე. ადამიანის მიერ ჩადენილი ყოველი ცოდვა, სახელად _ «ღვთისმბრძოლობა», პირველ ცოდვასთან ისეა მიბმული, როგორც რტოზე ფოთოლი.

წმიდანები ამბობენ, რომ ცხონება საკუთარ ცოდვათა ხედვით იწყება. მადლის პირველი მოქმედება _ ეს სულის სიღრმისაკენ მიმართული სხივია, რომელშიც ადამიანი საკუთარ თავს, როგორც კეთროვანს, ცოდვის ქერცლით დაფარულს ხედავს. მის წინაშე ურჩხულებივით ჩნდებიან გულში ჩაბუდებული ვნებები. თუკი სული ცოდვას არ ებრძვის, არამედ თაყვანს სცემს მას, მაშინ ის თავად ხდება დემონის ხატი და მსგავსი. თუმცა სინდისის ქენჯნა ამას მიგვანიშნებს, მაგრამ ცოდვის მთელი დემონიზმი მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იხსნება. როცა სული ცოდვასთან, როგორც განდგომილების დამღასთან ერთად სამარადისოდ დარჩება, მას საშინელება შეაძრწუნებს.

გავიხსენოთ გასული საუკუნის 20-იან წლებში სატანიზმის თარეში თავისი სისხლიანი დანაშაულებებითა და გაწაფული მკრეხელობით. ეს არის ცოდვის ამოფრქვევა ადამიანთა

სულის სიღრმიდან, როგორც ჯოჯოხეთიდან. სული მიწიერი ცხოვრების წიაღიდან მარადისობაში ქრისტეს ან სატანის სახით იბადება. მკვდრეთით აღდგომის შემდეგ კი არა მხოლოდ სული, არამედ სხეულიც იმის სახეს მიიღებს, რასაც ადამიანი ემსახურებოდა. ამაშია სამოთხისა და ჯოჯოხეთის, საუკუნო ნეტარებისა და საუკუნო ტანჯვის საიდუმლო.

ცოდვას თავისი აპოლოგეტები ჰყავს; მათი რიცხვი ყოველ საუკუნეში იზრდება და მათი ხასიათი ყოველ ათწლეულში სულ უფრო თავხედური და ცინიკური ხდება. ლიბერალებს უნდათ ცოდვით დაცემის ტრაგედია ბედნიერი დასასრულის მქონე თავშესაქცევ რომანად აქციონ. იმისთვის, რომ ცოდვილი დაამშვიდონ, ორიგენისტები ახალ თეორიებს თხზავენ. მის სასთუმალთან დახრილები, როგორც შაჰრაზადა ალ-რაშიდს, ზღაპრებს უყვებიან, ოღონდ არა «ათას ერთი ღამიდან», არამედ ორიგენესა და კაპოკრატეს გადმოცემებიდან. მათი მთავარი დოგმატია _ საბოლოო საყოველთაო ცხონება.

მაგრამ უფალმა დედამიწაზე არა ცოდვასთან და სატანასთან ერთად მშვიდობა, არამედ მადლის ცეცხლოვანი მახვილი მოიტანა, რომელიც სიკეთესა და ბოროტებას საუკუნოდ გაყოფს, დასრულდება მირაჟი და დაიწყება მწარე გამოღვიძება.

შესაძლებელია თუ არა პატრისტიკის აღორძინება

მე-19 საუკუნის მიწურულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის ეკლესიაში გაისმა ახალგაზრდობის ხმა იმის თაობაზე, რომ საჭიროა სქოლასტიკიდან[28] პატრისტიკასთან[29] დაბრუნება, უარი ითქვას ლიტურგიკასთან ღვთისმეტყველების დაახლოების ეგრეთ წოდებულ (უფრო სწორად მათ მიერ წოდებულ) «იურიდიულ თეორიაზე». ეს ღვთისმეტყველები მხურვალედ საუბრობდნენ იმაზე, რომ სქოლასტური მეთოდი ღვთისმეტყველების ინვოლუციას და დეგრადაციას წარმოადგენს წმ. მამათა თხზულებებთან მიმართებაში, რომლებთანაც თეოლოგიური კვლევა წარმოდგენილი იყო როგორც დიდ ტილოზე შესრულებული ერთიანი სურათი და თვით სტილი ამ ნაწარმოებებისა, მეტაფიზიკური ჭეშმარიტების უშუალო და ცოცხალი აღქმის დასტური იყო.

პატრისტიკულ ლიტერატურაში ორი გნოსისის ჰარმონიას ვხედავთ: გონების და გულის; წმიდა გადმოცემების და შინაგანი სულიერი გამოცდილებისა. ახალგაზრდა თეოლოგები პატრისტიკის პერიოდის ნოსტალგიამ შეიპყრო და ისტორიის საჭის შებრუნება «ოქროს საუკუნისაკენ» სურდათ. მაგრამ, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, საერთო თანხმობის მიუხედავად საქმე არ იძვროდა: გაისმოდა მოწოდებები, რასაც თანხმობის ექოთი ეხმაურებოდნენ, იქმნებოდა პროექტები, რომელთაც თანაუგრძნობდნენ, სქოლასტიკური მეთოდი კი განაგრძობდა არსებობას, თითქოსდა კრიტიკოსებს არ შეეძლოთ მისი მტკიცე ჯავშნის გარღვევა. კეთილი ზრახვები საკმარისად იყო, მაგრამ ამის იქით საქმე არ მიდიოდა.

ეკლესიის მრავალი ღვთისმეტყველი და ისტორიკოსი მართლმადიდებლურ სასწავლებლებში მე-17, მე-18 ს. შეჭრილ სქოლასტიკას კათოლიკური მეთოდოლოგიის არაკრიტიკული დასესხებით საკმაოდ გლუვად განმარტავს. ამიტომ ისინი თვლიან, რომ საკმარისია საღვთისმეტყველო მეცნიერებას ისტორიული «ქაფი» მოეხსნას, ლათინური ტერმინები ბერძნული ან რუსული ექვივალენტით შეიცვალოს, მოსცილდეს სწავლების სქოლასტური სტრუქტურა, ანუ უხეში, ანალიტიკური სისტემა, _ და სკოლებში პატრისტიკული ღვთისმეტყველება დაბრუნდება. თუმცაღა ეს საკითხი არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. თვით სქოლასტიკა კათოლიციზმში დროის სულმა წარმოქმნა. ანალოგიურმა სისტემებმა აღმოსავლეთში მაშინ იწყეს გამოჩენა, როცა ჰუმანიზმმა საზოგადოების ჟანგივით გამოხვრა და ეკლესიის საკრალურ სივრცეში შემოჭრა დაიწყო. კაცობრიობა საუკუნეების მიყოლებით კატასტროფულად კარგავდა სულიერებას. პატრისტიკისათვის აუცილებელი იყო ცოცხალი მისტიკური და ლიტურგიკული გამოცდილება. უამისოდ «თვალი სულისა» ბრმავდება და როგორც მცენარე ფესვის გარეშე, იშრიტება სულიერი სამყაროს უშუალო ხედვის უნარი, რასაც წმიდა მამებთან ჭვრეტა ეწოდება და რომელსაც რწმენა უტყუარობის ხარისხში აჰყავს. ღვთისმეტყველება ადამიანთა გულებში დასაყრდენს ვეღარ პოულობს და ამიტომ როგორც მაშველ რგოლს, ცოდვებით ნაკლებ დაზიანებულ ადამიანურ გონებას _ გონების ძალას ეჭიდება, ღვთისმეტყველებას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. როცა კაცობრიობის სულიერების დონემ იკლო, როგორც გვალვისას მდინარემ, ღვთისმეტყველებამ საშველად ყოფილ მსახურს, აწ მოკავშირეს _ გონებას უხმო, რათა აბსტრაქტულ სისტემას დაყრდნობოდა. დადგა ალტერნატივა: ან საკუთარი სახლის ფანჯრის გისოსივით უხეში

ანალიტიკური სისტემა, ან შეხედულებათა ქაოსი და ფართო ველი თეოლოგიური მანიპულაციებისათვის. აქამდე ჭეშმარიტების კომპასს გული მართავდა, ამიერიდან კი ის ლოგიკის კანონებს უნდა ემართათ. თუმცა სქოლასტიკა ზელოგიკურ დოგმატებს სცნობდა, მეტაფიზიკური საგნების შესწავლის საკითხებში ის ჩვეულ რაციონალისტურ მეთოდზე გადავიდა: აბსტრაგირების, ანალიზის და სინთეზის. ღმერთი ადამიანის სულის შინაგანი ფაქტორიდან კვლევის გარეგან ობიექტად იქცა. ღვთისმსახურებაში ჩართვა და ლოცვითი განწყობა ნაწილობრივ აქარწყლებდა ამ წინააღმდეგობას, მაგრამ სეკულარიზაციის პროცესი ძალებს იკრებდა. ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოები ღმერთის შესახებ ერთგვარი «მარმარილოსებრი» სიცივით წერენ ისევე, როგორადაც შესაძლოა მსჯელობა ფილოსოფიურ წყობასა და დასკვნებზე, სადაც თვით წმიდა წერილის სიტყვები პოსტულატებად აღიქმება. და მაინც, სქოლასტიკა, რომელსაც ადამიანის გულში არ ჰქონდა ფესვი გადგმული, მას თავისუფალს ტოვებდა როგორც სიკეთისათვის, ასევე ბოროტებისათვის. ადამიანს შეეძლო პირადი ღვაწლით განევითარებინა საკუთარი სულის მისტიკური ინტუიციები, ლოცვით გაეთბო გული და პირიქით _ შეეძლო ლოგიკური სქემის დამსწავლელი ათეისტი ყოფილიყო.

ამჟამად შეინიშნება ახალი ტალღა, რომელსაც «პატრისტიკული აღორძინება» სურთ უწოდონ, მაგრამ ამას არც საზოგადოების ცხოვრებაში და არც ადამიანის გულში არა აქვს საფუძველი, ამიტომ პარალელური აღმშენებლობის არმქონე ნგრევად _ რევიზიად გადაქცევა ემუქრება. ჩვენ უაპელაციოდ გვიცხადებენ: «მართლმადიდებელი ეკლესიის სიმბოლური წიგნები და კატეხიზმოები კათოლიკური სკოლის მიბაძვაა» და მაშინვე იმ გზის გამეორება იწყება, რომელიც პროტესტანტიზმმა უკვე განვლო. სქემა სუბიექტური კვლევით იცვლება, ლოგიკის დესპოტიზმს კერძო აზრთა ანარქიზმი ცვლის (არისტოტელეს დესპოტიზმს _ დიოგენეს «მორწმუნის» ანარქიზმი). ბატონ «სქოლასტმბრძოლებს» არ სურთ გაიგონ, რომ პატრისტიკასთან შეკვეთით დაბრუნება ნაკლებადაა შესაძლებელი. თანამედროვე ადამიანის მენტალიტეტი სხვაგვარი გახდა. სქოლასტიკა პატრისტიკასთან შედარებით შესაძლოა ნეგატიური სახითაც წარმოადგინო, მაგრამ რატომღაც ცოტანი თუ დაფიქრებულან საკითხზე: იყო კი სინამდვილეში სქოლასტიკა სულიერების დაცემის საბედისწერო მიზეზი? თუ იგივე დაცემის შედეგი იყო ამავდროულად? სქოლასტური სისტემების მკაცრი რეგლამენტის დარღვევით თანამედროვე ღვთისმეტყველის გონება ხომ არ აღმოჩნდება «კოსმოსური უწონობის» ან უმართავი ყოვლისმსანსლავის მდგომარეობაში? ხომ არ იქცევა ეს რევოლუციური რომანტიკა ეკლესიის გადმოცემების წინააღმდეგ ბრძოლად, ხოლო თვით პატრისტიკა მხოლოდ ეგზოტიკურ მოდად და შესაძლოა ახალი «ღვთისმაძიებლობის» პრელუდიად თანამედროვეებისათვის, რომლებისთვისაც უცხოა წმიდა მამათა სული და აქედან გამომდინარე მათი თხზულებებიც?

თანამედროვე ადამიანი პატრისტიკისაგან მეტადაა გათიშული, ვიდრე სქოლატიკისაგან. იმისათვის, რომ პატრისტიკა გასაგები გახდეს, არა მხოლოდ სასკოლო პროგრამა უნდა შეიცვალოს, ასევე ქრისტიანული საზოგადოებების და უპირველეს ყოვლისა, ღვთისმეტყველთა ცხოვრება და მენტალიტეტიც.

აქ საჭიროა არა რეფორმა, არა ბრძანება ხელმოწერითა და შტამპით, არამედ ასკეზი _ თუ არა და დაიწყება წმიდა მამათა ციტატებით და სახელებით მანიპულირება, რაც მათთან

ერთად ერთ კალაპოტში დინების, მათ თხზულებებთან შინაგანი თანხმობის გარეშე მოხდება; ვარსკვლავების შესახებ უსინათლოების კამათად იქცევა.

ვფიქრობთ, რომ სინამდვილეში პატრისტიკის აღორძინების საფარქვეშ, სამსჯავრო მზადდება, მაგრამ არა სქოლასტიკის, არამედ მართლმადიდებლობისა, რომელსაც მოწინააღმდეგის დროშასავით ნაკუწებად დაფლეთენ, და თითოეული, ვისაც მოესურვება, ამ ნაკუწებისაგან «ნეოპატრიოტული ნეომართლმადიდებლობის» საკუთარი «შე-მოქმედებითი» სურათის შეწებებას დაიწყებს.

რისთვის გვითმენს უფალი?!

ვნებამდე მცირე ხნით ადრე, ელეონის მთაზე, უფალმა თავის მოწაფეებს საუბარში სამყაროს მომავალი აღსასრულის ნიშნები აუწყა. მან თქვა, რომ ბოლო დღეები წარღვნამდელი მსოფლიოს მდგომარეობის მსგავსი იქნება, ბიბლია და წმინდა მამები ნოეს დროის ადამიანთა ღვთისაგან საყოველთაო განდგომაზე მიგვითითებდნენ. ბიბლიის თანახმად: *«არა დაადგრეს სული ჩემი კაცთა ამათ შორის უკუნისამდე ყოფისათვის ამათისა ჴორც...»,* ანუ ადამიანები უსულო ხორცად იქცნენ.* ჯერ კიდევ მსოფლიო წარღვნამდე, ცოდვისა და ბოროტების სხვა წარღვნამ ამოხეთქა ჯოჯოხეთიდან და წალეკა დედამიწა. გარყვნილებამ, ჯადოქრობამ, დემონის თაყვანისცემამ, რიტუალურმა მკვლელობებმა ის სატანის ტაძრად აქციეს. კაცობრიობამ თავისი თავი დასაღუპად თვი-თონ გაწირა. ადამიანის ზნეობა იმდენად დაჩლუნგდა და დაიხშო, რომ მას აღარ ესმოდა ცოდვის მნიშვნელობა. ერთ-ერთი წმინდანის სიტყვით, როცა ნოემ თანამემამულეებს სინანულისაკენ მოუწოდა, ისინი ვერ მიხვდნენ, თუ რას ითხოვდა მათგან ნოე, რა უნდა მოენანიებინათ. «ჩვენ ისე ვცხოვრობთ, როგორც ყველანი» _ პასუხობდნენ მართალ ნოეს. აღორძინება შეუძლებელია სინანულის გარეშე და ისინი ცოცხალ, მაგრამ უკვე ხრწნადაწყებულ გვამებს დაემსგავსნენ. «ჩვენ ისე ვცხოვრობთ, როგორც ყველანი» _ ამ თავისმართლებამ ვერავის უშველა, წარღვნის ზვირთებმა ყველანი ერთ ვეება საფლავში ჩამარხა. კაცობრიობის საყოველთაო და შეუქცევადი დაცემის მიზეზი ოკულტიზმი და დემონის თაყვანისცემა იყო. მაგია და ოკულტიზმი შეფარულად, შენიღბულად, ზოგჯერ კი აშკარად შეიცავდა სატანის კულტს ყველა რიტუალით _ ადამიანის მსხვერპლშეწირვითა და გარყვნილებით.

მრავალნი ჩვენს დროს რელიგიის აღორძინების დროდ მიიჩნევენ: იხსნება მონასტრები, ახლდება და შენდება ტაძრები, ხელმისაწვდომი გახდა სასულიერო ლიტერატურა. ისეთ სფეროებშიც კი, როგორიცაა საბუნებისმეტყველო მეცნიერება და ფილოსოფია, მატერიალიზმმა შევიწროვება განიცადა და ადგილი სხვა კონცეფციებს დაუთმო. ჩვენ ვხედავთ, რომ პლატინა, რომელიც დიდხანს კეტავდა მდინარეს, აღებულია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ქრისტიანობასთან ბრძოლა გრძელდება, ოღონდ სხვა ფორმებით და თანამედროვე ლიბერალიზმი ამ დასაბამიერი ბრძოლის ახალ რგოლად გვევლინება. პასუხისმგებლობა ამისათვის არ გვინდა რომელიღაც პარტიებსა და სტრუქტურებს დავაკისროთ _ პროცესი მეტისმეტად გლობალურია. აქ ჩვენ სატანურ გეგმას ვხედავთ, ამ სიტყვის არა მხოლოდ გადატანითი, ზედმიწევნითი მნიშვნელობითაც.

გასული პერიოდი ქრისტიანობაზე ტოტალური თავდასხმის პერიოდი იყო და წარმართი იმპერატორების დროინდელ დევნას ჰგავდა, ოღონდ გაცილებით სასტიკ და დახვეწილ ფორმებში. მილიონობით ადამიანი აწამეს რწმენისათვის, სიწმინდეები დაინგრა და შეიბილწა. აქ ხდებოდა არა ორი მსოფლმხედველობის, არამედ ორი რელიგიის შეჯახება _ ქრისტესი და სატანისა. ამ ჰეკატომბებში[30] ცეცხლივით ენთო ღვთისადმი სიძულვილი, თითქოს სატანამ ბრძოლაში ზეცა გამოიწვია; სატანურ სექტებს ამაოდ არ ჰქონდათ დევიზად სიტყვები: «ღმერთზე შურისძიება», რევოლუციის «მთავარმა დამპროექტებელმა» _ მარქსმა ამიტომ შეარქვა რევოლუციას _ «ზეცის შტურმი».

* დაბ. 6,3

მონაზვნებისა და მღვდლების განადგურება, ტაიგასა და საკონცენტრაციო ბანაკებში იმათი გადასახლება, ვინც ეკლესიაში დაუფარავად დადიოდა, ტაძრების კლუბებად გადაკეთება, სადაც ანტირელიგიურ სპექტაკლებს დგამდნენ, ასევე მათი საზოგადოებრივ ტუალეტებად, მონასტრებისა კი ციხეებად და დაკითხვის ადგილებად ქცევა _ ეს აღარაა სოციოლოგია და ფილოსოფია, ეს დემონიზმია, საკუთარი ხალხის, ამასთან მისი საუკეთესო ნაწილის მიმართ უმეტესწილად ბოროტმოქმედების და სადისტების ხელით განხორციელებული დემონიზმი. თუკი ამ ყველაფრიდან მთავარ მოქმედ პირს _ სატანას გამოვრიცხავთ, გაუგებარი დარჩება ყოველივე.

დევნა, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში ანალოგი არ ჰქონდა, სისხლში ჩაიხრჩო. მან მოგვცა როგორც განდგომილნი, ასევე ქრისტესთვის წამებულნი. უხეშმა და უხამსმა მატერიალიზმმა ხალხის გულიდან რწმენის ამოძირკვა ვერ შეძლო. ადამიანი უნდა განადგურებულიყო არა ფიზიკურად, არამედ როგორც რელიგიურ-ზნეობრივი პიროვნება. ამიტომ ბნელმა ძალებმა დაასკვნეს, რომ პირველი ეტაპი დასრულდა და შემდგომზე გადავიდნენ. მათი ახალი ტაქტიკაა _ დაუნგრეველი დატოვონ და აღადგინონ ქვისა და აგურის ტაძრები, მაგრამ ადამიანის გულის ტაძარი ისე დაანგრიონ, რომ ის უუნარო გახდეს იმ მადლის მიღებისა, რასაც ის ეკლესიაში, საიდუმლოებებთან ზიარებისას იღებს. დევნის დროს კი ხალხი ლოცვისათვის ტაძრის ნანგრევებში იკრიბებოდა. ძალადობას, თვით სიკვდილსაც არ შეეძლო დაენგრია და დაემსხვრია ქრისტეს მიმართ ანდამატივით მტკიცე სულიერი სიყვარულის ქვები ქრისტიანებისა.

ამჟამად იდეოლოგიური დიქტატის და ათეისტური ცენზურის პლატინა თითქოსდა აღებულია, მაგრამ წყლის ჭავლთან ერთად დედამიწას ტალახისა და სისხლის ღვარი დაატყდა თავს. თავისუფლებასთან და ზნეობასთან შეთვისებული აღმსარებლობის თავისუფლების ნიღაბქვეშ, სექსისა და სისხლის კულტით, აშკარად მოჩანს იგივე შავბნელი სახე «სატანის რელიგიისა». წიგნის მაღაზიები და ტელეეკრანი წალეკა პორნოგრაფიამ. პიროვნების ინტიმურობა, მისი გრძნობების ენა _ ხელოვნება, არსებითად პირდაპირ სატანიზმად თუ არა, მის პრელუდიად იქცა. ალბათ გვეტყვიან: «ადამიანურ ნებაზე არავინ ძალადობს, ვინ გაიძულებთ ის წიგნები იკითხოთ და იმ სურათებს უყუროთ, რომლებიც გარყვნილად მიგაჩნიათ? დაე თითოეულმა საკუთარი საზრდო თვითონ აირჩიოს, ცენზურა ძალადობაა, დაე საკუთარი ნება იყოს ცენზურა».

მაგრამ ეს სიცრუეა. ზნეობისაგან თავისუფლება ზნეობაზე ძალადობად იქცა. სექსის სიბინძურე ადამიანს ყოველ ნაბიჯზე თან სდევს: ტელევიზორმა თავისი საცეცებით ყველაზე შორეულ დასახლებებს, კოსმოსსა და ოკეანის ფსკერს მიაღწია. ადამიანებს თავსმოხვეული აქვთ ერთი და იგივე, გლობალურად განხორციელებადი პროგრამა, მას ვერსად დაემალები. ხელოვნება თანაგანცდაზე, გმირების ემოციურ სამყაროში ჩართვაზეა დამყარებული. ამიტომაც გარყვნა ბავშვობიდან იწყება. იქ, სადაც ადრე ჭრელი პლაკატები იყო კომუნიზმის შენების მოწოდებით, სხვა პლაკატები გაჩნდა, რბილად რომ ვთქვათ, შიშველი ქალების გამოსახულებით. ამის არდანახვა, ქუჩაში ახვეული თვალებით სიარულს ნიშნავს. ჩვენ სროსკიპოში ჩაგვკეტეს და გვეუბნებიან: _ თუ არ მოგწონთ, წარმოიდგინეთ, რომ საბავშვო ბაღში ხართო.

მეორე კულტი _ ესაა სისხლის და მკვლელობის კულტი. წიგნების გარეკანიდან გვიმზერენ პისტოლეტიანი განგსტერები, ნიღბიანი მკვლელები და სისხლისაგან დაცლილი მსხვერპლი. იქვეა წიგნები დემონთა გამოსახულებით, პრაქტიკული მაგიის,

ასტროლოგიის, აღმოსავლური ოკულტიზმის სახელმძღვანელოები. ეს წიგნები დემონური ძალებისა და ენერგიის ერთი განუყოფელი თავმოყრაა, ისინი ერთ საქმეს აკეთებენ. რამდენიმე წლის წინ ამ ადგილას ეწყო წიგნები ეგრეთწოდებული მეცნიერული მატერიალიზმის შესახებ. დღეს ისინი გაქრა _ თითქოსდა ძველი იარაღი ჩამოწერეს და ახლით შეცვალეს.

ტაძრებში ღვთისმსახურება აღესრულება, ახალი ეკლესიების აგება იგეგმება. ჩვენ, ქრისტიანები რაღა თქმა უნდა, მოხარულნი ვართ ამისა, მაგრამ ერთი გარემოება გვა-ფიქრებს: ეკლესია _ ეს ღმერთთან ურთიერთობის, ადამიანის სულის განწმედის, გულის მადლით გასხივოსნების ადგილია. ამის გარეშე ის წარსულის საფლავის ძეგლად დარჩება. პორნოგრაფიით და სექსით გარყვნილ ხალხს გული როგორღაც პარალიზებული აქვს, მას არ ძალუძს სულიერის მიღება. ამიტომ თვლიდა ეკლესია მთავარ ცოდვად მკვლელობას, მრუშებას და გარყვნილებას. ის ადამიანებს მრავალწლიან ეპიტიმიებს ადებდა, რათა მათ საშუალება ჰქონოდათ თანდათანობით, სინანულით განწმედილიყვნენ ამ ცოდვისაგან. ღირსი იოანე კიბისაღმწერელი შენიშნავს, რომ სიძვა არა მხოლოდ იწოდება ცოდვად, არამედ ესაა დაცემა. როგორც დაცემულს არ შეუძლია სიარული და ტალახში წევს, ვიდრე კვლავ ფეხზე არ დადგება, სიძვით დაცემული კაციც სულიერი ცხოვრების უუნაროა, ვიდრე ხანგრძლივი და მძიმე სინანული არ ექნება. ლიტერატურით, ვიდეოფილმებით, ქუჩის სექს-პლაკატებით გახრწნილი ადამიანები, ეკლესიაში მოსულები, თუ არ ინანიებენ, გვამებივით დგანან. მოინანიო _ ეს ნიშნავს, რომ გამრყვნელ სულს წინ აღუდგე, მაგრამ ცოტანი თუ ბედავენ ამას.

ადამიანის მტერი მისი საკუთარი ცოდვიანობაა. ამიტომ უმეტესობა ცდილობს კომპრომისი მოძებნოს: ცოდვასთან ბოლომდე კი არ იბრძოლოს, არამედ ერთგვარი ფორმალური, გადაკეთებული ცოდვით იცხოვროს, ანუ ისიძვოს თვალით, გულით, სულით, საქმით ჩადენილი ცოდვისაგან კი თავი შეიკავოს. უპირველეს ყოვლისა ეს ზღვარი მეტისმეტად მყიფე და არასაიმედოა, მეორე _ ღმერთს ადამიანის გული სურს: «მომიძღვენი შვილო გული შენი» _ ამბობს წინასწარმეტყველის პირით სული წმიდა; *«ნეტარ არიან წმიდანი გულითა»* _ გვამცნო ქრისტემ უპირველეს ქადაგებაში. გარყვნილი სურათებით შებილწული გული, მეტიც, იმდენად მიჩვეული ამ სურათებს, რომ ცოდვადაც აღარ ეჩვენება, ანუ გული, რომელიც სინანულს არ შედგომია, ქვას დაემსგავსა, თუმცა მადლის წვიმით იპკურება, მაგრამ არ ცოცხლდება. ასეთი ადამიანი ღვთისმსახურებას მშვინვიერად აღიქვამს _ არა როგორც სულის განწმედასა და განათლებას, არამედ ტაძრის გარემოთი _ გალობით და ა.შ. გამოწვეულ განსაზღვრულ ემოციებს.

ბნელი ძალა თითქოსდა ამბობს: ჩვენ ადამიანის ვენაში შხამის ინექციას შევუშვებთ, შემდეგ კი თუ მას უნდა, იაროს საავადმყოფოებში. უფალმა ბრძანა, რომ ლოცვის წინ ყველა მაწყენარს უნდა მივუტევოთ; ადამიანების მიმართ გულმოწყალება ღვთის მოწყალებას გზას უხსნის, ხოლო მკვლელობის კულტი შინაგანად მხეცად აქცევს მას. ეს არ არის მარტოოდენ ძალ-ღონის კულტი, არამედ ესაა ძალადობით ტკბობა. რომის ბრბო პურსა და სისხლიან სანახაობას ითხოვდა. ტელეეკრანებიდან და დეტექტივების ფურცლებიდან მომდინარე სისხლი არა თუ ზიზღს არ იწვევს, ის თანამედროვე სამზარეულოს პიკანტურ საკმაზად იქცა. კაცს, რომელიც ხარბი ცნობისმოყვარეობით და იდუმალი სიამოვნებით უყურებდა მკვლელობას, წამებას და მომაკვდავთა კონვულსიას, როგორ შეუძლია ტაძარში მოვიდეს და ილოცოს ღვთის წინაშე, ვისი სახელიც სიყვარულია?! გარყვნილ და სასტიკ

გულს არ შეიძლება ღმერთი უყვარდეს. რელიგიის არსი და ძალა კი ადამიანის სულსა და ღვთაებრიობას შორის სიყვარულშია. ჩვენთან იხსნება მონასტრები, რომლებიც «ქრისტიანობის გული» უნდა იყოს; «მონასტერი, ეს ეკლესიაა ეკლესიაში» _ თქვა ერთმა წმინდა მამამ. მონაზვნობა სოფლისაგან განდგომა და ღვთისადმი თავის მიძღვნაა; მონაზვნობამ უნდა შეინარჩუნოს ის, რასაც ქვეყანა კარგავს _ ლოცვა, გულის სიწმინდე, მდუმარება და სულიერი გამოცდილება. «კომპრომისების რელიგიას» _ ლიბერალიზმს სურს, მონასტრებს თავისი დაღი დაასვას. წმინდა მამები ამბობენ, რომ გულით ლოცვა უმაღლესი საქმიანობაა დედამიწაზე, ის დემონური დამანგრეველი ძალის წინააღმდგომი ძალაა, ის მანათობელია ქვეყნისა; ვიდრე ლოცვა არსებობს, ქვეყნიერება იარსებებს.

ლიბერალიზმი, რომელმაც ადამიანი ღმერთის ადგილზე დააყენა, მონაზვნობის სულს მოკვლას უქადის და მხოლოდ გარეგნული ფორმით სურს მისი დატოვება. თუკი დევნის დროს მონასტრები პირველნი ღებულობდნენ მძიმე დარტყმას, ახლა საქველმოქმედო დაწესებულებებად აპირებენ მათ გადაქცევას, უნდათ გამოთიშონ და მოაცდინონ ყველაზე მთავარს _ მდუმარებას და ლოცვას. ჩნდება მონასტრის ახალი სახე, რომელიც კათოლიკურ ორდენს, ან კიდევ მოწყალების დების წითელ ჯვარს მიმაგრებულ საზოგადოებას წააგავს. თუკი ამგვარი მონაზვნური ქველმოქმედების შედეგებს შევხედავთ, ის უბადრუკია, მაგრამ ამით შესაძლებელია მონასტრებიდან თავისებური რეკლამის გაკეთება, და მონაზვნების დაყენება კამერის წინ. მათ ჩააგონებენ, რომ სიკეთე უნდა აკეთონ, ამასთანავე ხელოვნურად ხდება იმის მიჩუმათება, რომ აქ უმაღლესი უმდაბლესით იცვლება, ანუ იმით, რისი გაკეთებაც ერის ხალხს ასეთივე წარმატებით შეუძლია, იმით, რაც სამონაზვნო აღთქმას არ შეესაბამება. მონაზვნები თანდათანობით კარგავენ ლოცვას და მანტიით შემოსილ ერისკაცებად გარდაიქმნებიან. ღირსი ისააკ ასური ამბობდა: «თუკი ქველმოქმედების საქმეების გამო მონაზონმა ლოცვა და მდუმარება უნდა დაუტევოს, დაე წარხდენ საქმენი ესე».

სოფლიური საქმით დაკავებული მონაზონი ვერ დაეხმარება სოფელს, ის თვითონ იქცევა ამასოფლის ნაწილად, და არც თუ იშვიათად _ ქვეყნის დასაცინიც ხდება. მონაზვნები, განსაკუთრებით კი მონაზონი დედები _ ეს ის ყვავილებია, რომლებიც ორანჟერეაში იზრდებიან, ანუ ქვეყნისაგან იზოლაციაში, ჩაამსხვრიე ორანჟერეის მინა და მათ სიცივე გაანადგურებს.

ლიბერალიზმს არ ესმის, თუ რას ნიშნავს ლოცვა. მისთვის მონაზვნური ცხოვრება ეგოიზმია და ეს მაშინ, როცა მონაზვნებს დემონურ ძალებთან ბრძოლის მთავარი სიმძიმე აწევთ, რის შესახებაც სოფელმა არაფერი იცის. ლოცვა არც ფსიქოთერაპიაა და არც თვითშეგონება, როგორც განმარტავს არასულიერი სამყარო, არამედ ის ძალაა, რაც აპოკალიპსისის სიტყვების მიხედვით, დემონებს აშვების საშუალებას არ აძლევს, ანუ _ მადლის ძალა. განა შეიძლება ადამიანებისათვის იყოს რაიმე იმაზე მეტი, ვიდრე სიხარული, რასაც ისინი მონასტრის კარიბჭეში შესვლისას განიცდიან? სადაც ჰაერი და მიწა, როგორც მზის სხივებით, ლოცვითაა განწმედილი? განა შესაძლოა ვინმემ ადამიანებს იმაზე მეტი სარგებლობა მოუტანოს, ვიდრე იმან, ვინც კაცთა ცოდვების მიტევებისათვის თავისი გულის საკურთხეველში ლოცულობს? ერთ მლოცველსაც კი შესწევს ძალა, შეცვალოს ისტორიის მსვლელობა! ღირსი არსენი დიდი ხალხს გაურბოდა და ზოგიერთ მონაზონს არაკეთილგანწყობილი და მკაცრი ეჩვენებოდა, მაგრამ იგი სენაკში ყველაზე ძნელს, თვითდაწვის სადარ საქმეს აღასრულებდა, _ ეს იყო ქვეყნიერებისათვის ლოცვა.

უფალმა მისი ლოცვით შეიწყალა ბიზანტია ისევე, როგორც წინასწარმეტყველ იონას დროს ნინევია: მიწისძვრა, რომელსაც მთელი ოლქები უნდა გაენადგურებინა (როგორც ეს შემდგომში ეგვიპტელ მამებს ეუწყათ), სწორედ ამ უდიდესი მოღვაწის ლოცვით არ მოხდა. წარმოვიდგინოთ, რომ მებრძოლებს, რომლებმაც მამული უნდა დაიცვან საშინელი, დაუნდობელი, მრისხანე მტრისაგან, იარაღის დაყრას და სხვა საქმის კეთებას სთავაზობენ: მაგ. კარტოფილის დათესვას, ან ჩექმის კერვას. თუმცა ესეც საჭიროა და აუცილებელი, მაგრამ ამისათვის მებოსტნეები და მეწაღეები არიან და არა მეომრები, რომელთა საქმეც საკუთარი სისხლის ფასად სამშობლოს დაცვაა. სატანური ძალა მსოფლიოზე დასხივებულ საშინელ რადიაციას ჰგავს. ლოცვა, განსაკუთრებით კი მონაზვნებისა, დაბრკოლებაა ამ სასიკვდილო ნაკადისთვის. სულიერად ბრმა ადამიანები იმეორებენ: «ის, ვინც განმარტოვდება და ლოცულობს, თავისთვის ცხოვრობს». ასე იმიტომ ამბობენ, რომ თავად «ხორცნი» არიან და სიკეთეც და ბოროტებაც ხორციელად ესმით.

მონაზვნობის დასაბამი უდაბნოში მცხოვრები ნათლისმცემლის ღვაწლი და მაგალითია, ასევე იოანე ღვთისმეტყველისა, რომელიც ცხოვრებას ლოცვასა და ჭვრეტაში ატარებდა. პირველ მათგანს დედათაგან შობილთა შორის უპირველესი» ეწოდა, მეორეს _ «საყვარელი მოწაფე ღვთისა». მათ თავიანთი გული წმინდად შეინახეს, ეს იყო მათი მთავარი ღვაწლი, ამიტომაც მათი გულები მადლის უშრეტ წყაროდ იქცა და ქვეყნიერებას ეფრქვეოდა.

მონაზვნებს უკიჟინებენ: გქონდეთ ურთიერთობა ხალხთან, იქადაგეთ, იარეთ სოფლებში გალობით, ეკამათეთ სექტანტებს, ავადმყოფებს მოუარეთ, აღზარდეთ ბავშვები და თან ილოცეთ, ანუ კეთილმსახური ერისკაცნი იყავით, მხოლოდ ოჯახით ნუ დამძიმ-დებით, დანარჩენში კი მათ მიემსგავსეთ.

ღირსი ისააკ ასური ამის შესახებ წერს, რომ თუკი მონაზონი ლოცვაში ჰგიებს, მაშინ სამყარო მის სამსახურშია. ახლა კი მოუწოდებენ: მონაზონო, ქვეყანას ემსახურე!

ერში ლოცვა და სიკეთის კეთება შეიძლება, მაგრამ ეს ლოცვის სულ სხვა დონეა. მდუმარეთა ლოცვა ცადავარდნილ ალს ჰგავს, ერთან ურთიერთობაში მყოფი მონაზვნის ლოცვა კი გაცვეთილ და დაკაწრულ დაფაზე დაწერილს. შთაბეჭდილებები კი გულში განუწყვეტლივ ლაგდება ერთმანეთზე. ასეთი ადამიანის გონება ვნებების გამო ქარისაგან დარწეულ ზღვასავით მერყევია. მონაზონი აღკვეცის დროს აღთქმას დებს _ ძველ მამათა გზას მისდიოს, იმათი გზა კი სწორედ რომ განმარტოება და მდუმარება იყო. თუკი მონაზვნური ლოცვა შესუსტდება, მაშინ ხახას დააღებს ის სულიერი სიცარიელე, რომლის ამოვსება ყველაზე კეთილი საერო საქმეებითაც კი შეუძლებელი გახდება.

ასკეზისა და ლოცვის სულის დამკარგავ მონასტრებს არ ძალუძთ ადამიანის სულიერი ნუგეში და აღორძინება. მათ თვალწინ დასავლეთის მონასტრების მაგალითი აქვთ, სადაც არა მხოლოდ საავადმყოფოების ორგანიზება ხდება, მომავალი პოლიტიკოსებისთვის საგანგებო სკოლებს და გოგონების კალათბურთის გუნდებსაც აყალიბებენ. წინა პერიოდებში მონასტრები გაანადგურეს, ახლა თუმცა კედლები შენდება, მაგრამ თვით სული ნადგურდება მონაზვნობისა. მონასტრის მომლოცველი კაცი ხედავს არა შინაგანად გაცისკროვნებულ მლოცველებს, არამედ კეთილი საქმით დაკავებულ ისეთივე კეთილ ადამიანებს, როგორიც არა ერთი უნახავს ერში. წმიდა მამები შინაგან ლოცვას უმაღლეს მეცნიერებას უწოდებენ, ხელოვნებათა ხელოვნებას, კაცის გულში დატეულ ზეცას, ღვთაებრივ სიყვარულს, ანგელოზებრივ სილამაზეს, წყვდიადში მბრწყინავ გზამკვლევ ვარსკვლავს, კაცის გულში მორაკრაკე წყაროს ცხოვრებისას, გალობათა გალობას,

მარადიულ სიხარულს, გულის სიცოცხლეს, საყოველთაო მკვდრეთით აღდგომამდე აღდგომას სულისას, სულის მამხიარულებელ ზეციურ ღვინოს, ადამიანის გულში დაუნჯებულ საგანძურს, სატანის წინააღმდეგ მიმართულ ცეცხლოვან მახვილს, რწმენის ციხე-სიმაგრეს, ჯოჯოხეთის ძალთაგან უძლეველს, სამოთხის ყვავილთა საუცხოო ბაღს. ყოველივე ამის არმცოდნე ქვეყანა ლოცვას პირად საქმედ, აუტოტრენინგად მიიჩნევს, არა ადამიანის სულიერი ცხოვრების ცენტრად, არამედ კეთილი საქმეების უკეთ გაკეთების ფსიქოლოგიურ განწყობად. თვითმიზნად ქცეული ეს კეთილი საქმეები ადამიანის გულის შინაგან მდგომარეობასთან დამოკიდებულების გარეშე განიხილება და ადამიანის ზნეობრიობის ექვივალენტი, უფრო ზუსტად კი მისი «სიწმინდის» საზომი ხდება.

ჩვენ ხორციელ გულმოწყალებას არ უარვყოფთ, მაგრამ სიკეთის გაკეთება არა მხოლოდ ქრისტიანს, მუსლიმანს, იუდეველს, წარმართს და ათეისტსაც შეუძლია სხვადასხვა მიზნებით და მოტივებით. ამ გაგებით მონაზვნის ღვაწლი განუმეორებელია და მას ვერანაირი შრომა ვერ შეცვლის. წმ. გრიგოლ პალამა გვასწავლის, რომ ისიხიოსის (მდუმარების) ღვაწლი _ ეს თაბორის ნათლის მოხვეჭაა. იგი მარადიულ, ცხოველმყოფელ, ღვთაებრივ ძალებზე და ენერგიებზე წერს, რომლებიც ღვთაებრიობის წიაღიდან ეფრქვევა სამყაროს და თავის თავს უცხადებს ქვეყნიერებას, როგორც სულიერ სინათლეს, როგორც მარადიულ ცხოვრებას და მისტიკურ ღვთივშემეცნებას, როგორც ღვთაებრიობის მოქმედებასა და ატრიბუტს. შინაგანი ლოცვით დაკავებული ადამიანი დამაკავშირებელი ხდება _ ჩაუმქრალი შუქი მისი გულის გავლით ანათებს ქვეყნიერებას. ამიტომ თქვეს წმ. მამებმა: «ანგელოზები _ ეს სინათლეა მონაზვნებისთვის, მონაზონი კი სინათლეა ქვეყნისა». როცა ის საკუთარ თავზე ქვეყნიურ ვალდებულებებსა და საზრუნავს იღებს, შეხვედრებითა და საუბრებით გულს მგრძნობელობითი სახეებით ივსებს, მაშინ ის კარგავს მთავარ საგანძურს _ ლოცვას. მისი სულიერი თვალი ღმერთიდან ქვეყანაზეა გადატანილი, სული კვდება, გული კი ცივდება და ქვასავით მაგრდება. ერთი მონაზვნის თქმით: მონაზონი იესოს ლოცვის გარეშე მატლებისაგან (ვნებებისაგან) შეჭმული გვამია. ეშმაკი მზადაა გარეშე საქმეებში დასახმარებლად, ოღონდაც ის ლოცვას ჩამოაშოროს. ღირსი ნიფონტ კონ-სტანტინოპოლელი ამბობდა, რომ ბერები აიშენებენ სახლებს, რომლებიც თავადების სასახლეებს ტოლს არ დაუდებენ, ხოლო ნილოს მირონმდინარე და სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი მათ წინასწარ აფრთხილებდნენ, ზედმეტად არ გატაცებულიყვნენ მეცნიერებითა და ფილოსოფიით, რადგან ამით ღვთაებრივი ნათელი ადამიანური გონების სინათლით იცვლება. მონასტრები, სადაც ბერები იესოს ლოცვით არ არიან დაკავებულნი, ჩამქრალ კოცონს ჰგავს, რომლის ნაცარში ნახშირი აქა-იქ ბჟუტავს. თუკი აღორძინების გზაზე დამდგარი მონაზვნობა პირით არა აღმოსავლური მონაზვნობის სულიერი გამოც-დილებისაკენ, არამედ თანამედროვე მსოფლიოს წარმოდგენების გაგებისაკენ იქნება მიქცეული, მაშინ ის ჭეშმარიტების ნაცვლად წინააღმდეგობრიობისა და სიცრუის მატარებელი გახდება. დემონის ერთ-ერთი დიდი გამარჯვებაა მონაზვნობის ახალი ტიპის შექმნა ანუ ისეთი მონაზვნისა, რომელიც იესოს ლოცვის გარდა ყველაფრითაა დაკავებული. ადამიანი მონასტერში ერიდან მოდის, მისი სულით და შეხედულებებით გაჟღენთილი, დასუსტებული ნებით, მუწუკივით აღგზნებული ამპარტავნებით, ცოდვიან მოგონებათა სიმყრალით, მოწამლული გულით, რომლის ფსკერზეც გველებივით ჩახვეულან ვნებები. ადამიანს დემონთან და საკუთარ თავთან მძიმე ბრძოლა ელის, ის თითქოსდა მეორედ უნდა იშვას. მას კი არწმუნებენ, რომ ღმერთს და ხალხს

ერთდროულად უნდა ემსახუროს, ღირსი სერგი რადონეჟელის და იოანე ზედაზნელის მაგალითები მოჰყავთ _ ღირსი სერგი რადონეჟელი მთავრებს მოძღვრავდა, იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფენი საქართველოში მაზდეანობასთან საბრძოლველად ჩამოვიდნენ; ასევე ამბროსი ოპტინელისა, რომელიც დილიდან დაღამებამდე ხალხს ღებულობდა.

ეს იგივეა, რომ ჩვილი გამოცდილ მეომარს შეადარო. ამასთანავე ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი რამის მიჩუმათება ხდება, კერძოდ იმისა, რომ იოანე ზედაზნელმა და «სრულიად რუსეთის მასწავლებელმა» ღირსმა მამებმა: სერაფიმე საროველმა, ამბროსი ოპტინელმა და სხვებმა მთელი სიცოცხლე მონასტერსა და უდაბნოში გაატარეს და თავიანთი სენაკის კარი მხოლოდ იმის შემდეგ გახსნეს, რაც თავმდაბლობა და დიდი ღვთაებრივი მადლი მოიხვეჭეს, მათ მხოლოდ ამის შემდეგ დაუტევეს უდაბნო და დაყუდება.

ახალგაზრდა მონაზონს იმით დაწყებას ურჩევენ, რითიც ღირსმა სერაფიმე საროველმა და იოანე ზედაზნელმა დაასრულეს. ასეთი ცხოვრების სიყალბესა და შეუსაბამობას ზოგიერთი მაშინვე გრძნობს. მათ ეჩვენებათ, რომ ნადიმზე დაუძახეს, ტრაპეზის ნაცვლად კი ქვიშით სავსე თეფშები დაუდგეს და პირიქით: გამოუცდელნი, იმ ფიქრით, რომ ისინი თითქმის ხალხის მხსნელები არიან, თავიანთ თავს იმ ძველ მოღვაწეებს ადარებენ, ვინც ქრისტიანობაზე ქალაქებსა და სოფლებს მოაქცევდნენ. ამგვარი ფიქრი მათ საშინელ ამპარტავნებაში აგდებს, ახალ განმანათლებელთა პოზა მათ ვნებებს ესიტყვება, თავმდაბლობის, ანუ მონაზვნური ცხოვრების საფუძვლის ნაცვლად მათ გულებში ამპარტავნების მუწუკი და ეჭვია ჩაბუდებული.

ერთმა განდეგილმა უთხრა მოწაფეს, რომელსაც ერში საქადაგებლად წასვლა სურდა: «არ შეიძლება ადამიანმა გაჭრილი ხელისგულით შხამი ატაროს». ასეთ დროს შესაძლოა გაჩნდეს რაღაც სულიერ-რელიგიური მატერიალიზმი, სადაც ადამიანის ცხოვრების ღირებულება იმ გარეგანი საქმეებით განისაზღვროს, რომელიც ფოლადისა და ნახშირის გადამუშავების მსგავსად, მოცულობით და წონით იზომება.

მივმართოთ ჩვენთვის უმაღლეს ავტორიტეტს, ღვთაებრივ გამოცხადებას _ ბიბლიას. გამოსვლის წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ შეიყვანა ისრაელიტელნი აღთქმულ ქვეყანაში მოსემ. წითელი ზღვის ნაპირთან მათ ფარაონის ჯარი წამოეწიათ ფოლადის აბჯროსანი მხედრებით, ისრებითა და შუბებით შეიარაღებულ მშვილდოსანთა ეტლებით. ფარაონი თავს უძლეველად თვლიდა, მისი ჯარი ქალაქებსა და სიმაგრეებს ტოტებისა და ბალახის ქოხმახებივით ანგრევდა. ისე ჩანდა, თითქოს ებრაელები დასაღუპად იყვნენ განწირულნი: წინ ზღვის უფსკრული იყო, უკან კი ფარაონის ჯარი მოდიოდა ცეცხლოვანი ზვავივით. და აი, უფალმა ჰკითხა მოსეს: *«რასა ჰკმობ ჩემდა მომართ?».*[*] დუმდა მოსე, მაგრამ მისი გული უხმოდ შეჰღაღადებდა ღმერთს და ეს უხმო ლოცვა, რომელშიც მას მწუხარებისგან გული სამოსივით ეფლითებოდა, ზეცას მისწვდა. არა წინასწარმეტყველების ნიჭმა, არამედ ყველასათვის უსმენელმა შინაგანმა ლოცვამ სასწაული მოახდინა _ ზღვა გაიპო. მისი ფსკერი ისრაელიტელებისათვის ქვის სავალ გზად იქცა. შემდეგ ტალღები შეიკრა და ზღვის უფსკრულმა ეგვიპტელები დაასამარა.

უდაბნოში ებრაელებს გზა ამალეკებმა გადაუღობეს. მოსეს მათთან ბრძოლა არ უნდოდა, ვინაიდან ისინი ლოტის ჩამომავლები იყვნენ. მაგრამ ამალეკები შეუბრალებელნი აღმოჩნდნენ. გაჩაღდა ომი. მოსე შემაღლებულ ადგილას დადგა, ხელები აღაპყრო და

[*] გამოს. 14, 15.

ლოცვაში ჩაიძირა. ვიდრე ის ლოცულობდა, ებრაელები იმარჯვებდნენ, როგორც კი ლოცვას შეწყვეტდა და დაქანცულ მკლავებს დაუშვებდა, მტერი შეტევაზე გადმოდიოდა. ისო ნავეს ძე და ორი დარწმუნდნენ, რომ ბრძოლის ბედს არა მახვილი, არამედ ღმერთი წყვეტდა. ისინი მოსეს გვერდით დადგნენ და ხელები დაუკავეს. წმ. მამები აქ ხედავდნენ დემონურ ძალას, რომლის დამარცხება მხოლოდ გულიდან ამოსულ ლოცვას შეუძლია.

იფერფლება მონაზვნობა და დემონურ ძალებს წინ აღარაფერი ეღობება. მონაზონთა შინაგანი სულიერი საქმიანობის _ იესოს ლოცვის დაკარგვა და გამშვინვიერება დემონის ერთ-ერთი გამარჯვებაა.

ღვთაებრივი ლიტურგია უდიდეს ძალას ფლობს, ამიტომ დემონი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ადამიანები ტაძრიდან ცარიელები წავიდნენ. მრავალი მღვდელი არა მხოლოდ არ მოუწოდებს მორწმუნეებს ზიარებისაკენ, უკრძალავს კიდეც ხშირად ზიარებას, თუმცა ძველ ეკლესიაში ლიტურგიაზე დამსწრე ყველა მორწმუნე ეზიარებოდა (იმათ გარდა, ვისაც ეპიტიმია ჰქონდა დადებული). უსისხლო მსხვერპლშეწირვის შემდეგ ზიარება სიდიდით მეორე მადლია ღვთისა ადამიანებზე და მღვდელმსახური თავის მრევლს ყოვლად უსაფუძვლოდ აღუკვეთს ამ უკვდავების წყაროს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ცრურწმენა, რომელიც ეკლესიაში დაინერგა.

ტაძარში ადამიანი კიდევ ერთ უცნაურობას აწყდება _ ენის გასატეხ კითხვას კლიროსზე. თითქოს წამკითხველი წიგნის ფურცლებზე თავქუდმოგლეჯილი გარბის, რათა ფინიშივით სწრაფად მიაღწიოს სიტყვას «ამინ». მართლმადიდებელი ეკლესია როგორც ძვირფას განძს, საღვთისმსახურო ტექსტებს ფლობს შეუდარებელი სიღრმისა და სილამაზის ჰიმნოგრაფიებით. ლოცვის აზრი, საეკლესიო ენის სილამაზე _ ეს ყველაფერი გაუგებარ ყრუ გუგუნში იკარგება. ტაძარში მდგომი ადამიანი ან თავს ანებებს რაიმეს გაგების მცდელობას და შინაგანად ლოცულობს, ან მოწყენილობისაგან ფეხიფეხ გადადებული ელოდება ღვთისმსახურების დასრულებას. რას გაიგებდა მოწაფე, მასწავლებელს ასე სხაპასხუპით რომ ელაპარაკა გაკვეთილზე? პედაგოგს, წამკითხველს, ლექტორს მეტყველების ტექნიკის ათვისება მართებთ, აქ კი არავინ ზრუნავს იმაზე, რომ მედავითნეს მკაფიოდ და გასაგებად კითხვა ასწავლოს. მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტურგიკა _ ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სულიერი სიმდიდრეა, ცუდი წაკითხვით კი საღვთისმსახურო ტექსტები გაუგებარი ხდება ხალხისათვის. უკეთ არც გალობის საქმეა. ნაცვლად ძველი მოტივებისა, რაც სულში სინანულს ან ღვთისადმი მოწიწებულ მადლიერებას ბადებს, ეკლესიის თაღებქვეშ არც თუ იშვიათად საოპერო მელოდია გაისმის, რომელიც არა სულზე, არამედ ვნებიან სამშვინველზე მოქმედებს, აღაგზნებს და როგორც საერო ხელოვნება, ისიც ესთეტიურ სიამოვნებას ანიჭებს, მაგრამ აკარგვინებს მთავარს _ სინანულს და ლოცვის დროს ყურადღებას. რაც შეეხება ცუდ გალობას, ისიც ხელისშემშლელია ლოცვაში და ესთეტიური ტკბობის ნაცვლად წუხილსა და გაღიზიანებას იწვევს.

ზოგიერთ ეკლესიაში სეფისკვერი და სანთელი მთელი წირვის განმავლობაში იყიდება. სასანთლე მაგიდასთან სულ გნიასია და რამდენადაც ტაძარს კარგი აკუსტიკა აქვს, ეს ხმაური ტაძრის ყოველ კუნჭულში აღწევს და ხალხს ლოცვაში აბრკოლებს. ძველ აღთქმაში წერია, რომ სოლომონის ტაძრის შენებისას ქვებს მოშორებით თლიდნენ, რათა ღვთისადმი მიძღვნილ ადგილზე ჩაქუჩების რახარუხი არ ყოფილიყო. ახალ აღთქმაში წერია, თუ როგორ გამოდევნა უფალმა ტაძრიდან მოვაჭრენი. მას მსხვერპლი არ აუკრძალავს, მაგრამ

ტაძარში ვაჭრობა აკრძალა და მას «ლოცვის სახლი» უწოდა. ლოცვა _ ეს უხილავი ბრძოლაა ეშმაკთან. მაკარი დიდი წერდა, რომ ამ ბრძოლაში სული არა მხოლოდ დაცულია ლოცვით, თვითონაც ახორციელებს დარტყმებს. **ეშმაკი განსაკუთრებულ განსაცდელებს ადამიანზე სწორედ ტაძარში ლოცვისას აგზავნის, რათა ის ძვირფასი დრო წაართვას, როცა მას ღვთისაგან ცოდვების მიტევების და დიდი წყალობის მიღება შეუძლია.**

კარგა ხანია შემჩნეულია, რომ სასწაულთმოქმედი ხატების დიდი ნაწილი ხატწერის ძველი სტილითაა შესრულებული. დროისაგან ჩამუქებულ ამ სახეებისა მეტად ეშინია დემონს, ვიდრე თანამედროვე ხატმწერების მიერ ახლებურად შესრულებულის და ხორციელად მშვენიერისა. ძველებურ ხატზე სული ღვივის, ახლებურებზე კი მშვინვიერება და დახვეწილი მგრძნობელობაა აღბეჭდილი. ძველი ხატები უხილავი, მხოლოდ გულით აღსაქმელი ველითაა გარემოცული. ტრადიციიდან გადახვეული ხატწერა, როგორც წესი, ან მისტიკურ აბსტრაქციაში გადაიზრდება, ან რელიგიურ ლირიკაში, რომელსაც განცდათა გამის გამოწვევა შეუძლია, თუმცა სულს აუღორძინებელს ტოვებს.

საეკლესიო მხატვრების ხატები (მაგ. ვრუბელის) შეფარულ დემონიზმს ატარებენ. მათი სიღრმიდან თითქოსდა მძიმე, სულიერი წყვდიადი იღვენთება. საეკლესიო ტრადიციების ნგრევა _ ესეც სატანის გამარჯვებაა.

იერუსალიმის ტაძრის წმიდათა წმიდაში ლოცვისათვის შესვლა მღვდელმთავარს წელიწადში ერთხელ შეეძლო. წმიდათა წმიდის შებილწვა იერუსალიმის დანგრევაზე დიდი ტრაგედია იყო ხალხისათვის. ისტორიის აღმავალი და დაღმავალი ტალღები სათავეს საკურთხevლიდან იღებენ. ერის აღორძინება საკურთხevლის სიწმინდიდან უნდა იწყებოდეს. სატაძრო წესების მიხედვით ერისკაცთათვის საკურთხevელში შესვლა აკრძალულია. მხოლოდ მეფეს, როგორც ცხებულსა და მორწმუნე ერის წარმომადგენელს, შეეძლო საკურთხevელში შესვლა, რათა ხალხისთვის ელოცა. იერუსალიმის დაცემის დატირებისას წინასწარმეტყველმა თქვა, რომ საკურთხevელი ბოსტნეულის საცავად იქცა. ძველი აღთქმის ტაძარი მხოლოდ წინასახეა, ერთგვარი ჩრდილია ახალი აღთქმის ტაძრისა. რა ელით ქრისტიანებს, რომლებიც მოურიდებელნი არიან ყველაზე დიდი სიწმინდის _ საკურთხevლის მიმართ, სადაც თვით ღვთაებრიობა უხილავად სუფევს! სიწმიდე ცეცხლივითაა, მას შეუძლია გაათბოს და გაანათოს, მაგრამ ასევე _ დაწვას და დაფერფლოს. **გვახსოვდეს! სიწმიდის შეურაცხყოფა შავი მესის რიტუალის ნაწილია.** ეშმაკი ახალი სულიერი სივრცეების დაპყრობას ცდილობს.

ეკლესიას თავისი წმინდა სიმბოლოები აქვს. დემონიც ქმნის თავის მაგიურ ნიშნებს და საეკლესიო ენის შეცვლა მათით უნდა.

VI საუკუნის მსოფლიო კრებამ წმიდანთა ალეგორიულად გამოსახვა აკრძალა. ბოლო დროს გამოჩნდა ალეგორიული სურათები, სადაც ღმერთი კაბალისტებისაგან და სხვა საიდუმლო მისტიკური სექტებისაგან ნასესხები ნიშნებითაა გამოსახული. ამ ქრისტიანიზირებულ კაბალისტიკას «ინტელექტუალურ ხატს» არქმევენ, ანუ ეკლესიას ელიტად და მდაბიო ბრბოდ ყოფენ. ალეგორიული ნიშნებით იმიტირებული ხატები ადამიანში რელიგიური აზროვნების ახალ ტიპს აყალიბებენ. ხატის მეშვეობით ლოცვაში ჩართვის ნაცვლად იგი ღვთაებრიობის წარმოდგენას ალეგორიებისა და გეომეტრიული ფიგურების სახით იწყებს. ადგილი აქვს ეკლესიაში გნოსტიკოსთა საიდუმლო წერის შემოჭრას. ძველი მამები გნოსტიკოსებს «სატანის პირმშოებს» უწოდებდნენ (პოლიკარპე სმირნელი გნოსტიკოს კერინთოსის შესახებ).

ყოველგვარი მოდერნი _ ეს ეკლესიიდან თეატრისკენ ან წარმართული ბომონისკენ გადადგმული ნაბიჯია. ამიტომ მოდერნიზმი ეკლესიის თვითგანადგურების გზაა. ლიბერალური ქრისტიანობა კომპრომისების რელიგიაა. ის კომპრომისებს არა მხოლოდ ქრისტიანულ კონფესიებს შორის ეძებს, არამედ ქრისტიანობასა და ბუდიზმს, ქრისტიანობასა და შივაიზმს შორისაც. ქრისტიანული დოგმატების განადგურებით და ბუნდოვანი, უფორმო რელიგიის შექმნით, რომელსაც ამაყად და ხმამაღლა «წესიერი ხალხის» რელიგიას არქმევენ, ის ქრისტიანობის შიგნიდან დანგრევისაკენ ისწრაფის. მათ ერთადერთი მოწოდება აქვთ _ ხალხისათვის სიკეთის კეთება. ეს ღვთისაგან განყოფის ფარული სურვილია გარეგნულად ქრისტიანად დარჩენით; ეს ჰუმანისტების რელიგიაა. მათ უყვართ სიკეთეზე ლაპარაკი, თუმცა სიკეთეს არ აკეთებენ, მათ სურთ კაცობრიობის მეგობრებად გამოიყურებოდნენ, მაგრამ მათთვის სინამდვილეში ყოველივე უცხოა, გარდა საკუთარი მაძღრობისა და პატივმოყვარეობისა. ასეთი რელიგია ზოგჯერ თავის მოღვაწეებს წარმოშობს, როგორიცაა მაგ. დოქტორი შვეიცერი ან მონაზონი ტერეზა. ისინი თავდადებულნი ემსახურებოდნენ იმას, რასაც ჩვენ ტანჯული ადამიანის კულტს დავარქმევდით. მონაზონი ტერეზა კალკუტის ქუჩებში მომაკვდავებს აგროვებდა და ამბობდა: «მინდა, რომ ადამიანი ადამიანური ღირსებით მიიცვალოს». მაგრამ ქრისტიანობა ღირსეულ სიკვდილად, სინანულსა და ლოცვაში, ყოველთა მიტევებასა და ღვთის მოწყალების იმედში სიკვდილს მიიჩნევს. მონაზონი ტერეზა ღირსეულ სიკვდილს სხვა რამეში ხედავდა: მომაკვდავი სიკვდილის წინ დაბანილიყო და არა ქუჩის ქვაფენილზე, არამედ სუფთა ზეწარზე გარდაცვლილიყო. პროტესტანტი პრესვიტერი და თეოლოგი შვეიცერი სულ რამდენიმე წუთს ლოცულობდა, მის დანარჩენ დროს კი ლეპროზორია* იკავებდა. მასთან მიწიერი ფასეულობები იყო აბსოლუტიზირებული, პირველქმნილი ცოდვის მნიშვნელობა და შესაბამისად სინანული კი შემცირებული. ჰუმანისტების ხატი _ ემპირიული ადამიანია. მათი დევიზია: «ადამიანი _ ეს ღვთაებრივად ჟღერს». ასეთი რელიგია ადამიანურ ძალებსა და გრძნობებს ემყარება. მასში ღვთის არსებობის რწმენას რა თქმა უნდა, არ უარყოფენ, მაგრამ ღმერთის ადგილზე ფსიქოლოგიურად აყენებენ ადამიანის ერთგვარ აბსტრაქციას. ამ ლიბერალიზმმა განათლების ეპოქა მოამზადა და ახლა ამის კეთებას აგნოსტიციზმისა და მატერიალიზმისათვის განაგრძობს ნიადაგის მომზადებას: «ხომ შეიძლება მოიშორო ღმერთი, როგორც მსოფლმხედველური იდეა და ამავე დროს კაცობრიობას ემსახურო».

არსებობს სახელების გარკვეული ძალა, არა კაბალის მნიშვნელობით, სადაც სახელებს მაგიური დატვირთვა აქვთ და სულების შელოცვას ემსახურებიან, არამედ როგორც ერთგვარი ასოციაციური კავშირი, გამაერთიანებელი ველი და ჩვენთვის აუხსნელი ზეგავლენის ნიშანი. გავიხსენოთ, როგორი დაჟინებით ნერგავდნენ ქრისტიანობის მტრები ადამიანების შეგნებაში თავიანთი ბელადების სახელებს. ქალაქებზე, ქუჩებზე, პარკებზე, ქარხნებზე ეს სახელები დაღვინით იყო აღბეჭდილი. ისინი თვალს გტაცებდნენ სახლების კედლებზე და გზაჯვარედინებზე. რისთვის იყო ეს საჭირო? იმისათვის ხომ არა, რომ ამ ადამიანებისათვის დიდების შარავანდედი დაედგათ? ნაწილობრივ ასეცაა. მაგრამ გარდა ამისა, ამაში დემონური რიტუალია შეფარული. გარკვეული სახელის მატარებელი ადგილი ამ სახელთან კავშირს ამყარებს. როცა ჩვენს ქალაქებში ზოგიერთ მოედანსა თუ ქუჩას სახელი შეეცვალა, თითქოს სუნთქვა უკეთ გახდა შესაძლებელი, თითქოს თვით ატმოსფე-

* ლეპროზორია _ კეთრი; ლეპროზორიუმი _ კეთროვანთა სამკურნალო დაწესებულება ან კოლონია.

რო შეიცვალა. ჩვენ გვაქვს წმინდანთა გამოსახულებები, რომლებიც სულიერ სამყაროსთან ურთიერთობაში გვეხმარებიან. თავიანთი გამოსახულებები დემონებსაც აქვთ. ეს მაგიასთან დაკავშირებული ამულეტები და თილისმებია, ასევე ურჩხულთა გამოსახულებები, იმ ადამიანთა პორტრეტები, ვინც სატანის გეგმებს ემსახურებოდა. ეს სახეები ადამიანის სულში და მეხსიერებაში აღიბეჭდება.

არის კიდევ რიტუალური გამოსახულებების ერთი სახე _ ადამიანის შიშველი სხეული. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სექსი.

სიშიშვლე მადლის დაკარგვის სიმბოლოა. ნიშანდობლივია, რომ ქალდეურ, ეგვიპტურ, ბერძნულ და იაპონურ წარმართულ ღვთაებებს შიშვლებს გამოსახავდნენ. შავი მესა, სატანური რიტუალები, ჯადოქრების თავყრილობა, დემონისადმი ლოცვისა და შელოცვების დროს მონაწილეებისაგან გაშიშვლებას მოითხოვდა. ასევე ნიშანდობლივია ისიც, რომ ანგელოზები ნათელი სამოსით გამოისახებიან, დემონები კი შიშვლები. სექსის რელიგია გზას კვალავს სატანის რელიგიისათვის.

ქრისტიანებისათვის უდიდეს სიწმინდეს წმიდანთა ნაწილები წარმოადგენს. ადამიანის სულთან შეთვისებული სულიწმიდა მის სხეულსაც წმენდს ისევე, როგორც ნელსაცხებელი ტოვებს კეთილსურნელებას ჭურჭელზე, რომელშიც ის ინახება. ცოდვა დემონის შავი დაღია არა მხოლოდ ცოდვილის სულზე, მის სხეულზეც, ცოდვილისა სულიც ყარს.

აღსანიშნავია, რომ აკლდამებს, ეგრეთწოდებულ პანთეონებს ეკლესიებთან აწყობენ. ეს არის ღმერთების ტაძრები, სადაც იმათ მარხავენ, ვინც ისტორიაში თავი ისახელა, თუმცა ღმერთს დაშორდა და ეკლესიის ზღურბლზე ერთხელაც არ გადაუბიჯებია. რატომ უნდა იკრძალებოდნენ ასეთები ეკლესიის კედლებთან? ძველ რომში ყველა ქვეყნისა და პროვინციის წარმართული ღმერთების გამოსახულებები და ემბლემები პანთეონის თაღებქვეშ იქნა თავმოყრილი. კერპები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ, მაგრამ მას არ შეეძლო ერთადერთი, ჭეშმარიტი ღმერთის დატევა. რატომ მიაქვთ ეკლესიისადმი გულგრილ ადამიანებს თავიანთი გმირების ნეშტი ეკლესიასთან და მათ აკლდამებს დამახასიათებელ, მაგრამ საბედისწერო სახელს _ «პანთეონს» უწოდებენ? იმიტომ, რომ ღვთის დიდების ტაძრის გვერდით ადამიანური დიდების ტაძრის შექმნას ელტვიან. გასულ (XIX) საუკუნეში ფილოსოფოს კანტის ინიციატივით შეადგინეს საეკლესიო კალენდრის პარალელური კალენდარი, სადაც წმიდანთა სახელების ნაცვლად გამოჩენილი მწერლების, მხედართმთავრების, სახელმწიფო მოღვაწეების და ა.შ. სახელები იყო აღნიშნული ნიშნად მათი პატივისცემისა და განდიდებისა. ქვეყანა თითქოსდა ამბობს: «ნახეთ, აი ჩვენი წმინდანები». მაგია კავშირშია სასაფლაოსთან. არსებობდა ჯადოქრული რიტუალები, რომლებიც მხოლოდ წარმართულ სასაფლაოებზე სრულდებოდა. მსოფლიო ისტორიაში დაკრძალვის ყველაზე განსაცვიფრებელ რიტუალს წარმოადგენს არა უდაბნოში მთებივით აღმართული ფარაონთა აკლდამები _ პირამიდები, არამედ მოსკოვის მავზოლეუმი. ბელადიზმი, ზეადამიანის კულტი არსებითად «დემონურ თეოკრატიას» წარმოადგენს. ბელადი წარმოჩენილია როგორც არა მხოლოდ დიდი პოლიტიკოსი, არამედ როგორც შეუმცდარი იდეოლოგი, წინასწარმეტყველის მსგავსი, რომლის სიტყვასაც ბრბო უნდა მიენდოს. ამიტომ არა მხოლოდ ეგვიპტეში, ბაბილონში და ინკებთან, ასევე კომუნისტურ ქვეყნებშიც წარმოიშვა განსაკუთრებული კულტი _ აკლდამების თაყვანისცემა. მავზოლეუმი თითქმის ყველა კომუნისტურ ქვეყანაში აშენდა, სადაც ეგვიპტის ფარაონივით მუმიფიცირებული და ხალხის «დარაჯად» გამწესებული «ბელადი»

იყო დასვენებული. ჩინელები ჩინგიზ ყაენის საფლავზე მოსალოცად დადიოდნენ და მის სულს იძახებდნენ, მუსლიმანები ხალიფებისათვის აკლდამებს აშენებდნენ, ბუხარა და სამარყანდი თავიანთ მფარველად თემურლენგს თვლიდნენ, მის მეფობას კი ოქროს საუკუნედ, ფაშისტური ელიტა მედიტაციისათვის იმპერატორ ფრიდრიხ ბარბაროსის საფლავის მოსანახულებლად დადიოდა. რომ შეგროვილიყო სისხლი, რაც ამ ადამიანებმა მთელი სიცოცხლის მანძილზე დაღვარეს, მათ აკლდამებსა და პირამიდებს ადიდებულ მდინარესავით წალეკავდა.

წმიდანთა ცხოვრებაში მოთხრობილია, რომ წარმართულ ტაძრებში დემონები ბინადრობდნენ და კერპების მეშვეობით სასწაულებს სჩადიოდნენ. რომის იმპერატორთა აპოთეოზს (საზეიმო კრემაციას) თან ზებუნებრივი სატანური ძალის მოვლენები ახლდა და ბრბოს ანცვიფრებდა. «გაღმერთებული» იმპერატორი-ქურუმები იმპერიის მფარველებად ითვლებოდნენ. ქრისტიანები მათ თაყვანისცემაზე უარს ამბობდნენ, რის გამოც სიკვდილით ისჯებოდნენ. გმირების პატივის მიგების ერთ-ერთ საშუალებად ცეცხლის ანთების გავრცელებული წესი იქცა, რომელსაც ავბედითი სახელი «მარადიული ცეცხლი» ჰქვია. ავბედითი იმიტომ, რომ სახარებაში წერია: *«მატლი მათი არა მოაკლდების, და ცეცხლი არა დაშრტების».*[*] ცეცხლი, როგორც წმინდა სიმბოლო, ზოროასტრ-ცეცხლთაყვანისმცემლების სამლოცველოებში ენთო. კავკასიის ხალხებმა თავიანთი ის-ტორიული გამოცდილებით განსაკუთრებულად კარგად იცოდნენ, რისი მატარებელიც იყო ცეცხლის რელიგია. ახლა მაზდეანობის ეს სიმბოლო და საუკუნო ტანჯვის სახე, სახალხო გმირების ხსოვნის მარადსაყოფად გამოიყენება.

კიდევ უარესი, წარმართული ემბლემებისა და რიტუალების ნაცვლად დამახინჯებული სახით აღებული, უფრო სწორად ეკლესიიდან მოპარული წესები გამოიყენება. ამ მკრეხელურ მიბაძვას ეკლესიისას ვხედავთ მაგ. ქორწინების სასახლეში, სადაც ნაცვლად იმისა, რომ ქორწინება რეგისტრაციაში გაატარონ ან საქორწილო სუფრის გაშლაში დაეხმარონ, ეკლესიის დუბლირებას ეწევიან. ბეჭდების გაცვლა, ნეფე-პატარძლისათვის ერთ ფიალაში ღვინის დასხმა და ა.შ., არც თუ უბრალო ანტირელიგიურ ანეკდოტს წარმოადგენს. აქ თანამედროვე ლიბერალიზმის შინაარსია შეფარული. სახელმწიფოსთან სეკულარიზებული საზოგადოება საკუთარ თავზე ეკლესიის ფუნქციებს იღებს, ის ადამიანების რელიგიურ მოთხოვნილებებს «აკმაყოფილებს». ასე რომ, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ჩნდებიან მოულოდნელად საზოგადოებრივ სტრუქტურებში ნებისმიერი რელიგიისათვის სავსებით უცხო, თანამედროვე ქურუმები, რომლებიც ლიტურგიას და ეკლესიის ადათებს მაიმუნის გულმოდგინებით ბაძავენ.

არც თუ დიდი ხნის წინ იყო წეს-ჩვეულება, რომლითაც ნათლობის შეცვლა სურდათ: ბავშვი კლუბში მიყავდათ, მშობლები მასთან ერთად ბელადების პორტრეტების წინ დგებოდნენ და პირობას დებდნენ, შვილი პროლეტარული, რევოლუციური თვითშეგნებით აღეზარდათ. შემდეგ რევოლუციის «პატარა ჯარისკაცი» საჩუქრად ჯვრის ნაცვლად ვარსკვლავს ღებულობდა, ორი დამსწრე პროლეტარულ აღზრდაზე პასუხისმგებლობას კისრულობდა, მათ «ვარსკვლავური მამა» და «ვარსკვლავური დედა» ერქვათ, თვით რიტუალს კი «წითელი თანავარსკვლავედი». ამავდროულად, მსოფლიოს სხვა ნაწილში, ევროპის ცენტრში _ გერმანიაში, პარალელური პროცესები ხდებოდა.

---

[*] მარკ. 9-44, 46, 48.

[**] ფს. 105, 98.

ფაშიზმი არიულ და სკანდინავიურ წარმართობას, ასევე რაინდული ორდენების ოკულტურ ტრადიციებს აღორძინებდა. ამ ველურ ფანტასმაგორიას და ნიღბების კარნავალს სავსებით რეალური ძალა ჰქონდა. მკრეხელური წესი _ ეს ღვთისმბრძოლობის სახეობაა, დემონის მსახურების და ყველა სახის ჯადოქრობის აუცილებელი ატრიბუტი. ამ მკრეხელურ ადათ-წესებში მონაწილე ხალხმა უკვე მიიღო სულიერი შხამის ინექცია. ადამიანი, რომელმაც საკუთარი ნება დემონს ჩააბარა, დედამიწაზე ჯოჯოხეთის სამეუფოს აფართოებს.

წარმართებზე, რომლებიც ადამიანებს მსხვერპლად სწირავდნენ, დავით წინასწარმეტყველი ამბობდა, რომ *«დაკლვით მოისრა ქუეყანაი სისხლითა»*[**], ანუ კაცის სისხლი ღაღადებს ღვთისა მიმართ, ის მიწას უდაბნოდ აქცევს. წმიდა მამები წერდნენ, რომ დემონი, თუმცა უხორცო ძალაა, ის როგორც საკვებით, სისხლის სუნით და მრუშების სიბინძურით საზრდოობს, ამიტომ იმ ადგილებში ბინადრობს, სადაც ცოდვა და ბოროტმოქმედებაა. ერთ-ერთი ყველაზე საშინელი მსხვერპლშეწირვა დემონისათვის, რომელიც ყველა ომსა და ჰეკატომბას აღემატა _ დედების მიერ საკუთარი შვილების კვლაა. დემონურ კულტებში ადამიანის სისხლის დაღვრა, განსაკუთრებით კი ბავშვებისა, აუცილებელ მსხვერპლშეწირვად ითვლებოდა, რომლის გარეშეც არ ხდებოდა სატანის რიტუალური გამოცხადება. ძველი დროის თითქმის ყველა წარმართულ რელიგიაში შეიწირებოდა ადამიანი. მაიასა და ინკებში ცოცხალ ადამიანს გულს აცლიდნენ, მთავარი ღვთაების _ მზის დღესასწაულზე მსხვერპლთა რაოდენობა 30000 აღწევდა. ამიტომ ინკები ტყვეების მოსაპოვებლად ლაშქრობებს აწყობდნენ ან ადამიანზე ნადირობდნენ, როგორც მხეცზე. ცენტრალურ აფრიკაში მსხვერპლს ცისკრის ვარსკვლავს (ვენერას) წირავდნენ, საბერძნეთში _ ჰეკატას _ გველებიან მთვარის ღვთაებას.

აბორტების რაოდენობამ ქრისტიანულ ქვეყნებში ომში დახოცილთა, კერპებისათვის შეწირულთა, კანიბალებისაგან შეჭმულთა რაოდენობას გადააჭარბა. ძველ გრავიურაზე დედამიწა სამყაროს ოკეანეში მცურავ კუნძულადაა გამოსახული. დღეს კი ის ადამიანის სისხლში მცურავ კუნძულს უფრო ჰგავს.

ბევრნი გონს ვერ მოსულან: რისთვის გვსჯის უფალი ასე მკაცრად? მაგრამ უფრო მართებული იქნებოდა გვეკითხა: რისთვის გვითმენს უფალი ჯერ კიდევ? ის ჩვენ თავისი ენით უთქმელი მოწყალების გამო, უცნობ ღვთივსათნოთა ლოცვის გამო გვითმენს და... ჩვენს სინანულს ელის.

ეკლესიის შესახებ

«გარნა ვისაც ნაცვლად ჭეშმარიტებისა უყვარს სიცრუე, მას უყვარს არა ღმერთი, არამედ იგი, რომელი არის მამა სიცრუისა, ესე იგი სული უკეთურებისა».

წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)

«ეკლესია უარყოფს და განაგდებს თვისთა ურწმუნოთა შვილთა... მაგრამ... აძლევს მათ სრულსა შეძლებასა... მოიქცენ, გაისწორონ თავიანთი აზრი და კვალად შეიქმნენ შვილნი წმინდისა ეკლესიისანი».

წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)

«სიკვდილის გარდაუვალი წარღვნისაგან სულის გადარჩენა გონიერ ადამიანთა ერთადერთ გონივრულ საქმიანობას, მათ ერთადერთ საზრუნავსა და მეცნიერებას წარმოადგენს».

წმ. ნიკოლოზ სერბი

«ეს სამყარო ოდესღაც სამოთხე იყო, ადამიანებმა კი თვითნებურად ის ჯოჯოხეთად აქციეს, მაგრამ მას განმანათლებლები აღორძინებენ თავიანთი სასწაულმოქმედი სიწმინდის ძალით».

ღირსი იუსტინე (პოპოვიჩი)

სიცრუის შესახებ

ჩემთვის რომ ეკითხათ, თუ ვინ მიმაჩნია მართლმადიდებლობის ყველაზე საშინელ მტრად, მე, რომელმაც ხანგრძლივი ცხოვრება განვვლე, ვიტყოდი: ყველაზე საშინელი მტერი იეზუიტიზმის[31] სულია, რომელიც ერთი შეხედვით შეუმჩნეველი სნეულების მსგავსად ეკლესიის სხეულს აძაბუნებს. რაღა თქმა უნდა, იმ ხალხზე ვლაპარაკობ, რომლებიც ეკლესიას ეკუთვნიან და მისი სახელით გამოდიან. თავად ეკლესია, როგორც მადლის მატარებელი და სუფთა იდეა, როგორც ის სულიერი სტიქია, სადაც საუკუნო ცხოვრება აღმშენებლობს _ მარადიული, წმიდა და უცვლელია. ჩვენ კი ხილულ ეკლესიაზე _ ქრისტიანებზე ვსაუბრობთ.

იეზუიტიზმის სული _ ეს არის პრაქტიკაში განხორციელებული ჰუმანიზმი, სადაც ჭეშ-მარიტება მოჩვენებითი სარგებლიანობით არის შეცვლილი, სადაც მიზანი, როგორიც უნდა იყოს ის _ სასუფეველი თუ მიწიერი კეთილდღეობა _ ნებისმიერი საშუალებით მიიღწევა. უფრო სწორად, მიზანი არ მიიღწევა, მაგრამ მისით საშუალებებს ამართლებენ. იეზუიტიზმი ფარული ურწმუნოებაა, არდაჯერებაა იმისა, რომ ღმერთი ყოვლად ძლიერია და ცრუპენტელას დახმარება არ სჭირდება, ასევე იმისაც, რომ ღმერთი ჭეშმარიტებაა და ყოველგვარი სიცრუე ადამიანს მისგან აუცხოებს. ჭეშმარიტების დაკარგვით ადამიანი სულიწმიდის მადლს კარგავს, სიცრუეს ეჩვევა და თვლის, რომ მის გარეშე ცხოვრება და მოქმედება შეუძლებელია.

სიცრუე სიყვარულის დაკარგვაა. ვინც წრფელად უყვართ, მას არ ატყუებენ: არ შეიძლება ორი გული სიცრუით იყოს შეერთებული. სიცრუე ფიქრობს, რომ მეორე მხარე უცხო, მტრული ბანაკია. ის, ვინც ცრუობს, თავის გულში ადამიანისადმი სიყვარულს ანადგურებს. ყოველგვარ ტყუილში ძალადობაა, ცრუს თავისი გეგმის განხორციელება და ამით სხვაზე მბრძანებლობა სურს.

ჩვენს ეკლესიაში ადამიანისათვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე განსაცდელი იმის დანახვაა, თუ როგორ აღწევს მასში იეზუიტიზმის სული. აქ ადამიანი სიმართლეს ეძიებს, ის მზადაა ამისათვის მრავალი რამ გაწიროს, მას მოსძულდა ქვეყნად გამეფებული სიცრუე, იხუთება მასში, ეკლესიაში თითქოსდა სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა უნდა და არა სიცრუის მოწამლული მიაზმებისა. და თუკი ურთიერთობებში აქაც იმავე დიპლომატიას წააწყდება, იმავე უპრინციპობას საშუალებებში, იმავე პირფერობას და უსამართლობას, მაშინ ის, სულიერად ჯერ ისევ განუმტკიცებელი, საკუთარ თავს ეუბნება: აქ არაა ის, რასაც ვეძებდი, აქ არ არის სიყვარული და სიმართლე. ეს, რა თქმა უნდა, ნაჩქარევი დასკვნაა, ეკლესია სიყვარულსა და სიმართლეს ასწავლის და ადამიანებს ცხოვრებაში მათი გატარების ძალას აძლევს, მაგრამ ეკლესიაში ახლად მოსული ადამიანი სკოლაში ახლად მისულ ბავშვს ჰგავს. მას სურათები და თვალსაჩინოებები სჭირდება, სხვაგვარად ვერ მიხვდება, რაზეა საუბარი. სექტანტებს რომ ჰკითხოთ, რატომ წავიდნენ ეკლესიიდან, მას რატომ დაშორდ-ნენ, მნიშვნელოვანი ნაწილი გიპასუხებთ: იმიტომ, რომ ეკლესიაში სიყვარული ვერ ვიპოვეთ, ვერც სიმართლე და თავი უსარგებლოდ ვიგრძენით, ისინი ეკლესიას პროტესტის ტალღაზე მომართულნი ტოვებენ, მაგრამ სექტებშიც იგივე «ქალბატონი სიცრუე» ხვდებათ.

თითოეული ადამიანი ცოდვილია. *«ყოველი კაცი ცრუ არს»*[*], _ თქვა მეფსალმუნემ, მაგრამ აქ არ არის საუბარი ტყუილზე, როგორც ზნეობრივ სისუსტეზე, რომელსაც ყოველ

[*] ფს. 115, 2.

ჯერზე საკუთარ დაცემად უნდა აღიქვამდეს ადამიანი, აქ იმ თვითკმაყოფილ სიცრუეზეა საუბარი, რომლის დროსაც უბედური ფიქრობს, რომ ამით სიკეთის გაკეთება და ღვთისათვის სათნოყოფა შეუძლია, სიცრუეზე, რომელსაც მისი სინდისია შეგუებული, სხვა სიტყვებით _ საკუთარ სიცრუეზე, რომელიც მის სულს უკვე აღარ ტანჯავს.

ქრისტიანი მოწამენი ის ხალხია, ვინც სიცრუეს ჭეშმარიტება არჩია, ვინც იმიტომ მოკვდა, რომ არ ინდომა სიცოცხლე, რომელსაც თვალთმაქცობისა და მცირეოდენი გარეგნული სიცრუის ფასად სთავაზობდნენ; მაგალითად: გაჩუმებას იმ დროს, როცა სხვა პირები მათი სახელით წარმართულ რიტუალებში იღებდნენ მონაწილეობას. უფლის ღალატი მათ მდუმარებითაც არ ისურვეს.

ჩვენი ეკლესია მოწამებრივი ეკლესიაა. სახარებისეული ცხრა ნეტარება _ ეს მოწოდებაა მოწამეობისაკენ. ამისკენ თანამედროვე ქრისტიანებიც მიდიოდნენ და მიდიან, მაგრამ სიცრუე ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი თავს სულ უფრო მეტად იჩენს. უძლურს მისით უნდა გაძლიერება, რევოლუციონერებს _ თავიანთი უტოპიის ხორცშესხმა. ზოგიერთი ქრისტიანი მშვიდობის დამყარებასა და «ადამიანის ნუგეშისცემას» ამითვე ფიქრობს.

განსაკუთრებულად მძიმეა, როცა სულიერი მამები ატყუებენ სულიერ შვილებს. გაუგებარია, ფიქრობენ თუ არა ეს თვალთმაქცები, რომ სიცრუე დიდი ხნით დაიფარება? ან იქნებ თავიანთი მდგომარეობით სარგებლობენ? თვლიან, რომ პირისპირ ვერავინ გაბედავს, მათ მატყუარები უწოდოს? მაგრამ სულიერი შვილები ტყუილებში ჩირქის სუნს გრძნობენ. ასეთ დროს შესაძლოა შედეგები ტრაგიკული იყოს: ადამიანი ნდობას კარგავს და საკუთარ თავში იკეტება, მას სული გაუტყდა და სიცრუეს იგი ფსიქოლოგიური ავადმყოფობის მსგავსად ჩიხში შეჰყავს; მეორე _ თვითონ იწყებს სულიერი მოძღვრის მოტყუებას; მესამე და ყველაზე უარესი _ იწყებს ფიქრს, რომ ტყუილი კარგი საქმეა და მას «ცხოვრებისეულ სტრატეგიად» აქცევს. სწორედ ასე, «კეთილი სიცრუის» მეშვეობით, წარმოიშობიან იეზუიტები და წყალწაღებული არამზადები, რომლებიც ამავდროულად ყველაზე წმინდა სიტყვებს წარმოთქვამენ, ადამიანს ატყუებენ და თან ნათელი მზერით ჩასცქერიან თვალებში.

სიცრუე ჭაობია, რომელიც კაცს თანდათანობით ითრევს. ის მცირედიდან იწყება. «სულ ცოტათი წავიეშმაკებ და კეთილ მიზანს მივაღწევ», _ ეუბნება საკუთარ თავს ადამიანი, შემდეგ კი სულ ღრმად და ღრმად იძირება მასში. ამიტომ სულიერმა მოძღვრებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ არა ნუგეში, არამედ სიმართლე მოეთხოვებათ. ჭეშმარიტება თავად უკეთ ანუგეშებს ადამიანს, ვიდრე ალერსიანი სიტყვები, რასაც იმედგაცრუება მოსდევს.

სიმართლის მთქმელი კაცი დევნილია, მაგრამ ჩვენი ეკლესია მოწამეობის ეკლესიაა, რომელიც მსხვერპლს მოითხოვს. უფალმა დიადი აღთქმა დაგვიდო: სიმართლეს მოწყურებულნი განძღებიან რითი? _ ღვთიური მადლით. *«ნეტარ არიან წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ»*[*]. ცრუ ვერ იხილავს ღმერთს, ქრისტე მის გულში არ გასხივოსნდება, ყოველგვარი სიცრუე _ ეს სატანის სამეფოს განვრცობაა, როგორც დედამიწაზე, ასევე კაცის გულში.

ეკლესია იმდენად იქნება ძლიერი, რამდენადაც მისი მსახურნი იქნებიან სიმართლის ერთგულნი. ჩვენ ერესზე ვსაუბრობთ, როგორც დოგმატურ ცდომილებაზე, მაგრამ იეზუიტიზმი თვითონ ზნეობრივი ერესია, რომელიც ადამიანს სულიწმიდისაგან, ჭეშმარიტების სულისაგან აუცხოებს და ის საშინელ სამსჯავროზე აღმოჩნდება.

---

[*] მთ. 5, 8.

[**] ინ. 14, 6.

სიცრუის მიზეზი მრავლადაა: სიმხდალე, გამორჩენა, გულის არტკენის სურვილი და ა.შ. მაგრამ როგორი მიზეზიც უნდა იყოს, ამ დროს ივიწყებენ ღმერთს, რომელმაც თქვა: *«მე ვარ გზადა მე ვარ ჭეშმარიტებადა ცხოვრებად»*[**]. თვით გოლგოთის მსხვერპლი ქრისტესი _ ეს სიყვარულისა და ჭეშმარიტების შეერთებაა. სატანაზე გამარჯვება ქრისტეს მხოლოდ ღვთაებრივი სიძლიერითაც შეეძლო, მაგრამ ის ჯვარს ეცვა არა მარტო ჭეშმარიტებისა გამო, არამედ იმიტომაც, რომ თავადაა ჭეშმარიტება. უფალმა სატანაზე თქვა: «ის დასაბამიდან ცრუ და მკვლელია». სატანა ადამიანს სიცრუის მეშვეობით კლავს. იმას, ვისაც სიკეთის კეთება სიცრუის საშუალებით უნდა, დაე ახსოვდეს, რომ მეკავშირედ ძველთაძველ ტყუილს _ სატანას ირჩევს, რომელიც ახალ სიკეთედ არასდროს იქცევა, რომ ყველაფერი, რაც სიცრუეზეა დამყარებული, დაიღუპება.

სულიერი ენთროპიის შესახებ

ფიზიკაში არსებობს კანონი, რომელსაც «თერმოდინამიკის მეორე საწყისი»* ეწოდება. ის იმაში მდგომარეობს, რომ სტრუქტურული ენერგია ქაოსად, რაღაც გადამუშავებული წიდის მსგავსად გადაიქცევა. ენერგიის დაშლის ამ პროცესს, მის გადაქცევას უმართავ, დესტრუქციულ ძალად, რომელიც, მსოფლიოს განადგურებით ემუქრება, ენთროპიას უწოდებენ. თუკი მაგალითად მოვიყვანთ მსოფლიოს შექმნის აქტს, როგორც ენერგიის საწყის წერტილს, ამ დროს ენერგია გაცილებით მეტ შინაგან წესრიგს და მიმართულებას ფლობს. შემდეგ მისი თანდათანობით ქრობა და დაშლა ხდება. თითქოსდა ერთიანი ენერგეტიკული პლანი ინგრევა და ენერგია თვითგანადგურებას იწყებს. ამგვარი ენთროპიის მიზეზს, ჩვენთვის ხილულ ისტორიულ მონაკვეთში, დედამიწის მაგნიტური ველის კატასტროფული ვარდნა წარმოადგენს: 1400 წელიწადში ის დაახლოებით ნახევრად კლებულობს. ენთროპიის სხვა სახეობაა რადიაცია.

მაშ ასე, ენერგეტიკული თვალსაზრისით ისტორია წარმოგვიდგება, როგორც პროცესი სრულყოფილებიდან დაშლისაკენ, სიცოცხლიდან სიკვდილისაკენ, წესრიგიდან ქაოსისაკენ. ამ გაგებით სამყარო თანდათანობით შეშლილობის წყვდიადში იძირება. ჩვენ ეს მაგალითი სახედ, შედარებად მოვიყვანეთ, როგორც კაცობრიობის სულიერი სფეროს ანალოგი. მსოფლიო ზნეობრივად და სულიერად დეგრადირებას განიცდის, ის უმართავი ხდება. სულიერი ენერგია დემონური ენერგიის საგანგაშო ფორმებს ღებულობს, კულტურა რაღაც ზნეობრივი თვითშთანთქმა ხდება, ხელოვნება _ სიკვდილის სიმღერა.

ერთადერთი, რასაც შეუძლია მსოფლიო ხრწნილებასა და დაშლას წინაღუდგეს, არის რელიგია და ეკლესია, როგორც საშუალება, კონტაქტის შესაძლებლობა სასრულის უსასრულოსთან, დროებითის _ მარადიულთან, სიმწირის _ მარადიული ღვთაებრივი ენერგიის სავსებასთან. მაგრამ აქაც დანაკარგებს, გაუცხოებასა და ქრობას ვხედავთ. ეკლესია მარადიულია. მაშ მადლის სიმწირეს რატომ გრძნობს მსოფლიო? სულიერ ცხოვრებაში ბინდი წვება, ის ღამეს უკუნეთად აქცევს. ადამიანები ეკლესიაში შეწევნას ეძიებენ, მაგრამ ცოტანი თუ პოულობენ მას. ასე რად ხდება? რელიგია _ ეს სინერგიზმია, ესაა შეხვედრა, შეერთება, შერწყმა ორი ნებისა _ ღვთაებრივის და ადამიანურისა. ამის გარეშე ადამიანის გული შეუღწევადი გახდება მადლისათვის. კაცობრიობამ რაღაც ფრიად მნიშვნელოვანი დაკარგა, რის გამოც ეკლესიაში, რომელიც უცვლელ ძალას ფლობს, ადამიანსა და ღმერთს შორის კავშირი ირღვევა, სულიერი მშვინვიერში გადადის. ადამიანი ეკლესიაში არა ცხონებას, არამედ ნუგეშს ეძიებს ამ სიტყვის მშვინვიერი მნიშვნელობით: მიწიერი პრობლემებისაგან თავის დაღწევას, უბედურების გადატანის ძალას, ესთეტიურ კმაყოფილებას და ა.შ. მაგრამ მშვინვიერი გრძნობები ცვალებადია, ეს მდგომარეობა არ არის, ეს არის განწყობა: ადამიანი არ აღიქვამს რელიგიას, როგორც ახალ ცხოვრებას, ღმერთს, როგორც თავისი სულის სულს? რატომ ხდება ასე? განა შესაძლებელია ეს ყოველივე უმეცრებით ან გარეგან რიტუალებზე გადასვლით აიხსნას? არა, ასეთსავე შინაგან დაუკმაყოფილებლობას და უსახურობას, ასეთსავე სულიერ კვდომას განიცდიან ის ადამიანები, რომლებიც რელიგიურ ლიტერატურას სწავლობენ, თვით ღვთისმეტყველნიც და ამასთან უფრო ძლიერადაც განიცდიან. ჩვენი აზრით რელიგიის ეს გახლეჩა, თუ

* თერმოდინამიკის სამი ძირითადი კანონიდან ერთ-ერთი, ენთროპიის ზრდის კანონი.

შეიძლება ასე ითქვას, «რელიგიის შიზოფრენია», იმის დაშლის შედეგია, რისი ოქროს რგოლებიც ერთიან და განუყოფელ ჯაჭვს უნდა შეადგენდეს. სახელდობრ ესენია: სიმართლე და სიყვარული, მიზანი და საშუალება. ისინი დაცალკევებულად მოიაზრება: სიყვარული _ სიმართლისაგან, მიზანი _ საშუალებისაგან. სიყვარული მრავალწახნაგოვანია, მოწყალების ცნება ფართოა, გულმოწყალების დაბალი ფორმები გარეგნულ მიზეზებსა და გარემოებებზეა დამოკიდებული. აქ ხდება აპოსტასია _ სიყვარულს მსხვერპლად ჭეშმარიტებას სწირავენ, ჭეშმარიტებაჩამოშორებულ სიყვარულს კი არსებობა აღარ შეუძლია, ის დეგრადირდება, მშვინვიერ სიყვარულად, სოციალურ სოლიდარობად, ანუ იმად იქცევა, რასაც ბოლო ხანს ჰუმანიზმს უწოდებენ.

სულიერი სიყვარულის უმაღლესი მიზანი _ საუკუნო ცხოვრებაა; ჭეშმარიტების გარეშე კი ის განუხორციელებელია; ჰუმანიზმის მიზანი ადამიანის ემპირიულ მოთხოვნილებათა და უნართა დაკმაყოფილებაა. უმაღლეს ჭეშმარიტებასთან ამის შეერთება შეუძლებელია. ჩვენ ვთვლით, რომ კაცობრიობის სულიერ ენთროპიას სიცრუე წარმოადგენს. ის თანამედროვეობის გამონაგონი არ არის; სახარებაში დემონს ცრუ და ყველა სიცრუის მამა ჰქვია. ბრძენთაბრძენი სოლომონი წერდა: «მოწყალენი მრავლად არიან, მართალთ კი ძნელად თუ იპოვი.» ბოლო ხანს სიცრუე იმდენად გლობალური გახდა, რომ ადამიანები ვეღარ ხედავენ, აღარ ესმით რა არის სიცრუე ისევე, როგორც თევზს არ ესმის რა არის წყალი, სადაც დაცურავს. სიცრუე ცხოვრების სტილი გახდა. ის ადრეც არსებობდა, მაგრამ მაშინ ხალხმა იცოდა, რომ ის ცოდვა იყო. ახლა თუკი ვინმემ მუდამ სიმართლის თქმა ან ჩუმად ყოფნა გადაწყვიტა, მას ავადმყოფად, შეშლილად, უკეთეს შემთხვევაში ორიგინალურად ჩათვლიან ჰიპის მსგავსად, რომელიც საზოგადოებრივ აზრს სიამაყის გამო ბრძოლას უცხადებს.

აღსარებაზე ადამიანები ცოდვებს ინანიებენ, ზოგჯერ დაწვრილებით, ზოგიერთი ინტელიგენტი კი ისე ღრმა ფსიქოანალიზით, რომ თვით ფროიდს შეშურდებოდა მისი. მაგრამ თითქმის არც ერთი არ ინანიებს იმას, რომ სიცრუე ცხოვრების ნორმად ექცა, თითქმის აღარავის ესმის, რომ სიმართლის თქმა _ ეს ქრისტიანის ვალია, რომ არ არის ქრისტიანობა სიმართლის გარეშე, არამედ მის სულიერ სუროგატს წარმოადგენს.

სატანამ, როცა უფალს სცდიდა, უთხრა მას: «აქციე ქვები პურად.» უფალმა მიუგო, რომ ჭეშმარიტი პური სულისა _ ღვთის სიტყვაა. უფალმა უარი თქვა ისეთ მიმდევრებზე, რომლებიც ქრისტიანობაში უსასყიდლო პურის წყაროს ძებნას დაიწყებდნენ, ანუ მატერიალური კეთილდღეობისათვის გახდებოდნენ ქრისტიანები. თანამედროვე ქრისტიანებს ქრისტეს ძიება უდაბნოს კლდეებსა და ქვებს შორის არ სურთ. სატანის მოწოდებიდან _ ქვის პურად ქცევისა, თანამედროვე ჰუმანიზმი და გარკვეულწილად მისი პირმშო _ რელიგიური მოდერნიზმი წარმოიშვა. ჰუმანიზმი და სიმართლე ერთმანეთთან შეუთავსებელია: სიმართლე ადამიანს ტანჯვისათვის წირავს, ხოლო ჰუმანიზმს, თუ ის საუკუნო ცხოვრებას პირდაპირ არ უარყოფს, უჯობს საერთოდ არ იფიქროს ამაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეკლესიაში ღვთისაგან განდგომა სიყვარულისა და სიმართლის, მიზნისა და საშუალების დარღვევით დაიწყო. ადამიანებმა ნიღბები აიფარეს და უფალი მათ ამ ნიღბების ქვეშ არ ცნობს. ჭეშმარიტების დამკარგავნი სიცრუეს ისე ებღაუჭებიან, როგორც მიწიერ იარაღს. ისინი სიყვარულის არტისტებად იქცნენ. განა შესაძლებელია ქრის-ტიანობის თეატრში ქრისტე იყოს? იქ შეიძლება გამოვლინდეს გულმოწყალება, მისი დემონსტრირება მოხდეს, შესანიშნავი ქადაგებები წარმოითქვას, იყოს ბრწყინვალე,

გარეგნული სილამაზე, მაგრამ იქ, სადაც არ არის სიმართლე, არ არის ქრისტე. გაცილებით ძნელია იყო მართალი, ვიდრე მოწყალე: სიმართლე მეგობრებთან განშორებით, ნათესავთაგან ყვედრებით, ახლობლების დაკარგვით, განდევნითა და სიკვდილითაც კი იქადნება. გულმოწყალება ნაკლებს მოითხოვს – საკუთარი ქონების ნაწილის სხვისთვის მიცემას. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ჩვენს დროში @მოწყალების არტისტები@ მიღებისადმი განწყობილნი მეტად არიან, ვიდრე გაცემის და კაცობრიობის დახმარებისადმი. ცოდვა და სიცრუე ყოველთვის არსებობდა. ჩვენ იმაზე ვსაუბრობთ, რომ თვით მორალი იცვლება, კვალად ქრისტიანთა სული. მეტიც _ სიცრუე ლამის სიბრძნედ, და ღვთივსათნო საქმედ მიიჩნევა. სიცრუესთან შერიგებულ ადამიანს თავის სულში ღვთიური მადლის შეგრძნება არ შეუძლია, მას მხოლოდ მშვინვიერი სიამოვნების განცდა ძალუძს იმით, რომ სიკეთე გააკეთა და ამისთვის შეაქეს. საიდუმლო მოწყალების ცნებაც გაუგებარი გახდა: სიკეთე რატომ უნდა დაიფაროს, უმჯობესი არ იქნება მისი პროპაგანდა პრესით და ტელევიზიით, რათა მრავალმა ნახოს და ისწავლოს? მათ ავიწყდებათ, რომ ღმერთი არ დაინახავს ასეთ სიკეთეს! ადამიანს, რომელიც უწმინდურ საშუალებებს იყენებს, ღვთის არსებობა და მისი ყოვლადძლიერება ავიწყდება. უფრო მეტიც _ რელიგიური მიზნების დასახვით და ცოდვიანი, ცრუ საშუალებების გამოყენებით ფიქრობს, რომ ღმერთს სათნო ეყოფა. ღვთის სადიდებლად ჩადენილი სიცრუე და ბოროტება – ეს ყველაზე დიდი მკრეხელობაა. განა შეუძლია უძლურ ადამიანს ღვთიური საქმე საკუთარი სინდისის გაყიდვით დაიცვას? ნუთუ ღმერთმა ძალა დაკარგა? დევიზს: «მიზანი ამართლებს საშუალებას» _ ადამიანი ლოგიკურად მიყავს უღმერთოებამდე.

ჩვენ ვთვლით რომ, ის ცრუ საზოგადოებრივ _ საეკლესიო მოძრაობები, რომლებიც არ იცოდა ეკლესიის ისტორიამ, სწორედ იმის გამოა, რომ ჭეშმარიტება სიყვარულისაგან გააცალკევეს, სიყვარული _ ჭეშმარიტებისგან. ჭეშმარიტება მდინარის ნაპირია, სიყვარული კი – დინება, რომელიც კალაპოტს ავსებს. წყალი თუ დაშრა, ცარიელ კალაპოტთან წყურვილის მოსაკლავად მისვლას არავინ ინდომებს, ხოლო თუ ნაპირი ჩამოირეცხა, მდინარე თხელ და ჭუჭყიან წუმპედ იქცევა.

მაცხოვრის ჯვარი _ ეს ქრისტეს სისხლთან შეერთებული სიყვარული და სიმართლეა.

წმინდანებზე სიცრუის შესახებ

ამჟამად აკადემიურ წრეებში ძველქრისტიან მწერალთა სახელების წინ სიტყვა «ფსევდოს» (ცრუს) გამოყენება კარგ ტონად ითვლება. ნიშანდობლივია, რომ ვერავინ გაბედავდა, სიტყვა «ფსევდო» ვირგილიუსის ან სერვანტესის სახელების წინ ასეთი სიმსუბუქით დაეწერა, რაც ისტორიკოსებსა და ლიტერატორებს შორის აღშფოთებას გამოიწვევდა. წარსულში, წარჩინებულ საზოგადოებაში მაღალი პირებისადმი მიმართვისას ასო «ს»-ით ფრაზის დამთავრება პატივისცემის ნიშნად მიიჩნეოდა (შემოკლებით «Сударь» ან «Государь»). ამ მსგავსებას ნეგატივის ხასიათი აქვს: ერთ შემთხვევაში ადამიანისადმი პატივისცემას უსვამს ხაზს, მეორეში _ მოურიდებლობას და სიცრუეში დადანაშაულებას.

უფალმა ეშმაკს ცრუ უწოდა. ეს სიტყვა თითქოსდა მისი მეორე სახელია. წმინდა მამები ანტიქრისტეზე წერდნენ, რომ ის ცრუ და თვალთმაქცი იქნება და თუმცა დაიბადება, როგორც ხორციელი ადამიანი, სატანასთან ერთსულ გახდება.

ყოველგვარი ცოდვა სიცრუეს შეიცავს. ყოველი დანაშაული მაშინ იწყება, როცა ადამიანი სიმართლის გრძნობას კარგავს. წინასწარმეტყველნი, რომლებიც მესიის მოსვლას წინასწარ ამცნობდნენ, ამბობდნენ, რომ «... მის ბაგეში არ არის სიცრუე», მას «ღვთის სიმართლე» უწოდეს. თვით უფალმა ბრძანა: «მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება». დავით მეფსალმუნემ, უფრო სწორად სულიწმიდამ, ფსალმუნებში გაგვიცხადა, რომ სიცრუე დაღუპვის წინასწარმაცნეა: *«... წარსწყმიდნე შენ ყოველნი, რომელნი იტყვიან სიცრუვესა»;* და იქვე: *«... კაცი მოსისხლე და მზაკუვარი სძაგს უფალსა».*[*] აქ სიტყვები «ცრუ» და «მკვლელი» გვერდიგვერდ არის დაყენებული და ერთმანეთთან დაკავშირებული. უფალი სასუფეველს აღუთქვამს იმათ, ვინც სიმართლისათვის დევნას და დევნილობას დაითმენს. ქრისტეს ყველა მოწამემ სიცრუის ფასად სიცოცხლის ყიდვას სიკვდილი არჩია.

არის ფსიქოლოგიური ფაქტი: ადამიანი სხვებზე თავისი თავის მიხედვით განსჯის, ის თავისი სულიერი მდგომარეობის პროეცირებას როგორღაც სხვებზე ახდენს. სამყარო სიცრუის ზღვაში სულ უფრო მეტად იძირება და ამიტომ ახლა ფსიქოლოგიურად გაცილებით იოლია იმის დაშვება, რაც ძველად აღმაშფოთებლად და დაუჯერებლად მოეჩვენებოდათ. სახელდობრ აზრი, რომ წმინდანები სხვისი სახელების მითვისებას და თავიანთი თხზულებების მოციქულთა წერილებად გასაღებას ეწეოდნენ. წმინდანის მიმართ ილოცო და ამავდროულად თვლიდე, რომ ის «ინტელექტუალური ქურდია» _ ჩვენი დროისა და აზროვნების ერთ-ერთი პარადოქსია. მეორე პარადოქსი, რომელიც ჩვენს საკუთარ სულიერ სიბრმავეს მოწმობს, _ ესაა გჯეროდეს, რომ «ქურდმა» შეძლო თავის ცრუ ხილვებსა და სიყალბეში ადეკვატურად განეხორციელებინა ეკლესიის სუფთა სწავლება ან, სხვა სიტყვებით, ეკლესიის გადმოცემამ თავისი თავი ცრუთა სწავლებაში ჰპოვა.

ტყუილის სიმართლედ გასაღება და ეკლესიის გაცურება შეუძლებელია. წმინდანებს იმდენად ღრმა და სულიერი ინტუიციები ჰქონდათ, რომ სიცრუის შეუწყობელ ბგერებში სიყალბეს (ფალშს) მაშინვე აღმოაჩენდნენ.

ფსევდო-მაკარის, ფსევდო-დიონისეს, ფსევდო-ნილოსის შესახებ საკითხში ჩვეულებრივ ხდება იგნორირება ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი მოწმობისა, როგორც საეჭვოსი და

[*] ფს. 5, 6.

არაყურადსაღების. ამგვარად, ჩნდება მესამე პარადოქსი: ზოგიერთი ქრისტიანი, რომელიც ეკლესიაში თავის რწმენას (სარწმუნოების სიმბოლოს) აღიარებს, ამავე დროს ეკლესიის გადმოცემას არად დაგიდევს და იმეორებს რაციონალისტურ კრიტიკას, მომიტევეთ ნეოლოგიზმისთვის _ «გოლოკრიტიკას», როგორც მეცნიერების უკანასკნელ და საბოლოო სიტყვას, როგორც ტრიბუნალის განაჩენს, რომელიც კასაციას არ ექვემდებარება. რა მოხდა? მეცნიერები, რომლებიც მართლმადიდებლური ტრადიციის კალაპოტში აღმოჩნდნენ, არსებითად გადაეჩვივნენ წმინდა მამათა თხზულებების კითხვას, მათი შინაგანი მთლიანობისა და ჰარმონიის შეგრძნებას, მადლის გრძნობას, რომელიც წიგნის გვერდებს უხილავი სინათლით მსჭვალავს და კრძალულებასთან ერთად სულიერი ინტუიციის დაკარგვით ბიბლიისა და პატრისტიკის განხილვა ისტორიულ-შედარებითი, სინამდვილეში კი მითოლოგიური სკოლის პოზიციიდან დაიწყეს. ლესინგისა და ჰეგელის მიმდევრები, ისე რომ ღმერთს პირდაპირ არ უარყოფდნენ, სკეპტიციზმისა და კრიტიციზმის დინებას თავქვე გაჰყვნენ: სკეპტიციზმის _ როგორც რწმენის უსახურობის, და კრიტიციზმის _ როგორც გონების უსუსურობისა. ლესინგის ფსევდომეცნიერული პროვოკაციებით აღფრთოვანებაში მოდიოდნენ მარქსი და ენგელსი. სამწუხაროდ, მსგავს რაციონალისტურ პროფანაციას «ევროპულობისა გამო შიშით» მოდერნისტ-თეოლოგებმა კვერი დაუკრეს.

სიტყვა «ცრუ» წინა საუკუნეებში ერთ-ერთ უდიდეს შეურაცხყოფად ითვლებოდა. იმის თქმა, რომ ადამიანი «ცრუა», სილის გარტყმის ტოლფასი იყო. პუშკინის დრამაში «ძუნწი რაინდი», სიტყვისათვის «... ბარონო, თქვენ ცრუობთ», მამა ორთაბრძოლაში შვილს იწვევს და ისიც იღებს ნასროლ ხელთათმანს.

ფიქრობენ კი ის ადამიანები, რომლებიც ასე ადვილად და უპასუხისმგებლოდ იყენებენ გამოთქმას «ფსევდო-დიონისე», «ფსევდო-ეგნატე», რომ წმინდანებს სიცრუის ეშმაკეულ ცოდვას მიაწერენ იმდენად, რამდენადაც პირველი ცრუ-სატანაა?

პატივცემულო პროფესორო! პირობითად გიწოდებთ პანფილ იონას ძე ოსინინს! მრავალი წლის წინ გამოცდაზე გადაწყვიტეთ შეგესწორებინათ ერთი სტუდენტისათვის და უთხარით: «წმინდა დიონისე კი არა, ფსევდო დიონისე», რაღაც გაგებით ის თქვენი მადლობელიც კია იმისათვის, რომ ამ რეპლიკამ აიძულა დაფიქრებულიყო ჩვენი დროის საფრთხეზე _ გადმოცემების შეცვლაზე ეფემერული ჰიპოთეზებით, მართლმადიდებლური მენტალიტეტის შეცვლაზე და პროტესტანტული სუბიექტივიზმისაკენ გადახრაზე. გთხოვთ, მოწყალედ მიიღოთ ჩემი სიტყვები. თუკი თქვენთვის საეკლესიო გადმოცემებზე გაცილებით პრიორიტეტულს წარმოადგენს რაციონალისტური შეხედულება, ანუ მათი, ვინც «არეოპაგეტიკის» აღმოჩენიდან 1000 წლის შემდეგ ცხოვრობენ, მაშინ წარმოიდგინეთ შემდეგი სიტუაცია: 10-15 საუკუნის შემდეგ სასულიერო სკოლის რომელიმე კრიტიკულად განწყობილი ისტორიკოსი მივა დასკვნამდე, რომ არავითარი პროფესორი ოსინინი არ ყოფილა, ხოლო მისი ლექციების იმ დროიდან შემორჩენილი ნაწყვეტები ეკუთვნის ვინმე ფსევდო-პანფილს, ცრუ-იონას-ძეს, ვინმე _ ოსინინს.

რას უპასუხებდით ამაზე? ალბათ საიქიოდან ეტყოდით: «და მაინც, მე ვარსებობდი, და ვარსებობ, მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგებმა გათხრებისას აქამდე ვერ შეძლეს ჩემი პასპორტის აღმოჩენა».

ნეტარი იერონიმე ყრმობიდან ეუფლებოდა მოხდენილ მეტყველებას ციცერონის თხზულებების მიხედვით, რომელსაც მონაზვნობის მიღების შემდგომაც არ შორდებოდა.

ერთხელ, თავისთან სენაკში, მან გაიგონა მრისხანე ხმა: «შენ ჩემი მოწაფე არა ხარ, არამედ ციცერონის». ამის შემდეგ ნეტარი იერონიმე რომაელი ორატორის წიგნებს აღარ გაკარებია.

მოდერნისტებისთვის კიდევ უფრო მოულოდნელი იქნება სიტყვების გაგონება: თქვენ არა ხართ წმიდა მამათა მოწაფეები, რომლებიც დაამცირეთ სიტყვით _ «ფსევდო», არამედ ერაზმ როტერდამელისა და ლესინგისა _ ციცერონზე გაცილებით უარესი ადამიანებისა.

მუსიკა და ლოცვა

მართლმადიდებლობა _ ეს არა მხოლოდ დოგმატების სიწმინდეა, არამედ ტრადიციათა ერთობის და მთლიანობის დაცვაც. სხვა სიტყვებით, მართლმადიდებლობა _ ეს წმინდა გადმოცემათა სავსებაა.

ეკლესიის ყველაზე ვერაგ და საშიშ მტრად განმაახლებლობა გვევლინება. ეს არის წმინდა გადმოცემათა შეცვლა საკუთარი გამომგონებლობით. სულის სფეროში მხოლოდ ერთი გნოსისი არსებობს: სულიერი სამყაროს უშუალო ჭვრეტა რელიგიური ინტუიციების მეშვეობით, რომლებიც ცოდვებისა და ვნებებისაგან გულის განწმედისდა მიხედვით იღვიძებენ. ყოველგვარი გამომგონებლობა წარმოსახვასა და წარმოდგენებს ემყარება, ანუ მშვინვიერ მოვლენათა ტიპს განეკუთვნება. წარმოსახვა უშუალო კავშირშია ვნებებთან _ ქვეცნობიერის წიაღიდან ამოტივტივებული სახის მიმართ ემოციურ რეაქციებთან. რაც მეტად კაშკაშა და გასაოცარია სახეები და სურათები, მშვინვიერი ძალების მით უფრო მეტ ემოციურ დაძაბვას იწვევენ ისინი და პირიქით, რაც მეტად ძლიერი და დახვეწილია ვნებები, რაც უფრო ინტენსიურია ემოციები, მით უფრო ნათელი და საოცარია გონებაში გაჩენილ წარმოსახვათა კალეიდოსკოპი. ამიტომ მსახიობის ან მწერლის საერო ხელოვნება, ეს არის ხელოვნება საკუთარ სულში აღტაცების, ვნების აღძვრისა და მისი განხორციელებისა სიტყვასა და მიმიკაში.

(ასე გამოიწვევს მაგი ბნელ სულებს მიწის წიაღიდან) არტისტი და მწერალი შეყვარებულების, მკვლელების, ერთგული მეგობრების, შეურიგებელი მტრების მდგომარეობებს განიცდიან. ვნებები მრავალფეროვან საკვებს მოითხოვენ, ამიტომ ავტორმა თამაშის ახალი კომბინაციების მსგავსი სიტუაციები უნდა შექმნას. ამ პროცესს შემოქმედებითი ტალანტი ეწოდება. იქ, რაღა თქმა უნდა, სული და მადლი არ არის და არც შეიძლება იყოს.

სულიერის იმიტირება შეუძლებელია. იმიტაცია, როგორც სიყალბე, იგივე გამომგონებლობაა. მკითხველებს და მაყურებლებს თანაგანცდა, მაღალი შთაბეჭდილებიანობა, სწრაფი აღგზნებადობა და ემოციათა პლასტიურობა მოეთხოვებათ, ანუ მაყურებლის სული წყალივით თხევადი უნდა გახდეს, რომელსაც გამუდმებით სხვადასხვა ფორმებში ასხამენ.

საერო ხელოვნება წარხოცავს ადამიანის პიროვნებას. საერო ხელოვნების მეშვეობით ადამიანი აზრით ყველანაირ მანკიერებას სჩადის. ის ქვეცნობიერის დონეზე სცენისა და წიგნის პერსონაჟად გარდაიქმნება, მათი ცხოვრებით ცხოვრობს და საკუთარ თავს სწყდება. ამას ერში ემოციურად გამდიდრებას ეძახიან. მაგრამ თუ საერო ხელოვნებას აქვს კიდეც ზნეობრივი შინაარსი, ის მაინც დააკავებს ადამიანს მშვინვიერის დონეზე, რომელსაც გამუდმებით არყევს ვნებათა ექო.

ტაძარში ადამიანი იმას პოულობს, რაც ერში არ უგრძნია და არ განუცდია _ ეს არის შეხება სულის სფეროსთან.

ხშირად, სულიერი გზის დასაწყისში, მადლი ადამიანს მისთვის უცნობ სულიერ სამყაროს გამოუთქმელ სილამაზეს უხსნის, შემდეგ კი თითქოს ფარავს მისგან, რათა ის ცხოვრებისეული ღვაწლით, გულის განწმედით მადლის საუკუნოდ მიღების უნარიანი გახდეს, ფერისცვალების ცეცხლში ამ მადლით თავად გახდეს სულიერი სამყაროს ნაწილაკი, ქრისტეს ეკლესიის მისტიკური სხეული.

განმაახლებლობა _ ეს არის ღმერთთან მიახლოების მცდელობა არა მადლის მეშვეობით, არა სულის სფეროსთან აღსვლით, არამედ საკუთარი ემოციებისა და წარმოდგენების აუღორძინებელ მშვინვიერებაზე დარჩენით. მშვინვიერების ტყვეობიდან თავის დასაღწევად მონაზვნები ქვეყანას დაუტევებდნენ და ცხოვრებას მდუმარებასა და ლოცვაში განლევდნენ. ისინი თავიანთი ცნობიერებიდან წარმოდგენებისა და სახეების, გულიდან კი ვნებების განგდებით ვნებიან წარმოსახვებს ებრძოდნენ. მეუდაბნოეთათვის მთავარი საცდური – ხსოვნა იყო. ეს საცდური მათ თვალწინ მოგონებებით ჩნდებოდა ვითარცა «ხე კეთილისა და ბოროტის ცნობისა». მაგრამ ხშირად ცდუნება მათ გულში მაცდუნებელ მუსიკად, მომაჯადოებელ, უსიტყვო სიმღერად იჭრებოდა. თუ მონაზონი ამ სიმღერას ყურს დაუგდებდა და მას, როგორც მადლიან ნუგეშს, ისე მიიღებდა, მაშინ ის თანდათან აუძლურებდა მის ნებას, სულის სიღრმეში დაფარული ვნებები ცოცხლდებოდნენ და როგორც გველები გაზაფხულზე, კვლავ ამოცოცდებოდნენ.

მუსიკა ვნებიანი რიტმების ასახვაა, ეს გრძნობების უშუალო, განსაკუთრებული ენაა. საეკლესიო ლიტურგიკაში მოტივების მცირე რაოდენობა იყო დაშვებული. მათი უმეტესი ნაწილი თავისი ძირებით მოციქულთა ეპოქას უკავშირდებოდა, ზოგი მათგანი კი ძველი აღთქმის ტაძრების ღვთისმსახურებისას ჟღერდა. სასულიერო მუსიკას არ უსმენენ, მასში ერთვებიან, ის ღვთისმსახურების ფონია. ის ისევე ეხმარება ლოცვას, როგორც ფრთები ჩიტს ფრენისას. მუსიკის მოსმენისას ადამიანი წყვეტს ლოცვას, ხოლო როცა ახალ კომპოზიტორთა მიერ შეთხზულ საეკლესიო მუსიკაში დაფარული ვნებიანი მელოდიები ჟღერს, ერთგვარად პარალიზდება გონება, ტკბილი თვლემის მდგომარეობაში მოდის, როგორღაც აზრობრივ წყვდიადში იძირება და სულს ამ ბგერებში დაშიფრული ვნებების შეწოვის საშუალებას აძლევს და ადამიანი ისე ტკბება, რომ თავადაც ვერ გრძნობს, ეკლესიაში დაყიალებს, ლოცვა ავიწყდება, შემდეგ კი, ტაძრიდან გამოსული ამბობს: «რა შესანიშნავი გალობა იყო» და ვერ ხვდება, რომ ის სულიერად გაქურდეს.

სამონასტრო გალობა ძველ გალობასთან სიახლოვით გამოირჩევა, ამიტომ სულს სხვაგვარად განაწყობს. სული არ ტკბება, არამედ ლოცვის სიტყვების აზრს გაცილებით ღრმად გრძნობს და მათთან მიერთების, საკუთარ თავში მათი შეთვისების უნარიანი ხდება, როგორც გამომშრალი მიწა წვიმის წვეთისა.

რაც შეეხება მეუდაბნოე მონაზვნებს, ისინი საეკლესიო გალობას ისეთივე სამშვენისად თვლიდნენ, როგორც ხატებისთვის ოქროს და ძვირფას ქვებს, მაგრამ რამდენადაც გალობას ამასოფლისაგან განდგომილი სულის მდუმარებასთან შეუსაბამოდ თვლიდნენ, თვითონ არ გალობდნენ ლოცვის დროს, ერთობლივ მსახურებაზე კი ლოცვას რეჩიტატივით კითხულობდნენ.

განმაახლებლებმა მოიგონეს სექტებისთვის კარგად ცნობილი, მაგრამ მართლმადიდებლობისთვის ახალი პროვოკაცია _ ლოცვა გიტარის თანხლებით. მალე გაჩნდება მოხეტიალე მონაზონ-მუსიკოსთა ახალი ტიპი: ზოგს თანამედროვე აპარატურა ექნება, სხვებს ეგზოტიკისთვის – გუსლი*, ისინი ბედუინებივით იმთაბარებენ, შესაძლოა «სამგზავრო» მონასტრის ახალი ტიპი გამოიგონონ. უნდა ვაღიაროთ: ისინი მეტად მახვილგონიერნი არიან.

---

* გუსლი _ ძვ. რუსული სიმებიანი საკრავი.
** მთ. 5, 13.

სულიერებასა და მშვინვიერებაზე საკმაოდ ვილაპარაკეთ. ეს თემა ამჟამად ერთ-ერთი სოტერიოლოგიური და ასკეტიკური პრობლემაა. აქ ჩვენ შეგვიძლია მივხვდეთ, თუ რატომ ხდება ეკლესიური ადამიანისთვის საერო ლიტერატურა და ხელოვნება უცხო და უსარგებლო მისი სულიერი წინსვლის შესაბამისად, რატომაა ისინი მისთვის აუღორძინებელი სამყაროს რაღაც კონცენტრატები, რომელიც უკან მოიტოვა, რატომ გახდა ეს სტიქია არა მხოლოდ მტრული, არამედ მოსაწყენი და უინტერესო? გვინდა ყურადღება მივაქციოთ საგანგაშო ფაქტს: განმაახლებლობა თვით მონაზვნობაში აღწევს.

ერთ-ერთი თანამედროვე სწავლული მონაზვნის წიგნები, რომლებიც დიდი ტირაჟით იბეჭდება, ორიგენიზმის სულისკვეთების საღვთისმეტყველო განმაახლებლობის მცდელობას წარმოადგენს. სხვა მონაზვნის ნაწარმოებები განმაახლებლობის შეჭრაა მისტიკის და ესქატოლოგიის სფეროში, რაც ოკულტურ ვიზიონერულ ბოდვაში გადადის; მოდური რომანსების მონაზონ-შემთხზველის შემოქმედება – ეს განმაახლებლობაა თვით მონაზვნური ცხოვრებისა, მდუმარებისა და ლოცვის ღვაწლის შეცვლაა სამიკიტნო-თეატრალური მისიონერობით. ის მონაზონს არტისტად აქცევს, რომელსაც შეიძლება ტაში დაუკრა და «ბისზე» გამოიძახო. თუკი განმაახლებლობის მცდელობა ამ მიმართულებით მოწონებასა და სიმპათიას გამოიწვევს საეკლესიო საზოგადოებრიობის მხრიდან, ეს იქნება მრისხანე სიმპტომი მართლმადიდებელთაგან მართლმადიდებლობის, მონაზვნებისაგან – მონაზვნობის ვერ გაგებისა. მაშინ შესაძლოა მოხდეს ის, რაზედაც ბრძანებს უფალი *«უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაჲთა-მე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არს მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ».*[**]

მადლიერების შესახებ

«... მოწყალებისა ნათელი უშრეტელ
არს და განმწმედელ სულისა
უფროს ოქროსა ბრწყინვალისა».

წმ. იოანე ოქროპირი

მადლიერების გრძნობა _ ეს ადამიანისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ბუნებრივი და ამავდროულად კეთილშობილური გრძნობაა. მადლიერება ხსოვნაა მიღებული სიკეთისა, რომელიც ქვაზე დაწერილივით ინახება გულში და სიკეთის წილ სიკეთის მიგების სურვილში გამოხატება. შეიძლება სხვაგვარად ითქვას: მადლიერება _ ეს თბილი გრძნობაა, რომელიც ადამიანებს შორის განსაკუთრებულ ემოციურ ველს ქმნის. მადლიერება თავმდაბალთა ხვედრია. ამაყს არ შეუძლია მადლიერი იყოს, რადგან ეჩვენება, რომ პირადი ღირსებების გამო მხოლოდ აღტაცებას იმსახურებს. მადლიერება ადამიანებს ერთმანეთთან სულიერად აახლოებს, მათ უნდობლობასა და ეჭვს აცილებს და მტრებსაც კი მეგობრებად ხდის. თუმცა აქ შესაძლოა წარმოიშვას უსწორობანი და შეცდომები, რომელთა შესახებაც უნდა გვახსოვდეს.

ქრისტიანობის საფუძველი _ სიყვარულია. სიყვარულის ქმედითი გამოხატულებაა _ მსხვერპლი. მოწყალება _ ეს ყოველდღიური მსხვერპლის სახეა, რომელშიც, როგორც ცეცხლში, ადამიანური ეგოიზმი იწვის. უფალმა ბრძანა: «გიჯობს გასცე, ვიდრე მიიღო». სიყვარული თავისად არაფერს მიიჩნევს. ქრისტიანობაში ძღვენსა და მოწყალებას არა მხოლოდ ზნეობრივი, ასევე მისტიკური ხასიათი აქვს: გაიღო ქრისტესთვს ან გააკეთო ქრისტესთვის _ ეს ნიშნავს, ქრისტეს მისცე ადამიანის მეშვეობით. სიტყვა «მოწყალება» არა ქცევა, არამედ უწინარეს ყოვლისა სულიერი განწყობაა, მოწყალება _ ეს თანაგრძნობაა, თანაგანცდაა; მოწყალება _ ეს სულიერი სიყვარულის ერთ-ერთი თვისებაა, ეს არის კაცთა მოდგმის ერთიანობის გრძნობა. მოწყალესათვის თითოეული ადამიანი მისი ახლობელია.

მრავალფეროვანია მოწყალების სახეები და ფორმები, მაგრამ ერთია მათი საფუძველი _ სხვაში შეგეძლოს საკუთარი თავის დანახვა, სხვა საკუთარი თავით შეცვალო. ამიტომ მოწყალება ადამიანის გონებასა და ყოფიერებას აფართოებს, ეგოიზმი და თავისმოყვარება კი ცხოვრებას ზღუდავს და აღატაკებს. მოწყალება სიყვარულის განუყრელი თანამგზავრია, ხოლო სიყვარული გულის დიდი თავისუფლება, სიმშვიდე და «სივრცეა».

სიტყვა «ძღვენი» უფასოს, უსასყიდლოს ნიშნავს: ძღვენი ისაა, რაც გათვლას და სამართლიანობის შესახებ ქვეყნიურ გაგებასაც კი არ ექვემდებარება. ძღვენი _ ეს ადამიანისათვის მისაწვდომი მიბაძვაა ღვთისა, რომელიც ადამიანს ყოველივეს უსასყიდლოდ აძლევს. ძღვენი და მოწყალება, როგორც ადამიანის სულის თავისუფალი ქმედება, პასუხს და სამაგიეროს არ უნდა იმედოვნებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ანგარიშში, ურთიერთგაცვლაში, ურთიერთდახმარებაში, მომსახურებაში და მის ანაზღაურებაში გადაიზრდება. მაშინ სიტყვა «ძღვენი» და «მოწყალება» თავიანთ შინაარსს აღარ პასუხობენ და ისინი სხვა სიტყვებით უნდა შეიცვალოს: ვაჭრობა, და ყიდვა, ზოგჯერ _ მომგებიანი საწარმო, სადაც პროცენტებითა და ჭარბი მოგებით წარმატებას მოელიან.

ამ ცრუ «ძღვენის» ყველაზე ცუდი სახე ისაა, როცა მისით ადამიანის თავისუფლებას ყიდულობენ და მონამ თავისი ახალი ბატონისათვის უნდა იმუშაოს. ის, ვინც გასცემს,

ადამიანისაგან საპასუხოდ არაფერს უნდა მოელოდეს. თუკი ის ჭეშმარიტად ქრისტესთვის აკეთებს, მაშინ ქრისტესაგან იმაზე მეტს მიიღებს, ვიდრე მოელის. თუკი მან ეს სიყვარულის გამო გააკეთა, მაშინ ჯილდოს თვით სიყვარულში მიიღებს: სიყვარული გულში _ ეს დიდი ბედნიერებაა. თუკი მოწყალება დაფარული სურვილით გაიღო, მისთვის მადლი იქნება, თუ არაფერს მიიღებს და შერცხვენილი იქნება მისი ხრიკები.

შეიძლება ხშირად გაიგონო სიტყვები: მე ადამიანს სიკეთეს ვუკეთებ, მისგან კი უმადურობას ვიმკი. უცნაური წინააღმდეგობაა: მადლიერების მოლოდინით გაკეთებული სიკეთე ხომ უკვე აღარ არის სიკეთე, არამედ ანგარებაა. ქრისტემ თქვა: «როცა ერთი ხელი წყალობას გასცემს, დაე მეორემ არაფერი იცოდეს ამის შესახებ». ადამიანმა სხვისთვის გაკეთებული სიკეთე უნდა დაივიწყოს, ის წყალზე დაწერილივით უნდა გაქრეს მისი მეხსიერებიდან. ის თავის განძს ამით საიმედო სამალავში შეინახავს.

ადამიანები ჩვეულებრივ ვერ მშვიდდებიან, განიცდიან და ყვებიან, რამდენი სიკეთე გააკეთეს და საპასუხოდ ვერაფერი მიიღეს, თითქოსდა მოატყუეს ისინი. მსგავს შეცდომას ის ადამიანები უშვებენ, რომლებიც ძღვენს არ უყურებენ როგორც ქრისტიანული სიყვარულის ნიშანს, არამედ დაკაბალებულები თავს მოვალედ თვლიან ის გამოიმუშაონ და გადაიხადონ, დაძაბულები ფიქრობენ, პასუხად რა იღონონ, რა აჩუქონ, შიშობენ არ გამოჩნდნენ უმადურები და ამით არ დამცირდნენ, სამსახურის შეთავაზებისთვის შემთხვევას ეძებენ, რათა მევალეს მალე გაუსწორდნენ. არც თუ იშვიათად საკუთარ თავს სიყალბეს, თავის მოკატუნებას, სიცრუეს აიძულებენ, ანუ სულით, როგორც წვრილი ფულით მაგიერის გადახდას. მაშინ ადამიანში სიყვარულის ნაცვლად შინაგანი მონური დამოკიდებულება ჩნდება, რომელმაც შესაძლოა ჩუმი, ყრუ გაღიზიანება გამოიწვიოს იმის მიმართ, ვინც დახმარება და წყალობა აღმოუჩინა: ხომ არ შეიძლება მოვალეს ვალის მიმცემი უყვარდეს. ზოგჯერ ფსიქოლოგიური პარადოქსი ხდება: იმისათვის, რომ დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდეს, რომელიც ადამიანმა თავს თვითონვე მოიხვია, იმასთან კონფლიქტზე მიდის, ვინც სიკეთე გაუკეთა. ამიტომაც არსებობს ქვეყნად ასეთი უცნაური რამ: თითქოსდა შურს იძიებენო, სიკეთეს ბოროტებით უხდიან. ამაში დამნაშავე კი საკითხის არასწორად დაყენებაა, _ მადლიერების, როგორც ვალის ცრუ გრძნობა.

ძღვენმა და მოწყალებამ ადამიანის თავისუფლება არ უნდა შეზღუდოს, მაშინ ექნება მას ჭეშმარიტი მადლიერება და სიყვარული არა ძღვენის, არამედ თვით სიყვარულის გამო. სიყვარული, როგორც გრძნობა, თავის მიძღვნით არ მცირდება, ის უფრო მატულობს. ისინი, ვისაც მადლიერების შეცვლა წვრილმანი გათვლითა და ანგარიშით უნდათ, ჩვეულებრივ თვითონ არ არიან მოწყალებაში გულწრფელნი. ჩვენი გახრწნილება და სიცრუე ყველაზე წმიდა სიტყვებითა და ცნებებით სპეკულანტობენ, ამიტომ თვალი უნდა ვადევნოთ, რომ ძღვენის მიცემით და სამოწყალო საქმის კეთებით არ ვიყიდოთ, ხოლო მიღებით _ არ გავყიდოთ.

ყველაზე უწინ და ყველაზე მეტად ღმერთს უნდა ვემადლიეროთ, რომლის გარეშეც არაფერი კეთდება, შემდეგ კი ადამიანს, როგორც მის იარაღს და ამით ქრისტეს მიერ მოძღვნილი თავისუფლება შევინარჩუნოთ.

ანათემა

საეკლესიო ანათემის შესახებ საკითხი გაუგებრობას და შეცბუნებას იწვევდა და ჩვენს დროშიც იწვევს. ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენციის წრეებში კი _ პროტესტს და აღშფოთებას. ჰუმანისტები ანათემას ბნელი შუასაუკუნეების ბნელ გადმონაშთად, შეუზღუდავ სისასტიკედ მიიჩნევენ, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია, ხოლო თეოსოფები ანათემაში აუტოდაფეს კოცონს ხედავენ სხვაგვარად მოაზროვნეთათვის. უნდა გაირკვეს, თუ რას ნიშნავს თავისთავად ანათემა, რატომ ხდება, რომ ეკლესია _ ღვთაებრივი სიყვარულისა და მოწყალების ეს განსხეულება, განსაზღვრულ შემთხვევებში საჯაროდ და სახალხოდ განკვეთს იმათ, ვინც ფორმალურად ითვლებიან მართლმადიდებელ ქრისტიანებად, მაგრამ მისი დოგმატური სწავლების წინააღმდეგ იბრძვიან. ყოველწლიურად, დიდმარხვის პირველ კვირიაკეს, ეკლესია გარდაცვლილ ერეტიკოსთა ანათემას დაამოწმებს. ჩვენ დოგმატებზე ვსაუბრობდით, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია ერთიანი, ცოცხალი ორგანიზმია და თუმცა დოგმატური სისუფთავე მართლმადიდებლობის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს, ეკლესიაში ყველაფერი: რწმენა, კანონიკა, საიდუმლოებები, ღვთისმსახურება, რიტუალთა სიმბოლური ენა, სადისციპლინო წესები და ა.შ. ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. აქ მოქმედებს აქსიომატური კანონი: ცოცხალი ორგანიზმის გარეშე სიცოცხლე არ არის. ცხონების საფუძველს ადამიანის სულში ღვთაებრივი მადლის ძალით ღვთის _ ქრისტე მაცხოვრის ხატების განახლება წარმოადგენს. ეკლესიის საიდუმლოებებში, ღვთისმსახურებასა და ლოცვებში მოქმედი ეს ძალა ადამიანის პიროვნებას სახეს აცვლევინებს, ღვთისადმი მის მიმსგავსებას განახორციელებს, აერთებს ღვთაებასთან, რომელშიც აბსოლუტური და საუკუნო ცხოვრება მდგომარეობს. დოგმატები _ ეს გონებით სახილველი ხატია ღვთისა, ეს ფორმულებია, რომლებიც განსჯისთვის მიუწვდომელ სულიერ სიდიდეებს შეიცავენ, ეს ღვაწლი და მორჩილებაა რწმენისა, რომელიც მარადისობაში რეალიად და სიცხადედ იქცევა, ეს ჭეშმარიტებაა, რომელიც ისე წარმოდგება, ვითარცა ცხოვრება. დოგმატური ფორმულები სულიერ სამყაროში ყოფიერების ფორმულებს წარმოადგენენ.

ქრისტე ეკლესიაში უხილავად იმყოფება და ეკლესიურ ცხოვრებაში ჩართვით ადამიანის სულში ქრისტეს სახე აღმშენებლობს. ცრუ დოგმატი, ცრუ სწავლება _ ეს შეცვლაა ქრისტესი სხვა სახით, ეს დამახინჯებული წარმოდგენაა ადამიანისა ღმერთის შესახებ, ეს ცოცხალი და რეალური ქრისტეს შეუქცევადი კარგვაა მარადისობაში. ამიტომ წმინდა მამები განსაკუთრებულად ფხიზელნი იყვნენ სარწმუნოებრივი სწავლების დოგმატური სისუფთავის მიმართ და შეურიგებელნი ერესთან და მოდერნისტულ გაუკუღმართებასთან. ასეთი შეურიგებლობა თანამედროვე ადამიანს შესაძლოა მკაცრ ინტელექტუალურ რიგორიზმად[32] მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო სიყვარული ქრისტესადმი, როგორც სიცოცხლის ცენტრისადმი და სიყვარულისაგან წარმოშობილი კრძალული შიში, შიში ქრისტეს დაკარგვისა და მისი შეცვლისა ცრუ სახით, ანუ ბნელით და ილუზორულით.

ანათემა _ ეს მხოლოდ დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ ადამიანი, რომელმაც ეკლესიის სწავლებას თავისი ამაყი გონების ზმანებები დაუპირისპირა, უკვე განუდგა ეკლესიას. აქ ეკლესია განკვეთის გზით ადამიანს თითქოსდა უკანასკნელად მიმართავს, უკვე არა გაფრთხილებით, არამედ იმის დამტკიცებით, რომ იგი უცხოა ქრისტესთვის, როგორც

საუკუნო ცხოვრებისთვის, რომ მან თავისი თავი ეკლესიის გარეთ დააყენა. ეკლესიიდან წასვლა კი ნიშნავს ეკლესიის წინააღმდეგ წასვლას, მოწამლული ატმოსფეროთი სუნთქვას, ეკლესიისთვის უცხო, სხვა გარემოში ყოფნას, იქ, სადაც ვერ აღწევენ ღვთაებრივი სინათლის სხივები. სარწმუნოებრივი საკითხებისადმი ინდიფერენტული ადამიანები არცთუ იშვიათად თვლიან: საკმარისია მოიხსნას ანათემა, რომ კონფესიათა გამყოფი კედელი დაინგრევა და ისინი ერთიან სულიერ ველში გაერთიანდებიან, უფრო ზუსტად, ერთ ეზოში. მაგრამ ადამიანის სვე-ბედს ანათემები არ წყვეტენ _ ეს გაუგებრობაა, თუკი ექიმი ადამიანის სიკვდილის შესახებ აცხადებს, ნუთუ ეს ექიმის სისასტიკეა? მან ავადმყოფები უნდა ანუგეშოს ცრუ იმედით, რომ გარდაცვლილი ცოცხალია? ფიზიკური სიკვდილი შეუქცევადია, ხოლო სულიერი სიკვდილი, როგორც ეკლესიისაგან მოწყვეტა, მხოლოდ იმქვეყნად ყოფნის მდგომარეობაშია საბოლოო. აქ, დედამიწაზე, ადამიანს შეუძლია კვლავ მიმართოს ეკლესიას და ეკლესიაც ნებისმიერი ცოდვილის და ერეტიკოსის სინანულს მიიღებს მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი, და მიუტევებს მას. ამიტომ ანათემა არა სისასტიკე, არამედ მოწყალებაა ეკლესიისა ადამიანების მიმართ, როგორც მშობლების მოწყალება შვილების მიმართ, მასწავლებლებისა მოსწავლეების მიმართ, როცა მათ აფრთხილებენ, თუ სადაა ჩასაფრებული სასიკვდილო საფრთხე; როცა უფროსი ძმა ეუბნება ტყეში მიმავალ უმცროს ძმებს, რა ადგილას ბინადრობენ გველები, სად არის ჭაობიანი ადგილები ან ტოტებითა და ბალახით შენიღბული ორმოები. განა ეს სისასტიკეა? ერესი და ცრუ სწავლებანი _ ეს იგივე დაფარული ორმოებია სულიერ გზაზე. ღირსმა იოანე დამასკელმა ერესს «მგლის ხაფანგები» უწოდა.

ადამიანს მიწიერი ცხოვრება საკუთარი პიროვნების თვითგამორკვევისთვის, ზნეობრივი სრულყოფისთვის და სულიერი გზის არჩევისთვის მიეცა. იმქვეყნიური ცხოვრება _ ეს გაცხადებაა იმისა, რაც ადამიანმა მიწიერ ცხოვრებაში მოიხვეჭა. ყველაზე მთავარი კი ესაა: მოიხვეჭა თუ არა ქრისტეს ხატება თავის სულში; მოიხვეჭა თუ არა სულიწმიდის მადლი _ ზეციდან დედამიწაზე გადმოდინებული მარადიული ნათელი. თუ არ მოიხვეჭა, მაშინ მის სულში სხვა, შავი სახე გაჩნდება, რადგან სულიერ სამყაროში ნეიტრალური არ არსებობს.

თავისთავად ანათემა არ არის წყევა წარწყმედის სურვებით. ის ეკლესიისაგან განდგომილს იმის შესახებ აფრთხილებს, რომ იგი წყევისა და მარადიული უკუნის ქვეყანაში აღმოჩნდა. სიკვდილის შემდეგ დაბრუნება და სინანული არ არის.

ავადმყოფის დიაგნოზი რომ დავხიოთ, ეს არ შეცვლის მის მდგომარეობას; საფლავის წარწერა რომ წავშალოთ, მკვდარი მაინც მიწაში დარჩება. ერესი _ ეს საეკლესიო კანონით თვითგანკვეთაა ეკლესიიდან. მოუნანიებელ ცოდვილს თუგინდ მოეხსნას ანათემა, მას ეს მაინც არ მიაახლოებს ღმერთთან, მის იმქვეყნიურ ხვედრს ვერ შეცვლის. ნეტარი ავგუსტინე ამბობდა, რომ შესაძლოა გწამდეს წმიდა სამება ეკლესიის გარეშე, გეჭიროს სახარება და იქადაგო, ქრისტეს სახელისთვის ევნო, მაგრამ ეკლესიის გარეშე შეუძლებელია ერთი რამ _ ცხონება. სწორედ ამას მოწმობს ეკლესია სიტყვით _ «ანათემა», რომელიც მომაკვდავი შვილების შემხედვარე დედის გოდებასავით გაისმის.

აპოკალიპსურ დროსა და «აპოკალიპტიკოსებზე»

ჩვენი დრო აპოკალიპსურია, მაგრამ როდის არ იყო ის ასეთი? ქრისტიანები ჯერ კიდევ მოციქულთა დროს ხედავდნენ ბოროტების დემონურ განსახიერებას და გამოვლინებას მათ გარემომცველ სამყაროში, სისხლიანი დევნის დროს ერთგვარად საკუთარი თვალით ჭვრეტდნენ აპოკალიპსისის აჩრდილს და «ქვესკნელის მხეცის» შავბნელ მოხაზულობას, რომელსაც ეკლესიის _ ქრისტეს სასძლოს დაფლეთა ისე სურდა, როგორც ლომები გლეჯდნენ ქრისტიანთა სხეულებს რომის კოლიზეუმის კედლებში. მსოფლიო ისტორიის მოვლენებში ისინი წინასწარ შეიგრძნობდნენ მომავალ კატასტროფებს და აპოკალიპსური სურათების კონტურები მათ თვალწინ სულ უფრო ნათლად და მკაფიოდ იკვეთებოდა. აპოკალიპსი დედამიწაზე ქრისტეს მოსვლის დროიდან დაიწყო. იოანე ღვთისმეტყველი პატმოსზე ჭვრეტდა, რა არის და რა იქნება.

ბოროტება ყოველთვის არსებობდა მსოფლიოში და თაობიდან თაობამდე მატულობდა. ის წყალუხვ მდინარეს ჰგავს, რომელიც პლატინას ხეთქავს და ნაპირებს ტბორავს. ბოროტება პიროვნებებში _ ქრისტიანობის მტრებში კონცენტრირდება. ისინი ისტორიის სცენაზე გამოდიან, როგორც ანტიქრისტეს წინამორბედნი, მაგრამ არის კიდევ ნაცრისფერი, ყოველდღიური აპოკალიპსი _ ეს სიყვარულისა და რწმენის დაშრეტაა, ეს გარყვნილება და სიცრუეა, გულგრილობა და სისასტიკეა, ადამიანის ყოველდღიური ბრძოლაა ადამიანის წინააღმდეგ, რაც მას სულიერ სიხარულს ართმევს და ცხოვრებას წვრილმან დანაშაულებათა ჯაჭვად უქცევს. ეს გულმოდგინე და როგორღაც შეუმჩნეველი მუშაობაა ბნელი ძალებისა, რომლებიც მომავალ მხეცს გზას უმზადებენ. ამ მხრივ აწმყო უკვე შეიცავს მომავლის ელემენტებს და მის წინასახეს წარმოადგენს.

როცა სიბერე დგება, ამბობენ: «ახლოსაა სიცოცხლის ბოლო». მაგრამ ის რამდენ ხანს გასტანს, არავინ იცის, შესაძლოა, სიჭაბუკეზე ხანგრძლივიც აღმოჩნდეს. მთიდან დაშვებას მეტი დრო მიაქვს, ვიდრე ასვლას. ახლა, ისევე, როგორც ადრე, ქრისტიანები ცოდვის მზარდ ძალას და სიკეთის მოკლებას _ მსოფლიოს ამ ზნეობრივ ენთროპიას ხედავენ. მაგრამ დრო, როცა ისტორიის უკანასკნელი გვერდი გადაიშლება, უცნობია. უფალმა თქვა, რომ მალე მოვა ცოცხალთა და მკვდართა განსაკითხავად, მაგრამ რომელ კოსმიურ განზომილებებშია ნათქვამი ეს სიტყვები, ჩვენ არ ვიცით. იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში წერია, რომ ნეტარ არიან ისინი, ვინც ამ წიგნს _ აპოკალიპსს კითხულობენ, ნეტარნი კი იმიტომ არიან, რომ დედამიწაზე სამუდამოდ ცხოვრებით არ ცდუნდებიან, განსაცდელისათვის მზად არიან, რომ ბოროტების საბოლოო დამარცხება და სიკეთის გამარჯვება უწყიან. მაგრამ აპოკალიპსის ხილვები არ ფარავდა ქრისტიანთათვის მათი ცხოვრების მთავარ ამოცანას _ თავიანთი თავი სიკვდილისათვის და ქრისტესთან შესახვედრად მოემზადებინათ, რაც ისტორიის ვადებისაგან დამოუკიდებლად მოხდება. მომავლის გახსნა აიძულებდა მათ აპოკალიპსი საკუთარ გულებში ეძებნათ და ეხილათ, ანუ იქ, სადაც ქრისტე ანტიქრისტეს ებრძვის, სადაც დემონი ადამიანის გულის ტაძრის დანგრევას ლამობს, სადაც ადამიანი საკუთარ თავს ხან წმიდანთა შორის, ხანაც ბნელი ძალების ხროვაში ხედავს. ეს შინაგანი აპოკალიპსი მოღვაწეთათვის იხსნებოდა, ისინი საკუთარ თავს დასტიროდნენ, თავიანთ გულებში მსოფლიო ტრაგიზმს ჭვრეტდნენ და გრძნობდნენ.

ნეტარი ავგუსტინე წერს: «ღმერთმა იმაზე გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე ბოროტების განადგურებით გააკეთებდა. მან თვით ბოროტებას სიკეთის სამსახური აიძულა», მაგრამ დემონს, როგორც ღვთის მაიმუნს, სიკეთისა ბოროტებად, ხოლო აპოკალიპსის წიგნის რაღაც სამკითხაო წიგნად ქცევა უნდა მადლის არმქონე ადამიანთა ხელში. ასე გაჩნდა შინაგანი სულიერი ცხოვრებიდან გათიშული «აპოკალიპტიკოსის» ტიპი, რომელიც ანტიქრისტეს მოსვლის დროისა და ქვეყნიერების დასასრულის გამოთვლითაა დაკავებული, ანუ იმ საიდუმლოს მოპარვა სურს, რომელიც ქრისტემ ქვეყნისაგან დაფარა. ის საგულდაგულოდ აგროვებს ცნობებს კატასტროფებზე, ამონაჭრებს ჟურნალ-გაზეთებიდან წყალდიდობებზე, კომეტის მოახლოებაზე და ა.შ. თავის მსმენელებს მოზეიმე ტონით ეუბნება: «აი ოზონის ხვრელი გაიხსნა და ყველანი გამოსხივებით დაიხოცებიან; თუ შეიტყვეთ სიახლე _ გვიახლოვდება კომეტა, რომელიც დედამიწას უნდა შეეჯახოს, მოხდება აფეთქება, რაც კაცობრიობას გაანადგურებს. თუ ოკეანეში ჩავარდა, დიდი ტალღები მთელ დედამიწას დაფარავენ, როგორც წარღვნისას». ამ დროს ის გარშემომყოფთ მოზეიმე სახით უყურებს, იღებს სქელ რვეულს, სადაც ქვეყნიერების აღსასრულზე წინასწარმეტყველებები უწერია და ამტკიცებს, რომ ყველაფერი ასრულდა. შემდეგ რაღაც ტოლობები გამოჰყავს და აცხადებს, რომ ანტიქრისტე უკვე ქვეყანაზეა, ის ერთ ან ორ წელიწადში გამოჩნდება. შემდეგ სულმოუთქმელად საუბრობს იმაზე, რომ ანტარქტიდაში ყინულის დნობა იწყება, ოკეანის დონე რამდენიმე მეტრით აიწევს და სანაპირო ქალაქებს დატბორავს; შავ ზღვაზე გოგირდწყალბადის აფეთქება მოხდება და ვულკანებიც კვლავ ამოქმედდება. თვითონ თუ სჯერა ამ ყველაფრისა _ უცნობია, თუმცა მისთვის მთავარი ისაა, რადაც უნდა დაუჯდეს, ეფექტი მოახდინოს.

თუკი მღვდელი ხდება ასეთი «აპოკალიპტიკოსი», მაშინ სამწყსოს სულიერი ცხოვრება თანდათანობით იხშობა და მრევლი მეტს ფიქრობს იმაზე, რომელი კატასტროფა როდის დაატყდება მსოფლიოს, ვიდრე მადლის მოხვეჭაზე, ურომლისოდაც ადამიანი თვითონ ხდება ანტიქრისტე საკუთარი თავისათვის. ასეთი მწყემსების საუბრისას სამწყსოსთან ატმოსფერო ელექტროვდება, სულიერი მოძღვრისაგან ყველანი ისე მოელიან ქვეყნიერების აღსასრულის გამოცხადებას, როგორც სულების გამომძახებელი მოელის პასუხებს მედიუმისაგან სპირიტიზმის სეანსებზე. თუმცა ასეთი წინასწარმეტყველება, ჩვეულებრივ, არასდროს სრულდება, მაინც ცდილობენ ეს არ შეამჩნიონ ან გამოთვლებში შეცდომას მიაწერონ. ასეთ თემებში იესოს ლოცვით არ არიან დაკავებულნი, არ კითხულობენ წიგნებს სულიერ ცხოვრებაზე, იქ არ არის ადამიანთა გულების გამათბობელი სულიერი სინათლე, იქ ერთგვარი შიშის «მაგიაა». ასეთი ხალხი ივიწყებს ღვთის განგებულებას, ქრისტეს აღთქმას _ ჯოჯოხეთის კარიბჭეთაგან დაიცვას თავისი ეკლესია. მისალმების ნაცვლად ერთმანეთს ეუბნებიან: «_ შეიტყვეთ სიახლე, რომელიღაც შემთხვევის შესახებ თუ წაიკითხეთ? ესე იგი ქვეყნის აღსასრული მალე იქნება». ამავე დროს ეს ადამიანები თავს უკანასკნელი ჟამის წინასწარმეტყველებად გრძნობენ და თვლიან, რომ განსაკუთრებულ მისიას ასრულებენ.

იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიპსი ცეცხლოვანი ენითაა დაწერილი, თითქოსდა ელვითაა ნაქსოვი, ის მახვილია დაუდევრობისა და გულმავიწყობის წინააღმდეგ, ადამიანის გულს გაცივების საშუალებას არ აძლევს და ამავდროულად ამაყი და სინანულის არმქონე სულებისათვის იქცა მახვილად, რომლითაც ისინი საკუთარ თავს ჭრილობებს აყენებენ.

აპოკალიპსი, ეს არა იმდენად რექვიემია სამყაროსი, რომელიც იღუპება, რამდენადაც ზეციდან ჩამომავალი ახალი იერუსალიმის სადიდებელი ჰიმნია. ძველი ქრისტიანები ქვეყნიერების აღსასრულს მოელოდნენ, როგორც ტანჯვისაგან თავის დაღწევას და უკეთეს ცხოვრებაში გადასვლას. თანამედროვე აპოკალიპტიკოსები საუბრობენ ქვეყნის აღსასრულზე, როგორც გარდაუვალ კატასტროფაზე. ამის შემდეგ რა მოხდება, მათ ნაკლებ ადარდებთ. დამხობილი ბაბილონის მიღმა ზეციურ იერუსალიმს ვერ ხედავენ. ასეთ აპოკალიპტიკოსს რომ ჰკითხოთ, თუ როგორ ემზადება ქრისტეს მოსვლისათვის, დაკავებულია თუ არა იესოს ლოცვით, ცხოვრებას სინანულში თუ ატარებს, მოწყალებას გასცემს თუ არა? _ ის გიპასუხებთ: «შევიტყვე, რომ ანტიქრისტე უკვე დაბადებულია, ხელისუფლებაში 30 წლისა მოვა და 3 წელიწადს იმეფებს, ადამიანებს შუბლსა და ხელზე ბეჭედს დაასვამს, მე ხალხს ვაფრთხილებ, რომ ეს არ გააკეთონ». თუკი მას ეტყვით, რომ არა მხოლოდ უარყოფა ანტიქრისტეს ბეჭდისა, ასევე ქრისტეს ბეჭდის მიღებაა საჭირო, ნიშნისა, რომლის წინაშეც სამოთხის მცველი ქერუბიმი ცეცხლოვან მახვილს დაუშვებს და რომ ესაა გულთან შეერთებული სახელი იესო ქრისტესი, აპოკალიპტიკოსი გიპასუხებთ: ჩემთვის ეს არ უსწავლებიათ, სამაგიეროდ შემიძლია აგიხსნათ, რას ნიშნავს მხეცის რიცხვი.

აპოკალიპსი წმ. ფილარეტ მოსკოველის _ თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გონების ადამიანის საყვარელი წიგნი იყო. მასში ის მართლმადიდებლობისათვის საბრძოლველად ძალებს იკრებდა. ამ ბრძოლას იგი ათეულობით წლების მანძილზე აწარმოებდა. ისტორიის საიდუმლოებებში ვნებიანი და ამაყი ხალხის შეღწევის მცდელობამ შესაძლოა, ეს ხალხი სულიერ გზააბნეულობასთან მიიყვანოს ან მათი ყურადღება მთავარიდან _ სულიერი ცხოვრებიდან გარეგან, ჩვენგან დაფარულ ცხოვრებაზე გადაიტანოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქრისტესთან შეხვედრა მოხდება არა მხოლოდ მეორედ მოსვლის დღეს, არამედ სიკვდილის შემდეგაც, ეს კი გარდაუვალია ყოველი ადამიანისათვის. ქრისტესთან შესახვედრად თითოეული ქრისტიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა ემზადოს.

სიკვდილის გამოცანა

როცა ათენის სასამართლომ სოკრატეს[33] სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა _ სასჯელი საწამლავის მიღებით და ჯალათი მისთვის ციკუტით სასმისს ამზადებდა, სოკრატე მშვიდად საუბრობდა მოწაფეებთან და სასამართლო გადაწყვეტილების მოსმენის შემდეგ, თითქოს ვიღაცის გარდაცვალება შეიტყოო, თქვა: «სიკვდილი იმ ადამიანებმა მომისაჯეს, რომლებიც უკვე სიკვდილმისჯილნი არიან ბუნებისაგან». დიდი ფილოსოფოსი თავის თავსა და მსაჯულებს შორის დიდ სხვაობას ვერ ხედავდა: ყველანი ხომ საპატიმროში _ ნივთიერისა და დროის სამყაროში დატუსაღებული მოკვდავნი არიან. განაჩენი გამოტანილია, საქმე მხოლოდ დროშია: ზედამხედველი ვის გამოიხმობს პირველს და ვის მეორეს, მცველი მას სასჯელის აღსრულების ადგილზე მიიყვანს და იქ, როგორც ნანატრ სტუმარს, ჯალათი დახვდება ციკუტის სასმისით, შიშველი მახვილით ან თოკით ხელში.

სიკვდილი _ საიდუმლოა. ის ვერც ძველმა ბრძენებმა ამოხსნეს და ვერც მსოფლიოს თანამედროვე მბრძანებლებმა. სიკვდილი _ მიწიერი ცხოვრების ილუზიის ნგრევაა, ადამიანი კი ამ ილუზიის დინებაში ცხოვრობს, ებღაუჭება მას, როგორც ერთადერთს, რომელიც გააჩნია და ყოფიერების მირაჟის წარმოდგენა იმგვარად უნდა, როგორც მარადიული, ჭეშმარიტი ყოფისა. კოსმოსში არის შავი ღრმულები, სადაც ვარსკვლავების სინათლე ქრება. სიკვდილი _ ეს შავი ღრმულია, რომელშიც ადამიანები და დედამიწის ყოველი სულდგმული ქრებიან. ეს რაღაც კოსმოსური ორმოა, რომელსაც არც ფსკერი აქვს და არც დასასრული. დროის მდინარე ამ ღრმულში ჩაედინება, ადამიანთა სახელები ნაპერწკლებივით ქრებიან, თაობები მასში ტალღებივით ერთმანეთის მიყოლებით უჩინარდებიან.

ჰერაკლიტემ[34] თქვა: «დრო _ ეს დინებაა, რომელშიც ორჯერ ვერ შეხვალ». ეს უცნაური ფილოსოფოსი მთელი ცხოვრება დროისა და სიკვდილის გამოცანაზე ფიქრობდა. მას არ ეშინოდა იმისი დანახვა, რაზედაც სხვები თვალს ხუჭავდნენ. სახელდობრ იმისა, რომ დრო ყოველივეს ილუზიად აქცევს, რომ ერთდროულად ვცხოვრობთ და არც ვცხოვრობთ, ვართ და არა ვართ. მან თქვა უცნაური სიტყვები: «მე ყველაფერი ვიცი, სხვებმა კი _ არაფერი». მან იცოდა, რომ დრო ყველაფერს ანგრევს, ყველაფერი თან მიაქვს; იცოდა, რომ თავად ცხოვრობს და კვდება ყოველწამს; რომ წყვდიადიდან გამოხმობილი და იმავე წყვდიადში წასასვლელად განწირული მკვდარია; ის მიხვდა, რომ დრო ყველაფერს არაფრად აქცევს და ამიტომაც თქვა, როგორც დიადი სიბრძნე: «მე ვიცი ყველაფერი, სხვებმა კი _ არაფერი». ეს _ «ყველაფერი» და სოკრატეს სიტყვები: «მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი» _ თითქმის ერთი და იგივეა.

ჰერაკლიტეს მტირალი ფილოსოფოსი შეარქვეს. ის იმ ადამიანების ცდომილებას დასტიროდა, რომლებიც ილუზიას სინამდვილედ ღებულობდნენ და წარმოსახვაში გაჩენილი მოჩვენებების სამყაროში ცხოვრობდნენ. ის იმის გამო ტიროდა, რომ ადამიანებს დროის შესახებ ფიქრისა ეშინიათ, ისევე, როგორც ზოგიერთს უფსკრულში ჩახედვისა, რადგან მუხლი ეკვეთება და თავბრუ ესხმის.

დრო _ ეს მბრუნავი ბორბალია. მასზე წერია: «არ იყო, არის, არ იქნება». აქ «ჰო» «არას» ზედნადებია და ეს სიტყვები ერთად, რაღაც აუხსნელ იეროგლიფად გადაიქცევიან. ერთი ფილოსოფოსი ამტკიცებდა, რომ მისთვის სიცოცხლე და სიკვდილი ერთი და იგივეა. როცა ჰკითხეს, მაშ რატომღა ცხოვრობო, უპასუხა: _ «სწორედ ამიტომ».

ჰერაკლიტემ დროის დინებიდან გასვლა განიზრახა და საკუთარი ხელით აღასრულა ის, რისთვისაც დაბადებიდანვე იყო განწირული. სოკრატე არ ეძიებდა სიკვდილს, სიცოცხლეს ზურგს არ აქცევდა. ის სხვა რამით იყო დაკავებული _ საკუთარი თავის შეცნობით. მან შეიმეცნა, რომ მოკვდავია და ამიტომაც მშვიდად შეეგება სიკვდილს, მიიღო ის, როგორც გარდაუვალობა, შეხვდა, როგორც ხვდება ადამიანი ღამეს. ცხოვრების ამაოებაში დარწმუნებულმა ჰერაკლიტემ გადაწყვიტა სიკვდილზე მოჩვენებითი გამარჯვება ეჩვენებინა და იმ უფსკრულში გადაეშვა, რომელსაც გამუდმებით ხედავდა. იგი ტიროდა ადამიანთა ცდომილების გამო, რადგანაც მათ დროის ყოვლისშთანმთქმელი ცეცხლი და სიკვდილი, «დამოკლეს მახვილი» დაივიწყეს.

სხვა ფილოსოფოსი _ დემოკრიტე[35] იმათ დასცინოდა, რომლებმაც ირწმუნეს, რომ ადამიანები არიან. ღმერთები და ადამიანები მისთვის ერთგვარი უხილავი და განუყოფელი ნაწილაკების კონგლომერატებია. ადამიანის სხეული ოდნავ თუ განსხვავდება ჭიანჭველას ბუდისაგან. იქ ყოველი ნაწილაკი, როგორც გუნდში მწერი, თავის სამუშაოს ასრულებს; ადამიანი არ არის, არის მხოლოდ თვითქმნადი და შლადი სტრუქტურები; სიცოცხლე და სიკვდილი, როგორც ასეთი, არ არსებობს; კოსმოსური ნაწილაკები ურთიერთმიზიდულობით იკრიბებიან (სიმპათია), შემდეგ, როგორც ცეკვისას წყვილები, ერთმანეთს შორდებიან და საწყისს _ უხილავი მტვრის მდგომარეობას უბრუნდებიან, რომლისაგანაც ახალი სხეულები იძერწება.

ჰერაკლიტესათვის ყოფიერება ილუზია იყო; დემოკრიტესათვის თვით ადამიანი იყო ილუზია. ჰერაკლიტესათვის დრო და სიკვდილი ცხოვრებას ტრაგედიად აქცევს; დემოკრიტესათვის _ კომედიად. თანამედროვეებმა დემოკრიტეს «მოცინარი» ფილოსოფოსი შეარქვეს. ჰუმანისტები ცდილობდნენ ეს დემონური სიცილი აეხსნათ, როგორც ანტიკური მატერიალისტების ოპტიმიზმი და ხალისიანობა. ორთავე ფილოსოფოსს ერთმანეთის მსგავსი ბედი ერგო: ჰერაკლიტემ თავი მოიკლა, დემოკრიტემ კი თვალები დაივსო.

სტოიკოსები გარკვეულ ხარისხში ჰერაკლიტეს მემკვიდრეები არიან, თუნდაც სამყაროსადმი თავიანთი დამოკიდებულების თვალსაზრისით. სიცოცხლე მათთვის აბსურდის თეატრი იყო. ბრძენისათვის ერთადერთ კეთილშობილურ საქმეს ცხოვრების, როგორც თეატრალური წარმოდგენის, გულგრილად ცქერა წარმოადგენდა. ფილოსოფოსი-სტოიკოსი თავს იმპერატორად გრძნობდა, რომელიც ცირკის ლოჟიდან გლადიატორებისა და მხეცების ბრძოლას ზანტად ადევნებს თვალს. სტოიკოსს იმისათვის სძულდა სიცოცხლე, რომ ის არსებობს, და მადლიერი იყო სიკვდილისა იმის გამო, რომ ის იქნება. სტოიკოსები სიცოცხლის საიდუმლოს ახსნას რკინის ნიღაბქვეშ ტკივილის კრუნჩხვის დაფარვით ცდილობდნენ.

ეთიკურ თვალსაზრისზე დემოკრიტეს ფილოსოფიის გაგრძელებას წარმოადგენდა _ ცინიზმი. ცინიკოსები, უკიდურეს შემთხვევაში ამათგან პირველნი, საკმარისად გონიერნი იყვნენ იმისათვის, რომ გარემომცველი სამყაროს სიმახინჯე და ადამიანთა ცოდვები დაენახათ. მაგრამ სიმახინჯე მხოლოდ სრულყოფილებასთან და სილამაზესთან შედარებით შეიცნობა.

ცინიკოსებმა, რომლებსაც სიმახინჯისაგან განკურნების არანაირი საშუალება არ გააჩნდათ, გადაწყვიტეს თვით სილამაზის ცნება უგულებელეყოთ. მათ სიმახინჯის სამყაროში საკუთარი თავი მახინჯად წარმოაჩინეს _ თავიანთ ფილოსოფიურ მანიფესტს ძაღლების სახელით მოაწერეს ხელი, მაგრამ ამასთანავე უარყვეს ძაღლური თვისების

ისეთი ღირსება, როგორიც სახლის ერთგულებაა. ისინი დასცინოდნენ ყველას და საკუთარ თავს, მაგრამ ვერაფერი შექმნეს და შთამომავლობას მხოლოდ ეპიგრამების, აფორიზმების, დაცინვის, პარადოქსების კაშკაშა, მაგრამ უსიამოვნო სუნის მქონე თაიგული დაუტოვეს; ისინი ცდილობდნენ სამყაროში მხოლოდ შეუსაბამობა და სიმახინჯე დაენახათ!! კინიკოსების მთელი ფილოსოფია, გამომწვევი ანტიესთეტიზმით, ბავშვების ყვირილსა და სიცილს ჰგავს, რომლებიც ხეიბარს შემოხვევიან და დასცინიან.

შუა საუკუნეები ინტელექტუალური და სულიერი აღმავლობის პერიოდი იყო, ერთგვარი სევდა ზეცასა და მარადისობაზე. ადამიანები არა ცხოვრების გარეგან ნაჭუჭს, არამედ მის დაფარულ, სულიერ, ცეცხლოვან ბირთვს ეძიებდნენ. ეს იყო ადამიანის სამშვინველის სულიერი სწრაფვა გარედან თავისკენ და თავისი თავიდან _ ღვთისაკენ. შუა საუკუნეები ჩვენთვის საიდუმლოდ რჩება, რამდენადაც თვით მისტიკა და მისტიკური სიყვარულია _ საიდუმლო.

ღვთაებრივი ნათელი ადამიანის სულის ღვაწლით მიიღწევა და იხილვის. რენესანსის დამძიმებულმა საუკუნეებმა ეს ნათელი დაფარეს გულით ხედვისათვის. შუა საუკუნეებში ჰუმანისტებმა სამგლოვიაროდ შემოსილი უცნობივით ისტორიის მხოლოდ შავი სილუეტი დალანდეს, როგორც კურტიზანს ეჩვენება ასკეტის სახე სიცოცხლისათვის გამოტანილ განაჩენად. შუა საუკუნეების ხელოვნებაში გამუდმებით ფიგურირებს სიკვდილი _ ადამიანის ეს თანამგზავრი, ავის მაუწყებელი, მისი ჩრდილივით განუყოფელი ორეული. შუა საუკუნეები სიკვდილს მარადისობის ფონზე ხედავდა. სიკვდილი ეხმარებოდა ქრისტიანებს სამშვინვლის თვალი ზეციდან მიწისკენ არ დაეხარათ, არ მისცემოდნენ ვნებებს; მათგან, როგორც ჯადოქარ კირკეს საჭმლისაგან, ცხოველებად არ ქცეულიყვნენ. სიკვდილის ხსოვნა მათთვის საფეხური იყო ზეციური იერუსალიმისაკენ, სადაც ღმერთი ყოველთათვის ყოველივე იქმნება. ჩრდილები მხოლოდ მზის შუქზე ჩანან. რენესანსის ბინდში დაიკარგა სიკვდილის ხსოვნა; მას მტერივით დაუწყეს ყურება. რენესანსის ტილოებზე ადამიანის შიშველი სხეული გამოჩნდა. ის ხორცის სადიდებელ ჰიმნსა და საგალობელს ჰგავდა. სულიერი დაცემის ამ პერიოდს შთამომავლობამ «აღორძინება» უწოდა.

აღორძინებისათვის, ისევე როგორც ანტიკურობისათვის, ღვთაება იყო _ კოსმოსი. აღორძინებამ უკვდავების შესახებ თავისი თეორიის შემოთავაზება დაიწყო: რაკი ადამიანი კოსმოსის ნაწილაკია, მაშასადამე არ შეუძლია მოკვდეს. აღორძინება თვით წმიდანებთან მიმართებაშიც ცრუობდა: დასავლეთში მათ წარმართული ღმერთებივით გამოსახავდნენ. სულიერებას მშვინვიერება ცვლიდა. ქვეყანა ფერადოვან პალიტრასავით აელვარდა, ზეცა კი, თითქოს ღრუბელმა დაფარაო, ჩამუქდა და გაქრა.

აღმოსავლეთში ქრისტიანობა, როგორც სიმაგრე ტარანების დარტყმისაგან, მუსლიმანური ურდოების რკინის უღელქვეშ გმინავდა. მან გაძლო, მაგრამ ტაძრის შიდა ეზო იმდენად დაპატარავდა, რომ მისი გაზომვა ხელჯოხითაც შეიძლებოდა.

დასავლეთის ქრისტიანობა უკვე იყო მოწყვეტილი, ნაფოტივით მოხლეჩილი მსოფლიო ეკლესიის სხეულს. მისი ბრწყინვალე ვარჯი ევროპის უზარმაზარ სივრცეს გადაჰყურებდა, ტოტები კი მსოფლიოს სხვა ნაწილებს იყო გადაწვდენილი, მაგრამ ცხოველმყოფელ მადლს მოკლებული იყო იგი, ამიტომ იმედს შუბის ძალასა და მახვილზე ამყარებდა. თუკი რენესანსის ეპოქის კათოლიციზმს ალეგორიულად წარმოვიდგენთ, ეს იქნება ჯვარი და

მახვილი, პეტრე მოციქულის გასაღები და ჯალათის ცული, ზარების ხმა და დამწვარ ერეტიკოსთა კვნესა.

დასავლეთს ქრისტიანული ერქვა; რომის მღვდელმთავრის ხელი ისეთი ძლიერი იყო, რომ მისთვის არასასურველ მეფეთა ტახტიდან ჩამოგდება შეეძლო, როგორც რაინდები მოწინააღმდეგეს ერთი დარტყმით აგდებენ უნაგირიდან შერკინებისას. რენესანსის ინტელექტუალურ ელიტაში მატერიის საყოველთაო განსულიერების იდეამ _ ჰილოძოიზმმა[36] იჩინა თავი. ეს კიდევ ერთი შტო იყო სიკვდილის ხსოვნის წინააღმდეგ ბრძოლისა. თუკი ნივთიერება გონიერია, მაშინ ადამიანი სიცოცხლესა და მის შეგრძნებას სიკვდილის შემდგომ, თავის ელემენტებში განაგრძობს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ფორმას მიიღებენ ისინი.

ახალ დროში, ოკულტურ-ეზოთერულ სკოლებში განსაკუთრებულად აყვავებული ჰილოძოიზმის ზეგავლენით, რეანიმირებულ და რეფორმირებულ იქნა ანტიკური პანთეისტური იდეალიზმი. პანთეიზმისათვის სიკვდილი _ ეს გაქრობაა პიროვნებისა და არა ყოფიერებისა; ადამიანის სული უნარჩენოდ და უკვალოდ ქრება აბსოლუტში, როგორც ტალღის შხეფები ოკეანეში.

მატერიალიზმი უბადრუკ უკვდავებას გვთავაზობდა: ადამიანი კოსმოსურ მტვრად იქცევა, მატერიალურად ის არსებობას განაგრძობს, თუმცა თავის ყოფიერებას ვერ აცნობიერებს. ე.ი. ყველაფერი წესრიგშია.

ახალ დროში ისტორიული ილუზიონიზმი ქილიაზმის[37] სახით გამჟღავნდა. ის სათავეს ძველი იუდაური აპოკრიფებიდან იღებს, რომლებიც მესიის მიწიერ სამეფოს აღწერენ.

უტოპიამ ოკეანის სივრცეში გემებივით მცურავ «ბედნიერ კუნძულებზე» და ოქროთი და მინით ნაგებ «მზის ქალაქებზე», ბრბოს აუსრულებელი იმედები წარმოშვა. ამ უტოპიით მოხერხებულად სარგებლობდნენ დიქტატორები. ისინი «ბედნიერების კუნძულებიდან», როგორც გემებიდან, გვამებს ზვიგენებს უყრიდნენ, «მზის ქალაქის» ასაგებად კი ვეება საერთო სასაფლაოებს თხრიდნენ. სიკვდილის ხსოვნა პროგრამული კოლექტიური ოპტიმიზმით ისე უნდა წარიხოცოს, როგორც მტვერი ფანჯრებიდან. ის ცხადდებოდა სასაფლაოს სიდამპლედ, ლეშად, გვამის ხრწნად; უკვდავება კი შთამომავალთა მხრიდან კეთილ ხსოვნად განიმარტებოდა.

ჩვენი თანამედროვენი სიცოცხლისა და სიკვდილის, დროისა და მარადისობის საიდუმლოს სულ უფრო იშვიათად უფიქრდებიან. თითქოსდა მათ ორგანიზმში გამომუშავდა ნივთიერება, რომლისთვისაც «ანტისიკვდილი» _ ფსიქიური დანადგარი შეიძლებოდა დაგვერქმია, რომელმაც შეგნებიდან უნდა გამოდევნოს ყოველგვარი აზრი და მოგონება სიკვდილზე.

თანამედროვე ადამიანი დროში ისე ცხოვრობს, რომ არ ესმის და არ აცნობიერებს მას. სიკვდილს და მის კვალს ის ყველგან ხედავს: ადამიანთა საზოგადოებაში, გარემომცველ ბუნებაში, საკუთარ ოჯახში, მაგრამ ამავდროულად სიკვდილის სახეს, როგორც მტერს, თავიდან იშორებს: ჰგონია, თუკი მას დაივიწყებს, სიკვდილსაც დაავიწყდება იგი, როგორც აჰასფერი* _ «მარადი ურია», რომელმაც გადმოცემის მიხედვით ქრისტე თავისი სახლის კარებს ხელის კვრით მოაშორა.

---

* აჰასფერი _ თქმ. მიხ. ებრაელი, რომელიც მძიმე დანაშაულის გამო ღმერთმა შეაჩვენა და საუკუნო ხეტიალი მიუსაჯა; «მარადი ურია».

ღირსთა მამათა ბალავარისა და იოსაფატის ცხოვრებაში არის იგავი: ნადირისაგან თავის დასახსნელად ადამიანი ადის ხეზე, რომელიც უფსკრულის კიდეზე იზრდება. ის გრძნობს, რომ ხე ირყევა და ეს-ესაა წაიქცევა. ქვევით იყურება და ხედავს: ორი პატარა მხეცი ხის ტანს კბილებით ღრღნის. უცებ ადამიანმა ხეზე ველური თაფლი შენიშნა და ხარბად დაუწყო ჭამა. მას ყველაფერი დაავიწყდა და მხოლოდ ტოტებზე დაკიდებულ თაფლის წვეთებს ლოკავს. უფსკრულის ფსკერზე ურჩხული წევს, რომელიც ხის წაქცევას უცდის. მაგრამ ადამიანს არც მხეცებთან, არც უფსკრულთან, რომელშიც უნდა ჩავარდეს, და არც ხახადაღებულ ურჩხულთან თითქოს აღარაფერი ესაქმება.

ადამიანს დადევნებული ნადირი _ ეს სიკვდილია; ხე _ სიცოცხლე; ორი პატარა მხეცი _ დღე და ღამეა; უფსკრული _ ჯოჯოხეთი; გველეშაპი _ ეშმაკი, თაფლის წვეთები კი მიწიერი სიამენია, რომელთა ძებნაშიც ადამიანს ყველაფერი ავიწყდება.

ამ განსაცვიფრებელ სახეს შეიძლება კიდევ რამდენიმე შტრიხი დაემატოს. ველური თაფლი სიმწარესთან არის არეული. ადამიანი მას წვეტიანი ეკლებიდან და ნემსებიდან ლოკავს. კრაზანები სხეულს უნესტრავენ, მას ტანი უსივდება, მაგრამ კვლავ ეძებს: სად შეიძლება მწარე თაფლის პოვნა? მას დაავიწყდა სიკვდილი.

ისტორია მეორდება, ოღონდ გაცილებით ფართო ხვეულებით. კინიკოსებმა ძაღლები რატომ დაირქვეს? არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხორციელ მოთხოვნილებებს მოედნებსა და ქუჩებში იკმაყოფილებდნენ, არამედ იმიტომაც, რომ ცხოველებს არ შეუძლიათ თავიანთი გონებით ამაღლება ცხოვრებაზე, როგორც ემპირიულ მოცემულობაზე. ცხოველები მას მხოლოდ შეგრძნებებისა და წარმოდგენების მეშვეობით აღიქვამენ. ადამიანებს ძალუძთ აზრით, აბსტრაქტულად გაიაზრონ, რა არის ცხოვრება, თითქოსდა დინებიდან ნაპირზე გამოვიდნენ, სიცოცხლის აზრი იპოვონ, მიზეზი და მიზანი დაინახონ.

ცინიზმი _ სფინქსის კნუტად გადაქცევაა, ყველა საკითხის გადახაზვა და თვით ცხოვრების დაყვანაა ცხოველური ინსტინქტების დაკმაყოფილებამდე. თუკი ცინიკოსებს კიდევ შერჩენილი აქვთ გონება, როგორც რუდიმენტული ორგანო, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ თვით გონებას დასცინონ, რათა თავიანთი სული ემპირიკის ბნელ სიღრმეებს უშიშრად შეურთონ. დემოკრიტეს ატომიზმი ეს ღვთის უარყოფაა ინტელექტუალურ დონეზე. ცინიკოსების ბიოლოგიზმი _ უარყოფაა ღვთისა ეგზისტენციურ დონეზე. დემოკრიტემ «სინოპის ძაღლი» წარმოშვა; «სინოპის ძაღლმა» _ თანამედროვე ლიბერალიზმის ღორი. დემოკრიტეს ფილოსოფიური გზით სურდა ზნეობის უარყოფა; დიოგენეს _ ყეფით, თანამედროვე ლიბერალიზმს ამისი გაკეთება საქმიანი ღრუტუნით და სირცხვილის გრძნობისაგან ადამიანთა დაცვის საზოგადოებრივი ინსტიტუტებით სურს.

როცა ადამიანი ვნებებით ცხოვრობს, მას არ შეუძლია ამაღლდეს ცხოვრებაზე, იგი ფსკერზე ეშვება. ვნება განუყოფელია სიკვდილის დავიწყებისაგან; ვნებაში არა მხოლოდ მარადისობის შეგრძნება იკარგება, არამედ დროისაც. ვნება _ საკუთარ თავში ჩაკეტილი და ეგოისტურია; ავხორცობას ჭიაყელებივით მხოლოდ მიწაში, სიბნელეში შეუძლია არსებობა და ამიტომ ის სულისა და გონების სინათლეს აქრობს.

ფიზიკაში არსებობს კანონზომიერება: ნივთიერების დაშლა სითბური ენერგიის გამოყოფას იწვევს. ვნების სითბო _ ეს დაშლის სითბოა. ამიტომ ვნების ბოლო _ სიკვდილის ბინდის მსგავსი დაცარიელებაა სულისა.

ადამიანი ღვთის ხატი და მსგავსია. მას მიცემული აქვს ამოცანა _ ამოხსნას დროისა და სიკვდილის საიდუმლო, ერთგვარად მასში შევიდეს, მასთან შეერთდეს: მისი ცხონება

ამაზეა დამოკიდებული. მხოლოდ შრომით მოპოვებულია ადამიანის მონაპოვარი. ეშმაკი ებრძვის სიკვდილის ხსოვნას, როგორც მრისხანე მოწინააღმდეგეს. ის ადამიანს ავხორცობას სატყუარასავით სთავაზობს. წმიდა მფარველი ანგელოზი კი სიკვდილის ხსოვნით, როგორც ზარის რეკვით, მას ძილიდან, ამქვეყნიური მწარე ბედნიერებიდან და მიწიერი უკვდავების ფანტასმაგორიიდან აფხიზლებს.

ალექსანდრე მაკედონელმა სიკვდილის წინ ანდერძი დატოვა: აკლდამაში ისე ჩაესვენებინათ, რომ ადამიანებს მისი გაშლილი მარჯვენა დაენახათ. ამ ხელით მას ნახევარი მსოფლიო ეპყრა. სიკვდილის შემდეგ კი ვერაფრის წაღება შეძლო: მისი გახსნილი ხელისგული ცარიელი დარჩა.

მოძღვრისა და სულიერი შვილების ურთიერთდამოკიდებულება

მოძღვრისა და სულიერი შვილების
ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოებრივი
მართვის სხვადასხვა ფორმებს ჰგავს.
სახელდობრ: დემოკრატიულს, არისტოკრატულს,
მონარქიულს და დესპოტურს.

* * *

დემოკრატიული მართვა _ მოძღვარი და სულიერი სამწყსო უწინარეს ყოვლისა მეგობრები არიან. ისინი ბჭობენ ერთურთში, ერთად განიხილავენ საქმეებს, ერთობლივად წყვეტენ პრობლემებს და ა.შ. სულიერი მოძღვრის სიტყვა აქ არ არის აუცილებელი, ის გუნდის ერთი ხმაა. ერთი შეხედვით ეს არც ისე ცუდი ჩანს: არავითარი იძულება, ძალადობა პიროვნებაზე, ისინი ერთმანეთს სიყვარულის პრინციპით ემორჩილებიან. სულიერი მოძღვარი მხოლოდ გუნდის დირიჟორად გვევლინება, საერთოში მშვიდობა და სიხარულია.

სინამდვილეში კი სულ სხვა რამ ხდება, ანუ ის, რაც სახელმწიფოს დემოკრატიული წყობისას. იწყება პოპულიზმი და ინტრიგები, რომელთა აღკვეთა და გადაჭრა სულიერ მოძღვარს არ ძალუძს. აქ ხელისუფლებისათვის ფარული ბრძოლა მიმდინარეობს, რომელშიც ისევე, როგორც დემოკრატიის დროს, ბრძოლებში ნავარჯიშები, ყოველნაირ საშუალებებზე წამსვლელი, ამასთანავე მიზანმიმართული და ხელისუფლებისმოყვარე იმარჯვებს. ისევე, როგორც დემოკრატიული წყობის დროს, აქაც წარმოიქმნება შინაგანად ურთიერთდაპირისპირებული დაჯგუფებები, იწყება მოქრთამვა, მლიქვნელობა, ინტრიგები, გულყრის ინსცენირება და თავის მოკვლის გადაკრული მუქარა, რაც დამფრთხალ სულიერ მოძღვარზე განსაკუთრებულად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ის მზადაა ნებისმიერ კაპიტულაციაზე წასასვლელად, ოღონდ არ ნახოს სულიერი შვილი სახრჩობელაზე მოქანავე, სისხლის გუბეში უსულოდ მწოლიარე ან პისტოლეტით ხელში, რომლის გარშემო პოლიციელები იტრიალებენ. სულიერი ხელმძღვანელობის ნაცვლად დამრიგებელი-დემოკრატი სულიერი შვილების სიახლოვეს ნიშადურის ფლაკონით დარბის. ფინალი ერთია _ სულიერი მოძღვრით ხელმძღვანელობას ყველანი ერთად იწყებენ და ისიც აქეთ-იქით აწყდება, მტრული ბანაკების მორიგებას წარუმატებლად ცდილობს. მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო. როგორც ყველაზე ძლიერი ზვიგენი რჩება ცოცხალი, ასევე იწყებს ლიდერობას მრევლში ყველაზე თავნება. ის თავის მოძღვარს შინ კეტავს და მის კარებს ფურცელს აკრავს წარწერით: «მოძღვარი ავადაა, გთხოვთ არ შეაწუხოთ». თუკი მოძღვარმა ფანჯარაში გახედვა მოინდომა, ის უცერემონიოდ უკან მიარბენინებს, და რამდენადაც დემოკრატია მჭიდროდაა დაკავშირებული ლიბერალიზმთან, სულიერ მოძღვართან ურთიერთობაც შეუზღუდავია. ზოგჯერ «სასახლის გადატრიალებებიც» ხდება. შოკის შემდეგ გონს მოსული სულიერი შვილები შეთქმულებას აწყობენ _ მოხერხებულ დროს მოძღვარს იტაცებენ და მალავენ მოწინააღმდეგის ბანაკისაგან. ასეთი განსაცდელის შემდეგ, თავიანთი ცხოვრების ბოლოს, მამა-დემოკრატები წყალწაღებული მიზანთროპები ხდებიან. ზოგიერთი იმათგანი, ვინც ახალგაზრდობაში სულიერ შვილებს მენელსაცხებლე დედებს ადარებდა, სიბერეში ეჭვობს: აქვს კი საერთოდ ქალს სული? თუმცა ამას _ ხმამაღლა _ არ _ ამბობს.

* * *

არისტოკრატული მართვა _ აქ სულიერი მოძღვარი გვევლინება როგორც ჯენტლმენი. ის დახვეწილი, ზრდილი და თავაზიანია. სულიერ შვილს სავარძლიდან წამოდგომით ეგებება, აღტაცებულია მისი გარეგნობით, ხაზს უსვამს სამოსში მის გემოვნებას. ამის შემდეგ სულიერი შვილი თავს იმ მანდილოსნად გრძნობს, ვისაც რაინდმა გული უძღვნა. ფინალი ერთია _ მრევლის თითოეულ ქალბატონს მიაჩნია, რომ მოძღვარი-რაინდი სწორედ მისდამი, როგორც ესოდენ ამაღლებული გრძნობების ღირსი ქალისადმი განიცდის პლატონურ სიყვარულს. დანარჩენ სულიერ შვილებს იმაზე მეტი მძვინვარებით უყურებს, ვიდრე ეს «დემოკრატიული» მართვისას ხდება. მოძღვარი-არისტოკრატი მას მადლობას უხდის და ნაღვლიანი სახით კარებამდე მიაცილებს. ის სულიერ შვილებს ყველაფერში ამართლებს, ძალიან უჭირს საყვედური, შეურაცხყოფილიც კი ამას ამბობს: მე არ ვბრაზობ, მხოლოდ ვწუხვარ. თუკი «დემოკრატებთან» სულიერ შვილებს საჩუქრად კარ-თოფილი და მაკარონი მიაქვთ, მასწავლებელ-არისტოკრატთან ყვავილების (უპირატესად შროშანების) თაიგული ან ტორტი მიაქვთ. არც თუ იშვიათად მოძღვარი კრებს მათ და გამომსახველად უკითხავს რაიმე წიგნს, მაგ. მარტენსენის «ზნეობრივ ღვთისმეტყველებას», ხოლო შემდეგ განუმარტავს. როცა ტაძარში მიდის, სულიერი შვილები რაზმეულივით უკან მისდევენ ან კარიბჭესთან ელოდებიან. როცა ის მსახურებს, თითოეული ინტერესდება, პირველს ვის მოიხსენებს სავედრებელ ლოცვებში და ხშირად ამას ტრაგიკულ მნიშვნელობას ანიჭებს.

საერთოდ კი არისტოკრატული მართვა რაღაც რაინდულ რომანად იქცევა, სადაც არ არის ქრისტე, მის ადგილს სულიერი მოძღვარი იკავებს.

საჭიროა ითქვას, რომ უბრალო ადამიანები როგორღაც ინსტიქტურად შორდებიან არისტოკრატიული მანერების მქონე სწავლულ ბერებსა და მასწავლებლებს. ისინი აქ თავს უცხოდ გრძნობენ, სამაგიეროდ დიპლომიანი ქალბატონები ასეთი მასწავლებლებით აღტაცებულნი არიან. ამიტომ სულიერი მოძღვრის გარეშე ხდება მრევლის დაყოფა «პლებეებად და პატრიციებად». «პლებეები» თავისთავად ზღურბლს იქით რჩებიან. მასწავლებელი-არისტოკრატი სტუმრებთან შესახვედრად მოზეიმე გამოდის. ეს მოზეიმე გამომეტყველება ბეჭედივით შეყინვია მის სახეს. შესამოსელი ყოველთვის სუფთა და დაუთოებული აქვს, უპირატესობას თეთრ ფერს ანიჭებს. ხშირად მის სახლში პიანინო (ან როიალი) დგას, ასეთ მოძღვარს უმეტესწილად დიდი ბიბლიოთეკა აქვს, სადაც სულიერ წიგნებთან ერთად საერო ლიტერატურაცაა. თუკი შემთხვევით, წიგნის ძებნისას, კარადიდან ჰიუგოს ან უოლტერ სკოტის რომელიმე ტომი გადმოვარდა, მაშინ ის ოდნავ ნაღვლიანი ღიმილით ამბობს: «ხომ უნდა ვიცოდე ცოდვილის ფსიქოლოგია, რათა გამოვასწორო იგი», უყვარს იმაზე ლაპარაკი, რომ მისთვის ყველანი თანაბარნი არიან, თუმცა საუბარში ხშირად თავის ნამდვილ ან ცრუ წარჩინებულ წარმომავლობაზე მიანიშნებს.

* * *

მართვის შემდეგი სახე, რომელმაც ამ პლუტოკრატიულ სამყაროში მთავარი ადგილი დაიკავა, არის მდიდრების ხელისუფლება. აქ საჭიროა განვმარტოთ შემდეგი: ასეთი სახის

მართვისას სრულიადაც არ არის აუცილებელი, მოძღვარი ეგოისტი და ვერცხლისმოყვარე იყოს, ის უბრალოდ თვლის, რომ ვისაც სიმდიდრე და ძალაუფლება აქვს, შეუძლია სასარგებლო იყოს ეკლესიისათვის და ამიტომაც ასეთებს განსაკუთრებულად გამოარჩევს. ღარიბებს ნაკლებ ყურადღებას უთმობს და თავს იმით იმართლებს, რომ მათთვის გაცილებით იოლია ცხონება, მდიდრებისთვის კი ძნელი. ამიტომ მდიდრებს მეტი ზრუნვა და ყურადღება ესაჭიროებათ. ის მათ თავიანთი ხელისუფლებისა და სიმდიდრის ღარიბების კეთილდღეობისათვის გამოსაყენებლად განაწყობს. ზოგჯერ აწყობს გაუხმაურებელ, რაღაც «ფონდის» მსგავსს ღარიბებისათვის. მაგრამ ასეთ დროს მოქნილ პოლიტიკაზე გადასვლა ხდება: _ ორიენტირები გარეგნულ ძალასა და მდგომარეობაზე ერში, მისთვის სულიერ მონობად იქცევა. მდიდრებისადმი გამოხატული ყურადღება და თავაზიანობა მას მართლმადიდებელი იეზუიტის მდგომარეობაში აყენებს, სადაც მიზანი _ ტაძრის შემკობა, ღარიბების შეწევნა და ა.შ. საეჭვო საშუალებებით მიიღწევა. ხალხის ნაწილი, რომელიც ტაძარში ჭეშმარიტებას ეძიებს, მოძღვრის გაორებულ ზნეობას, ხალხისადმი მის სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას ხედავს და შესაძლოა ამის გამო თვით ეკლესიის მიმართ გაცივდეს. ვიმეორებთ: პრაგმატიკოსი სრულიადაც არ ნიშნავს თავისმოყვარეს, იეზუიტებიც თავს ხშირად სწირავდნენ თავიანთ იდეებს. მართლმადიდებელი და კათოლიკე იეზუიტები, თუმც ერთმანეთს ებრძვიან, მეთოდებით ძმებად რჩებიან. მდიდრების მიმართ ეს ლოლიაობა ასევე იეზუიტური გაყიდვაა სინდისისა მატერიალური კეთილდღეობის სახელით და იმაზე უარესია, ვიდრე ეკლესიის კომპრომეტირება მორწმუნეთა თვალში. პრაგმატიკოსის უშუალო გარემოცვა უმალ ხვდება ვისთან და როგორ მოიქცეს: სიხარულით ვის უნდა შეეგებოს, როგორც ყველაზე ღირსეულს, ღვთისმსახურების დროს სკამი ვის უნდა გამოუტანოს და ა.შ. პრაგმატიკოსი თვლის, რომ შეიძლება ეკლესიის კანონების გვერდის ავლა, თუკი ეს ტაძრისთვის და ღარიბებისათვის სასარგებლო იქნება. მაგ. წესი აუგოს მოუნათლავს და თვითმკვლელს, წირვის დროს უცხოაღმსარებელი მოიხსენიოს და ა.შ. პლუტოკრატი პირადი ხასიათის მიხედვით შესაძლოა ძუნწიც იყოს და გულუხვიც. მაგრამ მისი გულუხვობა ხშირად იმათზე ვრცელდება, ვინც მას სჭირდება. მის გარშემო ხშირ შემთხვევებში ყველა კმაყოფილია, მაგრამ სულიერი ცხოვრება აქ თითქმის არ არის. მთავარი ძალები გარეგნულს ხმარდება. ლოცვებს მისალოცი დეპეშები და მხურვალე სიყვარულის ახსნა დევნის; რამდენადაც დიდია შესაწირი, იმდენად მეტია სიყვარული. აქ მკაცრი აღრიცხვა და ზუსტი აღრიცხვა წარმოებს.

მართვის ეს სახე შეუძლებელია სიცრუის გარეშე, ამიტომ ასეთ წრეებში ტყუილი აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. პირმოთნეობას სიბრძნედ მიიჩნევენ. ამ ხალხი-სათვის ეკლესია, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, თვითკმარი სიდიდეა, ამასთან არა მისტიკური სახე ქრისტესი, არამედ ადამიანური ინსტიტუტი. ეკლესიის გამშვენებისათვის ზრუნვა მათთან თვით ქრისტეს სახეს ჩრდილავს. პლუტოკრატი შეიძლება იყოს საქმოსანი, რომელიც პირად გამდიდრებას მიელტვის, მაგრამ შესაძლოა იყოს პატივმოყვარეობის სულს მიცემული ასკეტიც, რომელსაც ავიწყდება, რომ სიყვარული სიმართლესთან უნდა იყოს შეერთებული. თუკი სულიერ სამყაროში დემოკრატია ქაოსად იქცევა, არისტოკრატული პრინციპი _ რომანტიკად, პლუტოკრატიული ფორმა _ ეს სულიერი ცხოვრების მატერიალიზებაა.

* * *

მონარქია _ ეს სულიერ მოძღვარსა და მრევლს შორის ურთიერთობის გაცილებით გონივრული მეთოდია. მონარქია, იდეალური მნიშვნელობით მართვაში გონივრულობას და ადამიანებისადმი სიყვარულს მოითხოვს. მონარქის წინაშე ყველა თანაბარია, ის უმაღლეს ხელისუფალს წარმოადგენს, ხელისუფალს, შემოფარგლულს არა გარეგანი ინსტიტუტებით, არამედ ტრადიციებით. სულიერი მოძღვრის სიტყვა უდაო უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს გონივრული და სამართლიანი. მონარქის ბრძანების შემსრულებელმა უნდა იცოდეს, რომ გონივრულად იქცევა და ამ ბრძანებაში მის კეთილდღეობაზე ზრუნვა იგულისხმება. მონარქი თვითმპყრობელია, მაგრამ ის არ უცხოობს რჩევებს და მისდამი თხოვნებს ისმენს. ჩვენს დროში სულიერი მოძღვარი თავის მრევლთან სამართლიანად და გონივრულად უნდა იქცეოდეს და მორჩილება ამის საფუძველზე მოითხოვოს, შეუძლია მოისმინოს და შეასრულოს რჩევები და თხოვნები, მაგრამ საბოლოო სიტყვა მას ეკუთვნის. ამ ფორმით მართვისას დავა, კამათი და ა.შ. დაუშვებელია. შეიძლება მიცემული კურთხევის განმარტება ითხოვო, მაგრამ მისი თვითნებურად შეცვლა ან დარღვევა არ შეიძლება. თუმცა არის გამონაკლისიც: მონარქმა ტრადიციებით უნდა იხელმძღვანელოს, მოძღვარმა კი _ ეკლესიის კანონებით. ეკლესიის გადმოცემათა და სახარებისეულ მცნებათა გარეშე სულიერი ხელმძღვანელობა ძალას კარგავს, მონარქი კი უზურპატორი ხდება.

* * *

დესპოტიზმი _ მონარქიისაგან იმით განსხვავდება, რომ ტრადიციის, სიკეთის, ბოროტების და ა.შ. ცნებები პიროვნული დიქტატით იცვლება. ამ ფორმას სულიერი შვილების გატეხა ან მყისიერი გამოსწორება შეუძლია. მაგრამ ჩვენს დროში ეს ძლიერმოქმედი წამალი სუსტი ორგანიზმისათვის გამოუსადეგარია. განსაკუთრებული მადლის გარეშე, რომელიც სულიერ მოძღვარში მოქმედებს, დესპოტიზმი დაასახიჩრებს მრევლს. სულიერი შვილის მხრიდან მორჩილების უქონლობის შემთხვევაში ამ პრინციპმა შესაძლოა მასში პროტესტი გამოიწვიოს და მორჩილების ყოველგვარი სურვილი დაუკარგოს. ძველად მოძღვრები ძლიერმოქმედ საშუალებებს მიმართავდნენ. ისინი ძნელ, თითქმის შეუსრულებელ დავალებებს იძლეოდნენ, რომლებიც ზოგჯერ საღ აზრს ეწინააღმდეგებოდა, მონაზვნის მორჩილებაში მყოფი მოწაფეები კი მზადყოფნით ასრულებდნენ და სულიერი წარმატება სწრაფად მოდიოდა. ამგვარი მორჩილებით ადამიანი წარმატებით ებრძოდა ამპარტავნების დემონს, რომელიც მთელ მსოფლიოს არყევს. ახლა აღარც ასეთი მასწავლებლები არიან და აღარც მორჩილნი. ამჟამად მოძღვარი მორჩილებას ღრმა განსჯით, შესაბამისობის და სამართლიანობის დაცვით უნდა აკისრებდეს. ადამიანური ამპარტავნება, ავადმყოფობის ყველა სტადიის გავლის შემდეგ ანთებით ჩირქგროვად იქცა, რომელიც ყოველი შეხებისას მტანჯველად მტკივნეულია. ამიტომ მოძღვარს თანაგრძნობა და მოთმინება მართებს. ასევე ძლიერი ნებაა მისთვის აუცილებელი. მას ქირურგივით მსუბუქი, მაგრამ მტკიცე ხელი უნდა ჰქონდეს.

მდუმარების სილამაზე

საეპისკოპოსო მსახურების ემბლემა ციხე-სიმაგრის კედლებით შემოზღუდული ქალაქის თავზე კამარაშეკრული არწივია. ქალაქი _ ეს ეპისკოპოსის სამწყსოა, კედლები _ ეკლესიის კანონები და წეს-ჩვეულებანი, ქალაქის კარიბჭე _ საიდუმლონია ეკლესიისა, არწივი _ საეპისკოპოსო ხარისხის სიმაღლე და მისი სულიერი ცხოვრების სახე. ეპისკოპოსი მუდამ ლოცვაში უნდა ჰგიებდეს, აზრებით ფრიად მაღლდებოდეს მიწიდან და ამავე დროს ფხიზლად ადევნებდეს თვალს მასზე ჩაბარებულ მონაპოვარს ქრისტესას, რათა მისი დაუდევრობით არც ერთი სული არ დაიღუპოს. არწივი _ ღვთისმეტყველის სიმბოლოა. ეპისკოპოსი ღვთაებრივი დოგმატების შესახებ უნდა განსჯიდეს, ანუ იმის შესახებ, რაც გონებამიუწვდომელ ნათელშია, ხოლო პირდაპირ ცქერა მზისა, დედამიწის არსებათაგან მხოლოდ არწივს შეუძლია. ალავერდელი ეპისკოპოსის _ წმიდა იოსების სახე _ კავკასიონის მწვერვალების თავზე მფრინავი არწივია.

მას შემდეგ, რაც იოანე ზედაზნელმა თავისი 12 მოწაფე სახარების საქადაგებლად ქართლსა და კახეთის ყოველ კუთხეში წარგზავნა, წმიდა იოსებმა მოციქულებრივი ღვაწ-ლის ადგილად კავკასიის მთები აირჩია, ის ადგილი, სადაც ეული დასახლებები კლდეზე მიკრულ სკებს ჰგვანან, ან კლდეებს შორის ჩაშენებულ ჩიტის ბუდეებს, ხოლო ზემო კახეთის ველები კავკასიონის ფერხთით გაფენილ აბრეშუმის ნაირფერ ხალიჩას გვაგონებენ.

იგი სახარებას უქადაგებდა მთიელებს. ისინი დიდ ბავშვებს ჰგავდნენ და მას ბავშვებივით წრფელი სიყვარულით პასუხობდნენ. წმიდა იოსები აბბა ალავერდელად იწოდა. სიტყვა აბბა აღნიშნავს დამრიგებელს, ღრმა სულიერი გამოცდილებით, მოღვაწეობრივი ცხოვრებით და მჭვრეტელობის ნიჭით გამორჩეულს. ეს სიტყვა სიყვარულის სითბოთია სავსე, რომელსაც არა მხოლოდ მონაზვნები, ერის ხალხიც განიცდიდა თავისი სულიერი მამისადმი. აბბა _ ის იყო, ვისაც ამქვეყნიური ამაოების ძილიდან ადამიანის სულის გამოღვიძება შეეძლო, თავისი ლოცვით გული გაეთბო, სულიერი სიბრძნით გადაეწყვიტა ყველა ის მწვავე საკითხი, რომელსაც ცხოვრება უყენებს ადამიანებს, მასში დავანებული მადლით კი ძალედვა ურყევი ნდობისა და მორჩილების მოხვეჭა მოწაფეებისა, რომლებიც მზად იყვნენ მისი სიტყვით გმირობაზე და სიკვდილზე წასულიყვნენ.

აბბა _ ეს ადამიანთა ანგელოზ-ნუგეშინისმცემლის სახეა, რომელიც უფალმა წარმოგზა-ვნა მწუხარე დედამიწაზე; აბბა _ ეს ისაა, ვინც თავის გულში ღვთაებრივი ნათლის ანარეკლი მოიხვეჭა და თვითონ იქმნა მანათობელი ვარსკვლავი კაცთათვის მათ მიწიერ მოგზაურობაში; აბბა _ ეს ისაა, ვისაც გულში მთელი თავისი მოწაფეების დატევა და თავისი სულის ნაწილად ქცევა ძალუძს; აბბა _ ეს ისაა, ვისაც მტრები მეგობრებივით უყვარს და გულმოწყალებით უფალს ბაძავს. მისთვის არ არსებობენ მტრები; იმათ, ვისაც მისთვის ვაება მოაქვს, იქამდე მიუტევებს, ვიდრე თვითონ ითხოვენ მიტევებას; აბბა _ ეს ისაა, ვისაც თითოეული კაცისათვის სიცოცხლის გაწირვა შეუძლია და ადამიანთა ცოდ-ვების გამო თითქოსდა კვდება ან ლოცვით ჯვარს ეცმევა დღენიადაგ.

აბბა _ ეს ისაა, ვინც სულიწმიდის მადლი მოიხვეჭა და ამიტომ ქრისტეს არა ნაკვთებით, არამედ წმიდანობის ბრწყინვალებით ემსგავსება; აბბა _ ეს ისაა, ვინც სიყვარულში ქრისტეს ბაძავს.

სადაური იყო წმიდა იოსები, მისი მშობლები ვინ იყვნენ _ უცნობია ჩვენთვის. შეიძლება ვარაუდი, რომ ის წარჩინებული ოჯახიდან იყო და საღვთისმეტყველო განათლებაც ჰქონდა მიღებული, რადგანაც მატიანეში ნახსენები კატეხიზმო ქართულ ენაზე მის მიერაა შედგენილი. ის არა მარტო სიტყვით, მდუმარებითაც ქადაგებდა. ღვაწლის გარეშე სიტყვა ქარს ჰგავს, რომელმაც ხეობაში გაიზუზუნა და მიყუჩდა. ხოლო სულის ღვაწლი _ მდუმარება და ლოცვა _ მზეს ჰგავს, რომელიც მდუმარედ ცხოველყოფს ქვეყნიერებას. მადლიდან გამომავალი სიტყვა წყაროს ჰგავს; ხოლო სიტყვა მადლის გარეშე _ მშრალ კალაპოტს: დაიხარა მგზავრი, ქვებს შორის სინოტივეს ეძებს, ფეხქვეშ კი მხოლოდ ქვა და სილაა.

რანაირად შეეძლოთ ყმაწვილ ქალს, წმიდა ნინოს, ორას წელზე მეტი ხნის შემდეგ კი 13 ასურელ ბერს, გაენათლებინათ საქართველო თრიალეთის მთებიდან კავკასიის ქედამდე, თითქოსდა ეკლის ბუჩქი გაემარგლათ და ვეება ყანა მოეხნათ? როგორ შეძლო მათმა ქადაგებამ, უბრალომ, სადამ, რიტორიკასა და მჭევრმეტყველებას მოკლებულმა, ქრისტესაკენ მოექცია მთელი ქალაქები და სოფლები? ისინი მოდიოდნენ როგორც მოგზაურნი, მათ არ ებადათ არაფერი, მაგრამ გარს იმაზე მეტი ხალხი ეხვიათ, ვიდრე ოქროს ფულის მისაღებად მეფის ეტლს დადევნებული ბრბო იყო; თვითონ ღატაკნი, სხვებს ამდიდრებდნენ; მათ გვერდით თავადები თავს ღატაკებად გრძნობდნენ; ადამიანები მათგან გამაძღარნი მიდიოდნენ; მიდიოდნენ სიხარულით, როგორც მოულოდნელი საგანძურის მიმღებნი; მიდიოდნენ განათლებულნი, ვითარცა ერთი შანდლიდან ანთებული სანთლები და თან მიჰქონდათ ცეცხლი სულიერი. რაში იყო ძველ მქადაგებელთა საიდუმლო, რაში იყო მათი ძალა? უფალმა სამარიტელ დედაკაცს უთხრა: *«ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივცე მას, არღარა სწყურდის უკუნისამდე, არამედ წყალი, რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლისა, რომელი ვიდოდის ცხოვრებად საუკუნოდ».*[*] წყალი _ ეს სულიწმიდის მადლია. ვინც ის თავის გულში მოიხვეჭა, სხვათა სულებს მადლით არწყულებს და ისინი გრძნობენ იმას, რაც მანამდე არ უგრძნიათ, არ უწყოდნენ, არასოდეს განუცდიათ; მათ თვალწინ თითქოსდა მატერიალურობისა და დროის ფარდა იხსნება და ისინი ხედავენ მარადისობას, დიდებულს თავისი სილამაზით. ამიტომ მქადაგებლის სიტყვას ისე ღებულობდნენ გულები, როგორც გამომშრალი მიწა ნაკადს წვიმისას.

სხვადასხვა ადამიანის მიერ თქმულ ერთსა და იმავე სიტყვას, იმისდა მიხედვით, თუ ვინ წარმოთქვა ის, სხვადასხვა ზემოქმედების ძალა აქვს. «გული გულს ამცნობს» _ ამბობენ ხალხში. თუკი მქადაგებელმა მადლი მოიხვეჭა, მისი ქადაგებისთვის იღება ადამიანთა გულები, როგორც იშლებიან ყვავილები და დილის სხივებს ეგებებიან. თუკი მქადაგებლის გულში ამპარტავნება და ვნებებია, მაშინ მისგან სულიერი სუსხი ჰბერავს და როგორი მჭევრმეტყველებითაც არ უნდა ლაპარაკობდეს ის ქრისტიანულ ჭეშმარიტებაზე, მისი სიტყვა მხოლოდ განსჯით აღიქმება, რომელსაც არ შესწევს ძალა სახარებისეული სწავლების ცხოველმყოფელი ჭეშმარიტების გაგებისა, ადამიანთა გულები კი დახშული დარჩება მისთვის.

არის სიტყვიერი სიცრუე და არის ცხოვრებისეული სიცრუე. ქრისტეს შესახებ მქადაგებელი, მაგრამ ამავდროულად მცხოვრები ამაქვეყნიურ სტიქიაში _ ვნებიანსა და ღვთისმბრძოლში _ ცრუობს. ეს სიცრუე მის გამომეტყველებაშია არეკლილი; მის ხმაში

[*] ინ. 4, 14.

გაისმის, მის სახეზე ქვის დამღასავითაა აღბეჭდილი, მისი სიტყვები მოკლებულნი არიან შინაგან ძალას და ჩრდილებივით ქრებიან. წარმოიდგინეთ, დემონმა სახარების ქადაგება რომ დაიწყოს, მას ის ზეპირად ეცოდინება, მაგრამ მისი სიტყვებიდან სიკვდილი დაბერავს. იმ მადლის გარეშე, რომელსაც ადამიანი საკუთარ თავთან და ბოროტ სულებთან ბრძოლით იძენს, ის დემონური ძალების უხილავი ზეგავლენის ქვეშ ექცევა. ამიტომ მისი სიტყვები მისივე ცოდვათა შხამის მატარებლები იქნებიან, გაჟღენთილნი ვნებათა სიმყრალით, როგორც კუბოდან ამოსული სუნით. ასეთი მქადაგებლის გული მის მიერვე წარმოთქმული სიტყვებიდან იქნება გამოთიშული. გული გულს უხილავად ესაუბრება. აქ კი მქადაგებლის გული თითქოს მეორე გულს ეჩურჩულება: ნუ დამიჯერებ, რადგან თავად არ მჯერა ის, რასაც ვამბობ.

ძველი მქადაგებლები მოწმობდნენ იმას, რაც თვითონ გამოსცადეს. აიღეთ იოანე ოქ-როპირის ან ღირსი იოანე კიბისაღმწერლის თხზულებანი, წაიკითხეთ და იგრძნობთ, რომ ეს ხმები სულიერი სამყაროს თვითმხილველთა ხმებია. შემდეგ წმიდა წერილის თანამედ-როვე ტექსტი წაიკითხეთ და დაინახავთ, თუ რაოდენ სუსტი, უსახურია ის წმიდა მამათა თხზულებებთან შედარებით. ეს განსაკუთრებულად იგრძნობა ბიბლიის თანამედროვე ტექსტებში, რომლებიც საჟურნალო მიმოხილვის და მშრალი ისტორიული ოქმების ენითაა დაწერილი. საეჭვოა, რომ მათ ადამიანებს დაანახონ ქრისტიანული სარწმუნოების ძალა და სილამაზე. ხშირად გვსაყვედურობენ: «ცოტას ქადაგებთ, ცოტას საუბრობთ ადამიანებთან». მაგრამ თითქმის არავინ ამბობს მთავარს: «თქვენ არ ათავისუფლებთ თქვენს გულს ვნებებისაგან, თქვენ დაივიწყეთ უწყვეტი ლოცვა, თქვენ არ ებრძვით ამპარტავნებასა და ვნებებს, ამიტომ თქვენს სიტყვებში არ არის მადლის ძალა, არ არის ნათელი ქრისტესი, სიტყვა სარწმუნოების შესახებ ამის გარეშე _ პირიდან ამოფრქვეული მტვერია».

მქადაგებელი, ისევე როგორც მოწამე, ქრისტეს მოწმეა. რის შესახებ შეგვიძლია დავამოწმოთ? რა არის ჩვენთვის უმაღლესი რეალია: სულიერი სამყარო, რომელთან შეხებაც მხოლოდ ჩაღრმავებული ლოცვით მიწიერ ამაოებას მოწყვეტილი გულითაა შესაძლებელი, თუ ეს მთავარი რეალია _ საგაზეთო სიახლენი და ტელეგადაცემებია? სულიწმიდის მადლის ძალის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია ღმერთზე ლაპარაკი ისევე, როგორც მაიმუნს არ შეუძლია მანჭვით თქვას, თუ რა აღესრულება ტაძარში.

ქრისტიანობა აქამდე მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ სახარება ჭეშმარიტების შინაგან ძალას ფლობს; ტაძრებში მადლი საიდუმლოებებში და ღვთისმსახურებაშია; წმიდანები ჩვენთვის ლოცულობენ; და არა იმის გამო, რომ ბევრს ან ცოტას ვლაპარაკობთ.

ტელევიზორის ეკრანებზე გვინახავს მქადაგებლები, უღიმღამო, მინისებური, გულგრილი, თითქოსდა სახეზე შეყინული მზერით, მომღერლის ყალბი ნოტის მსგავსი დეკლამაციით, გასაღებით მოსამართი თოჯინის ჟესტებით.

რას ჰგავს ასეთი ქადაგება? _ აი, რას: მთელი ზაფხული წვიმა არ ყოფილა, მიწა დასკდა, მცენარეები ყვითლდება და ხმება, ადამიანებს შიმშილი ემუქრებათ, მაგრამ უეცრად ცას წვიმის მაუწყებელი ღრუბელი გადაეკრა, დაიქუხა. ადამიანები სიხარულითა და იმედით მოელიან, რომ მინდვრებს ცხოველმყოფელად დააწვიმს და დარწყულდება გამომშრალი პირი მიწისა, მაგრამ ღრუბელი ისე გაიფანტა, რომ მინდვრები მოურწყავი დარჩა, როგორც მშიერი ბავშვი რძის გარეშე; ადამიანები კვლავ მზისაგან გადახრუკულ, ქვასავით გამაგრებულ მიწას ხედავენ და ამბობენ: «რა კარგად ქუხდა», ან კიდევ: «თუკი არ იწვიმებდა, უკეთესი იქნებოდა არც დაექუხა».

მართლმადიდებლებს ეუბნებიან: «იქადაგეთ, იღვთისმეტყველეთ, ხალხში გადით». მაგრამ იშვიათად თუ ესმის ვინმეს, რომ ამისათვის უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თავად გავხდეთ ზიარნი სულიწმიდისა, სხვაგვარად, როგორც ცარიელი ხელით მათხოვართან, ადამიანებთან ცარიელი სულით მივალთ.

ღირსი იოსების ცხოვრებაში ნათქვამია, რომ მან მონასტრის აგება გადაწყვიტა, მაგრამ მისი საძირკვლის ჩაყრა არა თავადებისაგან გამოთხოვილი სამეფო ოქროთი და ძღვენით, არამედ განუწყვეტელი ლოცვით სურდა. მან კლდეში გამოქვაბული გამოთხარა და დაყუდებულ ცხოვრებას მიჰყო ხელი. წლები გადიოდა. მას არც ადამიანების ლაპარაკი ესმოდა და არც მათ სახეებს ხედავდა. დიადი იყო მისი ღვაწლი. ამისი მოწმეა ყველაზე მაღალი ტაძარი საქართველოში _ ალავერდი, რომელმაც თავის სივრცეში ღირსი იოსების აკლდამა და მისი დაყუდების ადგილი მოიქცია. იოსებ განმანათლებლის აკლდამა _ ეს სულიერი სვეტია, რომელსაც ტაძრის თაღი უჭირავს.

რით საზრდოობდა დაყუდებული ღირსი იოსები? გადმოცემის თანახმად, მასთან ძახილზე მთის ფურირმები მოდიოდნენ და თავიანთი რძით კვებავდნენ. ერთხელ, იმ მხრის თავადმა, რომელიც მთებში ნადირობდა, შენიშნა სოროს მსგავსი საცხოვრებელი, რომელშიც განდეგილი ბინადრობდა. იგი გაოცდა უდაბნოში ღვთივშვენიერი ბერის ხილვით. თავადს მოეჩვენა, რომ ის ღვთის ანგელოზია და ლოცვისა და კურთხევისათვის მის ფერხთით დაემხო. ღირს იოსებთან საუბარმა გული ისე შეუძრა, რომ ევედრებოდა განდეგილს, ემართა მისი მამული, როგორც ისურვებდა, ხოლო ღირსი მამა დუმდა და ფიქრობდა. თავადი ისე ევედრებოდა, ძღვენი მიეღო წმიდა იოსებს მისგან, თითქოს თვითონ იყო მისგან წყალობის მისაღებად მისული... წმიდა იოსებმა, როცა თავადის თავმდაბლობა და გულმოდგინება დაინახა, აკურთხა, რომ მას დაყუდების ადგილზე წირვის ჩასატარებლად ხის პატარა ეკლესია აეშენებინა. თავადი დაუყოვნებლივ შინ დაბრუნდა. მას ამჯერად ნადირის ტყავი და ირმის რქები არ მიუტანია ნადირობიდან, მაგრამ ხარობდა, რომ სულიერი სიმდიდრე ჰპოვა, როგორც ერთ დროს ფარნავაზ მეფემ, რომელმაც მცხეთის შორიახლოს ნადირობისას განძი იპოვა მღვიმეში. ამ დღეს ის თავად იყო მონადირეცა და მონადირებული ფურირემიც.

როცა დაყუდების ადგილი შემოგარენში მცხოვრებთათვის ცნობილი გახდა, ღირს იოსებთან მონაზვნურ ცხოვრებას მოწყურებულმა ხალხმა დაიწყო მისვლა. სთხოვდნენ იოსებს, რომ იგი მათი სულიერი ხელმძღვანელი გამხდარიყო. ღირსი იოსები ყველას სიხარულით ღებულობდა და მალე მონასტერი გაჩნდა. წმიდა იოსები ჰგავდა არწივს, მწვერვალების თავზე მოლივლივეს. ახლა კი ეს არწივი ბუდეში მართვეებს ფრთებით ათბობდა და მტაცებელი ფრინველებისაგან _ ბოროტი სულებისაგან იფარავდა.

მონაზვნური ცხოვრება _ ეს ხელოვნებათა ხელოვნებაა. ეს მეცნიერებაა ხორციელი ადამიანებისათვის უცნობი სულიერი სამყაროს შესახებ. წმიდანი, როგორც გამოცდილი მეომარი, ბერებს მოუთხრობდა დემონთა ხრიკებზე და საცდურებზე, ბნელ ძალებთან ბრძოლაზე, რომელიც სიკვდილამდე გრძელდება. ცოდვაში დაცემულებს სჯიდა როგორც მამა და ამავდროულად დედასავით ანუგეშებდა. ღირსი აგათონ ეგვიპტელი ამბობდა: «კეთროვნისაგან სხეულის გამორთმევას და მისთვის ჩემი სხეულის მიცემას ვისურვებდი». ერთხელ, როცა ანტონ დიდი ბერებთან საუბრობდა, ერთი ჭაბუკი ბერი მდუმარედ იჯდა და მხოლოდ უცქერდა. ანტონმა ჰკითხა: «რატომ არაფერს მკითხავ?» ბერმა მიუგო: «_ შენი ხილვაც საკმარისია ჩემთვის».

აბბას ერთი ხილვაც კი მოწაფეთა გულებს მშვიდობითა და სიწყნარით ავსებს, თითქოსდა სულმა პასუხი ყველაფერზე მიიღო. მაშინაც კი, როცა ისინი მისი სენაკის კარს უახლოვდებიან, სიხარულს განიცდიან, სიყვარული მისგან უხილავ ნაკადად იღვრება ქვეყნიერებაზე. აბბა _ ქრისტეს სახეა, მოწაფე კი _ აბბას მსგავსია, როგორც სხივი აირეკლება სარკეში, ხოლო სარკე _ სხვა სარკეებში. ამაშია სამონაზვნო გადმოცემის საფუძველი, რომელიც საუკუნეებს გასდევს. როცა წყდება სულიერი მემკვიდრეობა, ეს საიდუმლო ქიროტონია, მაშინ მონაზვნობის ძალა კნინდება და მისი სინათლე ქრება.

წმიდა იოსებმა ცხოვრების დასასრული იგრძნო, მონასტრის ხელმძღვანელობა მონაზონთა შორის უფროსს დააკისრა და თვითონ კვლავ დაეყუდა მსგავსად იოანე ღვთისმეტყველისა, რომელმაც თავისი სამარე გაათხრევინა, მოწაფეებს დაემშვიდობა და თქვა: «ამაქვეყნის ცქერა აღარ მსურს შვილნო, მომაყარეთ მიწა».

დაყუდება _ ეს ჩრდილია უფლის საფლავისა, საიდანაც აღდგა ქრისტე. დაყუდებისას, ჯერ კიდევ სიკვდილამდე აღდგება სული. მოხალისე ტუსაღს ლოცვის დროს ანგელოზთა გალობა ესმის, მაგრამ არ იცის საიდანაა ის: ზეციდან თუ მისივე გულიდან; წყვდიადი სამყაროს მანათობელ უხილავ სინათლედ იქცევა მისთვის.

წმიდა იოსების ღვაწლის ადგილას აღმართულა ალავერდის ტაძარი. ალავერდი ნიშნავს _ «ისმენს ღმერთი». ამ ორ სიტყვაში საქართველოს ისტორიაა დატეული, მასში აღთქმა ჟღერს, იმედი ღვივის და მომავალი წარსულს ხვდება. ღრუბლებამდე აღმართული ტაძარი ღირსი იოსების ლოცვას ჰგავს. ეს ლოცვა ზეცას სწვდება ცეცხლოვანი სვეტივით.

კავკასიონის ქედზე ორთავა ყაზბეგი წამომართულა. ალავერდი თითქოსდა მესამე თავია მისი, რომელიც ანგელოზმა დაადგა ღირსი იოსების საფლავს, როგორც ლოდი შეუმუსრავი. ალავერდობას აქ ხალხი კავკასიის ყოველი მხრიდან ჩამოდის _ ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც. ალავერდის ტაძარი _ ხსოვნაა იმისა, რომ ქრისტიანული იყო კავკასია ოდესღაც, ერთი რწმენისანი იყვნენ თარგამოსის შთამომავალნი.

ალავერდის ტაძარი _ ეს მთიანი კავკასიის გულია, კავკასიონის მთები კი _ ქვის მკერდია ალავერდისა.

მსოფლიოს ცრუ სწავლებანი

«ამისთვის გამოცხადნა ძე ღმრთისაი, რაითა დაარღვნეს საქმენი ეშმაკისანი».

I ob. 3,8

«არამედ დაღაცათუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი იგი გახარე თქუენ, შეჩვენებულ იყავნ».

გალ. 1,8

ლამაიზმის შესახებ

კლასიკური ბუდიზმი[38] გვერდს უვლის მეტაფიზიკურ პრობლემატიკას და განზე ტოვებს რელიგიისთვის ისეთ ონტოლოგიურ ცნებებს, როგორებიცაა ღმერთი, ადამიანის სული, სამყაროს მიზეზი და მიზანი. ბუდიზმი ასწავლის, თუ როგორ უნდა გათავისუფლდე ტანჯვისგან და საკუთარ თავში ყოფიერების სურვილის განადგურებით როგორ აღმოჩნდე მსოფლიო ტრაგედიის გარედან მაყურებელი. ბუდისტური თავისუფლება _ ეს თავისუფლებაა სამყაროსაგან, თავისუფლება საკუთარი თავისაგან და თავად თავისუფლებისაგან. აქ ცნობიერება უარყოფისა და განყენებულობის გზით სიცარიელეში იძირება. ეს მდგომარეობა «ნეოპლატონიკოსების[*] გაიოლებას და ინტელექტუალურ ექსტაზს», მათ ტრანსცენდენტალურ უაზრობას მოგვაგონებს, მაგრამ გაცილებით მკვეთრ და ათეისტურ ვარიანტში. გნოსტიკოსი-ნეოპლატონიკოსი ცდილობს გაქრეს ხარისხგარეშე აბსოლუტში. ბუდისტისთვის კი თვით აბსოლუტი, როგორც მონადა[**], არ არსებობს. სიცარიელე _ ეს არა სულიერი ცნება, არამედ განსაზღვრული უშინაარსო სივრცეა, რომელშიც ერთვება და რომელსაც ერწყმის ბუდისტი. აქ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ღვთაებას, იმდენად, რამდენადაც ღვთაება მოიაზრება როგორც გარეგანი და შინაგანი ხასიათის ობიექტი. ნირვანაში კი არ არსებობს ობიექტი.

ბუდიზმის ტრანსცენდენტალურ საკითხებს განიხილავს _ ლამაიზმი. ეს არის მეტაფიზიკური ფილოსოფიური ბუდიზმი. თუკი ბუდიზმი სიცარიელის შერწყმას ნირვანის ემპირიკასთან ახდენდა, ლამაიზმმა სიცარიელის ცნება გააღრმავა და ის ყველა საგნის პირველსაწყისად აქცია. აქ ლამაიზმი დრამატულ დასკვნებამდე მივიდა. ხილული სამყარო _ ეს მხოლოდ მერყევი აპკია სიცარიელის ოკეანის თავზე. სამყარო გაჩნდა ხარისხგარეშე, დაუსაბამო, უპრედიკატო, უსუბსტანციო სიცარიელიდან მხოლოდ იმისათვის, რომ სიცარიელეს შეძლებოდა თავისი თავი იმასთან დაეპირისპირებინა, რასაც ჩვენ «რაიმეს» ვეძახით და ამ «რაიმეს» მეშვეობით საკუთარი თავი, როგორც სიცარიელე, ისე შეემეცნებინა. ბუნებრივი სიცარიელე, ანუ სიცარიელე საკუთარ თავში, როგორც მოცემულობა, ლამაიზმით «განათლებული» გონების მეშვეობით ნებელობით სიცარიელედ უნდა იქცეს. ამასთან კოსმოსი არ განიხილება, როგორც ანტისიცარიელე, სხვაგვარად ბუდიზმის მონიზმი გადაულახავ დუალიზმად გადაიქცეოდა. კოსმოსი _ ერთდროულად ყოფიერებაცაა და უმყოფობაც, რამდენადაც მისი ელემენტები _ დჰარმები, იმდენად ხანმოკლენი არიან, რომ უდროობის მიჯნაზე იმყოფებიან, იმდენად მცირენი, რომ სივრცის განზომილებიდან ვარდებიან. ამიტომ დჰარმები _ ეს ისაა, რაც ერთდროულად არის და არ არის. მოდერნიზმის მომხრე ზოგიერთი ლამაისტი თავის სწავლებასა და ბრაჰმანიზმს შორის ანალოგს ავლებს. სიცარიელე და ტრანსცენდენტალური «არაფერი» _ ეს «ბრამას ღამის» მსგავსია, ხოლო კოსმოსი და ემპირიული «არაფერი» _ «ბრამას დღის» მსგავსი. მაგრამ ეს ზერელე და ხელოვნური პარალელებია. თვითონ ლამაისტები სიცარიელის შესახებ ასწავლიან როგორც გამოცხადების შესახებ, რომელიც ბუდასგან მიიღეს და რისთვისაც საჭირო იყო ბუდას ახალი განსხეულება (ამდენად ითვლება სიცარიელის

---

[*] ნეოპლატონიკოსი _ ნეოპლატონიზმის მიმდევარი.

[**] მონადა _ უმარტივესის, განუყოფელის აღმნიშვნელი ფილოსოფიური ტერმინი.

შესახებ სწავლება მნიშვნელოვნად და ფუძემდებლად). ნუთუ ღრმადპატივცემული ბუდა კვლავ მხოლოდ იმისათვის განხორციელდებოდა, რომ გაემეორებინა ბრაჰმანიზმში უკვე ცნობილი ფილოსოფიური კონცეფცია? ბრაჰმა _ აბსოლუტია თავის მოდუსებში და დაუსრულებელ ტრანსფორმაციებში; მას სამყაროს დანგრევით და თავის თავში ჩაღრმავებით («ბრამას ღამეში» და პარაბრამას მდგომარეობაში) თან «პრაკრიტის» _ მატერიალურობის იდეა მიაქვს, ამიტომ არ გადაიქცევა აბსოლუტურ სიცარიელედ. ბრაჰმანი დაქვემდებარებულია კანონებსა და თავისი შინაგანი რიტმის პერიოდებს, სადაც «დღე» პულსის დარტყმას ჰგავს, «ღამე» კი _ დარტყმებს შორის შუალედს. ხოლო ლამაისტების სიცარიელე სამყაროს საჭიროებისდა მიხედვით არ ქმნის, მასში არ არის თვითდეტერმინიზაციის პრინციპი. და მაინც, ლამაიზმმა ვერ შეძლო შეექმნა მკაცრი მონისტური თეორია. დჰარმებში დრო დროის დაკარგვამდე წილადდება. ლამაიზმი ისევე, როგორც ბუდიზმი, ღრმად პესიმისტურია. აქ ყოფიერება და უმყოფობა ერთმანეთს ადგილებით ენაცვლებიან. აქსიოლოგიური მნიშვნელობით სამყარო გაიაზრება არა როგორც მარტოოდენ აპკი, არამედ როგორც სიცარიელის სუბსტრატში გაზრდილი ობის სოკოები. აქ, ისევე როგორც ბუდიზმში, თავისუფლება უმყოფობასთან არის გაიგივებული. ლამაიზმის ღმერთები _ დემონები _ ეს საშინელი ურჩხულებია. მათში ლამაისტი არსების ყველა ფორმას უარყოფს, უმდაბლესს, უმაღლესს და თვით ადამიანს. ლამაიზმის ფი-ლოსოფია _ ეს სიკვდილის ფილოსოფიაა, ხოლო ლამაისტის თავისუფლება _ ეს არის თავისუფლება «ყოფიერების თავისუფლებისაგან».

ლამაიზმს მატერიისაგან გათავისუფლებაზე მეტად ღმერთისგან უნდა გათავისუფლება. ლამაისტების მთავარმა ქურუმმა დალაი-ლამამ ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტეში მცხოვრებლების წინაშე გამოსვლისას საჭიროდ ჩათვალა საზეიმოდ განეცხადებინა, რომ «ღმერთი არ არის». ლამაისტური სექტა «შამბალა» ტიბეტიდან საბჭოთა ხელმძღვანელობასთან წარმომადგენლებს გზავნიდა წერილით, სადაც ესალმებოდა ქრისტიანული ტაძრებისა და მონასტრების ნგრევას. მეორე სექტა «აჰარტი» გერმანიაში ფაშიზმს ედგა მხარში. ტიბეტელი ლამები «ჩჩ»-ის დამსჯელ რაზმებში ინსტრუქტორებად მსახურობდნენ. ლამაიზმის ზოგიერთი წეს-ჩვეულება კანიბალიზმს და ნეკროფაგიას წარმოადგენს. მაგალითად: მამაცი მებრძოლის გულის შეჭმა მისი მტრების მიერ ან წარჩინებული მიცვალებულის «დაკრძალვა» ლამების სტომაქებში (ამასთან გვამი უმად უნდა შეიჭამოს). მაგრამ თუკი თავს დავანებებთ ამ ზიზღის აღმძვრელ რიტუალებს და ლამაიზმის მეტაფიზიკას მივუბრუნდებით, ის არანაკლებ საძაგელი აღმოჩნდება: მატერია _ ეს უმყოფობა და ილუზიაა. აბსოლუტური გონი _ ღვთაება არ არსებობს, რეალურია მხოლოდ ერთი, უძირო სიცარიელე. ამიტომ ლამაიზმის კულტი _ ეს დოლის ხმაზე მოცეკვავე ურჩხულების ნიღბებია ბასრი ეშვებით, ეს თვით სიკვდილის აპოთეოზია. ეს თავისუფლება გაიაზრება როგორც ილუზორული «რაღაცის» რეალურ «არაფრად» გადაქცევა.

ფიქრები რერიხის[39] სურათებზე

რერიხი ქრისტიანობის მოწინააღმდეგეა. და მაინც, მადლიერი ვარ ნიკოლოზ რერიხისა იმისათვის, რომ ამ რენეგატმა უნებლიეთ კიდევ ერთხელ გააფრთხილა თვლემაში ჩაძირული ჩვენი სამყარო, თუ როგორი ხიფათი გვიახლოვდება აღმოსავლეთიდან.

რერიხმა მთელი თავისი სიცოცხლე სულიერი სიცრუის სამსახურს მოახმარა. ის ცრუობდა სიტყვით თავის «სიყვარულის იოგაში», მაგრამ მხატვრის ხელმა «გათქვა» საიდუმლო და სურათებში ის გაამხილა, რაზედაც ენა გაჩუმებას ამჯობინებდა. მან აჩვენა ჰიმალაის მთები, როგორც მთვარიანი პეიზაჟის მსგავსი სიკვდილის ქვეყანა სარკის მეტაფიზიკურ მიღმიერში, სადაც ყინულის ჯავშნის ქვეშ სისხლი მოედინება. ტიბეტის მთები თითქოსდა სიკვდილის სიცივეს აფრქვევენ, ეს არ არის ყინულისა და თოვლის სიცივე, არამედ კოსმოსური სიცივეა რაღაც ვარსკვლავთაშორისი შავი სივრცისა.

როგორღაც ერთხელ გველსაშენში ვიყავი და მინის ქვეშ მწოლიარე ეს რეპტილიები ვნახე. ზოგიერთი მათგანი ლამაზი შეფერილობისა იყო, თითქოს წითელ და მწვანე ზოლებიან აბრეშუმში იყო ჩაცმული. ისინი ადამიანებს ყურადღებას არ აქცევდნენ, თითქოსდა ღრმა ძილს მიცემულნი, გორგალივით დახვეულები იწვნენ. მაგრამ სულს რაღაც უცნაური გრძნობა ავსებდა, რაღაც ყრუ განგაში, რაღაცნაირი სისხლისგამყინავი, თითქმის მეტაფიზიკური სიცივე იგრძნობოდა ამ არსებებში.

როცა რერიხის სურათებს ვუყურებდი, მსგავსს განვიცდიდი. ის ჰიმალაების მეხოტბეა, მაგრამ კიდევ რაღაც სხვა უნდა, მას სურს, რომ მისი ჰიმნი ტიბეტისადმი, ქრისტიანულ სამყაროს რექვიემივით ჟღერდეს.

რერიხს ჰიმალაები არ უყვარს. ბუდისტის გულს არ შეუძლია უყვარდეს, ის ყინულის ნამსხვრევს ჰგავს, რომელიც მწვერვალიდან მოწყდა და დანარცხებული ნაწილებად დაიმსხვრა. მაგრამ რერიხი, ისევე როგორც რამაკრიშნა, სიკვდილის ქალღმერთ კალის _ «სამყაროს დედას», ნეოფიტის გულმოდგინებით ემსახურება. ბუდისტის გულს არ შეუძლია უყვარდეს, მაგრამ შეუძლია სძულდეს ცივი სიძულვილით, და რერიხს სძულს ქრისტიანობა, რომლის გამო სატანა ჯერაც ვერ გახდა ქვეყნიერების თვითმპყრობელი.

მე მადლიერი ვარ რერიხისა იმისათვის, რომ მან მიჩვენა კავშირი ბუდიზმსა და სატანიზმს შორის, ბუდასა და ანტიქრისტეს შორის, ლჰასას[40] და კრემლს შორის, პოტალასა[41] და მავზოლეუმს შორის. მან თითქოს მიწისქვეშა კაბელი გააშიშვლა. მან გახსნა სულიერი მემკვიდრეობითობა გვამების მჭამელი ლამების ნეკრომანიასა და გულაგის შემქმნელებს შორის. ჯერ კიდევ ჩინგიზ-ყაენმა უჩვენა ევროპას, რა არის აღმოსავლეთი, მაგრამ ისტორიის ჭრილობები ნაწიბურდება და ისევე სწრაფად ეძლევა დავიწყებას, როგორც ძუკნას ტყავზე ნაიარევი. არსებობდა გადმოცემა იმის შესახებ, რომ ქუხილი, რომელიც მსოფლიოს შესძრავს, აღმოსავლეთიდან მოვა, მაგრამ ის, თანდათან მიავიწყდათ და ახლა, ჩვენს ტექნოლოგიურ საუკუნეში, როცა აზროვნება ადამიანების მაგივრად კომპიუტერებმა დაიწყეს, ეს ზღაპარივით გამოიყურება.

ამბობენ, რომ რერიხმა ბუდიზმი მიიღო, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. მან მიიღო ლამაიზმი. ბუდიზმი _ ეს უმყოფობის რელიგიაა, ლამაიზმი _ სიკვდილისა. უმყოფობა ისაა, რაც არ არსებობს. უმყოფობის მისტიკა _ ეს ქვეყნის გაიგივებაა ილუზიასთან; სიკვდილი კი არსებობს, მაგრამ განადგურება აქვს მისჯილი. სიკვდილის მისტიკა _ ეს

სისხლიანი მსხვერპლშეწირვაა, ამიტომაც მონღოლეთში, ტიბეტსა და მანჯურიულ ჩინეთში ჩინგიზ-ყაენს, როგორც დიდ მაჰატმას, თაყვანს სცემენ.

ლამაისტები მას «კურთხეულს» და «განათლებულს» უწოდებენ. მისი აკლდამის თაყვანის საცემად ჩინეთში მომლოცველები ჩადიან; მის საფლავთან სატანური ინიციაციები სრულდება.

რერიხმა ტიბეტელთა თანხლებით მთის უხუცესებისაგან _ მაჰატმებისაგან რუსეთში საბჭოთა მთავრობისადმი წერილი და ლენინის მავზოლეუმისათვის პეშვი მიწა ჩაიტანა. მაჰატმები სიხარულს გამოხატავდნენ იმის გამო, რომ კომუნისტები ეკლესიასა და ოჯახს ანადგურებენ, რომ მსოფლიოს ერთი მეექვსედი სისხლის ზღვაში იძირება, ამ წერილში ლენინს თავიანთი «ძმა-მაჰატმა» უწოდეს და როგორც ცოცხალს ისე მიმართავდნენ. გარდა ამისა, რერიხმა ჩამოიტანა სურათი _ «მომავალი ბუდა» _ უკანასკნელი განსხეულება («ავატარა»), რაც მსოფლიო ისტორიის დასასრულს უნდა აღსრულდეს. ეს ტიბეტური «ხატი» ეკლესიების ცნობილი გადამწველის, _ ლუნაჩარსკის სახით კრემლის ხელისუფალთ მიართვა. რერიხი პატივით, ბუდას «ხატი» კი მადლიერებით იქნა მიღებული. იცოდნენ მაღალი ხარისხის მარქსისტებმა, ვინც არის მასზე გამოსახული.

შემდეგ უჩვეულო რამ მოხდა: რუსეთის დიპლომატიურმა კორპუსმა და სპეცსამსახურმა დაიწყეს რერიხის თანადგომა მის მოგზაურობებში სამხრეთ-აღმოსავლეთით (უნდა ითქვას, რომ ამ ექსპედიციების რუსეთში დაბრუნებული ნაწილი განადგურებულ იქნა, ხოლო მისი კვალი სახელმწიფო პოლიტსამმართველოს სარდაფებში და არქივებში გაქრა).

მადლიერი ვარ რერიხისა ასევე იმისათვის, რომ დამანახა კავშირი ჩინგიზ-ყაენსა და ლენინს შორის, ლამაისტურ საკერპესა და მავზოლეუმს შორის, რომელიც წითელ მოედანზე დგას, როგორც ლოდი რუსეთის გულზე. პირველ გნოსტიკოსს, სიმონ მოგვს ჰყავდა თანამგზავრი, სახელად ელენე, ყოფილი სიდონელი მეძავი. მოგვი ამბობდა, რომ თვითონ ღვთაების სახეა, მისი მეგობარი კი იმ ელენეს ხორცშესხმაა, რომლის გამოც ტროა დაიღუპა. ის ასევე სახეა დაცემული ადამიანური სულისა, რომელიც შემდგომ ღვთაებას გაჰყვა. რერიხსაც ჰყავდა ცოლი და თანამგზავრი, სახელად ელენე, მაგრამ სიმონ მოგვისაგან განსხვავებით ის ღვთაებად, «სამყაროს დედად» გამოაცხადა, თავისი თავი კი _ პალადინად (ვ. ი. პალადინი _ ბიოლოგი, პროფესორი _ მთარგმნელი). მადამ რერიხი კეთილსინდისიერად ასრულებდა ასტარტეს[42], კიბელესა[43] და დურკას როლებს და დატოვა წიგნი სახელწოდებით «სიყვარულის იოგა», სადაც სხვა ელენეს _ ბლავატსკაიას თეოსოფიურ შეხედულებათა განვითარებას ბუდისტურ შაქტიზმზე ისეთივე პრეტენზიით განაგრძობდა, როგორც მისი წინამორბედი. ამგვარად რერიხი საკუთარი ცოლის ქურუმი ხდება და მის «ხატებს» წერს.

რერიხის ტილოებზე ჰიმალაები შინაგან განგაშს იწვევენ, თითქოს მწვერვალების თავზე თვით ზეცაა კრუნჩხვაში გაქვავებული. მთები კი განაბულან, მიყუჩებულან, როგორც ნახტომის წინ მხეცები. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ეს გადმობრუნებული სურათებია, რომ მთები მწვერვალებით არა ზევით, ზეცაში, არამედ ერთგვარ მკვდარ სივრცეში, ფესვებივით ქვევით, ქვესკნელში მიდიან. ზოგჯერ გეჩვენება, რომ ისინი კარიბჭესავით გაიღებიან და ჩინგიზ-ყაენის[44] ურდოები, ცეცხლოვან ლავასავით დასავლეთს კვლავ თავს დაატყდებიან და თავიანთ გზაზე ყველაფერს აღგვიან. ტიბეტის მღვიმეებსა და მონასტრებში კბილებდაკრეჭილი კერპები დგანან. ისინი დემონთა გამოსახულებებს ჰგვანან. მათი ატრიბუტებია: არწივის კლანჭები და ლომის ბრჭყალები. ეს ურჩხულები _ პამირისა და

ჰიმალაების ღმერთები არიან. მათ სისხლი სწყურიათ, მათ თაყვანს სცემენ სატანისტები, რომლებიც მათ სწავლებას, ელენე რერიხის აგნი-იოგას მსგავსად, იავნანად წარმოუდგენენ გაბრიყვებულ დასავლეთს.

ნიშანდობლივია, რომ რერიხმა რუსეთს თავისი სურათები ჯერ კიდევ კომუნისტების ხელისუფლების დროს უანდერძა, რამეთუ იცოდა, რომ საიმედო ხელში იქნებოდა. მან ისინი შესაძლოა ოკულტური მედიტაციებისთვისაც დატოვა. სატანა მახვილგონიერია, მაგრამ არცთუ იშვიათად თავს იტყუებს. რერიხის სურათები არა მხოლოდ ჰიმალაების ქება და ტიბეტის აღმოჩენაა, ეს ანტიქრისტეს მეფობის შესახებ გაფრთხილებაა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. ამ მნიშვნელობით ისინი აპოკალიფსურია. მაგრამ არა მხოლოდ გადმოცემა, არამედ წინასწარმეტყველებაც განსაზღვრულ სახეებში, სიმბოლოებსა და გამოცანებშია მოცემული. ისინი უნდა ამოიხსნას, სხვაგვარად ისტორიის მსვლელობის დეტერმინიზებას მოახდენენ. გადმოცემა _ ეს ტილოა, რომელზეც მოვლენათა ჩრდილებია ასახული და ამ ჩრდილებში, ზოგჯერ მკაფიოში, ზოგჯერ კი გაურკვეველსა და ბუნდოვანში, საჭიროა დავინახოთ სურათი მომავალი ისტორიისა. მაგრამ ხშირად ადგილი აქვს ქარაგმას _ არა თვით მოვლენებს, არამედ მათ სულიერ თვალსაზრისს. ამიტომაც არ ვიცით, რანაირად უნდა გავიგოთ აღმოსავლეთიდან შემოსევა: როგორც ვეფხვების ბრძოლა გლადიატორებთან მსოფლიო ცირკის არენაზე თუ უხილავი ჭირი, რომელმაც თითქმის გაანადგურა ევროპა შუა საუკუნეებში. შესაძლოა ეს შემოსევა წარმართული ოკულტიზმის სახით, რომელმაც ეპიდემიის ფორმა მიიღო, უკვე დაწყებულია.

ტიბეტელი მაჰატმები ლენინს, როგორც «დიად ძმას», სალამს უძღვნიან და ამით რე-ვოლუციის ოკულტურ უკუმხარეს წარმოაჩენენ. ჰიტლერი გამოცხადებას ტიბეტიდან მოელის. ლამები ჩჩ-ის დამსჯელი რაზმების ინსტრუქტორები ხდებიან. სამოქალაქო ომის დროს რუსეთის ტერიტორიაზე ჩინეთის ჯარის ნაწილები ჩნდებიან, რომლებიც დამსჯელ ოპერაციებს ატარებენ და შემდეგ სადღაც ქრებიან უკვალოდ. შტურმით აღებული ბერლინის ქუჩებსა და მოედნებზე გერმანელი ოფიცრის ფორმაში ჩაცმული ტიბეტელების ცხედრები ყრია, რომლებმაც რაღაც ბრძანებით თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე, რათა სამარეში წაიღონ საიდუმლო. ეს საიდუმლო გამარჯვებულის ნადავლი არ უნდა გახდეს. ისე ჩანდა, რომ ომს თავისი საშინელებებით და უთვალავი უბედურებით ქრისტიანული თვითშეგნება უნდა გამოეღვიძებინა. მაგრამ თუკი იყო გამოღვიძება, ის მეტად ხანმოკლე და ზერელე აღმოჩნდა. ათეიზმი _ სატანის პასუხი: «სახლში არა ვარ» იცვლება ოკულტიზმით _ სატანის პასუხით: «მე ჩემს სახლში ვარ». ევროპა და ამერიკა, ბალკანეთი და ციმბირის სივრცეები ოკუპირებული აღმოჩნდა ოკულტური ძალების მიერ, რომლებსაც ქრისტიანობასთან არა სასიცოცხლოდ, არამედ მასთან სასიკვდილო ბრძოლისათვის მივყავართ.

ჯერ ისევ შუალედურმა ჩვენმა დრომ სულიერი ჰიბრიდი წარმოშვა, გნებავთ _ მოქალაქეობა ორმაგი ჩაწერით: ადამიანი სახელითა და ტრადიციით _ ქრისტიანი, გულის მიდრეკილებებით _ სატანისტი. ჩვენ ვხედავთ, როგორ ფართოვდება დედამიწაზე სატანის ეკლესია ზღვის ზედაპირზე დაღვრილი მაზუთის ლაქასავით.

რერიხის სურათები _ ეს ცრუ ტრიუმფია ბოროტების გამარჯვებისა სიკეთეზე, სიკვდილისა სიცოცხლეზე. ამიტომ რერიხის ფუნჯით დაწერილ ტიბეტის სურათებში ერთმანეთს წითელი და ლურჯი ენაცვლება. წითელი _ სისხლის ფერია, ლურჯი _

გვამისა... და მაინც, რერიხის პოემა ჰიმალაებზე არ არის ბოლომდე დაწერილი. ის, როგორც ბგერა გაწყვეტილი სიმის, უეცარი კვნესით მთავრდება.

ეზოთერიზმი

საკითხს რელიგიის ეზოთერიზმის შესახებ ჩვენი თანამედროვეებისათვის პირველ-ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმიტომ, რომ წიგნის ბაზარს ოკულტური ლიტერატურა მოაწყდა, რომელიც ეზოთერიზმზე _ ძველ სიბრძნედ წოდებულ რაღაც საიდუმლო ცოდნაზე პრეტენზიას აცხადებს, უფრო იმიტომ, რომ ამ პრობლემის სწორად გადაწყვეტა საშუალებას გვაძლევს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება უკეთ გავიგოთ, გავიაზროთ და შევაფასოთ. ყველა ეზოთერული სწავლება რჩეულობას და ელიტარულობას იჩემებს. ის სულის არისტოკრატებს _ ეზოთერიკოსებს პროფანების ბრბოსთან _ ეგზოთერიკოსებთან აპირისპირებს, რომლებიც საზოგადოების გარეგან შრეს, ერთგვარ ქერქს წარმოადგენენ. წარმართული რელიგიებისათვის ნიშანდობლივი ეს კონცეფცია მკაფიოდ გამოიხატა გნოსტიკურ სწავლებებში, სადაც ადამიანები ერთმანეთისაგან იზოლირებულ სამ ხარისხად დაიყვნენ: უმაღლესი ხარისხი _ პნევმატიკის, ანუ სასულიერონი, რომლებიც ბრბოსთვის მიუწვდომელ საიდუმლო ცოდნას ფლობენ; საშუალო ხარისხი _ ფსიქიკის, ანუ მშვინვიერი; უმდაბლესი _ სომატიკის _ ხორციელი. უმაღლესი ხარისხი ეზოთერიზმს შეესაბამებოდა, დანარჩენი ორი _ ეგზოთერიზმს. მორალის საზოგადოდ მიღებულ ნორმებს გნოსტიკოსები ეგზოთე-რიკოსებისათვის სასარგებლოდ და აუცილებლადაც კი თვლიდნენ, ხოლო ეზოთერიკოსი-პნევმატიკოსი თავისუფალი უნდა ყოფილიყო ყველა კანონისაგან, მათ შორის სახარების მცნებებისაგანაც. ის (ეზოთერიკოსი) სიკეთესა და ბოროტებაზე თავს იმაღლებს. აქ ჩანს, თუ როგორ მიემართება ორი ცოდნის (რჩეულთათვის და ბრბოსათვის) შესახებ სწავლება მორალის გაორებისა და რელატივიზმისაკენ. «პროფანი» კანონს ემორჩილება, «პნევმატიკოსი» არაფრითაა შეზღუდული. ზნეობრივი თვალსაზრისით საიდუმლო ცოდნა მისთვის ყველაფრის ნებას იძლევა.

გნოსტიკოსების[45] სწავლებასთან გადახლართულია ბუდას იგავი სამ ლოტოსზე: მათგან ერთი წყალქვეშაა დაფარული, მეორე ოდნავ ეხება ტბის ზედაპირს, მესამეს ყვავილები ზედაპირზე აქვს გადაშლილი. ბუდა ამბობდა, რომ წყალქვეშა ლოტოსი ის ხალხია, რომლებსაც ცოდნა არ მიუღიათ; ყვავილი, რომელიც წყლის ზედაპირს ეხება, ისინი არიან, ვინც სწავლება მიიღეს, მაგრამ არ ესმით ის; წყლის ზედაპირზე გაშლილი ყვავილები კი ბუდას ჭეშმარიტი მოწაფეები არიან.

ბრაჰმანიზმიც[46] ასევე მიეკუთვნება ელიტარულ რელიგიას. ხალხისგან დაფარულ სი-ბრძნეს ბრამინები ფლობენ. ისინი დაბადებით ეზოთერიკოსები არიან. დანარჩენი კასტები კი იმისათვის არსებობენ, რომ ბრამინებს ემსახურონ. მათთვის მხოლოდ რელიგიის გარეგნული ფორმებია გამოსადეგი. ასევე ელიტარული იყო ბერძნულ-რომაული წარმართობა, ინტელექტუალი ელიტარები ფილოსოფოსთა ფენას წარმოადგენდა. გარდა ამისა, ადამიანს ოკულტური ცოდნის მიღება მისტერიებში შეეძლო. აქ საიდუმლო გნოსისის (ცოდნის) ორი სახეობაა: აპოლონური ეზოთერიზმი და დიონისური ეზოთერიზ-მი.

მასონობაში ელიტარიზმისა და ეზოთერიზმის პრინციპი გარკვეულ სისტემაშია აყვანილი. ჩვეულებრივ მასონური ლოჟა[33] საფეხურად იყოფა. უმდაბლეს საფეხურზე მყოფებმა არ იციან უმაღლეს საფეხურებზე რა ხდება, როგორი ახალი სწავლებანი იხსნება იქ. ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა ინიციაციას და ახალი ოკულტური საიდუმლოს განდობას გულისხმობს. აქ ელიტარულობისა და ეზოთერიზმის პრინციპი

ორგანიზებულ კონსპირაციად არის გადაქცეული. თეოსოფების სწავლებაც ასევე ეზოთერიზმისა და ეგზოთერიზმის ურთიერთდაპირისპირებაზეა დაფუძნებული. თეოსოფები ყველა რელიგიის კვინტესენციის პოვნას ცდილობენ, შემდეგ კი მათ შეცვლას ნეობუდისტური დოქტრინით. თეოსოფების სწავლება, ისევე, როგორც ბუდისტებისა, სიკეთისა და მოწყალებისაკენ მოწოდებით იწყება და მთავრდება შემდეგი სწავლებით: სიყვარული, ისევე როგორც სიძულვილი, ადამიანს ემოციურ სფეროში ძირავს, რითაც მიწიერ ყოფასთან აჯაჭვებს. ამიტომ ისინი უნდა განადგურდეს და უგრძნობელობით და გულგრილობით, სიკეთისა და ბოროტების მიღმა ყოფნით შეიცვალოს. ზოგ შემთხვევაში თეოსოფიას დუალიზმთან _ მარადისობის, სიკეთისა და ბოროტების გათანაბრებასთან, მათ იგივეობასთან მივყავართ: ღმერთი და სატანა ერთმანეთს «ავსებენ», ელენე ბლავატსკაიას მიხედვით კი ზოგჯერ «ადგილებით ენაცვლებიან». ბლავატსკაიას არაერთხელ უთქვამს, რომ ფილოსოფიის აზრი _ ეს ლუციფერის რეაბილიტაციაა. ადვაიტა-იოგა განსაკუთრებულ ეზოთერულ სწავლებათა რიცხვს განეკუთვნება. მედიტაციურ თვითჰიპნოზს იმაზე, რომ «მე» _ ეს აბსოლუტია, ხოლო «ყოფიერება» «უმყოფობას» უდრის, ადამიანი დემონური ტრანსის მდგომარეობაში შეჰყავს, ხოლო სამყაროს ობიექტური ყოფიერების უარყოფა მას ეთიკისაგან, როგორც სამყაროსადმი დამოკიდებულებისაგან ათავისუფლებს.

როგორც ვხედავთ, ეზოთერიზმში ხდება ზნეობრივი, სულიერი სრულყოფილების გზის უკანა პლანზე გადაწევა ან მისი სავსებით იგნორირება. მას საიდუმლო ცოდნა, ინტელექტუალური თილისმების (სახელები, რიცხვები, მანტრები, შელოცვები, ან მორალის ნიჰილისტური უარყოფა) ფლობა ცვლის.

ქრისტიანობაში არაფერია დამალული, მასში არ არის საიდუმლოებანი საიდუმლოებათა შესახებ, აქ სულიერი შემეცნება ადამიანის ზნეობასთან დამოკიდებულებაში განიხილება და არა მის მიერ ფორმულების, რიცხვების და საიდუმლო ნიშნების ცოდნასთან კავშირში. ადამიანისათვის სულიერი სამყაროს წვდომის შესაძლებლობა მისი ცხოვრებისდა მიხედვით იზრდება. სახარება იმათთვის ცხადდება, ვინც მას ასრულებს. ქრისტემ ელიტარულობა და ეზოთერიზმი განიკითხა სიტყვებით: *«აღგიარებ შენ, მამაო, ... რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩვილთა».*[*] ქრისტიანული გნოსისი ადამიანის სულის მდგომარეობაზეა დამოკიდებული: *«ნეტარ არიან წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ»*[**] (მთ. 5,8).

იუდაიზმი ასევე წარმოადგენს ელიტარულ რელიგიას. მისი ეზოთერული წიგნია _ კაბალა, საიდანაც ოკულტისტთა მომდევნო თაობები თეოსოფების, ანთროპოსოფების და მასონების ჩათვლით თავიანთ შთაგონებას ასაზრდოებენ.

ეზოთერულ სწავლებას ასევე წარმოადგენს _ ნაციზმი. აქ რასა კაცობრიობის ელიტად და არიული სამყაროს ძველ საიდუმლოთა მცველად გვევლინება. «ჩჩ»-ის ჯალათები ტიბეტური ოკულტურ-დემონური სექტის «აჰარტის» დახმარებით განსაკუთრებულ ინიციაციას ღებულობდნენ. ნიშანდობლივია ის, რომ მათთან პრაქტიკაში გამოიყენებოდა ინიციაციის ერთ-ერთი სახეობა _ ტკივილის დაძლევა: გაშიშვლებული ჯალათი ერთი წუთი ფეხმოუცვლელად უნდა მდგარიყო და გაავებული ნაგაზების თავდასხმა აეტანა.

---

[*] მთ. 11, 25.

[**] მთ. 5, 8.

მსგავსი რამ ძველ რომშიც ხდებოდა _ ქურუმად განდობის დროს. პომპეუსის ერთ-ერთ გადარჩენილ ფრესკაზე შემონახულია მისტერიული სურათი: «ქურუმი ქალის _ დიონისიას განდობა», სადაც ქალწულს ტანჯვას აყენებენ, რაც ინიციაციის რიტუალში შედის. ოკულტური ეზოთერიზმის ფაქტს ბიბლიის პირველსავე ფურცლებზე ვაწყდებით. რელიგიას, როგორც ღვთისადმი მორჩილებას, სატანა გარეგანს, ანუ ნაყოფის ფლობას უპირისპირებს, ნაყოფისა, რომლის მიზეზითაც ადამიანმა ღმერთად, თავისი ყოფის თავისუფალ განმგებლად გახდომა მოისურვა. აკრძალული ნაყოფი ადამს თილისმად ეჩვენება, რომელიც იდუმალ და განუსაზღვრელ ძალას მისცემს.

ეზოთერიზმში არ არის სინანული; იქ ცოდვა უმეცრებად მიიჩნევა; სინანულის ადგილს სწავლება იკავებს: ცოდვა _ არა ღვთის დაკარგვაა სულისთვის, არამედ სიკეთის სიმწირე და დაშრეტაა, ისაა, რისი შევსებაც ძნელი არ არის. ამიტომ ეზოთერიკოსი ცოდვას ადვილად ურიგდება.

ელიტარიზმმა კათოლიკურ ეკლესიაშიც შეაღწია და მისი სტრუქტურის დეფორმირება მოახდინა. ეს _ კლერიკალიზმია, მოწყვეტაა კლიროსისა ხალხისაგან, ეპისკოპოსებისა _ სამღვდელოებისაგან; იერარქიის ცნება სულიერ ერთობას, ერთი კიბის საფეხურებს, ერთიან სხეულს, ეკლესიის ერთიან ცხოვრებას გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკლესიის გაყოფა გარდაუვალია. კათოლიციზმში ორი ეკლესიაა: ერთი, რომელიც ასწავლის (კლიროსი), მეორე _ რომელიც სწავლობს (ერი). რომის პაპის უცდომელობა _ ეს ეზოთერიზმისა და ელიტარიზმის ერთგვარი მწვერვალია. აქ ადამიანს რწმენაში შეუმცდარს თანამდებობა და ადგილი, ანუ გარეგანი ფაქტორები ხდიან, ეს მაგიზმს ემსგავსება.

წინასწარმეტყველნი და მოციქულნი მაშინ ლაპარაკობდნენ, როცა სულიწმიდა მოქ-მედებდა. აქ კი, როცა პაპი ლაპარაკობს, სულიწმიდის იძულება უნდათ, რომ იმოქმედოს. არა პაპია დამოკიდებული სულიწმიდაზე, არამედ სულიწმიდა _ მასზე. კათოლიციზმი ადამიანის ღვთაებრივი პრეროგატივების შესახებ სწავლების შერბილებას ცდილობს. იქ დაშვებულია მონასტრებისა და სკოლების ფართო ავტონომია სხვადასხვა წესდებებით, ოპოზიციური ჟურნალებით, კრიტიკული გამოსვლებით, რაც თავისუფლებად გამოიყურება, მაგრამ კრებითობის დაკარგული პრინციპის შენაცვლება მას არ შეუძლია.

ეზოთერიზმი პროტესტანტობაშიც შეიჭრა. აქ ელიტა _ მეცნიერები, ბიბლიის მკვლე-ვარები, ინტელექტუალები არიან. მისტიკურ სექტებში კი მას პიეტისტები, კვაკერები, ირვინგიანელები, სვედენბორგის მიმდევრები და სხვანი წარმოადგენენ. ელიტას ასევე ეკუთვნიან ვიზიონერები, ადამიანები, რომლებიც ტრანსში და ეგზალტაციაში ადვილად ვარდებიან.

მართლმადიდებელი ეკლესია დაცულია ელიტარიზმისა და ეზოთერიზმისაგან იმდე-ნად, რამდენადაც იერარქია და ერი ერთიან ცოცხალ სხეულს წარმოადგენენ. მართლმადიდებლობის, დოგმატებისა და წეს-ჩვეულებათა სიწმინდეზე თითოეულია პასუხისმგებელი (აღმოსავლეთის პატრიარქთა ეპისტოლე _ 1848 წ.). მართლმადიდებელ ეკლესიაში ცხონება ოკულტურ საიდუმლოთა შეცნობა არ არის, არამედ მოხვეჭაა სული წმიდისა, რომელშიც ყოველნივე ერთნი არიან: ფილოსოფოსი და ყრმა, კაცი და ქალი, იერარქი და ერისკაცი; სადაც არ არის ბატონობა, არამედ სიყვარულში ურთიერთმსახურებაა. თუ მართლმადიდებელ ეკლესიაში პროტესტანტიზმის მისტიკა ან

პაპიზმის ამპარტავნება შეიჭრა, მაშინ ეს არა მისი სწავლება, არამედ მისგან განდგომა იქნება.

* * *

გერმანელი ოკულტისტის, რუდოლფ შტაინერის სწავლებამ _ ანთროპოსოფიამ ჩვენი ინტელიგენციის იმ ნაწილში ჰპოვა გავრცელება, რომლებსაც არ მიუღიათ რელიგიური განათლება, ეკლესიისაგან შორს არიან, და ამავე დროს ზერელე, მატერიალისტური კონცეფციებით დაუკმაყოფილებელნი რჩებიან.

ანთროპოსოფია გნოსტიკურ სწავლებას წარმოადგენს და პრინციპში, ოკულტური მისტიკისა და თეოსოფიის კალაპოტიდან არ გამოდის. მაგრამ შტაინერი ცდილობს საკუთარი სპეკულატური ნაგებობა და საეჭვო ვიზიონერობა თავის თანამედროვე მეცნიერულ თეორიებთან შეაერთოს და სულიერების სახემიცემული ზმანებები ისე წარმოადგინოს, როგორც ახალი პერსპექტივები მეცნიერებისათვის. ეს არის ორი პლანის _ მაგიისა და გამოყენებით მეცნიერებებში პროფესიული ცოდნის ურთიერთაღრევა, რაც ადამიანთა განსაზღვრულ წრეს იმპონირებს. აქ სულიერება ცრუ ინტელექტუალიზმით არის ჩანაცვლებული, ხოლო რელიგია, როგორც ღმრთაებასთან ურთიერთობა და ცხოვრებისეული ღვაწლი, აბსტრაქციებით, მაგიური ფორმულების თეორიული შესწავლით, ოკულტური სიმბოლიკით და აპრიორული კონცეფციებით იცვლება.

ნიშანდობლივია, რომ ანთროპოსოფია გაჩნდა გერმანიაში და თავისი ცენტრი შექმნა შვეიცარიაში _ ქვეყნებში, სადაც რეფორმატორობამ გაანადგურა ქრისტიანული ტრადიციის ნაშთები, მოახდინა ქრისტიანობის ადოგმატიზება და არსებითად ის სუბიექტურ ფსიქიკურ განცდებამდე და სეკულარიზებულ მორალამდე დაიყვანა.

ანთროპოსოფია _ ეს უწინარეს ყოვლისა მსოფლმხედველური სისტემაა, თუმცა ეს მთავარი მეტაფიზიკური მხარე ყველაზე ნაკლებადაა ცნობილი ჩვენი ანთროპოსოფებისთვის და როგორღაც უცნაურად იფარება მათი ყურადღებისაგან. მრავალი მათგანი თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის, ანთროპოსოფიას კი მეცნიერებად, რომელიც დაეხმარებათ გაცილებით ღრმად «შეაღწიონ» ქრისტიანობის საიდუმლო სიღრმეებში.

აქ ჩვენ რაღაც ფსიქოლოგიური გამოცანის წინ ვდგავართ: ადამიანებს, სერიოზულებს და პატიოსნებს, რომლებსაც შტაინერიზმი და ქრისტიანობა თითქოსდა კეთილსინდისიერად და გულდასმით უნდა შეედარებინათ ერთმანეთთან, ვითომდა არ ესმით, რომ საქმე ეხება ყველაზე მთავარს _ არჩევანს მონოთეიზმსა და წარმართობას შორის: სახარებისეულ ქრისტეს, ჭეშმარიტ ღმერთს, სამყაროს მბრძანებელსა და შტაინერის ქრისტეს, ექვსი ელოიმის განსხეულებას, სოლარულ ღვთაებას შორის. აქ კიდევ ერთი ფსიქოლოგიური ასპექტია _ პრეტენზია ელიტარულობაზე: ანთროპოსოფს საკუთარი თავი «განდობილად», საიდუმლოთა მფლობელად წარმოუდგენია, რომელიც «პროფანების» ბრბოზე მაღლა დგას, ეს მაშინ, როცა ქრისტიანობის ძალა სწორედ იმაშია, რომ ის უნივერსალურია _ თანაბრად მისაწვდომია ფილოსოფოსისთვის და უბრალო მიწათმოქმედისთვის, მოხუცებისთვის და ბავშვებისთვის. მისი სიდიადე მის უბრალოებაშია, რომლის მიღმაც სულის უძირო სიღრმე იფარება. აქ ღმერთთან ურთიერთობის და ზნეობრივი სრულყოფის უნარის განსაზღვრა ხდება არა ინტელექტუალური დახვეწილობით და ოკულტურ «საიდუმლოთა»

შესწავლით, არამედ გულის სისუფთავით, რწმენის სიღრმით და ნებაყოფლობითი ცხოვრებისეული ღვაწლით. ჩვენი ნაშრომის მიზანია ვაჩვენოთ ქრისტიანობისა და ანთროპოსოფიის შეუთავსებლობა ყველაზე მთავარ ონტოლოგიურ საკითხებში: თეოლოგიასა და ანთროპოლოგიაში.

შტაინერი და ჰეგელი[47]

ჰეგელი ახალი დროის _ რაციონალიზმისა და სულიერი დეკადანსის ეპოქის იდეალისტური ფილოსოფიის უმსხვილესი წარმომადგენელია. გერმანიაში ფილოსოფიური სისტემები მინეზინგერების სიმღერებივით ერთმანეთის მიყოლებით იქმნებიან. გაღმერთებული გონება ისწრაფვის აზრთა ფეიერვერკით გაანათოს ყოფიერების ბნელი უფსკრულები. ფილოსოფია _ ესაა მცდელობა ბაბილონის გოდოლის აშენებისა ზეცამდე, სადაც ფილოსოფიურად მოაზროვნენი აგურისა და კირის ნაცვლად ერთად მორეკილ სილოგიზმებს იყენებენ. ეს ტიტანური შრომა ყოველთვის დაუსრულებელი რჩება _ გოდოლი საკუთარი სიმძიმით ინგრევა.

ჰეგელმა შექმნა ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული ნაგებობა, რაღაც «ფილოსოფიის ქალღმერთის სასახლის» მსგავსი. უნდა აღინიშნოს, რომ იდეალისტური ფილოსოფია და რელიგია საფუძვლიანად განსხვავდება ერთმანეთისაგან. რელიგია _ ეს შინაგანი კავშირია ადამიანის სულისა ღმრთაებასთან, პირადი ურთიერთობაა, რომელიც ლოცვითა და მცნებებით _ ზნეობრივი კანონებით ცხოვრების მიხედვით ხორციელდება. რელიგია ყოფიერების ყველა მხარეს მოიცავს. ეს არის ჰარმონია ადამიანური ნებისა ღვთაებრივ ნებასთან. რელიგიის საწყისი _ კეთილკრძალულებაა, ბოლო _ სიყვარული;

ფილოსოფოსებისთვის ღმრთაება და ტრანსცენდენტური (ზღვარსმიღმიერი) სამყარო რაციონალური კვლევის ობიექტია. რელიგიას სული ღმერთთან აღყავს; ფილოსოფიას ღმრთაება ჩამოჰყავს მიწაზე და მას ადამიანური ლოგიზირებული გონების კატეგორიაში ათავსებს. ჰეგელთან თვით ლოგიკა იქცა რელიგიად. მისი უკიდურესი რაციონალიზმი აჟღერდა როგორც რელიგიური ექსტაზი და წინასწარმეტყველური დაჯერებულობა. ჰეგელისთვის ღმრთაება არა მხოლოდ შეიმეცნება ლოგიკის მეშვეობით, არამედ თვით ღმრთაება და მისი მოდალურობა _ კოსმოსი ექვემდებარებიან ლოგიკას (დიალექტურ, ანუ პარადოქსულ ლოგიკას, არსებითად კი ანტილოგიკას). ჰეგელისათვის ღმრთაება _ ეს აბსოლუტია, რომელმაც დაკარგა თვითშეგნება და საკუთარ თავს თავისივე ქმნილებებში ეძებს. ჰეგელისათვის ისტორია _ ეს ღმრთაების ჩამოყალიბება და თვითგამორკვევაა. უმაღლესი გონი მოცემულ ისტორიულ ეტაპზე იხსნება, როგორც თავად ჰეგელის გონება და ერწყმის მას. უმაღლესი ფენომენოლოგიური გონი, როგორც ზოგადი ცნება, გერმანელი ხალხის სული ხდება. აბსტრაქტულ უნივერსალიებსა და ზოგად ცნებებში არ არის ადგილი ადამიანის პიროვნებისათვის.

ჰეგელისეულ აბსოლუტს აღკვეთილი აქვს ღმრთაების ისეთი თვისებები, როგორებიცაა ცნობიერება და თვითშემეცნება. ამ მხრივ ის ჩამორჩება ადამიანს, თუმცა ბოლოს და ბოლოს თვით ადამიანი აღმოჩნდება ნიღაბი მსოფლიო ისტორიის სცენაზე. ღმრთაება ეძებს საშუალებებსა და პირობებს, რათა თავი სასრულის მეშვეობით გაამჟღავნოს, ანუ ის არასრულყოფილი და შეზღუდულია. რატომ და რანაირად უნდა დაცემულიყო ღმრთაება? _ ეს საიდუმლოდ რჩება პანთეისტებისათვის, თუგინდ ის პლატონი, ჰეგელი, გოეთე ან შტაინერი იყოს. «უმაღლესი ლოგოსი» თურმე ბრმაა, რომელიც თავის თავს ისტორიის გზებზე დაეძებს; ბრმამ _ აბსოლუტმა ჰეგელს ხელი ჩაჰკიდა, რათა მისგან თავისი წარსული, მომავალი და თვითგახსნის გზა შეიტყოს. «ტევტონი ფილოსოფოსი» მედიდურად უხსნის აბსოლუტს, ვინ არის ის და «გონის ფენომენოლოგიაში» მის ბიოგრაფიას წერს. ჰეგელის ღმრთაება _ ეს უსახელო, სასტიკი ძალაა, რომელიც თავს

ავლენს არა როგორც თავისუფალი სული, არამედ როგორც ტუსაღი, რომელიც ლოგიკის ჯაჭვებითაა შებორკილი. თავად კოსმოსი და ღმრთაება ერთნი არიან, ამიტომ მათი კანონებიც ერთიანია. ჰეგელმა ლოგიკისადმი ღმრთაების დაქვემდებარებით თვით ლოგიკა გახადა ირაციონალური. მისთვის ფილოსოფიის ისტორია პანლოგიზმის[48] ილუსტრაციაა. იმისათვის, რომ ღვთაების შესახებ თავის სულელურ სწავლებაში ჩიხებსა და წინააღმდეგობებს გაქცეოდა, თავისი დიალექტიკის მეშვეობით თვით წინააღმდეგობრიობებს ლოგიკურობის ფორმა მისცა. ურთიერთდაპირისპირებულთა იგივეობისა და ბრძოლის შესახებ ეს სწავლება გახდა ფანტასტიკური ალოგიზმი, სადაც სიკეთე და ბოროტება ერთმანეთს ემთხვევა. ჰეგელისთვის დიალექტიკის საწყისს ღმრთაებაში არსებული წინააღმდეგობრიობა წარმოადგენს. ღმრთაების წიაღში ტრაგედია მსოფლიო ისტორიად გადაიქცევა. ამ «მეტაფიზიკური დიალექტიკით», უფრო სწორედ დემონური პროვოკაციით, ჰეგელი ყველაზე მეტად ბოემესგანაა* დავალებული, თუმცა თავად ჰეგელი უფრო ხშირად ნეოპლატონიკოს პროკლე დიოდოქოსს ეყრდნობა, რომლის სახითაც აგონიაში მყოფი ანტიკური სამყარო ქრისტიანობასთან უკანასკნელი ბრძოლის გადახდას ცდილობდა.

ჰეგელი თვლიდა, რომ რელიგია _ ეს არასრულყოფილი ფილოსოფიაა, რომელიც მომავალში უნდა მოკვდეს და ადგილი სუფთა ლოგიზმს დაუთმოს. მაშ ასე, ჰეგელისთვის რელიგიის საწყისს წარმოადგენს არასრულყოფილი აზროვნება: გრძნობათა და განცდათა გამა, სიყვარული, ტანჯვა და ა.შ. ჰეგელს სუფთა ლოგიზაციისაკენ _ ადამიანური გონების ერთადერთი ღირსეული მოღვაწეობისაკენ დაბრკოლებად მიაჩნია.

ჰეგელი უარყოფდა ქრისტიანობის პირველ დოგმატს _ წმიდა სამებისადმი რწმენას. მისთვის ღმრთაების სამი იპოსტასი იყო მეტაფორა ან ლოგიკური სილოგიზმის ფორმა (თეზისი, ანტითეზისი, სინთეზი), ზოგჯერ კი დროის _ წარსულის, აწმყოსი და მომავლის სამერთობას ნიშნავდა. ჰეგელის სისტემაში ქრისტიანობა დროებით, შეფარდებით, რელატივისტურ ცნებად წარმოჩნდებოდა. ნიშანდობლივია, რომ ბიბლიის ყველაზე ცნობილი კრიტიკოსები, რომლებიც ისწრაფოდნენ წარმოედგინათ ის, როგორც ფანტასტიკური თქმულებებისა და მითების კრებული, მემარცხენე ჰეგელიანელები იყვნენ (ბაუერი, შტრაუსი და სხვ.). რაც შეეხება თეოლოგებს _ მემარჯვენე ჰეგელიანელებს, რომლებიც დიალექტიკის შეერთებას ცდილობდნენ ქრისტიანობასთან, მათთვის, როგორც წესი, სახარებისეული სწავლება იყო არა მარადიული ჭეშმარიტება, არამედ გარდამავალი პერიოდი სულიწმიდის ახალ გამოცხადებამდე.

ადამიანის დაცემის შესახებ ბიბლიურ თხრობას ჰეგელმა «მსოფლიო მითებს შორის უდიადესი» უწოდა. მისთვის ღვთის წინააღმდეგ ადამიანის ჯანყი და ღვთისაგან განგდება წარმოადგენს გადასვლის მომენტს უგონო პირუტყვული მდგომარეობიდან გონიერი მოღვაწეობისაკენ, ხოლო მოწყვეტილი «აკრძალული ნაყოფი» ხელოვნების, მეცნიერებისა და შემოქმედებითი გარჯის დასაწყისს ნიშნავს. ამიტომ გველის სახემიღებული სატანა ჰეგელისათვის კაცობრიობის «კეთილი მეგობარი» გახდა მსგავსად პრომეთეოსისა, რომელმაც ოლიმპოდან დედამიწაზე ცეცხლი ჩამოიტანა; ან ღვთაება, ადამს ბრმა თვალი რომ აუხილა. ამგვარად ჰეგელმა თავისი დიალექტიკის დარტყმით ბიბლიური ღმერთი

* ბოემე (Böhme) იაკობ (1575-1624) გერმანელი ფილოსოფოსი პანთეისტი, პროფესიით მეწაღე. ბოემეს მისტიკა და ნატურფილოსოფია სტიქიურ-დიალექტიკური იდეებით არის განმსჭვალული. დიდი გავლენა იქონია გერმანულ რომანტიზმზე.

დემონის ადგილზე დააყენა, როგორც ტირანი, დემონი კი, როგორც კაცობრიობის განმათავისუფლებელი, _ ღმერთის ადგილზე. შესაძლოა სწორედ ასეთი პროვოკაციებისთვის გახდა საჭირო წისქვილის ქვასავით მბრუნავი დიალექტიკა. ყოველივე ამის შემდეგ როგორ არ უყვარდეს შტაინერს ჰეგელი და მოცალეობისას როგორ არ დატკბეს «გერმანელ ფილოსოფოსთა მაესტროს» ამაყი შუბლით? (ჰეგელის ბიუსტი შტაინერს მუდამ თან დაჰქონდა).

შტაინერი და გოეთე[49]

შტაინერს არაერთხელ განუცხადებია, რომ მას არ ჰყავდა მასწავლებლები. ანთროპოსოფიას, როგორც შეხედულებათა სისტემას, არსებითად კი უსისტემო და ქაოტურ მოზაიკას, იგი თავის მისტიკურ ნიჭს, სულიერ ხედვას, წარსულის უფსკრულიდან კოსმიურ და ისტორიულ მოვლენათა გამოხმობის და ასტრალური ნიშნებით მათი წაკითხვის უნარს მიაწერდა, ანუ ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისივე თავიდან წარმოდგებოდა და თავის სწავლებას საკუთარ ავტორიტეტზე ამყარებდა.

ამავდროულად, როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, შტაინერი არ იყო დამოუკიდებელი მოაზროვნე. ის თავისი ლექციებისთვის მასალებს სხვადასხვა წყაროებიდან იღებდა, იღებდა იმას, რაც მოსწონდა, რასაც შეეძლო ეფექტი მოეხდინა და აუდიტორია დაეინტერესებინა, სხვადასხვა კონსტრუქციების შეკავშირებასა და მთლიანობაზე კი ნაკლებად ზრუნავდა. ამიტომ ის ხშირად უარყოფს იმას, რასაც სულ ცოტა ხნის წინ იმოწმებდა, და ამტკიცებს იმას, რასაც გამანადგურებელი სკეპსისის წნეხში ატარებდა.

შტაინერი ეკლექტიკოსი იყო, მაგრამ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სამ პირს: გოეთეს, ჰეგელსა და ჰეკელს ენიჭებოდათ.

გოეთეს აჩრდილი მას ყველგან თან სდევდა, როგორც ფაუსტს _ მეფისტოფელისა. გოეთე ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც შტაინერი სრულად აღიქვამდა და ყველაზე დიდ ავტორიტეტად თვლიდა. შტაინერს არაერთგზის განუცხადებია, რომ თანამედროვეების სულიერების კრიტერიუმს გოეთეს შემოქმედებისადმი მათი დამოკიდებულება წარმოადგენს. მეტიც, შტაინერმა ასევე განაცხადა, რომ «ანთროპოსოფია _ ეს გოეთეანელობაა დღესდღეობით». მართალია გოეთე შტაინერის პირდაპირი მასწავლებელი არ იყო, მაგრამ აქ იდო რაღაც უფრო ღრმა _ სულების მისტიკური ნათესაობა. შტაინერი გოეთეს შემოქმედებას აღიქვამდა არა როგორც მეცნიერული დახვეწილობის ან მხატვრული შთაგონების ნაყოფს, არამედ როგორც ერთგვარ მისტიკურ გამოცხადებას, რომლის ტალღებსაც ის თავის გონებაში შეიგრძნობდა. ამიტომაც შტაინერმა თავის თავზე უზარმაზარი შრომა იტვირთა _ გოეთეს არქივებისა და თხზულებების გამოცემა, რამაც 90 ვრცელი ფოლიანტი შეადგინა.

რა ანათესავებს შტაინერს გოეთესთან? უწინარეს ყოვლისა _ წარმართული მაგიზმის სული. გოეთესთვის, ისევე როგორც შტაინერისთვის, არ არსებობდა პიროვნული ღმერთი. ღმრთაება კოსმოსს ერთვოდა, ხოლო კოსმოსი წარმოადგენდა სულების ღვთაებრივ სამკვიდრებელს, რომლებსაც შტაინერი ღვთაებრივ იერარქიას უწოდებდა, გოეთე კი უფრო გულახდილად _ დემონებს.

გოეთესთვის სამი სიტყვა: მისტიკა, მაგია და დემონიზმი სინონიმები იყო. თუკი გოეთე ხანდახან ხმარობდა სიტყვას _ «ღმერთები», მხოლოდ კოსმოსის სიმბოლოს ან განსულიერებული ბუნების მნიშვნელობით. ქრისტიანობისადმი დამოკიდებულება გოეთეს ყოველთვის მკვეთრად უარყოფითი ჰქონდა, ისევე როგორც როზენკრეიცერებს _ ოკულტური ორდენის წევრებს, რომელსაც ეკუთვნოდა შტაინერი. თუმცა გოეთე, მაღალი რანგის ჩინოვნიკი _ «საიდუმლო მრჩეველი», იძულებული იყო ოფიციალურად გამოეთქვა პატივისცემა ქრისტიანული ეკლესიისადმი. ამიტომ ქრისტიანობის აპოლოგეტებსაც და მტრებსაც შეეძლოთ გოეთეს ნაწარმოებებიდან მათთვის საჭირო ციტატა ამოერჩიათ. გოეთე თავისი მხდალი ორპირობისათვის თითქოსდა ჯავრს იყრიდა ქრისტიანობაზე

ღვარძლიანი დაცინვით. ასე მაგალითად: თავის ერთ მეგობარს პროტესტანტული თემის ეპისკოპოსად გახდომაში დაეხმარა. შემდეგ კი, როცა მას მისალმებით მიმართა, აღნიშნა, რომ ქრისტეს ერთი სახედარი ჰყავდა, ახლა კი მათ (პროტესტანტ მღვდლებს) მრავალი ასეთი სახედარი ჰყავთ.

გოეთე განსაკუთრებული სიძულვილით იყო განწყობილი ჯვრისადმი. ერთ-ერთ თავის ლექსში წერდა, რომ ყველაფერზე მეტად ბაღლინჯო, ნივრის სუნი და ჯვარი სძულს.

ბუნება გოეთეს სუნამოს სურნელით სავსე წარმოედგინა, როგორც ძველ ელინს, რომელიც ყველაფერში ღმერთებს ხედავდა, მაგრამ არა ერთიან ღმერთს. მატერიას გონიერებას მიაწერდა, მაგრამ საყოველთაო განსულიერების ეს თეორია (ჰილოძოიზმი) მასთან საყოველთაო დემონოლოგიად იქცა, მატერიის განსულიერება კი თვით მატერიას ასატანებდა. არსებობს რამდენიმე რაციონალისტური თეორია, რომელიც ღმერთის არსებობას უარყოფს და ადამიანის რელიგიური გრძნობების მიმართ მტრულადაა განწყობილი. გოეთემ მათ კიდევ ერთი _ «ესთეტიკურად» წოდებული საკუთარი თეორია მიამატა. მისთვის რელიგია კოსმიური სილამაზის შეგრძნებაა. სილამაზე ნეიტრალურია სიკეთისა და ბოროტების ცნებების მიმართ. ამიტომაც გოეთესთვის ეშმაკისა და ქრისტეს ინდივიდუალობა ერთმანეთის ტოლფასია.

გოეთესთვის ჰეგელი მეტად ახლობელი ფილოსოფოსი იყო. მათ ურთიერთპატივისცემა, თითქმის მეგობრობა აკავშირებდათ, მაგრამ გოეთემ მაინც გამოხატა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ჰეგელი დაჯილდოვდა ღერბით, რომელზეც ბუ (სიბრძნის ალეგორია) და ჯვარი იყო გამოსახული. გოეთე დაჟინებით მოითხოვდა ჯვრის ნიშანი განადგურებულიყო, როგორც სიბრძნის იდეისთვის შეუსაბამო. გოეთე თუმცა არც ათეისტი იყო და არც მატერიალისტი, მაგრამ ხელს უწყობდა ფრანგი ათეისტის, დიდროს თხზულებების გამოცემას, რომელიც მკითხველებს ქრისტიანობის დაცინვით ართობდა. გოეთეს და შილერის შემწეობით დიდროს წიგნები გერმანულ ენაზე გაცილებით Aადრე დაიბეჭდა, ვიდრე ფრანგულ ენაზე.

გოეთემ ენგელსისაგან ქება დაიმსახურა, არა საბუნებისმეტყველო შრომების ან მხატვრული ნაწარმოებებისათვის, არამედ იმის გამო, რომ მისთვის აუტანელი იყო სიტყვა «ღმერთი» და მასში ის ერთგვარ ფსიქიურ ალერგიას იწვევდა. არსებობს მოსაზრება, რომ გოეთეს უმთავრესი ნაწარმოები _ «ფასტი», რომელსაც მთელი ცხოვრება წერდა, წარმოადგენს როზენკრეიცერთა მისტერიის კრებულს ან უკიდურეს შემთხვევაში ვარიაციებს ამ თემაზე. ქრისტიანობისადმი თავისი დამოკიდებულება გოეთემ გამოხატა პოემაში «კორინთოელი სტუმარი». იქ წერდა, რომ ქრისტიანობამ გაანადგურა ადამიანებს შორის სიყვარული, რომ ქრისტეს სიკვდილი იყო დასაწყისი სისხლის მდინარეებისა. მასში აღტაცება წარმართობამ გამოიწვია, როგორც ჭეშმარიტმა სილამაზემ და ადამიანურობამ. პოემა «კორინთოელი სტუმარი» მთავრდებოდა ეპიზოდით _ «ჩვენს ძველ ღმერთებთან გავფრინდეთ». ეს ნიშანდობლივი სიტყვები შეიძლება ანთროპოსოფიის დევიზადაც გამოდგეს...

ამ უცნაური ტრიუმვირატის მესამე პირი გერმანელი ბუნებისმეტყველი, ბიოლოგი _ ჰეკელი[50] აღმოჩნდა, არცთუ ნიჭიერი, ბიოგენეზის თეორიით ცნობილი მეცნიერი, რომელმაც თავისი სიახლით აალაპარაკა თანამედროვენი, ახლა კი მეცნიერული ფალსიფიკაციის ქრესტომათიულ ძეგლად ქცეულა. ჰეკელის მიხედვით ბიოგენეზის თეორია იმაში მდგომარეობს, რომ ემბრიონი განვითარებისას დარვინის მიერ აგებული

ევოლუციური კიბის ფაზებს იმეორებს ისე, რომ ისინი სხვადასხვა არსებათა ფორმებს ღებულობენ, უფრო ზუსტად ამ არსებების _ ამებიდან პრიმატებამდე _ მსგავსნი ხდებიან. ჰეკელი თვლიდა, რომ მან უტყუარად დაამტკიცა დარვინის თეორია, მაგრამ თანამედროვეებმა ის სიყალბეში ამხილეს. ბიოლოგიის დოქტორმა ბასმა პრესით უარყო ბიოგენეზის თეორია და განაცხადა, რომ ემბრიონის განვითარების ჰეკელის მიერ გამოცემული ატლასი, არა ნაყოფის განვითარების ეტაპებს, არამედ ჰეკელის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. ჰეკელმა ჩვევისამებრ უხეში ლანძღვა დაატეხა ოპონენტს, მაგრამ შემდეგ, სამხილთა ზეწოლით იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ამ ატლასში ილუსტრაციების ნაწილი მისი აბსტრაქტული წარმოდგენებია, ამასთან თავხედურად განაცხადა, რომ მეცნიერება მის მოსაზრებებს მომავალში დაადასტურებს.

რითი შეეძლო ჰეკელს შტაინერის იმპონირება? აქ ჩვენ ჰეკელის ცხოვრების მეორე მხარეს უნდა მივმართოთ _ პროექსიზმულ გულყრამდე მისულ გააფთრებულ ბრძოლას ქრისტიანობასთან. თავის საჯარო ლექციებში და ბროშურებში ჰეკელი აბუჩად იგდებდა სახარებას, თუმცა ოფიციალურად ჯერ კიდევ ეკუთვნოდა გერმანიის ლუთერანულ ეკლესიას, შემდეგ პრესაში განაცხადა, რომ წყვეტს კავშირს ქრისტიანობასთან. მოკლედ, ის არა მხოლოდ გამოვიდა კირხედან (ლუთერ. ეკლ.), თავისი პერსონისადმი ყურადღების მისაქცევად კარებიც მაგრად გაიჯახუნა.

ჰეკელით აღტაცება შტაინერის გარდა ვლადიმერ ულიანოვმაც გამოამჟღავნა: თქვა, რომ მან მუმიებს სილა გააწნა. შემდეგ ჰეკელმა ქრისტიანობის წინააღმდეგ ხმაურიანი კამპანია წამოიწყო, სადაც მორწმუნეების, როგორც ქუჩის ლოთების რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაში ვარჯიშობდა, მაგრამ უნებლიეთ გაამხილა დარვინიზმის პოპულარობის საიდუმლო: მან პირდაპირ თქვა, რომ დარვინიზმი რელიგიაა და არა მეცნიერულ-რელიგიური სისტემა; ის ირწმუნეს, როგორც რელიგია; ის მიიღეს, როგორც გამოცხადება. დარვინიზმი წარმოდგა, როგორც ქრისტიანობის ალტერნატივა რწმენადაკარგული ადამიანებისათვის.

მაგრამ ჰეკელი დარვინის მდარე, უფერული ეპიგონის როლმა არ დააკმაყოფილა. მან ახალი რელიგიის _ უმარტივეს ანუ ერთუჯრედიან არსებათა თაყვანისცემის ქადაგება დაიწყო, საკუთარი თავი კი წინაპართა ამ ორიგინალური რელიგიის ქურუმად გამოაცხადა. ასეთმა მკრეხელურმა ხუმრობამ არაერთი მიმდევარი შეიძინა. მათი დახმარებით ჰეკელმა ბერლინში «უმარტივესთა მუზეუმი» ააშენა, რომელსაც «უმარტივესთა ტაძარი» დაარქვა. მუზეუმის გახსნისას მან გამოაცხადა, რომ სულ მალე მისი რელიგია გაიმარჯვებდა ქრისტიანობაზე. ჰეკელის მოწაფეებმა წერილით მიმართეს გერმანიის მთავრობას, სადაც ყველა ტაძრისა და სამლოცველო სახლის მათ განმგებლობაში გადაცემა მოითხოვეს, რათა იქ ბიოლოგიური მუზეუმი _ უმარტივესთა, ანუ «ჯანსაღი გონების» ტაძრები მოეწყოთ.

თუკი საფრანგეთის რევოლუციის დროს იაკობინელებისთვის პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში შიშველი დიაცი გონების სიმბოლო იყო, ჰეკელის მიმდევრებისთვის მეძავის ადგილი ამებამ დაიკავა. ეშმაკეული ათეისტის, ჰეკელის მიმართ ოკულტისტ შტაინერის სიმპათიის მიზეზი ამაში მდგომარეობს. ძმები ერთურთს სულით იცნობენ.

ესე არს ადგილი, რომელიცა შევიყვარე

ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი... არა არს ციხე, ანუ დაბანი, ანუ აგარაკნი, რომელსა შინა არა იდგეს საყდარი ანუ ეკლესია, თლილის ქვით ნაშენნი... კვალად არიან გორა-მთა-თა ზედა შენნი ეკლესია-საყდარნი, სადაცა ძნიად ხვდებიან კაცნი, თვინიერ დღესას-წაულთა მათთა.

ვახუშტი ბაგრატიონი

(ბატონიშვილი)

«აღწერა სამეფოსა საქართველოსა»

კავკასიონი _ ღვთაებრიობის ტახტი

ბიბლიაში წერია, რომ უფალმა დედამიწის მეუფედ ადამიანი დაადგინა. ჩვენი დედამიწა მტვრის ნაწილაკია სამყაროს უკიდეგანო სივრცეში და ამავდროულად სამყაროს სულიერი ცენტრი _ სიცოცხლის ერთადერთი ოაზისი კოსმოსურ უდაბნოში. ჩვენ სამყაროს მხოლოდ პატარა კუნჭულს ვხედავთ, მაგრამ თავისი სიდიადით ისიც კი გვანცვიფრებს. ვარსკვლავები ზეციურ მინდორზე გაზრდილი ყვავილების გირლიანდებს ჰგვანან, ან ცეცხლოვან ფრთოსანთა გუნდს, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიფრინავენ _ ეს იდუმალი იეროგლიფებია სულიერი სამეფოს შესახებ, სადაც მართალნი ვარსკვლავებივით იბრწყინებენ და თავიანთ სულებში ღვთაებრიობის პირველსაუკუნო ნათელს აირეკლავენ.

ღამის ცა ძვირფასი ქვებით შემკულ აბრეშუმის ლურჯ ფარდას ჰგავს. თუ რა იფარება მის მიღმა, ადამიანი სიკვდილის შემდეგ შეიტყობს. მომავალი ცხოვრების შესახებ ყველა სიტყვა მხოლოდ ბუნდოვანი აჩრდილია იმასთან შედარებით, რასაც ადამიანი საკუთარი თვალით იხილავს. ვეება ზეცა უთვალავ ვარსკვლავთა ცივი ცეცხლით იწვის, მაგრამ ამ ცის მცირე ნაწილს, თითქოსდა სურათის კიდეს ვხედავთ. ჩვენ არც თუ ბევრი წმიდანის სახელი ვიცით, უმრავლესთა სახელები კი უცნობია, ისინი დაფარულია ქვეყნისათვის.

არა მხოლოდ ცა, არამედ კავკასიონის მთებიც ინახავენ თავიანთ საიდუმლოს. უდაბ-ნოსავით გაუვალ მთების უღრანში რამდენი უცნობი მოღვაწე განშორებია ქვეყანას...

მთები ღმერთის შესახებ გვასწავლიან. გეჩვენება, რომ დროის შეუჩერებელი დინება ზვირთებივით იმსხვრევა მათ ფერხთით. მთაში მარადისობის სუნთქვას გრძნობს სული. თუკი დედამიწას ბაღნარს შევადარებთ, მაშინ მთები _ ეს ქვის საუცხოო ყვავილებია. ვინც ნახა და შეიგრძნო მათი სილამაზე, მისი გული კვლავ მთებისაკენ ისწრაფვის, როგორც მოგზაურის გული _ სამშობლოსაკენ.

უფსკრულზე დაკიდებულ ბექზე, ან კაჭრითა და ქვით ავსებულ, ქარითა და წყლით ნაკვეთ ხეობაში ბერები თავიანთ ღარიბულ საცხოვრებლებს აშენებდნენ, უფრო ხშირად კი გამოქვაბულებში ბინავდებოდნენ, სადაც მათ მისვლამდე გარეულ მხეცთა თავშესაფარი და გველების საბინადრო იყო. უცნობი ხუროთმოძღვრები მთაში ტაძრებსა და მონასტრებს აგებდნენ, რომელთა ნანგრევები აოცებენ მგზავრს. პირამიდების მშენებლობაზე არანაკლებ გამაოგნებლად და საიდუმლოდ გვეჩვენება ის, თუ რანაირად შეეძლოთ ადამიანებს ასეთ სიმაღლეზე უზარმაზარი ქვის ფილების აზიდვა. ახლა რამდენი სენაკი და მონასტერია შეფარული მთების წიაღში, როგორც სამარხები მიწის სიღრმეში?

ხალხურმა გადმოცემამ, როგორც ექომ, ჩვენამდე მოიტანა ამბავი იმის შესახებ, რომ ყაზბეგის კლდეში, მარადიული ყინულის შორიახლოს, იყო მონასტერი, სადაც ის მოღვაწენი მიდიოდნენ, რომელთაც აღთქმა ჰქონდათ დადებული _ თავიანთი საპყრობი-ლედან არასდროს გამოსულიყვნენ. და აი, ერთხელაც, შემთხვევით, კავკასიონის ერთ-ერთ გადმოკიდებულ კლდეში კარი შენიშნეს, რომელშიც უზარმაზი რკინის ჯაჭვი ეკიდა, იქვე იყო რკინის ბაგირის ნარჩენებიც. აღმოჩნდა, რომ აქ მღვიმური მონასტერი იყო, სადაც ბერები უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე ცხოვრობდნენ. მღვიმეში აკლდამები იყო. ამ აკლდამებში გარდაცვლილ მოღვაწეებს კრძალავდნენ; ისინი სიცოცხლეშივე განუდგნენ ქვეყანას, ქვის სენაკიდან მათი მკვდარი სხეული არ გამოჰქონდათ და თავიანთი ღვაწლის ადგილზე მარხავდნენ. პირველმა ვინ იპოვა ეს

მღვიმე, შიგ შესვლა როგორ შეძლო _ უცნობია; ის შესაძლოა მწვერვალის ბაქნიდან თოკით დაუშვეს. იქ ჯაჭვი ვინ აიტანა, ტაძარი და სენაკები მთის კლდოვან მკერდში ვინ გამოთხარა _ საიდუმლოა.

არის გადმოცემა, რომ მეზობელ სოფლებში ცხოვრობდა რამდენიმე ოჯახი, რომლებიც იქ იმისათვის დასახლდნენ, რომ ბერებისათვის წყალი და საკვები მიეტანათ, რომელიც თოკით აჰქონდათ. მღვიმურ მონასტერში მოხვედრა მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა _ რკინის ჯაჭვის რგოლებით, როგორც კიბით და რკინის ბაგირზე ჩაჭიდებით. ხშირად ეს ის მოღვაწეები იყვნენ, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, უკან აღარ დაბრუნებულიყვნენ. ასვლა მეტად ძნელი და სახიფათო იყო. ითვლებოდა, რომ ის, ვინც აქ უწმინდური აზრებით მოდიოდა, ბოლომდე ვერ ავიდოდა, ფეხი დაუსხლტებოდა, თოკზე ხელი გაეშვებოდა და სიკვდილს კლდის ძირას ჰპოვებდა.

წმიდა მოღვაწეებზე წიგნები იწერებოდა, აქ კი ქვის ფურცლები წაუკითხავი პატერიკისა, თვით კლდე და მღვიმეა. წმიდა მოღვაწეებზე ჰიმნებს ქმნიდნენ; აქ, მათ საფლავებზე, უტყვ საგალობელს მათივე ლოცვით დარწყულებული სიჩუმე გალობს. ქვეყნისათვის უცნობი რამდენი ასეთი მონასტერი და სკიტია კავკასიის მთებში _ როგორც სამალავები ძველი ციხის კედლებში! რამდენმა განდეგილმა ჰპოვა მთებში თავისი აღსასრული, მათ თავიანთი თავი სიცოცხლეშივე დაკრძალეს და დაკრძალვის საგალობელიც იგალობეს. რამდენი მათგანი მოკვდა გზაში და კლდეების ლაბირინთებში, სადაც მათი ძვლები მხოლოდ წვიმამ განბანა, «საუკუნო ხსენება» კი ხანგრძლივმა ქარბუქმა უგალობა.

მთები ღვთივშემეცნებას ასწავლიან. მზის შუქზე თვალისმომჭრელი სითეთრე მყინვარებისა, ცისკრის სხივებში ლაჟვარდად მოელვარე ამ ვეება სარკეებისა _ ლოცვასა და ჭვრეტაში ჩაძირული სულის სახეა. სულისა, რომელშიც თაბორის ფერისცვალების ნათელი აირეკლა, ის ნათელი, რომელიც სულს ანგელოზებრივსა და მშვენიერს ხდის. თოვლის სისპეტაკე _ სახეა მოღვაწის გულისა, რომელმაც ვნებებს სძლია და რომელსაც ქალწულებრივი სისუფთავე დაუბრუნდა. ხეობებში ქარის მოთქმასავით გუგუნი ბერს მუდმივ სინანულს შეახსენებს.

ავდარი მთაში საშინელ სამსჯავროს გვაუწყებს, როცა ადამიანები შეძრწუნებულნი შესძახებენ: «მთანო თავს დაგვექეცით და დაგვიფარეთ ღვთის რისხვისაგან». მაშინ გეჩვენება, რომ თვით დედამიწა იხლიჩება მეხის დაცემისაგან. მთების სიჩუმე, როცა ცის თაღი ბროლის გუმბათივით მოჩანს, რომელიც შესაძლოა ბგერით, როგორც ჩაქუჩის დარტყმით დაიმსხვრეს, იმ სიჩუმისა და სიმშვიდის სახეა, რომელიც ყველას და ყველაფრის უარმყოფელი განდეგილის სულს მადლს ანიჭებს. **არ არის სიჩუმეზე უფრო ტკბილი მუსიკა; არ არის იმაზე ღრმა სიტყვები, ვიდრე მდუმარებაა; არ არის დედამიწის ფერთაგან უფრო მშვენიერი, ვიდრე წყვდიადი გამოქვაბულის სენაკისა, რომელშიც ანა-ქორეტი (განდეგილი) ლოცულობს.** მთებში ღამის ცა მიწასთან ახლო მოჩანს, გგონია გაიწვდი ხელს და ვარსკვლავებს მტევანივით მოწყვეტ. იქ თითქმის არ ბინდდება. ბარში ვარსკვლავები ტაძრის კანდელებივით ერთმანეთის მიყოლებით ენთებიან. მთაში კი, როგორც ხანძრის ნაპერწკლები, ერთბაშად ჩნდებიან და მთელ ცას ედებიან. ვინ უწყის, ალმასისა და ოქროს როგორი საბადოა კავკასიონის მიწისქვეშა საგანძურში; ვინ უწყის რამხელა სულიერი განძი _ მღვიმური სენაკი და მონასტერია ამაქვეყნისათვის მის მძლავრ კედლებს იქით დამალული.

ნანგრევები ბუჩქნარითა და ბალახით დაიფარა. მთიდან დაცურებული მყინვარები თავიანთ გზაზე დიდრონ ქვებს ანგრევენ და აპობენ, როგორც ბასრი ნამგალი ჭრის ბალახის ღეროს. რამდენი სენაკია მიწით და ქვით დაფარული, თითქოსდა დროს საუკუნოვანი ბეჭდით დაუბეჭდია ისინი. განდეგილის ცხოვრება დაფარული იყო ქვეყნისათვის, მათ საიდუმლოს სიკვდილიც ინახავს.

სახელი კავკასიონი «ღვთაებრიობის ტახტს» ნიშნავს. ის ცეცხლს ჰგავს, მიწის გულიდან ამოვარდნილს და გაყინულს. თითქოს ცეცხლის ენები ქვად იქცა, მისი სინათლე _ მარადიულ თოვლად.

კავკასიონი მთათა მეუფეს ჰგავს. ზამთრობით ის თითქოს ბისონით ნაქსოვი თეთრი მანტიითაა მოსილი, გაზაფხული ღონიერ მხრებზე ზურმუხტისფერ მანტიას ასხამს. ზაფხულში, როცა მთის ყვავილები ყვავიან, ჩნდებიან სხვადასხვა ფერის ცეცხლივით, კავკასიონი ძვირფასი ქვებით შემკულ სატახტო დარბაზს ემსგავსება, შემოდგომა კი მის მკერდს, როგორც წმინდა სამოსით, ოქროს ფარჩით მოსავს. მაშინ თვით საქართველო ჰგავს ქალწულს, თავის ჭაღარა მამას _ კავკასიონს რომ მიჰკვრია და მის მკერდთან მტრისაგან ხსნას ეძიებს.

ჩვენთვის უცნობია იმ განდეგილთა სახეები, რომლებითაც ეს მთები იყო დასახლებული, მაგრამ მათი ლოცვის ძალას ისევე შევიგრძნობთ, როგორც კეთილსურნელებას ყვავილებისას, რომელთა სახელები არ ვიცით; როგორც გულს ესმის მადლის სუნთქვა ძველ ტაძარში, თუნდაც არ ვიცოდეთ ვისდამია ის მიძღვნილი.

ქვეყანას ვნებათა მორევში სურს ჩვენი ჩათრევა, მას უნდა მარადისობა დაგვავიწყოს, ის წარმავალ ნეტარებასა და სიტკბოებას გვთავაზობს, რომელიც სიმწარედ გადაიქცევა. ის ყველაფერს გვპირდება, მაგრამ არაფერს გვაძლევს; ის ყოველთვის ცრუობს და იმათ დასცინის, ვინც მას მიენდო; ის მძლავრობს და აშინებს თავის მსხვერპლთ, როგორც ბატონი მონებს, რათა მხოლოდ მას ემსახურონ. მაგრამ მთელი მისი დანაპირები _ ეს მიმქრალი ჩრდილებია. მას მხოლოდ ერთის მოცემა შეუძლია _ გულის შემკუმშველი სიცარიელისა, სიზმრად მოჩვენებების დევნისა, რომელიც გამოღვიძებით _ სიკვდილით მთავრდება.

მთები სულს მარადისობას ახსენებენ.

ბოროტ ძალას, რომელსაც ღვთისაგან სულთა მოშორება უნდა, ტაძრების განადგურება, წმიდა წიგნების დაწვა შეუძლია, მაგრამ მთების _ მარადისობის ამ საგალობლის დანგრევას იგი ვერ შეძლებს.

გზაჯვარედინზე

ხეობაში, კლდის შვერილზე, როგორც ლამპარი ქვის შანდალზე, დგას წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი. ტაძართან კლდეში გამოკვეთილ საფეხურებს ავყავართ. წვიმას და ქარს საუკუნეების მანძილზე ისე გაუპრიალებია ეს საფეხურები, თითქოს ზედ გამდნარი მინა მოუსხამთ. ხეობის ძირში მაქმანივით დახვეულ გზაზე მიმავალი მგზავრები თავს მოვალედ თვლიდნენ თაყვანი ეცათ წმინდა გიორგის ტაძრისთვის, მთის ციხე-სიმაგრესთან ჩავლილებს მისი ბატონისათვის პატივი მიეგოთ, შემდეგ კი წმინდა გიორგის კურთხევით თავიანთი გზა გაეგრძელებინათ. ტაძარი თავადვე ქვასავით გამაგრებული ქვითკირით და ქვის ლოდებითაა ნაგები. თითქოს ის კლდეში გამოუკვეთავს ხუროთმოძღვარს. ვინ უწყის, როგორ შეძლეს ამ ფრიალო, ვიწრო ბილიკის მსგავსი კიბით ლოდების აზიდვა. გეგონება ტაძრის ქვებს არწივთა გუნდი დასჭიდებია კლანჭებით და მთებზე გადაუტარებიათ ისინი. ახლა, უფსკრულზე დაკიდებულ შვერილზე ნაგებ ამ ძველ ტაძარში იშვიათად თითო მგზავრი თუ შეივლის. ტაძრისკენ მიმავალ გზაზე ზოგან კლდე ჩამოშლილა და მისი ნამსხვრევები აქა-იქ ყრია საფლავის ქვებივით. ოდნავ შესამჩნევ ბილიკზე მგზავრი გზას გაჭირვებით მიიკვლევს. ბილიკი ხან ისე ვიწროვდება, რომ კლდეს ეკვრის. ხეობის ფსკერი რიყის ქვითა და კენჭებით ისეა მოფენილი, თითქოს ვიღაცას მოუკირწყლავს. იქ პაწია, ვერცხლისფერი ნაკადული მირბის _ ის ხან მიწაში იმალება, ხან გზად რაღაც ეღობება და პატარა ტბასავით გუბურა ჩნდება. ზოგ ადგილას კალაპოტს ჭორომები არღვევენ და წყლის ნაკადი საამური წკრიალით იმსხვრევა. ამ ხმაში შრიალი და რეკვა ერთმანეთს ერწყმის.

ძველად აქ იყო მთავარი გზა, რომელიც ორ სამთავროს აერთებდა. ახლა მისგან ვიწრო ბილიკია დარჩენილი, გზის მოვალეობას კი ნაკადულის ზაფხულობით მშრალი, ზამთრობით კი თოვლით დაფარული კალაპოტი ასრულებს.

ხეობას მარტოხელა მგზავრი მიუყვება. ის ჩქარობს, დაბინდებამდე უნდა ჩავიდეს სოფელში. მან უკვე წარმოიდგინა როგორ შეეგებებიან ჭიშკარში შვილები, პატარა ასული როგორ დაეკიდება კისერზე და ეტყვის: «მამი, ვიცოდი, რომ დღეს დაბრუნდებოდი, რადგან სიზმარში გნახე»; ვაჟიშვილი კი მოუყვება, როგორ ეხმარებოდა დედას მეურნეობაში, ცხენს აბალახებდა, ცხვარს მიერეკებოდა საძოვარზე. მგზავრი ხედავს ბუხარში ცეცხლს, მისთვის რომ დაანთო ცოლმა, რამდენიმე წუთიც და სახლში შემოვა მუშაობით დაღლილი... ის ნაბიჯს აჩქარებს, და წუხს, რად არა აქვს ფრთები, რომ ამ მთებს გადაუფრინოს. ითვლის, რამდენი დრო დასჭირდება კიდევ გზაში და ყოველი საათი წელიწადად ეჩვენება. ანაზდად მთის ფერდობზე ამავალ საფეხურებს შენიშნავს და ახსენდება, რომ ზევით წმინდა გიორგის ტაძარია, როგორც ხეობის ბატონის ციხე-სიმაგრე, საიდანაც მეციხოვნენი გზას დასცქერიან, უყურებენ ვინ მოდის _ მტერი თუ მოყვარე. მგზავრი შეჩერდება, ჩაფიქრდება: წმინდანისგან კურთხევის მისაღებად ავიდეს ტაძარში, როგორც ამას მისი წინაპრები აკეთებდნენ, თუ გზა გააგრძელოს, რათა არ შემოაღამდეს! ხმა ეუბნება: წმინდა გიორგის წინაშე შენს სახლშიც შეგიძლია ილოცო; მეორე ხმა კი ეპასუხება: თუკი მეფეს გვერდს აუქცევ და იტყვი: «არ მცალია, სალამს ჩემი სახლიდან მოგიძღვნი» _ შენს თავის მართლებას შეიწირავს მეფე, თუ განგირისხდება? შენ მოწამეთა წინამძღოლს, ამ ხეობის მეფეს და საქართველოს მფარველს გინდა მხარი აუქციო? განა წმინდა გიორგი ღამით ისევე არ დაგიფარავს, როგორც დღისით? თუ შენ მასთან შესახვედრად გაემართები,

ისიც მოგეგებება. მგზავრი საფეხურებზე ადის, ტვირთი მხრებზე აწევს. ზოგან ბილიკი ქრება, ის ჩამოქცეულ კლდის ლოდებს ჩაუხერგავს. კვლავ ეუბნება პირველი ხმა: აქედან ეცი თაყვანი წმინდა გიორგის, ზევით გზა კიდევ უფრო გაძნელდება, წმინდანი აქედანაც გაიგონებს შენსას, დაბრუნდი სასწრაფოდ. მაგრამ მგზავრი მიფორთხავს ციცაბო კლდეზე, კვლავ პოულობს ბილიკს, გუდას ქვებზე ტოვებს და შვერილებზე მოჭიდებით კვლავ ზევით მიიწევს. და აი, ის ტაძართანაა, მუხლს იდრეკს, ლოცულობს წმინდა გიორგის მიმართ და ჰმადლობს, რომ არ აყვა ცდუნებას და ამ სიწმინდეს გვერდი არ აუარა. ეკლესიაში ბინდი და ღრმა მდუმარებაა. დაქანცული მგზავრი ტაძრის იატაკზე წვება, რომ ვიდრე ისევ დაეშვებოდეს, ოდნავ შეისვენოს. უცებ რაღაც უცნაური, შორეული გუგუნი ესმის, თითქოს ჯარი მოდის მთის გადაღმიდან. კარში გამოდის, ტაძრის კედელსა და უფსკრულს შორის ბაქანზე დგება, ისეთ ვიწროზე, სამოსითაც რომ დაფარავდა და ხედავს: ცა სწრაფად იქუფრება; სახეში ნოტიო ქარი უბერავს. ნაკადულში წყალი დიდდება. თითქოს იღვიძებს დიდი ხნის მიძინებული დინება და სულ უფრო სწრაფი ხდება. მოდის და თან ქვა და ღორღი მოაქვს. გუგუნი მატულობს, თითქოს აცახცახდნენ მთები. წყალი სულ უფრო დიდდება და ცეცხლზე დადგმული ქვაბივით ქაფი აქვს მოგდებული.

აღარ ჩანს ხეობის ფსკერი. ის ჩანჩქერების ბობოქარ ზვირთებს დაემსგავსა. ქვები, ძირიანად მოთხრილი ხეები ტალღებს ნადავლივით მოაქვთ, უზარმაზარ კაჭარს ისე მოაგორებენ ზვირთები, როგორც ეტლს ცხენები. ტალღები ერთმანეთს მეომრებივით მისდევენ და ერთმანეთს ერკინებიან. იქ, სადაც კლდეები ნაკადს იმწყვდევენ, წყალი ზევით ასკდება, შემდეგ კი ველური როკვით მორევში ტრიალებს. ხეობა ისეთი ღრიალით ივსება, თითქოს მახვილი ფარებს ეხეთქება, ან ლომების გუნდები გადასძახიან ერთმანეთს. ხეობა უზარმაზარი მდინარის კალაპოტად იქცევა. მგზავრები, რომლებიც მთის ფერდობზე ასასვლელს ვერ აგნებენ, ქვის ხაფანგში ებმებიან. ვერც ერთი მოცურავე ვერ უმკლავდება მთაში გამდნარი თოვლისა და წვიმის სწრაფ დინებას. რამდენს უცდია დამალვოდა ბობოქარ სტიქიას: ისინი კლდის შვერილებს, ბუჩქებს ეჭიდებიან, მაგრამ წყალი ფეხდაფეხ მისდევთ ცეცხლივით, მდინარე თითქოსდა ლოკავს მათ ხაოიანი ენით და აქაფებულ ტალღებში ნთქავს. მიხვდა მგზავრი, რომ წმინდა გიორგიმ იხსნა იგი; გზაჯვარედინზე მეორე გზა რომ აერჩია, ხომ დაობლდებოდნენ შვილები, ცოლი კი მის ცხედარსაც ვერ დაი-ტირებდა.

გადის ხანი. ხმაური თანდათან იკლებს და შორეულ ექოს ემსგავსება. მდინარის ადგილზე კვლავ ნაკადული მორაკრაკებს, როგორც ვერცხლის ვიწრო ბაფთა. ხრამის ძირზე კი ქვის ახალი გოროხი, კაჭარი, მოთხრილი ხეები ყრია და მგზავრს წმინდა გიორგის ტაძარი საკუთარ სახლზე მეტად მშობლიური ეჩვენება.

ჭექა-ქუხილში გაიარა საქართველოს ისტორიამ. მის საზღვრებში ველური ურდოები ისე იჭრებოდნენ, როგორც ადიდებული მდინარის დინება, ყველაფერს რომ აღგვის თავის გზაზე. საქართველოს ბედი მხოლოდ ბრძოლის ველზე როდი წყდებოდა, ერი ლოცვითა და სინანულით ევედრებოდა ღმერთს და იმ ხანებში მთელი ქვეყანა თითქოს ცოცხალ ტაძრად იქცეოდა. საქართველო იცავდა თავის სიწმინდეებს და მას უფალიც იფარავდა.

გზაჯვარედინზე მდგარო მგზავრო! რომელ გზას აირჩევ? ბილიკს, ზევით რომ მიემართება ტაძრისკენ, შენმა წინაპრებმა რომ გაკვალეს, აუყვები ქვის საფეხურებს, რომლებიც წმინდა გიორგის ხმალს უკვეთია, თუ გვერდს აუვლი და სხვა გზას გაუყვები, გზას, ნისლში დამალულს?!

უდაბურ მთათა გალობა

მთაში გაზაფხული და ზაფხულის დასაწყისი ყველაზე სახიფათო დროა მგზავრისთვის. ღრუბლებში აჭრილ მწვერვალებზე მაისის მზის სხივებქვეშ დნებიან მყინვარები. წყაროებისა და მდინარეების გამომშრალი კალაპოტები წყლის სწრაფი დინებით ივსება, ის ისეთი ხმაურით მოჩქეფს ხეობაში, თითქოს მხედრები მისდევენ ერთმანეთს. არცთუ იშვიათად, გაზაფხულის წვიმების შემდეგ ხეობის ფსკერზე მიმავალი გზა ხაფანგი ხდება მგზავრისთვის: თავდაპირველად ყრუ ხმაური გაისმის შორიდან, თითქოს სილა იყრება რკინის სახურავზე _ ეს ხიფათის პირველი ნიშანია. შემდეგ მატულობს ხმაური და გეჩვენება, რომ ცა ბნელდება, თითქოს ჩრდილები გროვდებიან ხეობის თავზე, ქარი ძლიერდება და მკაცრდება. ის ყორნების ჩხავილის მსგავსად უბედურების შესახებ გვაფრთხილებს. ხეობას უცაბედად გამჭოლი სიცივე ავსებს. ხმაური ძლიერდება და გრგვინვაში გადადის. სულ უფრო სწრაფი ხდება მდინარის დინება. მას თან ღორღი მოაქვს, შემდეგ კი ქვიშა და ხის ტოტები. ქვებსა და კლდის შვერილებზე დამსხვრეული ტალღები აქაფებულნი მირბიან, თითქოს დიდ ქვაბში დუღს და ბუყბუყებს წყალი. ნაკადული, ჯერ კიდევ გუშინ ძლივს რომ ჩანდა ქვებს შორის, ფართო დინებად იქცევა, რომელიც სულ უფრო ზევით ადის, თითქოს სიმაგრის კედლებზე კიბით მტრის რაზმი მიცოცავს, მათ შელეწეს ალაყაფი, შიგ შეცვივდნენ და თავიანთ გზაზე ყველაფერს ანადგურებენ. წყალს ამჯერად ვეება კაჭრები და ფესვიანად მოთხრილი ხეები მოაქვს. თუ მგზავრმა ფერდობზე ასვლა ვერ მოასწრო, გარდაუვალია მისი დაღუპვა. ვერანაირი მოცურავე ვერ შეძლებს გაუმკლავდეს მდინარის სწრაფ დინებას, როცა ის დიდდება.

გაზაფხულზე მთის ბილიკებიც საშიში ხდება. ისინი მაღალი ბალახით იფარება, ზამთრის ძილიდან იღვიძებენ გველები, რომლებიც ხშირ ბალახშიც იმალებიან. ჩვეულებრივ გველი თავს არ ესხმის ადამიანს, მაგრამ თუკი შემთხვევით ფეხს დაადგამ, მაშინ ის შხამიან კბილს მახვილივით ჩაგასობს, ამიტომ მეუდაბნოენი, როცა გაზაფხულზე ტყეში მიდიან, მაგარი ტყავის მაღალ ჩექმებს იცვამენ, წელზე გრძელ თოკს იბამენ, რათა ბალახის შარიშურმა გველი ადამიანის მიახლოების შესახებ გააფრთხილოს. თუ გზა ხშირ ბუჩქნარზე გადის, თან გრძელი ჯოხი მიაქვთ, რომლითაც უსინათლოების მსგავსად ყოველ ნაბიჯს ამოწმებენ, სინჯავენ, სადმე ხომ არ იმალება ასპიტი, რომელიც გაზაფხულზე განსაკუთრებულად შხამიანი და საშიშია. დაქანცულმა მგზავრმა, ვიდრე ქვაზე დაჯდებოდეს, უნდა მიმოიხედოს, ახლომახლო ხომ არ არის გველის სორო, ზამთრის ძილის შემდეგ სწორედ ამ ქვის ქვეშ ხომ არ თბება ის. მონადირეები მხეცებს ხაფანგს უგებენ, გველი კი შესაძლოა მგზავრისთვის იქცეს ხაფანგად.

გაზაფხულზე უდაბნო ყვავილების ხალიჩით იფარება. მე განსაკუთრებით ყაყაჩოები მომწონდა, ისინი დამრეც ფერდობებზე ყვავიან, იქ, სადაც ცოტაა ხეები. შავ ფერთან შეხამებული მათი წითელი ფურცლები ნახშირში მოციმციმე ნაღვერდლებს ჰგვანან. ეს ფერები მაგონებენ ძველ სქემას, რომლის მუქ ფონზეც წმინდა გამოსახულებანი და წარწერებია მეწამული ძაფით ამოქარგული. დღისით უდაბნოს ფრინველთა გალობა ახმიანებს. ისინი, სამხრეთის ქვეყნებიდან მოფრენილნი, მშობლიურ ტყესა და ერთმანეთს სიხარულით ესალმებიან. ძნელია გაზაფხულზე უდაბნოს მონახულება, თვით მეუდაბნოენიც კი ამ დროს ადგილზე დარჩენას ამჯობინებენ: ბოსტანს აშენებენ, სენაკებს აკეთებენ. თოვლის დადნობისა და გაზაფხულის წვიმების შემდეგ მიწა ლაფდება, წყლით

სავსე ღრანტეები გზებს ხერგავენ და ადამიანს ჰგონია, რომ ჭაობის ზანზარაში მიაბიჯებს. ზაფხულობით მეუდაბნოენი კენკრას აგროვებენ, ხოლო ვინც სოკოს სცნობს, სოკოს კრეფს. უდაბნოში არ არის ზაფხულის სულისშემხუთველი სიცხე, რომლითაც ბარისა და ზღვისპირეთის მცხოვრებნი იტანჯებიან. კარვის მსგავსი ხეების ქვეშ შუადღისითაც კი სიგრილეა. ზაფხულში ტყე მომაჯადოებელ ზღაპარს ჰგავს. ამ არაჩვეულებრივ სამყაროში თითქოს თავად დრო იკარგება და არც გინდა იმაზე იფიქრო, რომ შესვენების შემდგომ გზის გაგრძელება მოგიწევს. საათები ასწლეულებად გეჩვენება, აქ ბინდია და ალაგ-ალაგ ფოთლებში შემოჭრილი მზის სხივები მიწას ღია ფერის ლაქებივით ეფინება.

ზაფხული შეუმჩნევლად გადის, სახეს იცვლის უდაბნო. შემოდგომა ტყეს და მთებს მოოქროვილ საფარებელს აფარებს. მეწამული და ოქროსფერი ფოთლები მიწაზე გროვად აწყვია. შემოდგომის მზე არ წვავს, ის ათბობს, თითქოს სახეს ელამუნება. შემოდგომით უდაბნოს ფერები მქრქალდებიან, ღრმავდებიან, მშვიდდებიან და ნაზდებიან. მათში განსაკუთრებული სილამაზე და გამოთხოვების მსუბუქი სევდაა არეკლილი.

დგება ზამთარი. მთები ჭაღარა თოვლით იფარება. ზამთარი საუკეთესო დროა მდუმარებისთვის და ლოცვისთვის; ზამთარი _ ეს «უდაბნოა უდაბნოში», განსაკუთრებით კი ზამთრის ღამე. მეუდაბნოე მონაზვნისთვის უჩვეულო სიხარულია ის, რომ მისი სენაკის კარზე არავინ დააკაკუნებს, ლოცვას არ გააწყვეტინებს, ღმერთს დროებითაც კი ვერავინ დააშორებს, ტკბილ მდუმარებას ვერ დაურღვევს. ღამით, მთვარის შუქზე მიწაზე დაფენილი თოვლი თეთრი ყვავილები გეგონება, ვარსკვლავები კი _ ცაზე ყინულის მბზინავი ნასხლეტებივით მოჩანს. დანამქრული ბილიკები და გზები _ ეს კიდევ ერთი ზღუდეა ქვეყანასა და უდაბნოს შორის.

მონაზონი, რომელიც უმზერს თეთრი აკვანივით თოვლს, ნისლით შემოჯარულ მთებს, სახეს თითქოსდა ნიღბით რომ იფარავენ, თავს ყველაზე ბედნიერ ადამიანად თვლის და ეჩვენება, რომ ის თავისი დედის _ უდაბნოს მკერდში ჩაკრული ჩვილია.

ზამთარში, როცა ზღვიდან ქარი უბერავს და წვიმებია, მონაზონი თავს კარგად გრძნობს განმარტოებულ სენაკში. წვიმის წვეთები მისი ქოხის სახურავს ეცემიან, თითქოს გრძელ სიმღერას მღერიან. წვიმის ეს მონოტონური ხმაური, რომელშიც გასაოცარი მელოდია ესმის, ერწყმის მის ლოცვას. ეჩვენება, რომ წვიმის ნაკადში, როგორც წარღვნის ტალღებში ქრება ხილული სამყარო. რჩება მხოლოდ მისი სენაკი, როგორც კიდობანი და ამქვეყნად მეტი აღარავინ და აღარაფერია.

ქვის ყვავილები

სულიერი ზეცა _ ნათელი სულების სავანეა, კოსმოსი კი _ ადამიანისთვის მიცემული თვალშეუდგამი სამეფო. ეს არის ერთი მხატვრის მიერ დაწერილი ორი სურათი, ერთი შემოქმედის მიერ შექმნილი ორი სამყარო, ერთმანეთის მსგავსი და განსხვავებული, ერთმანეთს დაშორებული და ამავდროულად ურთიერთგანმმსჭვალავი. ეს ყოფიერების ორი ფორმაა, რომელთაგან ერთი ჩამოყალიბების პროცესშია, დროის დინებაშია; მეორე _ ადამიანური ენით აუწერელ, გონმიუწვდომელ, სულისთვის უცნობ მარადისობაში, რომელიც თავისთავად ჯერაც გაუცხადებელ საიდუმლოს წარმოადგენს. მაგრამ აქ, კოსმოსის ამ სურათებში, არეულ ჩრდილებს, ნიშნებს და სულიერი ზეცის სიმბოლოებს ვხედავთ. ამ სიმბოლოთა მეშვეობით სასრული უსასრულოს ეხება, ხოლო მარადისობის ფერმკრთალ ჩრდილებს სული მთრთოლვარე აღტაცებაში მოჰყავთ. მიწიერი ცხოვრება, ზეცას მოწყვეტილი, მარადისობის პერსპექტივის დამკარგავი, იქიდან ამოვარდნილი, როგორც ბარტყი ბუდიდან, ღვთაების შუქით გაუსხივოსნებელი _ უაზრო ტრაგედიად, სულისა და იმედების მსხვრევად, გამუდმებულ მოწამეობად იქცევა, მაგრამ მოწამეობად არა ქრისტესთვის, არამედ ვნებათა მეხოტბის _ ეშმაკისათვის. ეს არის წინააღმდეგობრიობათა გორგალი, რომლის გამოხსნაც შეუძლებელია. მაგრამ ჩვენი სული ზეცის ნაწილაკია. თუკი ის თავისი ზეციური სამშობლოს ძებნას და მარადისობისაკენ სწრაფვას დაიწყებს, მისთვის მიწიერი ცხოვრება გაიხსნება არა როგორც შემთხვევითობათა ჯაჭვი, არამედ როგორც ამოცანა, რომელიც უნდა ამოიხსნას; როგორც ბრძნული იგავი, რომელიც უნდა განიმარტოს; როგორც გამოცანა, რომელიც უნდა გამოვიცნოთ და მაშინ ადამიანის სული დროებითში მარადიულის, ხრწნილებისა და სიკვდილის სამყაროში _ უკვდავების, ხოლო ამცხოვრების ბინდში _ ჩაუმქრალი სულიერი ნათლის ძიებას დაიწყებს. მაშინ ქვეყნიერების ხილული სურათები იქცევიან ასოებად, რომლებითაც დიადი პოემა იწერება, ან სიმებად, რომლებთან შეხებითაც სული ღმერთს უგალობს. როდესაც ღირს ანტონ დიდს ჰკითხეს, თუ მან, უმეცარმა, როგორ შეიძინა ისეთი დიადი სიბრძნე, რომ ფილოსოფოსებს აღემატა, ღირსმა ანტონმა უპასუხა: «ჩემს წინ გადაშლილი წიგნია, რომლის ერთი გვერდი მიწაა, მეორე კი _ ზეცა და მე ამ წიგნით განვისწავლები».

მთები _ ეს ასკეზის სიმბოლოებია; ვეება ქვები მოღვაწის სულის სიმტკიცეა; მთის ბილიკები ხელთუქმნელი ტაძრის საფეხურებით გონების აღსვლაა ღმერთთან; უფსკრულები და კლდის ქიმები განსაცდელები და დემონური ცდუნებებია სულიერ გზაზე; ბინდში, თითქოსდა ნისლის გროვაში გაწოლილი ხეობები მისტიკური ჭვრეტის საიდუმლოებანია. მთის ქვიან, დაღარულ ფერდობებზე მორაკრაკე ნაკადულები _ გულში აჟღერებული ლოცვაა; თოვლით დაფარული მწვერვალები _ ეს სულია, რომელიც ღმრთაებისკენაა მიმართული და მის შუქს ირეკლავს; მთებზე შემოხვეული, საჰაერო კუნძულებივით ღრუბლები წვიმისა, _ ღვთის მადლია, მეუდაბნოეთა გულებს რომ ავსებს ზეციური წვიმით; ცის ლაჟვარდი _ მარადისობის სახეა, ღვთაებრივი სილამაზის ჩრდილია, რომელიც ადამიანისთვის ისევე იხსნება ლოცვაში, როგორც ცა გარღვეულ ღრუბელში; მყინვარები კი სახეა სიწმინდისა და უვნებობისა.

რაც მეტად მაღლა მიიწევს მთებში მგზავრი, მით ნაკლებ ბალახსა და ყვავილს ხედავს. იქ ხუნდებიან საღებავები, ცისარტყელას ფერები თითქოს თავიანთ პირველქმნილ ნათელში ბრუნდებიან. რაც უფრო ახლოა ადამიანი ღმერთთან, მით ნაკლები რჩება მასში გრძნობიერი, ემოციური, მშვინვიერი, მით მეტად იკრიბება მისი გონება, მით ნაკლებ

სიტყვას საჭიროებს ლოცვა, რომელიც მის გულს ერთვის. და აი, მოღვაწე თავის გარშემო ქვათა ახლებურ სილამაზეს ხედავს. თითქოს მის წინაშე ბაღია უმშვენიერესი ქვის ყვავილებით, თითქოს მთათა ქიმები და ფლატეები მიწაში ფესვებით ჩაზრდილი ვეება მცენარეებია.

მთების სიჩუმეში ადამიანს ესმის ხმა საკუთარი სულისა, რომელსაც ჩვეულებრივ ვნებები ახშობენ, როგორც ბულბულის შორით გალობას ახშობს ღორების ღრუტუნი და მამლის ყივილი. ის ამ სიჩუმის, თოვლიანი მწვერვალების და გულის მდუმარების სიხარულს განიცდის, თითქოსდა მივიწყებული ბავშვობა დაუბრუნდა; მთა ხომალდად, ქვეყანა კი ბობოქარ ზღვად ეჩვენება. დაბლა, ქვეყანაში, ყველაფერი მოძრაობს, მირბის, ყველა ბორგავს დროის ორომტრიალში. მთაში კი, თითქოს დრო გაჩერდაო, ადამიანი მარადისობის სუნთქვას შეიგრძნობს.

როცა მოღვაწე იესოს ლოცვას ლოცულობს, ეჩვენება, რომ ცაში მოლივლივე არწივი იმეორებს ამ ლოცვას, რომ მთები ჰიმნს უხმოდ უგალობენ ღმერთს, რომ კლდეები ჭაღარა ბერიკაცებივით წრეში დამსხდარან და ღმერთზე ფიქრობენ, ლოცვას უსმენენ ნაპრალებში შემალული გველები, ხეები კი მას ფოთოლთა შრიალით იმეორებენ, რომ მთის ხეობებში მოთარეშე ქარი ოხრავს და გაბმით ჩურჩულებს: «შემიწყალე, შემიწყალე».

გარდასულ დღეთა ჩაუმქრალი ნათელი

ციცაბო კლდის წვერზე, როგორც საგუშაგო ბაქანზე, საიდანაც ქვის ტალღებივით მოჩანს წყება მთებისა, დგას მარტოხელა ტაძარი. ის მდუმარების ქვეყანას დარაჯობს, ირგვლივ სიცოცხლის ნიშანწყალი არ ჩანს. მხოლოდ ხავსივით ბალახი, როგორც უტყვი მოწმე გარდასულ დღეთა, მალაქიტივით ფარავს მიწას საუკუნოვან ქვებს შორის. იქვე, ტაძრის შესასვლელთან ერთადერთი, ნახევრად ხმელი ხე დგას.

ტაძრის კედლები ვეება თლილი ქვით ისეა ნაგები, რომ მათ შორის სამართებელიც ვერ გაივლის. საქართველოს ციხესიმაგრეები მტრის ურიცხვ შემოსევას იგერიებდნენ, ველურთა ლაშქრის ალყას უძლებდნენ; ამ ათასწლოვანი ტაძრის კედლებმა კი დროის ალყას და ასწლეულთა ისეთ ქარიშხალს გაუძლეს, ქალაქებსა და სოფლებს რომ აღგვიდა პირისაგან მიწისა. წინაპართა რწმენა, სიყვარული თითქოსდა ამ ქვებშია ჩაკირული, ლოცვის ცრემლით და მოწამეთა სისხლით შედუღაბებული. კლდის ქიმიდან საოცარი სურათი იშლება; როგორც ელვით, მზის სხივებით ნამსჭვალი ცის ლაჟვარდი და ქვათა ძუნწი, იდუმალი სილამაზე. კავკასიონის მთები თითქოს ძვლებია, რომლებსაც დედამიწის სხეული უჭირავთ. უკაცრიელი მთები _ ეს ცოდვისგან შეუბღალავი პატარა კუნძულებია, სადაც დედამიწის პირველქმნილი სილამაზის ანარეკლია შემონახული.

მარტოხელა ტაძარი მთის ტბას ჰგავს, რომლის ბროლივით სუფთა წყლით მგზავრს წყურვილის დაოკება შეუძლია. ამ ადგილას იშვიათი ფრთოსანნიც მოფრინავენ, მთების სიჩუმის დარღვევას ისინიც ეკრძალვიან; აქ მკრთალდებიან მიწის ფერები, სანაცვლოდ კი ცა იშლება მთელი თავისი დიდებულებით: ყვავილთა ელვარებით, ალიონისა და დაისის სიკაშკაშით, ის დიდი ტაძრის შიგნიდან მოოქროვილ გუმბათს გვაგონებს. ფესვებდამსკდარი, სანახევროდ გამხმარი ხე ტაძრის გვერდით დგას უმცროს დასავით. დროდადრო მოფრენილი ჩიტი არც კი ჯდება ღრმა ძილს მიცემულ ხის ტოტზე, ხოლო მხეცებისგან გაკვალული ბილიკით ზოგჯერ მონადირეებიც ამოდიან აქ.

ღრუბლები მიწის პირზე ჯარს ჩამორჩენილი რაზმებივით მიცოცავენ ან ცის თაღზე დიდრონი ფრინველებივით მისრიალებენ ფრთაგაშლილნი, კლდეებს ეფინება მათი გამჭვირვალე, მოვერცხლისფრო ჩრდილები.

ტაძარში ვიწრო სარკმლები და დაბალი კარია, რომელშიც მოხრილი, თავდადრეკილი, თითქოსდა ღმრთაებისადმი თაყვანისცემით თუ შეხვალ. შიგნით ბინდი და განსაკუთრებული სიჩუმეა, იმაზე მკვრივი მდუმარებაა, ვიდრე მდუმარება მთებისა. იატაკსა და კედლებს შორის აქა-იქ ამოუყვიათ თავი გამხმარ ღეროებს.

უდაბნოთა შორის ყველაზე მივარდნილი _ ეს მთიანი უდაბნოა. გეჩვენება, რომ აქ დედამიწა თავის საბრძანებელს ზეცას უთმობს, რომ ჩაივლის ათასწლეული, ტაძარი კი ამ ადგილზე, კლდის წვერზე კვლავ იდგება, როგორც მარადისობის ბეჭედი. ხე ტაძრის წინკარში იმ წყაროთა პირას მდგარ ხეს ჰგავს, რომლის შესახებაც წერდა დავით მეფსალმუნე, ან კიდევ _ სახეა ლოცვაში ჩაძირული მდუმარე მონაზვნისა.

ტაძარში თეთრი ქვისგან გამოთლილი კანკელის ნაწილია შემორჩენილი, ისეა მოჩუქურთმებული, თითქოს აბრეშუმზე მოუქარგავთ ან ტილოზე დაუწერიათ. აქ ნემსი და ფუნჯი ჩაქუჩსა და საჭრეთელს შეუცვლია. ჩუქურთმა ამოუცნობ დამწერლობას ჰგავს, საკურთხევლის კედელი _ სჯულის ფიცარს, რომელზეც საქართველოს ისტორია და ბედი საიდუმლოდაა ამოტვიფრული. ამ ფილიგრანულ ნამუშევარში იმ უცნობ ოსტატთა

ღვაწლია, რომლებმაც სიწმინდე მოიხვეჭეს, ლოცვით ზეცა აირეკლეს თავიანთ გულებში, შემდეგ ეს სურათი ქვაზე გადმოიტანეს და კანკელში განასხეულეს. აქ არა მხოლოდ მაღალი ხელოვნება და კოსმიური ჰარმონიის შეგრძნებაა, არამედ საუკუნეთა სიბრძნეა ხორცშესხმული. აქ ქვა ლოცულობს, ჩუქურთმა გალობს და ტაძარი სულს უმაღლეს ფილოსოფიას _ ღვთივშემეცნებას უცხადებს.

უდაბნოს ტაძრის კედლები, როგორც ათი უხილავი ნაკადით, ათსაუკუნოვანი ლოცვითაა გაჟღენთილი. ისინი სულიერი სინათლით არიან განმსჭვალულნი, მადლით დარწყულებულნი და იმათ გულებს ეუფლებიან, ვინც ამ ტაძარში კრძალვით შედის. აქ ადამიანს, როგორც უცნობელი სიღრმე, თავისი სულის საიდუმლო ეხსნება.

ტაძარი თითქოს ცის უხილავ საყრდენზე დგას და მიწას მხოლოდ ხილულად ეხება. მის კედლებთან უცნობი საფლავებია. ზოგი საფლავი ისე ღრმად ჩასულა მიწაში, გეგონება, ჩაძირული გემის თავზე ტალღებს პირი შეუკრავთო; სხვა საფლავების ფილებზე სახელები წაშლილა, მაგრამ ისინი ზეცამ დაიხსომა სამარადჟამოდ. ვინ არიან იქ დაკრძალულნი? _ მთავრები, რომლებიც ხმლით ხელში უბრალო მეომრების დარად იცავდნენ სამშობლო მიწას; მონაზვნები არწივის ბუდეების მსგავსი სავანეებიდან; ერის უხუცესნი, რომელთა სიტყვა მთავრებისთვისაც კანონი იყო და მეფენიც ვერ ეურჩებოდნენ; აქ ის ადამიანები წვანან, ვინც ეს ტაძარი ააგო, ტაძარმა კი ისინი თავის ჩრდილქვეშ შეიფარა. ვინ უწყის, რამდენი მართალი იყო მათ შორის!

კავკასიონი დედამიწასავით მხცოვანია და განთიადივით ჭაბუკი; ღამესავით იდუმალია და თოვლზე არეკლილ მზესავით თვალისმომჭრელი. მწვერვალები ჭაღარა ხევისბერებს ჰგვანან. ისინი თითქოს ფიქრობენ და ჩამოწოლილ ღრუბლებს მიღმა დაფარულ მომავალზე ჩუმად საუბრობენ.

თუკი საქართველოს გული წარსულს მიუბრუნდება, სიწმინდეთა შემხედვარე ათრთოლდება უწინდებურად, თუკი მიხვდება, რომ ამ უდაბურ ტაძარში მისი ყველაზე დიადი საგანძურია დავანებული, მაშინ კავკასიონის მთები გაცოცხლდებიან და უძლეველი ციხის კედლებივით დაიცავენ საქართველოს. მაგრამ თუკი საქართველო დაივიწყებს წარსულს, ვერ გაიგონებს მდუმარებას მთებისას და ტაძრიდან მომდინარე ზეციურ ნათელს ვერ დაინახავს... მას ზეცაც დაივიწყებს!!!

ლოცვის ძალა

საქართველოს ისტორიის წყალუხვი მდინარე, რომელიც რამდენიმე ათასწლეულს ითვლის, მესოპოტამიიდან მოედინება; ის სათავეს მსოფლიოს პირველი დედაქალაქის დამაარსებლის _ ნებროთის ეპოქაში იღებს.

ბაბილონის ერთ-ერთმა წარჩინებულმა მცხოვრებმა _ თარგამოსმა არ ისურვა ნებროთის მონობა და მონაწილეობა მის შეშლილ განზრახვაში _ აეშენებინა გოდოლი, «ჩრდილოეთის მთებზე» უფრო მაღალი და ტახტი ზეცამდე აეტანა. თარგამოსმა ოჯახით და სახლეულით საიდუმლოდ დატოვა ბაბილონი და შუამდინარეთიდან ჩრდილოეთისაკენ გამოემართა მსგავსად აბრაამისა, რომელიც ღვთის ხმას დაემორჩილა, ქალაქი ური თავისი კერპებითურთ დატოვა და იმ უცნობი მიწისაკენ გაეშურა, რომელიც უფალმა აღუთქვა. თარგამოსმა თავისი კარვები იმ ადგილას დასცა, სადაც აზიასა და ევროპას ურთიერთს შეხლილი მყინვარებივით კიდენი ზეაღუმართავთ და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ქვის საზღვარი _ კავკასიონის ქედი წარმოუქმნიათ. თარგამოსი კავკასიის ხალხების და ტომების მამამთავრად იქცა, ხოლო მისმა ძემ ქართლოსმა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი. საქართველოს (ქართლოსის ქვეყნის) თანამედროვე რუსული სახელწოდება «Грузия» «გურჯისტანიდან» წარმოდგება, რაც თურქულად «მეომართა ბანაკს» ნიშნავს, სიტყვა-სიტყვით კი «სიძლიერის ბანაკს». მრავალ ენაზე საქართველოს გეორგია _ მიწათმოქმედთა ქვეყანა ჰქვია. მოგვიანებით ამ სახელწოდებამ კიდევ სხვა შინაარსი შეიძინა _ «წმიდა გიორგის ქვეყანა», გიორგისა, რომელსაც საქართველოში განსაკუთრებულად ეთაყვანებიან.

საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა არაგვისა და მტკვრის შესართავთან მდებარეობს. ის ქართლოსის უფროსმა ვაჟმა _ მცხეთოსმა დააარსა. ქვეყანას მცხეთის მამასახლისი მართავდა. ალექსანდრე მაკედონელისა და მისი ეპიგონების დროს საქართველო ბერძენთა გამგებლობაში ექცევა. მათ დასამხობად საჭირო იყო მმართველობის ცენტრალიზება, რაც საქართველოს ოლქებს შეკრებდა და ხალხს დარაზმავდა. ქ.შ.-მდე III ს-ის დასაწყისში მამასახლისთა ხელისუფლება უქმდება და საქართველოს პირველი მეფე ხდება ფარნავაზი, ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოკლული სპარსთა მეფის, დარიოსისა და მისი ქართველი ცოლის შთამომავალი. ფარნავაზმა გაათავისუფლა ქვეყანა დამპყრობლებისაგან, როგორც ბაღი გარეული ღორებისაგან და ფარნავაზიანთა დინასტია დააარსა, რომელიც ქ.შ.-დან III ს-ის დასასრულამდე მეფობდა.

აბეშურის _ ამ სახელოვანი საგვარეულოს უკანასკნელი მეფის ასული, მთავრების რჩევით სპარსეთის უფლისწულს მირიანს შერთეს. ამ ქორწინებით საქართველოში ხოსროიანთა (სასანიდების) ახალი დინასტია იწყება და ხუთი საუკუნის მანძილზე გრძელდება. მეფე მირიანის დროს საქართველომ ქრისტიანობა მიიღო (318-337 წ.). თუკი ფარნავაზ მეფემ დამპყრობელთა ბატონობა დაამხო და ხალხის ქედზე დადგმული რკინის უღელი დაამსხვრია, მეფე მირიანმა საქართველო დემონთა მსახურებისაგან გაათავისუფლა, კერპები მტრის მებრძოლებივით შემუსრა და როგორც სულიერი ციხე-სიმაგრეები, პირველი ქრისტიანული ტაძრები აღმართა. მის დროს დაარსდა საქართველოს ეკლესია მთავარეპისკოპოსის მეთაურობით. მირიან მეფისა და მისი მემკვიდრეების დროს დაიწყო ქართველი ხალხისა და მთიელი ტომების განათლება.

საქართველოს ისტორია _ ეს უწყვეტი ომების ისტორიაა. გეჩვენება, რომ ქართული მატიანის ფურცლები ცრემლში გახსნილი ფერფლითა და ბრძოლის ველზე შეგროვებული სისხლითაა დაწერილი.

პირველი, ვინც თარგამოსის შვილებს ომი გამოუცხადა, ნებროთი იყო. მან ორი ფიცი დადო: აეშენებინა კოშკი, რომლის მწვერვალიც ცას მისწვდებოდა, და დაეპყრო კავკასია, რომელსაც თარგამოსის შვილებმა _ რვა ძმამ, როგორც მიუვალ სიმაგრეს, თავი შეაფარეს. მაგრამ კოშკი დაუსრულებელი დარჩა, კავკასია კი დაუპყრობელი. ბაბილონელ ტირანს ცალი ფეხით არარატზე მოესურვა შედგომა, მეორეთი _ იალბუზზე; ის თარგამოსის შვილებს ბორკილდადებულებს უპირებდა ბაბილონში ჩაყვანას, მაგრამ უკან მისი გასისხლიანებული გვამი ჩაიტანეს. ბაბილონის გოდოლი საკუთარი სიმძიმით დაეცა, ნებროთს კი ისარმა მოუღო ბოლო, აბჯარი გაურღვია და მკერდი განუგმირა.

სხვა დამპყრობელს _ კიროსს[51], რომელმაც დალეწა ბაბილონის ალაყაფი, იმის გაკეთება სურდა, რაც ნებროთმა ვერ მოახერხა: ის ჩრდილოეთით მის კვალს გაჰყვა, რათა კავკასიონის მთებისათვის, როგორც ვეფხვისათვის, სანადირო ბადე ჩამოეცვა და მის კალთებზე თავისი გამარჯვების ამბავი ამოეკვეთა, მაგრამ იგი ხეობებისა და მთების ლაბირინთებში დაიღუპა. მსოფლიოს მეორე დამპყრობლის მოჭრილი თავი, როგორც ალაფი, კავკასიის ტომების დედოფალმა თმებით ასწია და თავის ჯარს დაანახა.

ვიდრე ერთიანნი იყვნენ თარგამოსის შთამომავალნი, კავკასია დაუმარცხებელი იყო. თუკი აბრეშუმის მრავალი ძაფისაგან თოკს დავგრეხთ, როგორი ძლიერიც გინდა იყოს მეომარი, მას ხელით ვერ გაწყვეტს. მაგრამ დადგა დრო, როცა ერთობა დაიშალა _ გაწყდა თოკი, კავკასიის ხალხებს რომ აკავშირებდა, დამპყრობელი ძაფებს ერთმანეთის მიყოლებით წყვეტდა.

ბაბილონელები ასურელებმა შეცვალეს. გადმოცემები კავკასიაში სემირამიდას[52] ლაშქრობებზე მოგვითხრობენ. საქართველოს მატიანის ფურცლებზე ახალ დამპყრობელთა სახელები ჩნდება: სკვითებისა, მიდიელებისა, ბერძნებისა. ისინი ისტორიის სცენიდან გადიან, რათა ადგილი სხვებს დაუთმონ; ნაპირიდან უკუქცეულ ტალღას მეორე ტალღა მოსდევდა; განსაცდელი, რომელშიც ქვეყანა ვარდებოდა, ასწლეულების მანძილზე უფრო და უფრო მძიმდებოდა.

მე-7 ასწლეულში უბედურება, როგორც უდაბნოს ქარიშხალი, უეცრად აღმოსავლეთიდან მოვიდა. არაბულმა ლაშქარმა ბიზანტიისა და სპარსეთის წინააღმდეგობა გატეხა და საქართველოში შემოიჭრა, საქართველო პირისპირ აღმოჩნდა ხალიფატისა, რომელიც სიდიდით ავგუსტუს ბედნიერის დროინდელ რომის იმპერიას აღემატებოდა, ხოლო მისმა მხედართმთავრებმა თავიანთი ლაშქრობებით ძლევამოსილი ტრაიანე დაჩრდილეს.

საშველი არსაიდან იყო. ბიზანტია, რომელიც პროვინციებს კარგავდა, ელვით გაპობილ მუხას ჰგავდა დამწვარი ფესვებითა და დალეწილი ტოტებით. სპარსეთი, როგორც განგმირული გლადიატორი კოლიზეუმის არენაზე, გამარჯვებულის ფერხთით იყო გართხმული. სომხეთი ხალიფატის დარტყმებისაგან ქვაზე დავარდნილი თასივით ნაწილებად დაიშალა. ენისა და დამწერლობის დამკარგავი კავკასიის ალბანეთი დარდისაგან დამუნჯებულ ტყვე ქალს ჰგავდა. ალბანეთის ქრისტიანები ბარიდან მთაში მიდიოდნენ ძველი რომის ქრისტიანებივით, კატაკომბებში რომ იმალებოდნენ. მთიან ადგილებში ჯერ კიდევ იდგა ტაძრები და ღვთისმსახურება აღესრულებოდა, მაგრამ ბარში ისლამის მწვანე დროშა აფრიალდა, ზარების რეკვის ნაცვლად მოლების ყივილი გაისმოდა

და მუსლიმანებს სალოცავად უხმობდა. ხაზარეთი მარცხს მარცხზე განიცდიდა. მისი მთავარი დაჭრილი მგელივით დაძრწოდა საზღვრიდან საზღვრისაკენ _ ვოლგიდან შავ ზღვამდე და ლაშქრის ნარჩენებს აგროვებდა.

საქართველოსათვის განსაკუთრებულად ამაოხრებელი მურვან ყრუს შემოსევა იყო. მას ყრუ იმისათვის შეარქვეს, რომ არც დამარცხებულის შეწყალებაზე თხოვნას ისმენდა და არც თავისი მხედართმთავრების რჩევებს უგდებდა ყურს. ამ დროს საქართველოს მოსახლეობა ცდილობდა თავი მთიანი ადგილებისათვის, როგორც ხელთუქმნელი სიმაგრეებისათვის შეეფარებინა. სტუმართმოყვარე მთიელები ეხმარებოდნენ თანამოძმეებს, თავიანთ ქოხებში თავშესაფარს აძლევდნენ, საკვების მწირ მარაგს უყოფდნენ, ზოგჯერ კი უკანასკნელ ლუკმასაც. საქართველო ფოლადის სოლს ჰგავდა _ იხრებოდა და კვლავ სწორდებოდა.

სომხეთის მეფე სუმბატს დადევნებული ხალიფა მურვანი იმერეთში შემოიჭრა, მაგრამ აქ არგვეთის მთავრების, დავითისა და კონსტანტინეს მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა, რომლებმაც ხალიფას მეწინავე რაზმები დაამარცხეს და უკუაგდეს. გამძვინვარებულმა ხალიფამ დაანგრია იმერეთის დედაქალაქი ქუთაისი, ხოლო დავითი და კონსტანტინე, რომლებმაც უარი თქვეს ისლამის მიღებაზე, ჯალათებს გადასცა საწამებლად. ამის შემდეგ ის დიდი ჯარით შავი ზღვის სანაპიროსაკენ წამოვიდა. მურვანის ლაშქარი არ შედგებოდა მხოლოდ არაბებისაგან; მასში სპარსელების, სირიელების, ეთიოპელი და სუდანელი ზანგებისა და სხვა გამუსლიმანებული ხალხის რაზმები შედიოდნენ. ის კოლხურ სიმაგრეს _ ანაკოფიას შემოეწყო, სადაც თავს ქართველი მეფეები _ მირი და არჩილი აფარებდნენ. გარნიზონი მხოლოდ 3 ათას მებრძოლს ითვლიდა. ანაკოფიის ყოველ დამცველზე ბრძოლებში ნაწრთობი რამდენიმე ათეული მშვილდოსანი მოდიოდა. ისე ჩანდა, რომ დაღუპვა გარდაუვალი იყო, რომ თვით ციხე-კოშკი იქცა ხაფანგად ალყაში მოქცეულთათვის. ზღვისპირეთი და მიმდებარე მთები მაჰმადიანთა კარვებით დაიფარა, ანაკოფიის გარშემო ერთ ღამეში თითქოსდა ტყე გაიზარდა. ციხე-სიმაგრე კვიპაროსის თავზე მოწნულ მტრედის ბუდეს ჰგავდა: ხის ტანს დიდი გველი შემოხვევია. ის ქშენითა და სტვენით ზევით მიხოხავს, რათა უმწეო ბარტყები გადაყლაპოს.

ციხე-სიმაგრეში იყო კიდევ სხვა, სულიერი ციხე-სიმაგრე _ საფლავი მოციქულ სიმონ კანანელისა, კოლხეთის განმანათლებლისა.

მრავალი წლის წინ ქალაქი სამარია ასურელთა ჯარით იყო ალყაშემორტყმული. საშველი არ ჩანდა. ისრაელის მეფე ქალაქის კარიბჭის გაღებას და მტრისთვის დანებებას აპირებდა. მეფის გვერდით წინასწარმეტყველი ელისე იყო, რომელიც სამარიის გათავისუფლებისათვის ლოცულობდა. მან უთხრა მეფეს, რომ ის იხილავდა სასწაულს. იმავ ღამეს ასურელებმა ბანაკი და ნადავლი დატოვეს და იქაურობას აუხსნელი შიშით გაეცალნენ.

არაბებმა ანაკოფიას კედლის სანგრევი იარაღი მიადგეს. ტარანების დარტყმამ მთები შეძრა და მისი რკინის ბოლოები ურჩხულის კბილებივით ჩაეჭიდა კედლებს.

მურვან ყრუმდე 2 ათასი წლით ადრე ეგვიპტის ფარაონი მისდევდა მოსეს, რომელიც ისრაელიტელებს მიუძღოდა უდაბნოში. უცებ გაქცეულებმა წითელი ზღვა დაინახეს და შეძრწუნდნენ. დამალვა შეუძლებელი იყო: წინ ზღვის ტალღები იყო, უკან ფარაონის ჯარი.

ანაკოფია ყოველი მხრიდან ალყაში მოექცა: აღმოსავლეთით მთები ერტყა, დასავლეთით ზღვა, ირგვლივ არაბთა ჯარი, რომელიც შეტევისათვის ემზადებოდა.

უფალმა უთხრა მოსეს: *«რასა ჰკმობ ჩემდა მომართ?»*[*] დუმდა მოსე, მაგრამ გული მისი უხმოდ შეჰღაღადებდა ღმერთს, მან თითქოსდა გული შემოიფლითა, როგორც სამოსი გლოვისას. მოხდა სასწაული: წინასწარმეტყველის ლოცვას დამორჩილებული ზღვა გაიპო და მოსეს გზა მისცა. ილეოდა ანაკოფიის დამცველთა ძალები. მეფე მირი, არჩილის უფროსი ძმა, სისხლისაგან იცლებოდა. რჩებოდა ერთადერთი, მაგრამ ყველაზე მძლავრი იარაღი _ ლოცვა. არჩილ მეფე მოციქულ სიმონის საფლავთან დაემხო და ისე ლოცულობდა, თითქოსდა მისი გული სიტყვებს კი არა, სისხლს ამოთქვამდა, იმის მსგავსს, მის ძმას რომ სდიოდა ჭრილობებიდან.

შეისმინა უფალმა მეფის ვედრება, როგორც ერთ დროს მოსესი: ცა ტყვიისფერმა ღრუბელმა დაფარა, როგორც წარღვნის წინ. გეგონებოდა ზღვამ აიწია და თასივით გადმო-ბრუნდა დედამიწაზე. ჩანჩქერივით თავსხმა ყრუ კედელივით დაატყდათ არაბებს; თითქოს მთებში ჩამალული წყლების უფსკრული გაიხსნაო, მთის კალთებზე ღვარცოფი დაეშვა. ზღვამ ნაპირები გადმოლახა, ბანაკის ნაწილი და იქვე ახლოს მდგარი სანგრევი მანქანები წალეკა: თითქოს ტალღები ვეება ხაოიანი ენით ლოკავდნენ ნაპირს.

როცა მოსემ ხალხთან ერთად ზღვის ფსკერი გაიარა, ზღვამ პირი შეკრა და ფარაონის ჯარი დაფარა, როგორც ფარავენ საერთო საფლავს.

მურვან-ყრუმ, ამ სასაკლაოს შემდეგ, ჯარის ნარჩენებით ქვეყნის სიღრმეში, სამეგრელოში დაიხია. ის მტრისაგან დევნილივით გაურბოდა გამძვინვარებულ სტიქიას, მაგრამ აქაც ახალი დამარცხება ელოდა: ორმა მდინარემ[53], რომელთა შორისაც არაბთა ბანაკი იყო განლაგებული, თავსხმისაგან ნაპირი გადმოლახა. ისინი ტყიდან გამოცვენილი ლომებივით დააცხრნენ ნადავლს. ქუხილი, წვიმის ხმაური და გუგუნი სწრაფი დინებისა, რომელსაც ფესვიანად მოთხრილი დიდრონი ხეები მიჰქონდა და ქვებს მიაგორებდა, ადამიანთა ყვირილსა და მოთქმას ახშობდა, თითქოს ზღვის დასახმარებლად მდინარეები მოვიდნენ, როგორც უმცროსი დები. აზიის განმგებელმა კოლხეთის ჭაობებით სამხრეთისაკენ დაიხია. ალაფის ნაცვლად მურვანის მეომრებს ტანისამოსზე მიკრული ტალახიღა მიჰქონდათ თან.

მტერი წავიდა: დაჭრილი მხეცი ბუნაგში შეხოხდა, ტყის ხანძარი ჩაქრა, მაგრამ ქვეყანა ნანგრევებში და ფერფლში იწვა. სოფელში შესული მგზავრი იშვიათად თუ დაინახავდა ვაზივით დახვეულ კვამლს კერიის თავზე, ღამით კი სარკმელში ვარსკვლავივით მოციმციმე სინათლეს. ქალაქის შემოგარენს ტურების კივილი და მძორის მაძებარი ყვავების ყრანტალი აყრუებდა.

არჩილ მეფე მამა იყო თავისი ტანჯული ხალხისა. როგორც სამარიტელი, სახარების იგა-ვიდან, მის სისხლმდინარე იარებს კურნავდა. დაფლეთილი ქვეყანა თითქოს მხრებზე ჰქონდა მოკიდებული. საქართველოში გაზაფხული დგებოდა. მთებს შეფარებული ხალხი საცხოვრებლებს უბრუნდებოდა, როგორც თოვლიანი ზამთრის შემდეგ დაბრუნებული ფრინველები ეძებენ მიტოვებულ ბუდეებს. აბალახებული მიწა ხორბლის ოქროს ფარჩით დაიფარა; ზარებმა ქალაქები და სოფლები აახმაურა, ველ-მინდვრები კი მხვნელ-მთესველთა სიმღერამ. ციხე-სიმაგრეები გამოღვიძებული მეომრებივით ნანგრევებიდან დგებოდნენ, რათა ქვის მკერდით კვლავ დაეცვათ საქართველო.

არჩილის მეფობის ჟამს მოხდა ამბავი, რომელმაც შემდგომში უზარმაზარი მნიშვნელობა შეიძინა ქვეყნის ისტორიისათვის. ბიზანტიიდან საქართველოში პანკრატოვანთა გვარის

[*] გამოს. 14, 15.

დიდებულები ჩამოვიდნენ. აქედან წარმოიშვა გვარი ბაგრატიონი. ისინი დავით მეფსალმუნისაგან წარმოდგებოდნენ და იოსებ დამწინდველის ძმის, კლეოპას ჩამომავლები იყვნენ. ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს დროს მათი ოჯახი მოინათლა. ისინი იმპერატორის სამსახურში დადგნენ და სიმამაცითა და სამხედრო წარმატებებით გაითქვეს სახელი. მეფე არჩილმა მათ ტაო-კლარჯეთის მიწები მისცა, შემდეგ კი წილი უბოძა კახეთში _ ერთადერთ მხარეში, რომელიც არაბებს არ დაუპყრიათ.

ბაგრატიონთა საგვარეულო ღერბზე უფლის კვართი, დავითის ქნარი და შურდულია გამოსახული, რომლითაც ჭაბუკმა მეფსალმუნემ გოლიათი განგმირა. არჩილ მეფისა და მისი მემკვიდრის, ხოსროიანთა შორის უკანასკნელის _ იოანეს გარდაცვალების შემდეგ საქართველოში ბაგრატიონთა დინასტია გამეფდა, რომელიც ხალხის თვალში საქართველოს და პალესტინის შემაერთებელ სულიერ ჯაჭვს წარმოადგენდა. ქართველ მეფეებს კი _ დავით მეფის წმიდა შტოსთან აკავშირებდა, რომლიდანაც მიწაზე მოსვლა კეთილინება უფალმა.

ბაგრატიონთა დინასტიის მეფეებს მიეკუთვნებიან საქართველოს ეკლესიის წმიდანები: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დიმიტრი თავდადებული, ქეთევან დედოფალი და ქართლის მეფე ლუარსაბი. **ეს სახეები მართლმადიდებლობის ჩირაღდნებად იქცნენ, მათი საქმენი _ მომავალი თაობებისათვის მაგალითად, ხალხისადმი მათი სიყვარული და ქვეყნისათვის ზრუნვა კი ანდერძად იმ მმართველთათვის, რომლებსაც ისტორია ხელი-სუფლებას აბარებდა. საქართველო განუყოფელი გახდა მათი სახელებისაგან.**

მეფე არჩილის სიცოცხლის ბოლოს საქართველოს თავზე ურჩხულის ფრთებივით კვლავ შავი ღრუბლები დაეკიდა. ხალიფატში შინაომების შემდეგ ამირა ასიმმა ხელისუფლება ხელთ იგდო და არჩილ მეფეზე შურისძიება გადაწყვიტა, რადგანაც მან უარი თქვა დინასტიურ ბრძოლაზე, სადაც ხელისუფლების მოსაპოვებლად შვილი მამას ახრჩობდა, დედას სწამლავდა, ძმა ძმას ხანჯალს სცემდა ზურგში.

არაბული შენაერთებით ამირა საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა, ქვეყანა კვლავ გაპარტახების საფრთხის წინ დადგა. შემოსევა მოულოდნელი იყო. არჩილი არაბებს ქრისტიანებზე დაკისრებულ ხარკს ყოველწლიურად უხდიდა, რასაც «სიცოცხლის გამოსასყიდი» ერქვა. მეფემ ლაშქრის შეყრა ვერ მოასწრო, საეჭვო იყო, რომ ის ძლიერ ხალიფატს შებრძოლებოდა. ამიტომ ამირასთან მისვლა და სისხლისღვრის თავიდან აცილება არჩია. იმან ღირსეულად მიიღო მეფე, შეეგება და დაპირდა, რომ საქართველოს არ ააოხრებდა. მაგრამ არჩილის მტრებმა ამირას ამბავი მიუტანეს, რომ მეფემ იცოდა ადგილი, სადაც ბიზანტიის იმპერატორ ირაკლის მიერ სპარსეთიდან წამოღებული განძი ინახებოდა და არაბებს უმალავდა. ასიმმა მეფისათვის ბორკილის დადება და სასამართლოზე მიყვანა ბრძანა. არჩილმა ამირას უპასუხა, რომ მას ჯერ კიდევ ბავშვობაში გაეგონა პაპისაგან ბიზანტიელების მიერ სპარსეთის შაჰის, ხოსროს საჭურჭლის მოტაცების შესახებ, რომელიც სამშობლოში წაიღეს, ნაწილი ქუთაისში დატოვეს, მაგრამ შემდგომ, არაბების შიშით, დარჩენილი ოქროც კონსტანტინოპოლში გაამგზავრეს. ამირამ ისედაც იცოდა, რომ ეს ბრალდება ცრუ იყო: ბერძნებს არ სჩვეოდათ თავიანთი ხორბლის სხვის ბეღელში შენახვა, მაგრამ გადაწყვიტა ტყვე ცოცხალი არ გაეშვა. არჩილ მეფე ხალხს უყვარდა და ასიმის წინამორბედნიც პატივს სცემდნენ, უზურპატორისათვის კი ეს ყველაზე დიდი დანაშაულია, რისთვისაც არ არის დანდობა. მეფის ბედი გადაწყვეტილი იყო. ამირამ მას ისლამის მიღება მოსთხოვა და წამებითა და სიკვდილით დაემუქრა. მეფემ უპასუხა, რომ

მისთვის რწმენისაგან განდგომაა სიკვდილი. ქრისტესთვის მოწამეობა კი _ საუკუნო სიცოცხლეა. ამირამ იცოდა, რომ მეფეს ტანჯვა ვერ გასტეხდა და მისთვის მაშინვე თავის მოკვეთა ბრძანა. ჯალათი ბრძანებას დაემორჩილა და ტყვე ბანაკიდან არც კი გამოუყვანია, თავი ისე მოკვეთა ამირას კარვის შორიახლოს. ტანი მხეცებს მიუგდეს, მაგრამ ისინი, თითქოს თაყვანი სცესო, არც კი მიჰკარებიან. იწვა მეფე მინდორზე და ხრწნის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. სოფელ ტბის მცხოვრებლებმა ჩუმად გამოიტანეს მოწამის სხეული და მთებში, სოფელ ნადოკრაში, არჩილის მიერ აშენებულ ტაძარში დაკრძალეს, თითქოს სიცოცხლეშივე მოიმზადა მეფემ განსასვენებელი. ეს ტაძარი ხშირი ტყით დაფარულ მთის ფერდზე დგას. აქ ყოველთვის სიჩუმეა. მარტოხელა ჩიტის გალობა და ხეთა შრიალიც არ არღვევს მეფის მარადიულ ძილს. აქ ჰაერი რაღაც განსაკუთრებული სისუფთავითაა გაჯერებული, თითქოს მეფის სუნთქვითაა განწმედილი. ეს მთა ჰგავს ტახტს, რომლიდანაც მეფე არჩილი თავის სამფლობელოს გადაჰყურებს.

გეჩვენება, რომ ტაძრის ბინდბუნდში უხილავი სინათლეა, მეფის საფლავის ქვაზე კი წერია სიტყვები: «ესე არს ადგილი, რომელიცა შევიყვარე; ესე არს საუკუნო განსასვენებელი ჩემი».

შენიშვნები

1. **სუბსტრატი** (ლათ. სუბსტრატუმ _ საფუძველი, სარჩული) _ ცალკეული საგნების სხვადასხვა თავისებურებათა საერთო მატერიალური საფუძველი; მათი ერთგვაროვნების, ერთიანობის მატერიალური საფუძველი. სუბსტანციისაგან განსხვავებით, სუბსტრატი არა ზოგადის, არამედ განსაკუთრებულისა და ცალკეულის საფუძველია.

2. **კინიკოსები** სკოლამ სახელწოდება ნაგაზის ზედმეტი სახელიდან აიღო. მისი დამაარსებელი იყო ანტისთენე (ძვ. წ. აღ. V ს.-II ნახევარი-IV ს.-I ნახევარი). ანტისთენეს სწავლებაში მთავარი _ ესაა ერთობლიობის რეალობის უარყოფა. არსებობენ მხოლოდ ცალკეული საგნები. კინიკოსთა სწავლების თანახმად სიბრძნე არა ადამიანისთვის მისაწვდომ თეორიულ ცოდნაში, არამედ სიკეთის შემეცნებაშია. ჭეშმარიტი სიკეთე მხოლოდ ცალკეულ პირთა მონაპოვარი შეიძლება იყოს, ხოლო სათნო ცხოვრების მიზანი შეიძლება დაეფუძნოს ყოველივე იმის უარყოფას, რაც ადამიანს დამოკიდებულს ხდის. მაგ: ქონების, სიამოვნების, ხელოვნური და პირობითი ცნებებისა.

3. **სტოიკოსები** ფილოსოფიის მთავარ ამოცანად თვლიდნენ ფიზიკასა და შემეცნების სწავლებაზე დაფუძნებული ეთიკის შექმნას, რასაც ისინი ლოგიკას უწოდებდნენ. სტოიკოსების ფიზიკა გაჩნდა, როგორც არისტოტელეს ფიზიკისა და ჰერაკლიტეს სწავლების ზოგიერთი ელემენტის სინთეზი (ძვ. წ. აღ. IV-III სს).

4. **დიოგენე სინოპელი** (Diogenλs SinQpeus) _ ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი.

5. **ეპიკურე** (341-270 ძვ. წ. აღ) _ ფილოსოფიის მთავარ ამოცანად თვლიდა ბედნიერებასთან მიმყვანი ქცევის შესახებ ეთიკის სწავლების შექმნას. მაგრამ ეთიკა შესაძლოა აიგოს მხოლოდ იმ პირობით, თუ განსაზღვრულია ადგილი, რომელიც ადამიანს _ ბუნების ნაწილს _ უკავია თვით ბუნებაში. ამიტომ ეთიკა უნდა დაეყრდნოს ფიზიკას, რომელიც ასევე შეიცავს სწავლებას ადამიანის შესახებ.

6. **ჰედონიზმი** (ბერძ. _ hëdonë _ სიამოვნება) _ ეთიკის იდეალისტური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრების მიზანს წარმოადგენს უდიდესი სიამოვნება, სიტკბოება.

7. **პანთეიზმი** _ ფილოსოფიური სწავლება, რომლის მიხედვითაც ღმერთი წარმოადგენს უპიროვნო საწყისს; ეს საწყისი არ სცდება ბუნების საზღვრებს, არამედ გაიგივებულია მასთან. ამგვარად პანთეიზმი ღმერთს ბუნებასთან აზავებს და მის ზებუნებრივ საწყისს უარყოფს.

8. **პოზიტივიზმი** (ლათ. პოსიტივუს _ დადებითი) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული იდეალისტური მიმდინარეობა ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. პოზიტივიზმს პრეტენზია აქვს იმაზე, რომ მას თითქოსდა აღარაფერი ესაქმება ფილოსოფიასთან და თავის თეორიაში ემყარება არა «აბსტრაქტულ დასკვნებს», არამედ მხოლოდ «პოზიტიურ», დადებით ფაქტებს. ისინი თვლიან, რომ მაღლდებიან როგორც მატერიალიზმზე, ასევე იდეალიზმზე, არც ერთს წარმოადგენენ და არც მეორეს. სინამდვილეში პოზიტივიზმი სუბიექტური იდეალიზმის ნაირსახეობაა.

9. **რაციონალიზმი** (ლათ. რატიონალის _ გონივრული) _ შემეცნებითი თეორიის მიმართულება, რომელიც გონებას, ემპირიზმის საპირისპიროდ, ცოდნის ერთადერთ წყაროდ თვლის. თვალსაჩინო წარმომადგენლები: დეკარტე, სპინოზა.

10. **სკეპტიციზმი** _ ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ობიექტური ჭეშმარიტების ცოდნის არსებობაში დაეჭვებას გამოხატავს. სკეპტიკოსებს დაეჭვება პრინციპად აქვთ

მიჩნეული; სკეპტიციზმი, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობა, წარმოიშვა ძველ საბერძნეთში. მის ფუძემდებლად ითვლება პირონი (დაახლ. 360-270 წ. ძვ. წ. აღ.).

11. **სპირიტუალიზმი** (ლათ. სპირიტუალის _ სულიერი) _ იდეალისტური სწავლება ბუნებაზე სულის მეუფების შესახებ. სპირიტუალისტები ერთადერთ სუბსტანციად მიიჩნევენ სამშვინველს, სულს. სხეულს კი ისე განიხილავენ, როგორც სამშვინველის პროდუქტს.

12. **მატერიალიზმი** _ ფილოსოფიის ორი უმთავრესი მიმართულებიდან ერთ-ერთი. იდეალიზმის საპირისპიროდ მატერიალიზმი მატერიას პირველადად მიიჩნევს, ხოლო გონებას, აზროვნებას _ მეორადად.

13. **მონიზმი** _ ფილოსოფიური სწავლება, რომელიც დუალიზმის საწინააღმდეგოდ ყოველივე არსებულის საფუძვლად ერთ საწყისს მიიჩნევს. არსებობს როგორც მატერიალისტური, ასევე იდეალისტური მონიზმი. მატერიალისტები საწყისად, სამყაროს საფუძვლად მატერიას თვლიან. იდეალისტები _ პირიქით, ყველა მოვლენათა ერთიან საწყისად თვლიან _ სულს.

14. **დიონისე არეოპაგელი** (Dionysios no Areopagitлs) _ ათენის ძველი სასამართლო კოლეგიის _ არეოპაგის წევრი, მოაზროვნე, გვიანი პატრისტიკის წარმომადგენელი. «არეოპაგეტული კორპუსის» («ჩორპუს Арeопагитицум») ავტორი. ეს ნაშრომი შეიცავს ოთხ ტრაქტატს: «ზეციური იერარქიის შესახებ»; «საეკლესიო იერარქიის შესახებ»; «ღვთაებრივ სახელთა შესახებ»; «საიდუმლო ღვთისმეტყველება», ასევე 10 ეპისტოლეს. დიონისე არეოპაგელის სწავლებამ ოფიციალური აღიარება ბიზანტიაში თავდაპირველად მაქსიმე აღმსარებლის მიერ მისი ინტერპრეტაციის შემდგომ ჰპოვა. მე-9 საუკუნიდან დასავლეთში «არეოპაგეტული კორპუსი» ფართოდ გახდა ცნობილი. მასზე კომენტარებს წერდნენ ასევე თომა აქვინელი და ფიჩინო.

15. **ჩერჩილი** _ უინსტონ ლეონარდ სპენსერ (1874-1965) დაიბადა ოქსფორდშირში. დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე, ჰერცოგ ჯონ ჩერჩილ მალბოროს არისტოკრატული გვარის შთამომავალი. 1939 წ. სექტემბერში სამხედრო საზღვაო მინისტრის პოსტი დაიკავა, ხოლო 1940 წლის მაისში კოალიციური მთავრობის პრემიერ მინისტრი და სამხედრო კაბინეტის მეთაური გახდა. გარდაიცვალა ლონდონში.

16. **რელატივიზმი** (ლათ. რელატივუს _ შეფარდება) შემეცნების თეორიაში: იდეალისტური მიმართულება, რომელიც ჩვენს ცოდნას მხოლოდ შეფარდებითად მიიჩნევს და ობიექტურ ჭეშმარიტებას უარყოფს.

17. **ანტინომია** _ კანონთა წინააღმდეგობრიობა (ბერძ.). ტერმინი, რომელიც იმ ორ ურთიერთგამომრიცხავ ვითარებებს შორის წინააღმდეგობას აღნიშნავს, რომლებიც ამავდროულად თანაბრად ჭეშმარიტ მდგომარეობებად მიიჩნევიან.

18. **აინშტაინი** (Einstiein) ალბერტ (1879-1955). დაიბადა ქ. ულმში (გერმანია), ელექტროტექნიკურ ხელსაწყოთა მაღაზიის მფლობელის ოჯახში. გერმანელი ფიზიკოსი. სწავლობდა მიუნხენში, მილანში, ციურიხში. 1905 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა ახალი ეპოქა შექმნა ფიზიკაში. აინშტაინის, ნიდერლანდელი დე-სიტერის, საბჭოთა ფიზიკოსის ა. ფრიდმანის, ბელგიელი ლემეტრისა და სხვათა შრომებმა რელატივისტური კოსმოლოგია თანამედროვე ფიზიკისა და ასტრონომიის ერთ-ერთ მოწინავე დარგად აქციეს.

19. **თეოსოფია** _ (ბერძ. ღმერთი და სიბრძნე) _ რეაქციული ცრუმეცნიერება, რომელიც თავის მიზნად აცხადებს «ღვთაების შემეცნებას» იმქვეყნიურ სამყაროსთან უშუალო «ურთიერთობის» გზით. ის, როგორც ბნელეთის მბრძოლი ძალების ნიმუში, უარყოფს კულტუ-

რის ყველა მიღწევას და აშკარად უწევს პროპაგანდას ჯადოქრობასთან, მჩხიბავობასთან, ძველ და შუასაუკუნეების მაგიასთან დაბრუნებას. «თეოსოფიური საზოგადოებები» განსაკუთრებულად გავრცელდა ინგლისში და აშშ-ში. მთელ რიგ ამერიკულ უნივერსიტეტებში შეიქმნა საგანგებო «თეოსოფიური» კათედრები.

20. **იაროსლავსკი** ემელიანე მიხეილის ძე (ნამდ. გვარი და სახელი გუბელმანი მინეი იზრაელის ძე (1878-1943) კომპარტიის მოღვაწე, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939), კომპარტიის წევრი 1898 წლიდან. დაკრძალულია წითელ მოედანზე კრემლის კედელთან.

21. **აპოკატასტასისი** (ბერძ. ἀποκατάστασις _ დაბრუნება, აღდგენა, პირველსაწყის მდგომარეობაში მოყვანა) _ ტერმინი, რომელიც გამოიყენა ორიგენემ და მასში იმ მნიშვნელობას დებდა, თითქოს ღვთისაკენ მიქცევით, მასთან მიერთებით ცხონდება ყველა ქმნილება, მათ შორის ეშმაკიც. ეს სწავლება, როგორც ერესი, უარყოფილ იქნა ეკლესიის მიერ VI საუკუნეში.

22. **ჰერაკლე** (ბერძ. Hлrakлs) _ ბერძნულ მითოლოგიაში: ზევსის შვილი, ნახევრად ადამიანი _ ნახევრად ღმერთი. ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული, არაჩვეულებრივად ღონიერი გმირი.

23. **თესევსი** (ბერძ. Thлseus) _ ბერძნულ მითოლოგიაში: ათენელი გმირი, რომელმაც მოკლა მინოტავრი, პროკრუსტე და ბევრი სხვა საგმირო საქმე ჩაიდინა.

24. **აქილევსი** (ბერძ. Achilleus) _ ბერძენთა უმამაცესი გმირი, რომელიც მონაწილეობდა ტროას აღებაში. აქილევსის ქუსლი _ გადატ. სუსტი ადგილი, სუსტი მხარე ადამიანისა (მითის მიხედვით აქილევსს სხეულზე ჰქონდა ერთადერთი ადგილი _ ქუსლი, სადაც შეიძლებოდა მისი დაჭრა).

25. **მდ. სტიქსი** _ ბერძნულ მითოლოგიაში: ქვესკნელის მდინარე.

26. **ქარონი** (ბერძ. Charлn) _ ბერძნულ მითოლოგიაში: მენავე, რომელსაც მიწისქვეშა სამეფოს მდინარეზე საფასურით გადაჰყავდა გარდაცვლილთა სულები.

27. **დეკადანსი** _ (ფრანგ. _ დაცემა) XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დასაწყისის მიმდინარეობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

28. **სქოლასტიკა** _ (ბერძ. _ სკოლა) _ ეს სახელი დაუმკვიდრდა «შუასაუკუნეების ფილოსოფიის» მიმართულებას, რომელიც უპირატესად ისწავლებოდა სკოლაში. იმ დროს ფილოსოფია ღვთისმეტყველების «მსახური» იყო და ამიტომ არ იკვლევდა ბუნებას და გარემომცველ სინამდვილეს, არამედ ცდილობდა ეკლესიის ზოგადი დოგმატებიდან კონკრეტული დასკვნები ეკეთებინა და ადამიანის ქცევის წესები განესაზღვრა. აქედან _ ცხოვრებისაგან ყველაფერს მოწყვეტილს, ასოკირკიტს, გამოწვლილვას, ფაქტების და პრაქტიკის გარეშე, ზოგადი ცნებებით და დასკვნებით ოპერირებას «სქოლასტიკა» ეწოდება. წარმომადგენლები: ალბერტ ბოლშტედტელი, თომა აქვინელი, დუნს სკოტი და რაიმუნდ ლული (XIII ს.).

29. **პატრისტიკა** _ I-V სს ქრისტიანული ღვთისმეტყველება, ეკლესიის მამათა აპოლოგეტიკა, რომლებიც თავიანთი სარწმუნოების დოგმატებს წარმართული ანტიკური ფილოსოფიისაგან იცავდნენ.

30. **ჰეკატომბე** (ჰეკატა) _ ძველ საბერძნეთში 100 ხარის მსხვერპლად შეწირვა; შემდეგში _ ყოველგვარი დიდი მსხვერპლშეწირვა.

31. **იეზუიტი** (ლათ. შუსუს _ იესო ქრისტე) _ კათოლიკური ეკლესიის ყველაზე მეტად რეაქციული ორდენის, ე. წ. იესოს საზოგადოების წევრი. გადატ. ფარისეველი, ვერაგი, ორპირი ადამიანი, რომლისგანაც მოსალოდნელია ყოველგვარი სისაძაგლე. იეზუიტთა ორდენი შექმნა ეგნატე ლოიოლამ მე-16 საუკუნეში.

32. **რიგორიზმი** _ ფრანგ. რიგორისმე _ პრინციპების, წესების წვრილმანურად მკაცრი, განუხრელი დაცვა, უპირატესად ზნეობრივ საკითხებში.

33. **სოკრატე** (469-399 წ. ძვ. წ. აღ.) ძველბერძენი ფილოსოფოსი-იდეალისტი. რელიგიურ-ზნეობრივი სწავლების ქადაგებით მატერიალიზმის, საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ცოდნისა და უღმერთობის წინააღმდეგ გამოდიოდა. «მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი» _ იმეორებდა ის. სოკრატეს მეთოდი «ჭეშმარიტების» მიგნებას კამათის გზით ისახავდა მიზნად.

34. **ჰერაკლიტე ეფესელი** (დაახლ. 540-480 წ. ძვ. წ. აღ.) ძველბერძენი ფილოსოფოსი, მატერიალისტი, დიალექტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ჰერაკლიტე ასწავლიდა, რომ ყოველივედან ერთიანი სამყარო არავისგანაა შექმნილი, არც ღმერთებისგან და არც ადამიანებისგან, არამედ იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი «კანონზომიერად აგზნებადი და კანონზომიერად ქრობადი». ჰერაკლიტეს მიხედვით ცეცხლი _ ეს წინარენივთიერება და წინარეძალაა. მის მიხედვით სამყარო წარმოშობისა და განადგურების მარადიულ პროცესში იმყოფება, რამეთუ ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება.

35. **დემოკრიტე** _ ატომისტური მატერიალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

36. **ჰილოძოიზმი** _ ფილოსოფიური სწავლება, რომლის მიხედვითაც სიცოცხლე და აქედან გამომდინარე _ მგრძნობელობაც ბუნების ყველა საგანს ახასიათებს.

37. **ქილიაზმი** (ბერძ. _ ცჰილიას _ ათასი) _ რელიგიური მოძღვრება, რომლის თანახმადაც, სამყაროს აღსასრულამდე დედამიწაზე დამკვიდრდება «ღვთის სასუფევლის» ათასწლოვანი მშვიდობა.

38. **ბუდიზმი** _ ბრაჰმანიზმის მიმართ მტრულად განწყობილი რელიგიური სწავლება (ძვ. წ. აღ. VI-V სს). ბუდიზმი წამოწევს შემდეგ ძირითად მდგომარეობებს:

1) ცხოვრება აღსავსეა ტანჯვით; 2) არსებობს ტანჯვის გაჩენის მიზეზი; 3) არის ტანჯვის შეწყვეტის საშუალება. ბუდიზმის მასწავლებლები ასწავლიან, რომ შემეცნების მიზანია _ ადამიანი გაათავისუფლოს ტანჯვისგან. ბუდიზმის ეთიკას საფუძვლად უდევს იმის რწმუნება, რომ ტანჯვისგან თავის დაღწევა შესაძლოა არა იმქვეყნიურ, არამედ ამ ცხოვრებაში. ტანჯვის ასეთ შეწყვეტას ბუდისტებთან ეწოდება _ ნირვანა. ზედმიწევნითი მნიშვნელობით _ «ჩამქრალი». ბუდისტები ნირვანაში გულისხმობენ სრულ აუმღვრევლობას, გათავისუფლებას ყოველივესგან, რასაც ტკივილი მოაქვს, გარე და აზრთა სამყაროსაგან გარიდებას.

39. **რერიხი** _ ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე (1874-1947), დაიბადა პეტერბურგში. რუსი ფერმწერი, არქეოლოგი, მოგზაური, საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში (1893-97). იყო ა. კუინჯის მოწაფე. 1936 წლიდან დამკვიდრდა ინდოეთში. მოაწყო ორი დიდი ექსპედიცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში. გარდაიცვალა ქ. ნაგარში (პენჯაბის შტატი _ ინდოეთი).

40. **ლჰასა** (ლასა _ ტიბეტურად _ ღვთაებრივი ადგილი) ქალაქი ჩინეთში, ტიბეტის ავტონომიური რ-ის ადმინისტრაციულ-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი. გაშენებულია ჯიჩუს (მდ. ბრაჰმაპუტრის შენაკადი) ხეობაში, ტიბეტის მთიანეთში.

41. **პოტალა** _ ლჰასას ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე სასახლე-სიმაგრე. ცნობილია VII ს-დან, თანამედროვე სახე მიეცა XVI-XVIII ს-ში.

42. **ასტარტე** (ებრ. აშტორეთ) ფინიკიელთა და ქანაანელთა ნაყოფიერების, სიყვარულის, სილამაზის და მთვარის ქალღმერთი, ბაალის მეუღლე (თუ და). ასტარტეს კულტის მთავარი ცენტრი იყო ქ. სიდონი. ასტარტეს ქურუმი ქალები _ ჰიეროდულები ე.წ. «საღვთო» პროსტიტუციას ეწეოდნენ. ასტარტეს გამოსახავდნენ გულხელდაკრეფილ შიშველ ქალად თავზე ძროხის რქებით, ზოგჯერ კი გვირგვინოსან ქალად დაირით ხელში. მისი პლანეტა იყო ვენერა (იშთარი).

43. **კიბელე** _ ფრიგიული რელიგიური პანთეონის უზენაესი ქალღმერთი, «ღვთაებათა და დედამიწის ყოველი არსის დიდი დედა». კიბელეს კულტი განასახიერებდა მკვდარი ბუნების აღორძინებასა და ცოცხალი არსების განაყოფიერებას. ფართოდ გავრცელდა მცირე აზიაში და შეერწყა ბერძ. რეას კულტს.

44. **ჩინგიზ ყაენი** (საკუთარი სახელია თემუ-ჩინი). დაიბადა დაახლ. 1155 წ. დელპუნ-ბოლდანის სამანში. მხედართმთავარი, ერთიანი მონღოლური სახელმწიფოს დამაარ-სებელი. 1206 წელს მომთაბარე არისტოკრატიის ყურულთაიზე (ყრილობაზე) იგი დიდ ყაენად გამოაცხადეს და ჩინგიზის (თურქმენ. თენგიზ _ ოკეანე, ზღვა) ტიტული უბოძეს. ჩინგიზ ყაენმა 10 ათასიანი პირადი გვარდია _ კეშიგი შექმნა. საგარეო პოლიტიკაში იგი ცდილობდა მაქსიმალურად გაეფართოებინა თავისი სამფლობელოების ტერიტორია.

45. **გნოსტიკოსები** _ ქრისტიანობის პირველი საუკუნეების რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმომადგენლები, რომლებიც ქრისტიანულ თეოლოგიას ნეოპლა-ტონიზმთან და პითაგორიზმთან აერთებდნენ.

46. **ბრაჰმანიზმი** _ ძველი ინდური რელიგია, რომელიც ძვ. წ. აღ. X-IX ს. შეიქმნა. სა-ფუძვლად დაედო ინდუიზმს.

47. **ჰეგელი** (1770-1831) გერმანელი ფილოსოფოსი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა განვითარების დიალექტიკური თეორიის შემუშავებაში. ჰეგელის მიხედვით ბუნებას არ შეუძლია დროში განვითარება, ის მხოლოდ სივრცეში ვითარდება. თვითგანვითარების მესამე, უმაღლეს საფეხურს «აბსოლუტური გონი» წარმოადგენს. «აბსოლუტური იდეის» განვითარების ამ საფეხურს ჰეგელი ხსნის თავის თხზულებაში _ «გონის ფილოსოფია».

48. **პანლოგიზმი** (ბერძ. πάν _ ყველაფერი, λόγος _ აზრი, სიტყვა, გონება) ფილოსოფიური პრინციპი, რომლის თანახმადაც სინამდვილე განიმარტება, როგორც იდეის ლოგიკური გამოხატვა, სპეკულატური ცნების თვითგახსნა, «თვითშემცნობი გონება».

49. **გოეთე** (Goethe) იოჰან ვოლფგანგ _ გერმანელი მწერალი და მოაზროვნე (1749-1832).

50. **ჰეკელი** ერნსტ (1834-1919) გერმანელი ბუნებისმეტყველი, დარვინიზმის წარმომადგენელი. აქვს გამოკვლევები: «ანთროპოგენია, ანუ ადამიანის განვითარების ისტორია»; «ორგანიზმთა ზოგადი მორფოლოგია» და სხვ. «განავითარა» და დააკონკრეტა დარვინის ევოლუციური სწავლება.

51. **კიროსი** _ კიროს II დიდი _ სპარსეთის მეფე, აქემენიდთა სახელმწიფოს დამაარსებელი (ძვ. წ. აღ. 530).

52. **სემირამიდა** _ ასურეთის დედოფალი.

53. იგულისხმება მდ. აბაშისწყალი და მდ. ცხენისწყალი. იხ. ს. ყაუხჩიშვილის «ქართლის ცხოვრება; ჯუანშერის ქრონიკა» (ტ. 1, გვ. 237).